


სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შრომები

XII



სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ურობები

Т Р У Д Ы


ТБИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО
УНИВЕРСИТЕТА
ИМЕНИ СТАЛИНА



TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ
STALINE
à TBILISSI (Tiflis)

XII



სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზოკა
თბილისი-1940



საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი

დაიბეჭდა სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის
დოც. დ. შიშვიძის განკარგულებით



საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტი

სარედაქციო კოლეგია:

ბერიტაშვილი თ. (აკადემიკოსი)
კვეციანი ე. (პროფესორი)
უფუშიძე დ. (დოც., პ/შე. რედაქტორი)
ხარაძე ა. (პროფესორი)
ხაჭაპურიძე გ. (აკადემიის წევრ-კორესპონდენტი)



შ ი ნ ა ა რ ს ი

ფსიქოლოგია

- 1. რ. ნათაძე, ცნების შემუშავების გენეზისისათვის 83
- 2. ბ. ხაქაპურიძე, განწყობის ფაზური მოქმედების თეორიისათვის 49

ისტორია

- 3. А. Киквидзе, Архивные материалы бывшего Кавказского Комитета о Грузии 65

დასავლეთ-მგროპის ლიტერატურის ისტორია

- 4. Гр. Хавтаси, Гете в концепции Г. Гейне 69

ქართული ლიტერატურის ისტორია

- 5. სოლ. ყუბანეიშვილი, «მოქცევაჲ ქართლისაჲს-ს კელიშური რედაქცია» 91

ენათმეცნიერება

- 6. ალ. ლლონტი, გრძელი ა-ნის საკითხისათვის ქართლურში 103
- 7. თ. გონიაშვილი, უო-სუფიქსი ჩაჩნურში 111

პოლიტიკური ეკონომია (ფინანსები)

- 8. არ. გოკიელი, საფინანსო დაგეგმვის არსისათვის 121
- 9. ბიბლიოგრაფია 153
- 10. სამეცნიერო ქრონიკა 155



СО ДЕРЖАНИЕ

ПСИХОЛОГИЯ

	Стр.
1. Р. Натадзе, Генезис образования понятия	1
2. Б. Хачапуридзе, К теории фазового действия установки.	49

ИСТОРИЯ

3. А. Киквидзе, Архивные материалы бывшего Кавказского Комитета о Грузии.	65
---	----

ИСТОРИЯ ЗАПАДНО-ЕВРОПЕЙСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

4. Гр. Хавтаси, Гете в концепции Г. Гейне.	69
--	----

ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

5. С. Кубанейшвили, Челишская редакция „Обращения Грузии“	91
---	----

ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

6. Ал. Глonti, К вопросу о долгом а (ჲ) в карталинском диалекте.	103
7. Т. Гониашвили, Суффикс wo в чеченском языке.	111

ПОЛИТИЧЕСКАЯ ЭКОНОМИЯ (финансы)

8. А. Гокиели, К вопросу о сущности финансового планирования.	121
9. Библиография	153
10. Научная хроника	155

SOMMAIRE

PSYCHOLOGIE

	Pages
1. R. Natadzé, De la genèse de l'élaboration de la notion .	1
2. B. Khatchapouridzé, Sur la théorie de l'action graduelle de la disposition	49

HISTOIRE

3. A. Kikvidzé, Matériaux des archives de l'ancien Comité du Caucase	65
--	----

HISTOIRE DE LA LITTÉRATURE DE L'EUROPE OCCIDENTALE

4. G. Khavtassi, Goëthe dans la conception de Heine . . .	69
---	----

HISTOIRE DE LA LITTÉRATURE GÉORGIENNE

5. S. Koubaneïchvili, La conversion de la Karthlie . . .	91
--	----

LINGUISTIQUE

6. A. Glonhi, L'"a"-long dans le dialecte karthlien	103
7. T. Goniachvili, Le suffixe "ou" dans le dialecte tché-tchénién	111

SCIENCE ÉCONOMIQUE (les finances)

8. A. Gokiéli, Sur la substance de l'élaboration des plans financiers	121
9. Bibliographie	153
10. Chronique scientifique	155

რ. ნათაქე

ცნების შემუშავების გენეზისისათვის

(ექსპერიმენტული გამოკვლევის ¹ ზოგადი დასაგება)

I. პრობლემისათვის

1. საკმარისია გადავხედოთ ცნების ფსიქოლოგიურ კვლევაძიებას ცნების გენეზისის ფსიქოლოგიური ბუნების ასპექტით, რომ შემდეგი გარემოება გვეცეს თვალში: დღემდის ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური კვლევაძიება სრულიად უყურადღებოდ სტოვებს ცნების არსის ერთერთ ძირითად მომენტთან: ფსიქოლოგიურ კვლევაძიებაში სრულებით იგნორირებული რჩება ცნების ბუნების ძირითადი დამახასიათებელი მომენტი—მისი შემეცნებითი ფუნქცია, ე. ი. ის გარემოება, რომ ცნება პირველ რიგში საგნის არსის ასახვას—შემეცნების იარაღს წარმოადგენს (სინამდვილის ასახვის აზრით). ცნების ექსპერიმენტული კვლევის უკანასკნელი ეტაპის (რაც ჩვენი საუკუნის ოციან წლებიდან დაიწყო) მთავარ მიღწევად, სამართლიანად, ის ითვლება, რომ ამ ეტაპზე, ცნების შემუშავების ცალკე ოპერაციათა გარდა (საერთო ნიშნის წვდომა, აბსტრაქცია და სხვ.), გაშუქებულია ცნების, ასე ვთქვათ, სოციალური ბუნება, მისი „კომუნიკატური ფუნქცია“. ექსპერიმენტულად დამტკიცებულია, რომ ცნების შემუშავება პრინციპულად გაპირობებულია მისი გამოყენებით ურთიერთ გაგების მიზნებისათვის, რომ სიტყვა მხოლოდ მაშინ გარდაიქცევა „ცნებად“, ბგერათა კომპლექსს მხოლოდ მაშინ მიენიჭება მნიშვნელობა (Bedeutungsverleihung), როდესაც ეს სიტყვა, ეს ბგერათა კომპლექსი გამოიყენება როგორც ურთიერთგაგების საშუალება, რომ ცნების შემუშავება გაპირობებულია ურთიერთგაგების „ფუნქციონალური მომენტით“.

ამრიგად, ცნების ექსპერიმენტული კვლევის უკანასკნელ ეტაპზე ავტორებმა გაუწიეს ანგარიში ცნების „კომუნიკატურ ფუნქციას“, მის, ასე ვთქვათ, სოციალურ ძირს, მაგრამ მათაც გამოორჩათ ცნების მეორე, არანაკლებ მნიშვნელო-

¹ წინამდებარე შრომა წარმოადგენს ავტორის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მოკლე გადმოცემას (ცნების შემუშავების გენეზისისათვის, 1938 წ.); 1938 წ. 15 ივნისს იგი წარდგენილია სტალინის სახელობის უნივერსიტეტში სადისერტაციო შრომის სახით; დაცვა შესდგა 1939 წ. 23 მარტს.



ვანი, ძირი, სახელდობრ, ცნების შემეცნებითი ბუნება. არ საჭიროებს სტრუქტურას, რომ ცნება პირველ რიგში „ცნობიერებაში ბუნების ასახვის ფორმაა“ („форма отражения природы в сознании“—Ленин¹), რომ ცნება ისევე მიმართულია სინამდვილის ასახვისაკენ (საგნისაკენ), როგორც ალქმა, ოლონდ მასზე (ალქმაზე) უფრო ღრმა, უფრო ადეკვატურ ასახვას წარმოადგენს (ლენინის სიტყვებით: „... уже первое и простейшее образование понятий (суждений, умозаключений etc.) означает познание человека все более и более глубокой объективной действительности“)², და როგორც ფსიქოლოგიურად ალქმის უძირითადეს თვისებას საგნის ინტენცია წარმოადგენს, ისევე ცნების ერთერთ ძირითად მომენტთაგანს საგნის შემეცნების მომენტი შეადგენს.

არც ის არის სადაო, რომ სინამდვილის ეს უფრო „ღრმა“ და „უფრო სწორი“ ასახვა ცნებაში, ვიდრე ალქმაში, ხერხდება იმის გამო, რომ ცნება, ალქმის საწინააღმდეგოდ, წვდება ობიექტის არსებითს მომენტებს,—განასხვავებს არსებითს მასთან ერთად მოცემულ არაარსებითისაგან და შემეცნებს სწორედ ამ არსებითს. ცნება „მოვლენიდან არსზე გადადის“. ეს მომენტი—არსებითის წვდომა—ცნების ერთერთ ძირითად კონსტიტუტურ მომენტს შეადგენს.

სწორედ ეს უქვევლი, განსაკუთრებით მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ ხაზგასმული, შემეცნებითი ბუნება ცნებისა, იგნორირებული რჩება ცნების შემუშავების ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ კვლევაში.

საქმე შემუშავში არის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოსდაბოლოს თითქმის ყველა აკტოვი, არისტოტელედან დაწყებული, თანამედროვე ფსიქოლოგებით დამთავრებული (თუ არ ჩავთვლით ზოგიერთი უკიდურესი სკოლის წარმომადგენლებს) თეორიულ მიმოხილვაში აღნიშნავს ცნების შემეცნებითს ფუნქციას, მიუთითებს მის დამოკიდებულებას საგანთან³ და ზოგი, როგორც პროფ. რუბინშტეინი, ხაზს უსვამს საგნის სწორედ არსებითი ნიშნის ასახვის ცნებაში, ცნების შემუშავების ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიური კვლევა მაინც უყურადღებოდ სტრუქტურებს ამ მომენტს—არსებითის წვდომის, ე. ი. შემეცნებითი ფუნქციის შესრულების მომენტს.

საქმე ისაა, რომ ცნების შემუშავების ფსიქოლოგიურ კვლევაში ცნების შემუშავების პროცესი (образование понятия, Begriffsbildung) განიხილება როგორც საგანთა მოცემული ჯგუფისათვის საერთო ნიშნების გამოყოფა—მათი (ამ ნიშნების) შემეცნებითი ღირებულების, მათი არსებითობა არა-

¹ Ленин, Философские тетради, 1936, стр. 176.

² იქვე, გვ. 173.

³ არისტოტელესათვის (იხ. Über die Seele, II Auflage, 1922) ცნება საგანთა ფორმაა; ცნება საგანთა არსს მიუთითებს. თანამედროვე ფსიქოლოგთა უმეტესობა მიუთითებს ცნებაში საგანთა დამოკიდებულების წვდომას (Lindvörsky, „Der Begriff ist ein Wissen von Sachverhalten“—Lehrbuch d. Psych. გვ. 186; Fröbes, „Erfassung Sachverhalten und Beziehungen“—Lehrbuch B. II, 1929, გვ. 168) ანდა, როგორც ჩვენი საბჭოთა ფსიქოლოგიის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ, აზროვნების საგნისადმი მიმართვის მომენტს (Рубинштейн: „Самая существенная черта мышления в предметной отнесенности его содержания“—Основы психологии, изд. I, стр. 299).

არსებითობის მხედველობაში მიუღებლად—და შემდგომ უკვე ამ გამოყოფილ აბსტრაქციაქმნილ საერთო ნიშნების შემდეგი დაუფლება (მათი შერწყმა, იდეური ობიექტის შემუშავება და სხვ.). მაგრამ ცხადია, რომ საგანთა მოცემულ ჯგუფისათვის საერთო ნიშნების გამოყოფის აქტი არ ემთხვევა პრინციპულად არსებითის წვდომის აქტს და საერთო ნიშანთა აბსტრაქციის უნარი არ ემოხვევა მოცემული მოვლენის არსის (განსაზღვრული თვალსაზრისით) ძიების ტენდენციას და მისი წვდომის უნარს, რასაც სწორედ ცნება გულისხმობს. მაშასადამე, ცნების ონტოგენეტური განვითარების კვლევის დროსაც განსაზღვრულ ასაკში საერთო ნიშნების აბსტრაქციის უნარის მომწიფება (რაც, როგორც ცნობილია, საკმაოდ ადრე ვითარდება) სრულიადაც არ მოწმობს ცნებითი აზროვნების მთავარი სპეციფიკურობის—არსებითის ძიების ფუნქციის მომწიფებას!

საგანთათვის საერთო ნიშნის გამოყოფასა და საგანთა არსებითი ნიშნების წვდომას შორის სხვაობას, ვფიქრობთ, ცხადპყობს სხვა კონტექსტში მოყვანილი ლოტცეს შესანიშნავი მაგალითი: „აღუბალი და ხორცი რომ შევიყვანოთ წითელ, წვინიან საქმელ საგანთა საერთო ჯგუფში, ლოგიკური, გამოსადეგი ცნების ნაცვლად ჩვენ მივიღებთ მნიშვნელობას მოკლებულ სიტყვათა რიგს, რომელიც სრულიად არაფერს გვაძლევს ცალკე შემთხვევათა გაგებისათვის“¹. ჩვენი კონტექსტისათვის ეს მაგალითი საინტერესოა როგორც ილუსტრაცია იმ უღაო გარემოებისა, რომ საგანთა კატეგორიების (ცნებების) შემუშავება მხოლოდ ნიშანთა საერთობის მიხედვით აბსურდამდე მიგვიყვანს.

საერთო ნიშნების აბსტრაქცია და საგნების რეპრეზენტაცია ცნობიერებაში ამ ნიშნების მიხედვით მხოლოდ მაშინ ემსახურება ცნების შემუშავებას, თუ ეს საერთო ნიშნები გამოყოფილია არამხოლოდ მათი „საერთობის“ გამო, არამედ მათი „არსებითობის“ გამო, თუ საერთო ნიშნების აბსტრაქცია საგანთა შემეცნების განწყობათ განისაზღვრება. ცნებაში აბსტრაპირებული ნიშანი „აუცილებელი დამახასიათებელია“ (შემეცნების მოცემული დონის თვალსაზრისით) მოცემულ საგნისათვის. საერთო, აუცილებელ ნიშანთა აბსტრაქცია ცნებაში შემეცნების შედეგს წარმოადგენს.

ცნების შემუშავების მეთოდებში კი ჩვეულებრივ, მოცემულ ექსპერიმენტულ საგანთათვის საერთო ნიშანთა აბსტრაქციას ამ საგანთა ბუნება კი არა, მათი შემეცნების მოთხოვნილება კი არა, არამედ მხოლოდ ცდის ხელოვნური პირობებით გამოწვეული „ნიშანთა საერთობა“ განსაზღვრავს (იხ. ქვემოთ—„მეთოდი“).

აქ შეიძლება წამოიჭრეს შემდეგი საკითხი: რომ ცნება შემეცნების ფუნქციას ასრულებს—უეჭველია და, ალბათ არც იმ ფსიქოლოგთათვის არის სადაო, ვინც ცნების შემუშავების საკითხებს იკვლევდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ცნების ამ, ასე ვთქვათ, გნოსეოლოგიურ ღირებულებას ცნების ფსიქოლოგიურ კვლევისათვის? შეიძლება დაიბადოს აზრი, რომ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არა აქვს მნიშვნელობა იმას—წარმოადგენს თუ არა ცნება შე-

¹ Кассирер, Познание и действительность, 1912, стр. 16.

მეცნების საშუალებას და მის შედეგსაც, აზრი, რომ ცნების ამ შემეცნებითი ფუნქციისათვის ანგარიშის გაწევა გნოსეოლოგიური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისითა აღრევას წარმოადგენს.

ეს მოსაზრება არ არის სწორი: როდესაც აქ ვლაპარაკობთ ცნების, როგორც შემეცნების იარაღის შესახებ, როდესაც ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ცნებაში საერთო ნიშანთა აბსტრაქცია ხდება არა მათი საერთოობის, არამედ მათი „არსებითობის“ (სუბიექტის თვალსაზრისით) მიხედვით, ამაში, რასაკვირველია, ვგულისხმობთ არა გნოსეოლოგიურს, არამედ ფსიქოლოგიურს (განცდითს) მომენტს: სწორედ ფსიქოლოგიურად არის განსხვავებული ინტელექტუალური ოპერაცია საერთო ნიშანთა აბსტრაქციისა, მათი „საერთოობის“ მიხედვით (რასაც იკვლევენ ჩვეულებრივ ცნების შემუშავების კვლევის დროს) და არსებითის აუცილებლად დამახასიათებელი ნიშნების ძიების ოპერაცია. სწორედ ფსიქოლოგიურად არის საგულისხმო ცნებაში შემეცნების ფუნქციის—არსებითის ძიების ტენდენციის—გაღვიძება მოზარდში ცნებითი აზროვნების განვითარების პროცესში.

ნამდვილი ცნებითი აზროვნების შემთხვევაში ცნების ფორმაციას უნდა განსაზღვრავდეს არამხოლოდ ურთიერთგაგების „ფუნქციონალური მომენტი“ (უკანასკნელ ხანებში ექსპერიმენტულად გაშუქებული), არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, შემეცნების „ფუნქციონალური მომენტიც“. ცნების ქმნადობის ოპერაციები უნდა ამოქმედდნენ არამხოლოდ კომუნიკატურ მიზნებისათვის სიტყვის (ცნების) გამოყენების განწყობის საფუძველზე, არამედ შემეცნების—არსებითის ძიების—განწყობის საფუძველზედაც; ამიტომაც სწორედ ფსიქოლოგიურად არის საგულისხმო ამ მომენტის (არსებითის ძიების) გათვალისწინება ცნების შემუშავების პრობლემის კონტექსტში. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აღნიშნულ „შემეცნების განწყობის“ (არსებითის ძიების ტენდენციის) მომწიფების გათვალისწინებას უნდა ჰქონდეს ცნებითი აზროვნების ონტოგენეტური განვითარების შესწავლისას.

მოსალოდნელია, რომ ცალკე ოპერაციები, რომელიც დამახასიათებელია ცნების შემუშავებისათვის (ცალკე ნიშანთა ობიექტივაცია, მათი აბსტრაქცია და სხვ.) იჩენს თავს გაცილებით უფრო დაბალ საფეხურზე დაბალ ასაკში, ვიდრე ამავე ოპერაციების ამოქმედების უნარი შემეცნებითი მიზნებისათვის: როგორც ჩანს პროფ. უზნაძის ცნობილ გამოკვლევებიდან¹ და აბსტრაქციის შესახებ სხვა მრავალ გამოკვლევებიდან, სკოლის წინარე ასაკში უკვე მწიფდება ის ფუნქციები, რომელნიც ანხორციელებენ ნიშანთა ობიექტივაციას, აბსტრაქციას და სხვ., მაგრამ საეჭვოა, რომ ამ ასაკში ხდებოდეს ამავე ფუნქციითა აქტივაცია შემეცნებითი ინტერესების ფონზე, რომ მათი აქტივაცია შემეცნების მიზნით ხდებოდეს; ეს ალბათ შემდეგი, საგრძნობლად უფრო გვიანი საფეხურის ფუნქციის უნდა შეადგენდეს.

¹ D. Usnadze, Über d. Begriffsbildung...

ამრიგად, წინამდებარე შრომის ერთერთ ამოცანას (სხვა ამოცანათა შორის) შემდეგი საკითხის გამორკვევა შეადგენს: ონტოგენეზისის რომელ საფეხურზე იღვიძებს აღნიშნული შემეცნებითი განწყობა, რომელ საფეხურზე ჩნდება ის შემეცნებითი ინტერესი და შემეცნების ის ძალა, რომელსაც ცნება გულისხმობს; ჩვენს ამოცანას შეადგენს იმ მომენტის გამოვლინება, როდესაც ბავშვის ცნება შემეცნებას ემსახურება არსებითის ძიების სახით: როდის ცდილობს მოზარდი განასხვავოს ცნებაში არსებითი არაარსებითისაგან, ე. ი. როდის იწყება არსებითის ძიება ცნებაში და განვითარების რა გზას გაივლის იგი.

2. არსებითის წვდომის მომენტის უგულვებელყოფის გვერდით, ცნების შემუშავების კვლევაში ვფიქრობ, აღსანიშნავია კიდევ ერთი არსებითი მნიშვნელობის მომენტის უგულვებელყოფა.

როგორც გამოყენებულ მეთოდებიდან ჩანს, ცნების ქმნადობის ფსიქოლოგიურმა კვლევაძიებამ მექანიკურად, აქსიომატური დებულების სახით, გადმოიღო ფორმალური ლოგიკიდან ცნების განზოგადების პროცესის შესახებ ის ტრადიციული, მექანიკური ბუნების დებულება, რომლის თანახმად ცნების შემუშავებისა და განზოგადების პროცესი წარმოდგენილია როგორც საერთო (ზოგად) ნიშანთა მარტივი აბსტრაქცია (გამოყოფა) და დანარჩენ ნიშანთა (განსხვავებულის) ისევ მარტივი ამორიცხვა.

ფორმალური ლოგიკის ამ შემცდარი დებულების თანახმად, ცნებათა განზოგადების პროცესი წარმოდგენილია ცნობილ „ცნებათა პირამიდის“ სახით, რომელიც გულისხმობს, რომ ცნების „ზოგადობა“, ე. ი. მისი მოცულობა, პროპორციულია ამ ცნების შინაარსის სიღარიბესთან, ცნების მოცულობის გადიდება მის (ამ ცნების) შინაარსის შემცირებას, მის გაღარიბებას გულისხმობს.

ეს შემცდარი წარმოდგენა ცნების განზოგადების პროცესზე მთლიანად გამომდინარეობს ამ პროცესის, როგორც საერთო ნიშანთა გამოყოფის და დანარჩენ ნიშანთა (განსხვავებულის) უკუგდების გავებიდან: რაც უფრო ზოგადია ცნება, რაც მეტ ობიექტს შეიცავს იგი, მით მეტი ნიშანია უკუგდებული, მით ნაკლები ნიშანია შენარჩუნებული ცნების შინაარსში.

როგორც ჩანს, ცნების ფსიქოლოგიური კვლევაძიება იმყოფება ცნების განზოგადების ამ არსებითად შემცდარ, ფორმალურ-ლოგიკური გავების გავლენის ქვეშ, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური ლოგიკის ეს დებულება უკვე დიდხანია დაძლეული და უკუგდებულია დიალექტიკური ლოგიკის მიერ. მოვიგონოთ თუნდაც ლენინის ცნობილი დებულება: „Все научные (правильные, серьезные, невздорные) абстракции отражают природу глубже, вернее, полнее¹, „мышление, восходя от конкретного к абстрактному, не отходит, если оно правильно, от истины, а подходит к ней²“.

¹ Ленин, Философские тетради, 1936, стр. 162.

² იქვე.

დიალექტიკური ლოგიკის ამ მიღწევამ არაავითარი ანარეკლი არ ჰპოვა ცნების ფსიქოლოგიურ კვლევაშიც, ყოველ შემთხვევაში ე. წ. „აბსტრაქციის მეთოდებში“ და ახალ, ექსპერიმენტულ ცნებათა შემუშავების მეთოდებში ცნებათა შემუშავების და მათი განზოგადების პროცესი დაიყვანება უთუმცაოდ მოცემულ ობიექტთათვის საერთო ნიშანთა გამოყოფის და დანარჩენ (განსხვავებულ) ნიშანთა სრულ ამორიცხვაზე, პირდაპირ ფორმალურ ლოგიკის ზემოაღნიშნული სქემის მიხედვით. ყველაზე გაგრძელებულ ცდებში, მაგალითად, დიდი და მძიმე და დიდი და მსუბუქი ფიგურების ცნებათა განზოგადება ერთ ცნებაში გულისხმობს მექანიკურად სიმძიმის ნიშნის უკუგდებას და მხოლოდ მეორე ნიშნის (სიდიდის) დატოვებას („დიდი ფიგურების“ ცნება). ასე, ცნების განზოგადების პროცესში მისი მოცულობა გადიდდა, ხოლო მისი შინაარსი გაღარიბდა: სიმძიმისა და სიდიდის ნიშანთა მაგივრად დარჩა ერთი—სიდიდე.

ეს პროცესი არ შეეფერება ცნების განზოგადების რეალურ პროცესს. სინამდვილეში ხომ უფრო ზოგადი ცნება შინაარსის გაღრმავებას და არა გაღარიბებას წარმოადგენს; ზოგადი ცნება უფრო მდიდარია, უფრო მეტი მითითებების (უფრო ფართო Sachverhalt-ის) გამომხატველია, იგი მეტი მოცულობის მოვლენათა შემცნებას წარმოადგენს: იგი მეტი ობიექტების, მეტი კატეგორიების მოვლენათა ასახვას წარმოადგენს. ამიტომ ზოგადი (უფრო დიდი მოცულობის) ცნება უნდა წვდეს ობიექტთა შინაარსს უფრო „ღრმად“, მაგრამ ფსიქოლოგიურ ცდებში, როგორც ფორმალური ლოგიკის ინტერპრეტაციაში, სწორედ საწინააღმდეგოს აქვს ადგილი. ზოგადი (დიდი მოცულობის) ცნება გარდაიქცევა საგანთა შინაარსის ღარიბ სქემად, რომელშიაც იკარგება ობიექტთა დამახასიათებელი თვისებები.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს კასირერი¹, ზოგადი ცნება ადვილად უნდა დაიყვანებოდეს „უკუ“, უფრო ვიწრო (სახეობით) ცნებებზე ან ინდივიდუალურ საგნებზე. მაგრამ აბსტრაქციის იმ გზით, რომელიც ნაგულისხმევია ფორმალური ლოგიკის მიერ (და მისი გავლენით ფსიქოლოგიაშიც), ცნების ასეთი „უკუქცევითი“ დაყვანა შეუძლებელია, ზოგადი ცნებებიდან შეუძლებელია კერძო ცნებათა ნიშნების მიღება, რადგან ეს ნიშნები სრულიად ამორიცხულია ზოგად ცნებაში.

ამრიგად, ცნების შემუშავების ერთერთ უძირითადეს სპეციფიკურობას უნდა ქმნიდეს სწორედ ეს თავისებური აბსტრაქცია, რომლის მეოხებით განზოგადება ნიშანთა დაკარგვას კი არა, შინაარსის გაღარიბებას კი არა, არამედ შინაარსის გაღრმავებას გულისხმობს, როგორც ვთქვით, ზოგადი (დიდი მოცულობის) ცნება კი არ ამორიცხავს სახეობის ცნებათა განსხვავებულ ნიშნებს, არამედ რაღაც სხვა, შეცვლილი, განზოგადებული სახით გულისხმობს მათ².

¹ Кассирер, Познание и действительность, 1912, стр. 32.

² მართალია, ზოგიერთი კატეგორიის ცნებების განზოგადებაში (განსაკუთრებით იმ ცნებებისა, რომელთა ნიშნები აღქმადი, სენსორული შინაარსისაა, როგორც ექსპერიმენტულ ცნებაში), ეს მომენტი (განსხვავებულ ნიშანთა შენარჩუნება შეცვლილი სახით) მანიფესტურად არაა მოცემული, ე. ი. ცნების დეფინიციაში არ აღინიშნება, მაგრამ სმაგიეროდ, ცნებათა უმეტეს კატეგორიაში ეს მომენტი მანიფესტურადაც ვლინდება ცნების დეფინიციაში, რაც იძლევა ამ „განზოგადების“ კვლევის შესაძლებლობას (იხ. ქვემოთ „მეთოდი“).

უნდა ვიგულისხმოთ, რომ განსხვავებულ ნიშანთა გამოკლების შესახებ ფორმალურ-ლოგიკური თეორიის (ცნებათა პირამიდის თეორიის) უკრიტიკოდ, აქსიომატურად გადმოღების გამო, ცნების შემუშავების ფსიქოლოგიური კვლევაძიება არ შეხებია ცნების შემუშავების ერთერთ არსებითს მომენტს, ცნების ფსიქოლოგიის მნიშვნელოვან საკითხს, თუ როგორ ხდება ფსიქოლოგიურად, რომ განზოგადების პროცესში ცნების მოცულობის გაზრდის პროცესში, მისი შინაარსი კი არ ღარიბდება, არამედ ღრმავდება.

ამგვარად, წინამდებარე შრომის მეორე ამოცანას შეადგენს ნამდვილი განზოგადების, ე. ი. სახეობითი ცნებათა განსხვავებულ არსებითი ნიშნების განზოგადების და არა უბრალო ამორიცხვის ონტოგენეტური განვითარების გათვალისწინება.

ამრიგად, სასკოლო პერიოდში, ცნების შემუშავების შესწავლისას, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ უმთავრესად ორი მომენტის გენეზისს: 1) ცნების შემეცნებითი ფუნქციის, ე. ი. ცნებაში არსებითის ძიების ტენდენციის და 2) ცნებათა განზოგადების ონტოგენეტურ განვითარებას.

3. ცნებითი აზროვნების გენეზისის კვლევის თვალსაზრისით, განსაკუთრებით აქტუალურ ამოცანას ცნების განვითარების გათვალისწინება სწორედ სასკოლო პერიოდში წარმოადგენს, ვინაიდან, ერთის მხრივ, სწორედ ამ პერიოდში ეცნობა ბავშვი მეცნიერულ ცოდნათა სისტემას და პირველ მეცნიერულ ცნებებს, ხოლო, მეორის მხრივ, სწორედ ეს პერიოდი, აზროვნების განვითარების მხრივ, დღემდის თითქმის სრულიად შეუსწავლელია, ისე, რომ დღესაც საკვებით ძალაში რჩება ვიგოტსკის სიტყვები: „Вопрос о развитии научных понятий в школьном возрасте есть прежде всего практический вопрос огромной, может быть даже первостепенной важности с точки зрения задач, стоящих перед школой в связи с обучением ребенка системе научных знаний. Между тем, то, что нам известно по этому вопросу, поражает своей скудностью“¹.

თვითონ ვიგოტსკის ცნობილმა გამოკვლევამაც არ შესცვალა არსებითად მდგომარეობა, ვინაიდან იგი ცნებითი აზროვნების განვითარების უფრო თეორიულ ანალიზს, ვიდრე ფაქტიური განვითარების სისტემატურ ექსპერიმენტულ გამოკვლევას წარმოადგენს².

¹ Л. С. Выготский, Мышление и речь.

² ადგილის უქონლობის გამო აქ ვერ ვათავსებთ სასკოლო პერიოდში აზროვნების განვითარების შესახებ ლიტერატურის მიმოხილვას. ამის შესახებ იხ. რ. ნათაძე—ზემო დასაყლებული შრომა.

II. მ ე თ ო ლ დ ი

1.

მეთოდის შემუშავებისას ჩვენ გამოვდიოდით შემდეგ ძირითად წინამძღვრებიდან.

ცნების კვლევის თანამედროვე მეთოდები იყოფა მეთოდების ორ პოლარულ ჯგუფად: ეს, ერთის მხრივ, არის ახალი ხელოვნური ცნების ექსპერიმენტული შემუშავების მეთოდები და, მეორის მხრივ, „მზამზაოეულ“, რეალურ ცხოვრებაში ხმარებულ ცნებათა შესწავლის მეთოდები.

პირველი ჯგუფის მეთოდების ძირითად უპირატესობას ქმნის ახალი ცნების ქმნადობის პროცესის გაშუქება, რაც საკითხის გაცილებით უფრო ინტენსიურად შესწავლის შესაძლებლობას იძლევა, ვიდრე ეს ხერხდება მეორე ჯგუფის მეთოდების გამოყენებისას, მაგრამ, მეორის მხრივ, ამ ინტენსიური მეთოდების ძირითად ნაკლს შემუშავებულ ცნებათა ხელოვნურობა, მათი არარეალური ხასიათი წარმოადგენს, რომლის გამო შეუძლებელი ხდება ამ მეთოდებით ცნების შემეცნებითი ფუნქციის ფსიქოლოგიური საფუძვლების გაშუქება. სამაგიეროდ, მეორე ჯგუფის მეთოდების ძირითადი უპირატესობა რეალურ ცნებათა შესწავლაში მდგომარეობს.

ამრიგად, თითოეული ჯგუფის მეთოდის უპირატესობას მეთოდის სწორედის თავისებურობა ქმნის, რომელიც მის მანკსაც განსაზღვრავს. პირველი მეთოდის ნაკლი გამომდინარეობს არარეალური, ხელოვნური ცნების შემუშავებიდან, მაგრამ მისი უპირატესობა სწორედ ახალი ცნების ქმნადობის გამოწვევაში მდგომარეობს. მეორე მეთოდის უპირატესობას რეალური ცნების კვლევა შეადგენს, მაგრამ მისი ნაკლიც ნაცნობ, ყოველდღიურ ცნებათა კვლევიდან გამომდინარეობს.

1. მეთოდების ამ თავისებურ პოლარობიდან გამომდინარეობს ჩვენი ძირითადი გამოსავალი წინამძღვარი ცნების კვლევის ახალი მეთოდის მიმართ: მეთოდი უნდა იძლეოდეს ახალი, მაგრამ რეალური ცნების შემუშავების პროცესის ექსპერიმენტული შესწავლის შესაძლებლობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ექსპერიმენტში შემუშავებულ, ცდის პირისათვის ახალი ცნება უნდა ასრულებდეს ცნების ფუნქციას—განზოგადებულად უნდა ასახავდეს სინამდვილის რეალურ კუთხეს, იგი უნდა ემსახუროდეს სინამდვილის გარკვეული მოვლენის შემეცნებას ამ მოვლენის არსებითი ნიშნების ასახვის გზით, მაგრამ, ვიმეორებ, ეს რეალური ცნება უკვე ხმარებულ მზამზაოეულ ცნებას კი არ უნდა წარმოადგენდეს, არამედ მისი ექსპერიმენტული შემუშავება პირველად ცდის მიმდინარეობაში უნდა ხდებოდეს. ამ გზით ვფიქრობთ არსებულ მეთოდთა ორივე ჯგუფის ძირითად უპირატესობათა შეერთებას და ორივეს ძირითად ნაკლთა აცილებას: ერთის მხრივ, ცდაში მოხდება ახალი ცნების ქმნადობის პროცესის გაშუქება, ხოლო, მეორის მხრივ, რეალური ცნების შესწავლა.

2. რამდენადაც ცნებითი აზროვნება პრინციპულად გულისხმობს არათვალსაწინო, მიმართებითი ნიშნების დაუფლებას, იმდენად ცდაში შემუშავებული

ცნების შემუშავების გენეზისისათვის

ახალი რეალური ცნება უნდა შენდებოდეს არა თვალსაჩინო, არა სენსორული ბუნების ნიშნებზე, — როგორც ამას აქვს ადგილი ცნების ექსპერიმენტული შემუშავების ყველა ჩემთვის ცნობილ მეთოდში¹, — არამედ რელატიურ არათვალსაჩინო ნიშნებზე.

3. ახალ ცნებათა შემუშავების ექსპერიმენტულ მეთოდებში არსებითად მუშავდება მხოლოდ „უშუალო“ ცნებები, ე. ი. ცნებები უშუალოდ კონკრეტ მასალაზე შექმნილი, ასე ვთქვათ, „პირველი იარუსის“, პირველი სართულის ცნებები. მაგრამ ცნებითი აზროვნების ერთერთ უსავეციფიკურეს მომენტს (განსაკუთრებით ლ. ვიგოტსკის მიერ ხაზგასმულს) „უშუალობით“ ცნებების დაუფლება შეადგენს, იმ ცნებების დაუფლება, რომელიც მუშავდება არა კონკრეტ საგნების, არამედ უშუალო ცნებების საფუძველზე, ე. ი. იმ ცნებების დაუფლება, რომელთა მიმართება საგნისადმი გაშუალებულია სხვა, ნაკლებ ზოგადი, უშუალო ცნებებით.

აქედან გამომდინარეობს შემდეგი მოთხოვნა მეთოდის მიმართ. ექსპერიმენტში უნდა ხდებოდეს არამხოლოდ „უშუალო“ ცნებების შემუშავება კონკრეტ მასალის საფუძველზე, არამედ ამ უშუალო ცნებების საფუძველზე უნდა ხდებოდეს უფრო ზოგადი, „უშუალობით“ ცნებების შემუშავება და ამ უკანასკნელთა საფუძველზე კიდევ უფრო ზოგადი ცნებების შემუშავება, ე. ი. ექსპერიმენტში უნდა ხდებოდეს განზოგადების რამდენიმე რიგის, რამდენიმე „სართულის“ ცნებათა შემუშავება. ამ გზით უნდა ვახდეს შესაძლებელი ცნებათა რეალური განზოგადების პროცესის გაშუქება (იხ. ზემოთ — საკითხის დაყენება).

4. ახალ ცნებათა შემუშავების ყველა ჩემთვის ცნობილ მეთოდში კვლევის ობიექტს შეადგენენ იზოლირებული ცნებები, რომელნიც არ შედიან ცნებათა სისტემაში (ლ. ვიგოტსკი ამაში ხედავს ხელოვნურ ცნებათა მეთოდის ერთ-ერთ ძირითად სისუსტეს), მაგრამ ცნებითი აზროვნების ერთერთ ძირითად სპეციფიკურობას ხომ სწორედ ცნებათა სისტემის — ცნებათა შორის არსებულ ლოგიკურ მიმართულებათა დაუფლება შეადგენს.

აქედან მეთოდოლოგიური მოთხოვნა: ექსპერიმენტულად შემუშავებული ცნებები არ უნდა იყოს იზოლირებული, ისინი ჯერ თვით უნდა შეადგენდნენ ახალ ექსპერიმენტულ ცნებათა მინიატიურულ სისტემას, გარკვეული ლოგიკური დამოკიდებულებით ცნებათა შორის (გვაროვნული ცნებები, ქვეცნებები და სხვ.) და, გარდა ამისა, ეს ახალი ცნებები უნდა შედიოდეს ყოველდღიურ ცნებათა სისტემაშიც.

5. ექსპერიმენტულ ცნებათა მეთოდებში ახალ ცნებათა შემუშავება ყოველთვის ხდება ერთი გზით — „ქვევიდან ზევით“, ე. ი. კონკრეტ, თვალსაჩინო მასალის განზოგადების გზით, მაგრამ ცნებითი აზროვნებისათვის არანაკლებ დამახასიათებელია მეორე გზაც: ცნების შემუშავება „ზევიდან ქვევით“ ვერბალური გზით, ზოგად ცნებათა დეფინიციიდან უფრო კერძო ცნებებისაკენ.

¹ გავრცელებულ მეთოდებში, როგორც ცნობილია, ცნება უმთავრესად შენდება ფორმის, სიდიდისა და ფერის თვალსაჩინოდ აღებულ ნიშნებზე.

აქედან მეთოდური მოთხოვნა: ექსპერიმენტში ცნებების შემუშავება უნდა ხდებოდეს არამხოლოდ „ქვევიდან ზევით“, არამედ პირიქითაც—„ზევიდან ქვევით“—ვერბალური გზით, ზოგადი ცნების განსაზღვრიდან საშუალო ზოგადობის ცნებებზე გადასვლით, უშუალო ცნებებისაკენ.

6. ცნებაში საგნის არსის ასახვა, არსებითის წვდომის უნარი და მოცემულ არსებით ნიშანთა აუცილებლობის გაცნობიერება, რომელიც ცნებითი აზროვნების ერთერთ განსაკუთრებით სპეციფიკურ თავისებურობას წარმოადგენს (იხ. ზემოთ—საკითხის დაყენება), როგორც უკვე მქონდა აღნიშნული ზემოთ, დღემდე არათუ არ შეისწავლებოდა ექსპერიმენტულად, არამედ საკითხიც კი არ დასმულა მისი შესწავლის შესახებ. არსებითის ძიების და მისი წვდომის მომენტი ექსპერიმენტულ კვლევაში ფაქტურად შეინაცვლებოდა ზოგადის აბსტრაქციის მომენტით: ცნების ექსპერიმენტული შემუშავების მეთოდებში ცნებას არსებით ნიშნად ყოველთვის ითვლება ყველა, საგნის მოცემულ გუფისათვის საერთო, სპეციფიკური ნიშნები, ე. ი. ის ნიშნები, რომელიც მოცემული კატეგორიის საგნების ყველა ეგზემპლარს ახასიათებს (საერთო სილიდე ან საერთო ფერი, საერთო ფორმა და სხვ.). ამრიგად, ამ მეთოდებში სპეციფიკური უთუშცაოდ გაიგივებულია არსებითთან. ცნება ამ ცდებში შენდება ყველა ერთი კატეგორიის საგნისათვის საერთო ნიშნის აბსტრაქციის გზით, ხოლო მოცემული ნიშნის არსებითობის საკითხი ექსპერიმენტული ცნებების შემუშავების კონტექსტში არც დგება: აქ მხედველობიდან გამოშვებულია ის გარემოება, რომ საგანს შეიძლება გააჩნდეს ნიშნები, მოცემულ კატეგორიისათვის სპეციფიკური, ე. ი. საერთო ამ კატეგორიის ყველა ეგზემპლარისათვის. მაგრამ ეს ნიშნები იმავე დროს შეიძლება არ იყოს არსებითი მოცემულ ცნებისათვის, არ იყოს აუცილებელი მოცემული ცნების, ანუ მოცემულ საგანთა კატეგორიის განსაზღვრისათვის; მაგალითად, „ადამიანს“ გააჩნია რიგი ნიშნებისა, რომელიც მისთვის სპეციფიკურია, მაგრამ რომელიც იმავე დროს არ შეადგენს ადამიანის არსებით ნიშნებს. ასე, მაგალითად, ყოველ ადამიანს, და მხოლოდ ადამიანს, გააჩნია ზედა ტუჩზე ვერტიკალური ღარი (ცხვირის ქვეშ), ვიწრო და მაღალი ფორმა ცხვირისა, სპეციფიკური ბიბილო ყურზე და სხვ., მაგრამ ეს ნიშნები არ არის არსებითი ცნება ადამიანისათვის (თუ იგი არ განიხილება რაიმე სპეციალური ანატომიური თვალსაზრისით).

უნდა ითქვას, რომ ეს, ექსპერიმენტული ცნების მეთოდებისათვის დამახასიათებელი, იგნორაცია ცნებაში საგნის არსის ასახვისა არც არის გასაკვირი, ვინაიდან არსებულ ექსპერიმენტულ ცნების მეთოდებში არარეალური ხელოვნური ცნების შემუშავება ხდება, მაგრამ ხელოვნური ცნება არ წარმოადგენს სინამდვილის რომელიმე მოვლენის შემეცნების იარაღს, შემეცნების საშუალებას, და ამიტომ გასაგებია, რომ ამ ხელოვნურ ცნებათა შემუშავების კვლევის პროცესში არ წამოიჭრება პრობლემა ცნებაში საგნის არსის ასახვის შესახებ.

მაგრამ წინამდებარე შრომის ერთერთ ძირითად ამოცანას, როგორც ეს ზემოთ გვქონდა ხაზგასმული, ცნებაში სწორედ საგნის არსის ასახვის ფუნქციის ზანვითარების გათვალისწინება შეადგენს და ამიტომ ჩვენი მეთოდის მიმართ

ერთერთი ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობს ისეთი მეთოდის შემუშავებაში, რომელიც მოგვცემდეს ცნების შემეცნებითი ფუნქციის მომწიფების გათვალისწინებისა და, კერძოდ, ცნების სპეციფიკურ ნიშანთა შორის არსებითი ნიშნების ძიების ტენდენციისა და მათი წვდომის უნარის გათვალისწინების შესაძლებლობას.

2.

ზემოთჩამოთვლილ მეთოდურ მოთხოვნათა საფუძველზე, ჩვენ შევადგინეთ შემდეგი მეთოდი.

პირველი მეთოდი; A ვარიანტი

ცდის პირს ეძლევა ადამიანის ხელით გაკეთებულ სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებათა სურათები, რომელთა საფუძველზე ცდაში მუშავდება ც. პ.-ბისათვის ახალი, მაგრამ რეალური ცნებები. პირველ რიგში ეს არის შემდეგი 4 ცნება:

1. ადამიანის მიერ გაკეთებული სატრანსპორტო საშუალება (Fahrzeug), რომელიც მოძრაობს მანქანის ძალის საშუალებით—„დიკშერი“.
2. „ „ „ „ რომელიც მოძრაობს ბუნების ძალის საშუალებით—„რუდოსი“.
3. „ „ „ „ რომელიც მოძრაობს ცხოველის ძალის საშუალებით—„სენსეტი“.
4. „ „ „ „ რომელიც მოძრაობს ადამიანის კუნთური ძალის საშუალებით—„კირბონი“.

ამ 4 ცნების შემუშავება შემდეგნაირად წარმოებს. ც. პ.-ს პირველად ეძლევა აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებათა სურათები (დირიჟაბლი, ტრამვაი, გემი, პარაშუტი იალქნიანი ნავი, ტივი, ურემი, ეტლი, ურიკა (тачка), რიკშას ეტლი, ველოსიპედი და სხვ.) და ევალება ამ მასალის ოთხ ჯგუფად კლასიფიკაცია. როდესაც ც. პ. თავისი ძალებით ამოცანას ვერ წყვეტს, ც. ხ.¹ აძლევს მას დახმარებათა მთელ რიგს (დახმარება დასაფხუზრებულია), სანამ ც. პ. არ მიიღწევს მასალის სწორ დაჯგუფებას აღნიშნულ 4 კატეგორიად. თითოეულ კატეგორიას ეძლევა გარკვეული „სახელი“—ბგერათა შემოთმოყვანილი კომპლექსი („დიკშერი“ და სხვ.). შემდეგ იმართება საუბარი, რომელ-


¹ ც. ხ.-ცდის ხელმძღვანელი

შიაც ც. ხ.-იც ხმარობს ამ ახალ სახელებს და ც. პ.-იც ხდება იძულებული იხმაროს ეს სახელები, როგორც გარკვეული კატეგორიის საგნების სახელი, ე. ი. როგორც ცნება.

ამ საუბრის დროს ც. პ.-ს ეძლევა კითხვები, რომელთა გადაწყვეტით ც. პ. ამჟღავნებს ახალი ცნებების პრაქტიკულად სწორ ან არასწორ დაუფლებას (რა არის მეტი ქალაქად: დიკშერი თუ სენსეტი? რა არის მეტი სოფლად? და სხვ.).

ამ გზით ახალ ცნებათა მნიშვნელობის განმტკიცების შემდეგ ც. პ.-ს მოეთხოვება ამ ახალი ცნებების დეფინიცია (რა არის დიკშერი? და სხვ.), რათა გამორკვეულ იქნას ახალ ცნებათა ობიექტივაციის ხასიათი და მისი დონე.

იმის შემდეგ, რაც ც. პ. ეუფლება, პრაქტიკულად მაინც, აღნიშნულ 4 ცნებას—სწორად მიაკუთვნებს ამ ცნებისათვის ახალი საგნების სურათებს, რომელიც ცნების შემუშავების დროს მას არ ეძლევა, სწორად ხმარობს ამ ახალ ცნებებს საუბარში და სხვ., გადავდივართ „მეორე სართულის“, შუალობით ცნებათა შემუშავებაზე (იხ. ზემოთ მე-4 მოთხოვნა მეთოდის მიმართ): ც. პ.-ის წინ დგას 4 წარწერა—ზემოდასახელებული 4 ცნება (დიკშერი და სხვ.). შემდეგ ამ წარწერების ზემოთ მათ თავზე ც. ხ. სდებს კიდევ 2 ახალ წარწერას და უხსნის ც. პ.-ს, რომ „დიკშერს“ და „რუდოსს“ აქვს საერთო სახელი „მატპესი“, ხოლო „სენსეტს“ და „კირბონს“ აქვს საერთო სახელი „ვისპესი“, რაც შემდეგი სქემით გამოიხატება:



ცდის ამ ეტაპის დროს სურათები უკვე დამალულია, ისე რომ ახალ ზოგად ცნებათა მიწოდება წარმოებს კონკრეტული თვალსაჩინო მასალის გარეშე.

მიწოდებულ ახალ ცნებათა მნიშვნელობის განმტკიცების შემდეგ (ე. ი. ამ ცნებების შესაფერ ამოცანათა გადაწყვეტის კონტექსტში გამოყენების შემდეგ) გადავდივართ III სართულის ცნების შემუშავებაზე: ც. პ.-ის წინ დგას მხოლოდ 2 წარწერა—მატპესი და ვისპესი, რომელიც მეორე იარუსის ცნებებს გამოხატავს; ამ ორი წარწერის ზემოთ ვდებთ ახალ წარწერას („ფარზენდი“) და ვუხსნით ც. პ.-ს, რომ მოცემულ ორივე ცნებას აქვს საერთო სახელი—„ფარზენდი“.

იმის შემდეგ, რაც ც. პ. ხმარობს ყველა 7 ახალ ცნებას მოცემული ამოცანების გადაწყვეტის კონტექსტში და აკუთვნებს 7-ვე ცნებას ახალი მიწოდებული საგნების სურათებს, მას მოეთხოვება 7-ვე ამ ცნების განსაზღვრა.

ცდის სპეციალურ ეტაპზე ც. პ.-ს ეძლევა სპეციალური კითხვები-ამოცანები, რომლის მიზანს შეადგენს მიწოდებულ ცნებათა მინიატიურული სისტემის დაუფლების გამორკვევა, ე. ი. გამორკვევა იმისა, თუ როგორ ესმის ც. პ.-ს ახალ შემუშავებულ ცნებათა შორის ლოგიკური დამოკიდებულებები (წარმოადგენს თუ არა დიკშერი ფარზენდს, არის თუ არა ყველა ფარზენდი სენსეტი, რა არის მეტი, ე. ი. უფრო ბევრი—დიკშერი თუ ფარზენდი და სხვ.). ამავე დროს ც. პ.-ს მოეთხოვება მოცემული გადაწყვეტის დასაბუთება (რატომ არის მეტი, რატომ ყველა ფარზენდი არ არის მატპესი და სხვ.).

პირველი მეთოდი; B ვარიანტი

(ცნების შემუშავება ზევიდან ქვევით“).

ცდის ამ ვარიანტს ვატარებთ, რა თქმა უნდა, სხვა ცდის პირებზე.

ეს ვარიანტი იმით განსხვავდება პირველ ვარიანტისაგან, რომ აქ იმავე 7 ცნების შემუშავება სხვა გზით ხდება, ვიდრე პირველ მეთოდში. კონკრეტი მასალა (სურათები) ც. პ.-ს სრულებით არ ეძლევა. პირველად ც. პ.-ს ეძლევა ვერბალური განსაზღვრა უზოგადესი ცნებისა („ფარზენდი“), ე. ი. III სართულის ცნების განსაზღვრა, შემდეგ, როდესაც ც. პ. შესძლებს ამ განსაზღვრის დაახლოებით გამეორებას, მას ეძლევა II სართულის ცნებების განსაზღვრები, რომელშიაც genus proximum-ის სახით გამოყენებულია პირველი ცნება (მაგ., „ვისპესი არის ისეთი ფარზენდი, რომელიც ცოცხალი ძალის საშუალებით მოძრაობს“).

ამ უკანასკნელ ცნებათა განსაზღვრის ც. პ.-ბის მიერ დაახლოებითი გამეორების შემდეგ, გადავდივართ უკვე პირველი იარუსის ცნებების განსაზღვრაზე, ოღონდ ამ უკანასკნელის დროს genus-ის სახით გამოვიყენებთ მეორე იარუსის შესაფერ ცნებას (მაგ., „დიკუმერი არის ისეთი მატპესი, რომელიც მანქანის ძალით მოძრაობს“).

ცნების დაუფლების შემოწმების კრიტერიუმები ამ ვარიანტში იხმარება იგივე, რაც A ვარიანტში (სწორი გამოყენება საუბარში, ინტელექტუალურ ოპერაციათა კონტექსტში, ამ ოპერაციათა დასაბუთება, კონკრეტ მაგალითების დასახელება, კონკრეტ საგნების სურათების მიკუთვნება, ახალი ცნებების განსაზღვრა და სხვ.).

მეორე მეთოდი (რელატური ცნებები); A ვარიანტი


მასალად, რომელზედაც ხდება ცნებების შემუშავება ამ მეთოდში, სურათების ნაცვლად, გამოყენებულია წარწერები, მოთავსებული ცალცალკე ბარათებზე. წარწერებში აღინიშნება სხვადასხვა სახის დამოკიდებულებაში მყოფ ადამიანების კატეგორიები. მაგ., „ერთი ადამიანის შვილის შვილები“, „დები“, „ბიძაშვილები“, „ადამიანები, რომელნიც მატარებლის ერთ ვაგონში სხედან, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობენ“, „ბაღში ერთ სკამზე ისვენებენ და ერთმანეთს არ იცნობენ“, „მეზობელი“, „თანამგზავრნი“, „ერთმანეთს ეშველებიან“, „მეგობრები“, „ერთად გაზრდილი ადამიანები“ და მრავალი სხვ.

ცდა იწყება ამ მასალის 3 კატეგორიად კლასიფიკაციის მოთხოვნიდან და შემდეგ ც. პ.-ს ვუმუშავებთ შემდეგ 3 ცნებას იმავე მეთოდური წესებით, როგორც I მეთოდში.


1. „ნარდაკი“—ადამიანები, რომელთა შორის არ არის შინაგანი კავშირი, მაგრამ რომელნიც გარეგანი პირობების გამო გარეგნულად (სივრცით) არიან დაკავშირებულნი—ერთად, მეზობლად იმყოფებიან.

2. „მოგირი“—ადამიანები, რომელთა შორის არის დადებითი შინაგანი პირადი დაკავშირება, არა ნათესაური ხასიათის.

3. „ნათესავები“, ე. ი. ადამიანები, რომელთა შორის არსებობს ნათესაობითი კავშირი (ყოველდღიური ცნება).



ამ უშუალო ცნებათა პირველ რიგზე წარმოებს მეორე სართულის ცნებებს შემუშავება, რომელიც აერთიანებს მეორე და მესამე კატეგორიის ცნებებს („მოგირს და ნათესავს ერთად ჰქვია რასეთინი“). ეს ცნება გამოხატავს ადამიანებს, რომელთა შორის არის რაიმე შინაგანი დამოკიდებულება. დაბოლოს, ამ მეორე იარუსის ცნების (რასეთინი) და პირველი იარუსის ცნების (ნარდაკი) საფუძველზე მუშავდება III სართულის ცნება, ზონენი, ე. ი. რაიმე დამოკიდებულებაში (შინაგანსა და გარეგანში) მყოფ ადამიანთა ცნება, ისე, რომ საბოლოოდ ც. პ.-ბს უმუშავდებათ ცნებათა შემდეგი მინიატიურული სისტემა:



ამ ცნებათა შემუშავებისა და მათი დაუფლების შემოწმების მეთოდური ხერხები ყველა იგივეა, რაც I მეთოდში (იხ. ზემოთ).

მეორე მეთოდი; B ვარიანტი

ადამიანთა შორის დამოკიდებულებათა იმავე 5 ცნებას ვაწვდით ც. პ.-ს წმინდა ვერბალური გზით „ზევიდან ქვევით“, სწორედ იმავე წესით, როგორც პირველი მეთოდის B ვარიანტში (იხ. ზემოთ), ე. ი. ვიწყებთ უზოგადესი ცნების (ზონენი) განსაზღვრიდან, შემდეგ გადავივართ ქვეცნებების განსაზღვრაზე, რომელშიაც ზოგად ცნებას ვიყენებთ როგორც *genus proximum*-ს.

ცნების დაუფლების შემოწმების კრიტერიუმებიც ამ მეთოდში გამოიყენება იგივე, რაც I მეთოდში.

ორივე მეთოდის ორივე ვარიანტის ყველა ეტაპზე ფართოდ გამოიყენება ც. პ.-ისათვის დახმარების გაწევა. ეს დახმარება ატარებს სისტემატურ ხასიათს. დახმარების წესები დახარისხებულია: ყოველ შემდეგ დახმარებაზე გადავივართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დახმარების წინა საფეხურმა ვერ გასკრა. დახმარების უკანასკნელ საფეხურს „გაკვეთილის მიცემა“, ე. ი. სრული ახსნა-განმარტების მიცემა წარმოადგენს.

პირველი დამატებითი მეთოდი

ამ მეთოდის მიზანს შეადგენს სპეციალურად ცნებაში საგნის არსის ასახვის ფუნქციის განვითარების გააუმჯობესება. ამ მიზნისათვის გამოყენებული გვაქვს უკვე მზამზარეული, ნაცნობი ცნება „ადამიანი“. ც. პ.-ბს ეკითხებათ „ადამიანის ვრცელი აღწერა, რომელშიაც ადამიანის თავისებურობები დაპირისპირებულია ცხოველის თავისებურობებთან და ჩამოთვლილია ადამიანის როგორც თვალსაჩინო, მაგრამ არაარსებითი სპეციფიკური ნიშნები (ღარი ზედა ტუჩზე, ბიბილო ყურზე, ცხვირის ფორმის სპეციფიკურობა

და სხვ.), ისე არათვალსაჩინო, მაგრამ არსებითი ნიშნები (იარაღის ხმარება, შრომა, მეტყველება, გონება და სხვ.). უკანასკნელ ნიშანთა შინაარსი ფართოდ არის გაშლილი აღწერაში, ისე რომ ჩვენი უმცროს ც. პ.-ბისათვისაც იგი საესებოთ გასაგები ხდება.

ამ აღწერის შემდეგ ც. პ.-ს მოეთხოვება ადამიანის მოკლე განსაზღვრის მოცემა და მოკლედ შედარება ადამიანისა ცხოველთან: რით განსხვავდება უმთავრესად ადამიანი ცხოველისაგან?

შემდეგ ც. პ.-ს ვუამბობთ ორი ახალი აღმოჩენილი კუნძულის მცხოვრებთა შესახებ, რომლებიდანაც პირველს ახასიათებს ადამიანის გარეგანი, თვალსაჩინო არა-არსებითი ნიშნები (ღარი ტუჩზე, ცხვირის შესაფერი ფორმა და სხვ.), ხოლო არ ახასიათებს ადამიანის არსებითი ნიშნები (ლაპარაკი არ იციან, არ შრომობენ, გარეული ნაყოფით იკვებებიან და სხვ.). მეორე კუნძულის მცხოვრებლებს კი, პირიქით, არა აქვთ ადამიანის გარეგანი თვალსაჩინო არსებითი ნიშნები, როგორც ღარი ტუჩზე, ბიბილო ყურზე, ცხვირის ფორმა დაბალი და ბრტყელი აქვთ და სხვ., მაგრამ, სამაგიეროდ, ერთმანეთში ლაპარაკობენ, ბარავენ მიწას, თესავენ სიმინდს, ხეებს სჭრიან, ცულს ხმარობენ, იწვენებენ სახლებს და სხვ.

ც. პ.-ბს ეკითხებიან აღწერილ „ახალ აღმოჩენილ“ არსებთა შესახებ — ადამიანებს, თუ ცხოველებს უნდა მიეკუთვნოს ეს არსებები, და რატომ, ე. ი. ც. პ.-ს მოეთხოვება მიკუთვნების დასაბუთებაც, მაგ., რატომ მე-2 კუნძულის მცხოვრებლებს იგვ აკუთვნებს ადამიანებს (ან ცხოველს) და პირველის მცხოვრებლებს ცხოველს (ან ადამიანს).

ამას გარდა, ც. პ.-ბს ეძლევათ ადამიანის ორი განსაზღვრა: ერთში აღინიშნება ადამიანის გარეგანი თვალსაჩინო, მაგრამ არაარსებითი ნიშნები (ისეთი ცოცხალი არსება, რომელსაც ღარი აქვს ზედა ტუჩზე, ასეთი და ასეთი ფორმის ცხვირი, ყური და ნიკაპი), ხოლო მეორეში აღინიშნება ადამიანის მხოლოდ არსებითი არათვალსაჩინო ნიშნები (გონიერება, მეტყველება, შრომისა და იარაღის ხმარების უნარი). ც. პ.-ბს ეძლევათ წინადადება მოცემულ ორ განსაზღვრიდან მიუთითონ უკეთესზე (უფრო სწორზე) და დასაბუთონ ეს არჩევანი.

3.

ჩვენ გვეჩვენება (განსაკუთრებით მიღებული მასალის დამუშავების შემდეგ), რომ ჩვენი ზემოთაღწერილი ორი ძირითადი მეთოდი, პირველი დამატებითი¹ მეთოდის (ღართვით) მეტად თუ ნაკლებად აკმაყოფილებს ზემოთგანხილულ მეთოდურ მოთხოვნილებებს.

1. ორივე ძირითადი მეთოდის საშუალებით შემუშავებელი ცნებები ახალია, ვინაიდან საგანთა ეს კატეგორიები ცნებების სახით ც. პ.-თა ცნობიერებაში არ იყო ჩამოყალიბებული და იმ ენაში, რომელზედაც ლაპარაკობენ ჩვენი

¹ ცდაში გამოყენებული გვექნა კიდევ ერთი მეთოდი („მეორე დამატებითი მეთოდი“), რომელშიაც ცნების შემუშავება ხდება ახალი სიტყვის აზრიან კონტექსტში ხმარების პროცესში, ე. ი. ყოველდღიურ ცნებებთან მისი მიმართების წვდომის საფუძველზე (იხ. რ. ნათაძე, ზემოდასახელებული შრომა).




ც. პ.-ში, ეს ცნებები არ მოიპოება. მაგრამ ამავე დროს ეს ცნებები რეალური ყოველ ენაში შეიძლება ყოფილიყო ასეთი ცნებები. ასე, მაგალითად, პირველი მეთოდის ზოგადი ცნება—„ფარზენდი“—არსებობს გერმანულ ენაში—Fahrzeug; მისი ანალოგი, თუმცა ცოტად განსხვავებული შინაარსის, ცნება экипаж-ის სახით არსებობს რუსულშიც. ჩვენი ექსპერიმენტული ცნებები რეალურია, ვინაიდან ასახავენ რეალური სინამდვილის გარკვეულ მოვლენებს; გენეზისის მხრივაც ეს ცნებები რეალურ, ყოველდღიურ ცნებათა საფუძველზე შენდება (ველო, ავტო, ურემი და სხვ.).

2. ამ ცნების შინაარსს შეადგენენ საგნების არასენსორული, თვალსაჩინო თვისებები, არამედ მიმართებითი ნიშნები: მოძრაობის პრინციპი (მამოძრავებელი ძალა), რომელიც პირველი მეთოდის ცნებათა შინაარსს ქმნის, მიმართებითი ნიშანი არის; იგი გულისხმობს მიმართების დამყარებას საგნის მოძრაობისა და მის მიზეზს შორის.

რაც შეეხება მეორე მეთოდის ცნებებს (ადამიანთა შორის დამოკიდებულებები), აქ არამხოლოდ ნიშნები, არამედ თვით ცნებებიც მიმართებითია, ე. ი. ეს ცნებები მიმართებათა ცნებებს წარმოადგენენ ანალოგიურად „შემების“ ცნებისა, პიუჟეს ცნობილ ექსპერიმენტში: ერთიდიგივე ადამიანი, თუნდაც თვით ც. პ., მისი განხილვის თვალსაზრისის მიხედვით მიეკუთვნება მოცემულ ხუთი ცნებიდან ყოველ ცნებას.

3. ორივე ძირითად მეთოდში, „უშუალო“ ცნებების გვერდით, ხდება II და III იარუსის უშუალოებით ცნებათა შემუშავება, რომელთა მიმართება კონკრეტ საგნებთან გაშუალებულია სხვა, ნაკლებ ზოგადი ცნებებით.

4. ცდაში შემუშავებული ცნებები მოცემულია არა იზოლირებულად, არამედ, ჯერ ერთი, მინიატიურული სისტემის სახით.



რომლის წევრები სხვადასხვა სახის ლოგიკურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ერთმანეთთან და, გარდა ამისა, თავისი რეალობის გამო ეს ცნებები ჩართულია ც. პ.-ის ცნებათა სისტემაში საზოგადოდ, რაც უშუალოდ შელავნდება ც. პ.-ში მთელ რიგ გამოთქმაში.

როგორც ვნახეთ, ცდის სპეციალური ეტაპი (სპეციალური კითხვები-ამოცანები) არკვევს, რამდენად მისაწვდომია ც. პ.-ისათვის ერთი სისტემის ცნებათა შორის არსებული ლოგიკური დამოკიდებულებები.

5. ც. პ.-ის ნახევარზე ცდა ტარდება B ვარიანტში, რომლის დროს ცნება მუშავდება არა კონკრეტ მასალიდან, ტრადიციული გზით, არამედ, პირიქით, „ზევიდან ქვევით“, კონკრეტი მასალის გარეშე—წმინდა ვერბალური გზით, რაც ცნების შემუშავების ორი გზის შედარების შესაძლებლობას იძლევა.

6. დაბოლოს, პირველი დამატებითი მეთოდი უშუალოდ ფენს ზემოდანსულ საკითხს ცნებაში საგნის არსის ასახვის ტენდენციისა და უნარის განვითარების შესახებ, რამდენადაც ამ მეთოდის საშუალებით შესაძლებელი ხდება ცნებაში სპეციფიკურ ნიშანთა შორის თვალსაჩინო, არასრებიანი ნიშნების დაპირისპირება არათვალსაჩინო არსებით ნიშნებთან.

III. შედეგების ზოგადი მიმოხილვა

ა. ცნების შემუშავების განვითარება

1.

მოსამზადებელი კლასი; 7 წლის ასაკი

სასკოლო პერიოდის გამოსავალ საფეხურზე, ე. ი. სასკოლო და სკოლის წინარე პერიოდების საზღვარზე („მოსამზადებელი კლასის“ საფეხურზე), ცნების ეკვივალენტის ძირითადი თავისებურობები ჩვენი ცდების საფუძველზე შემდეგი სახით გვეჩატება.

1. ამ საფეხურზე ცნების ეკვივალენტს ჯერ არ გააჩნია ის ფუნქცია, რომელიც ნამდვილი ცნების ძირითად არსს, მის ძირითად სპეციფიკას შეადგენს: ბავშვი ცნების შემუშავებისას ჯერ არ ეძებს საგნის არსს, ან თუნდაც მის სპეციფიკურობას—მას (ბავშვს) ჯერ არა აქვს „ნიშნის ცნობიერება“, იგი ვერ ახდენს საგანთა გაერთიანებას ცნებაში ნაგულისხმევ კატეგორიაში, იგი ცნებაში კონკრეტ საგანთა სიმრავლეს გულისხმობს.

2. ბავშვის ცნებითი აზროვნებაში ჯერ განუსაზღვრელად სუფევს კონკრეტობა და თვალსაჩინოება: ცნების შემუშავების ვერბალური გზა ამ საფეხურზე სრულიად მიუწვდომელი რჩება ბავშვისათვის; ამ გზით, კონკრეტი თვალსაჩინო მასალის გარეშე მიწოდებულ ახალ ცნებას ბავშვი აბსოლუტურად ვერ ეუფლება, ვერ იმუშავებს პრაქტიკულ ეკვივალენტსაც.

ცნების გაგებაში დომინირობს მასში ნაგულისხმევ კონკრეტ საგნის თვალსაჩინო ხატი და მისი დომინირობა იმდენად აბსოლუტურია, რომ როდესაც ახალ ობიექტთა ნაცნობ ცნებისათვის მიკუთვნების ოპერაციაში ამ თვალსაჩინო ხატს ეწინააღმდეგება საგნის სპეციფიკური, არსებითი, მაგრამ არათვალსაჩინო ნიშნები (იხ. კუნძულების ამოცანა დამატებით მეთოდში), ბავშვი ამ წინააღმდეგობასაც არ განიცდის, ვერ ამჩნევს ვერავითარ კოლიზიას და მიკუთვნების ამოცანას მხოლოდ თვალსაჩინო ხატის საფუძველზე წყვეტს.

3. ცნებაში არსებითის წვდომის თვალსაზრისით ბავშვი ჯერ, ასე ვთქვათ, ნოლულ საფეხურზე დგას. როდესაც დასმული ამოცანა უშუალოდ მოითხოვს ცნების ნიშნების გამოყოფას, ამ ნიშნებს შორის დომინირობს თვალსაჩინო ბუნების ნიშნები მაშინაც, როდესაც ეს ნიშნები არაარსებითი ბუნებისაა. მეტიც უნდა ითქვას: ის თვალსაჩინო ნიშნები, რომლებიც დომინირობს ცნების ნიშანთა გამოყოფის დროს, არამხოლოდ არარსებითი არიან, არამედ არც არიან აუცილებლად სპეციფიკური. „ცნებები“ ინტელექტუალ-

2. შრომები.

რი ოპერაციების დროს, ხშირად რეპრეზენტირებულია იმ არასპეციფიკური, თვალსაჩინო ნიშნების სახით, რომელსაც თვით ბავშვი სხვა კითხვის დროს მოწინააღმდეგე ცნებაშიც არ უარჰყოფს (არ უარჰყოფს, რომ ცხოველსაც ახასიათებს ის თვისება, რომელიც მან წინა ამოცანაში, როგორც ადამიანის ცხოველისაგან განმასხვავებელი ნიშანი დაასახელა). ამრიგად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ საფეხურზე ცნებაში არამართო არსებობის, არამედ არც სპეციფიკურის წვდომის ტენდენცია ხშირად არ არის დამახასიათებელი. ბავშვი არ ახდენს ნიშნებს შორის არჩევანს, დასახელებული ნიშნები მხოლოდ შემთხვევითი რეპრეზენტატია იმ თვალსაჩინო ხატისა, რომლის სახით განიკდის ბავშვი მოცემულ ცნებას. ეს არ არის „ნიშანი“ იმ აზრით, რა აზრითაც ცნების ნიშანზე ვლაპარაკობთ, ეს არ არის მყარი, განსაზღვრული აზრით, უცვლელი, ცნების მატარებელი ნიშანი, არამედ მხოლოდ მომენტანური შემთხვევითი გამომხატველი ცნებისაგან საკმაოდ სუბიექტური შთაბეჭდილებისა, რომელიც გარკვეულ თვალსაჩინო ხატთან ერთად არის მოცემული; სხვადასხვა დროს ერთიდაიგივე ცნებების შედარებისას ბავშვები ხშირად სხვადასხვა ნიშანს ასახელებენ. ასევე იქცევიან ბავშვები აგრეთვე კლასიფიკაციის ცდებშიც საგანთა დაჯგუფებისას, სუბიექტური მსგავსების შთაბეჭდილების საფუძველზე, როდესაც მიმსგავსების დასაბუთებისას ისინი ასახელებენ სრულიად შემთხვევითს, არასპეციფიკურ ნიშნებს, ანდა სულაც ვერავითარ ნიშნებს ვერ ასახელებენ.

ამრიგად, ამ გამონაკლის შემთხვევებშიაც, როდესაც, სპეციფიკური პირობების გამო, ბავშვი გამოჰყოფს ცნების ცალკეულ ნიშნებს, გამოყოფილ ნიშნებს შორის დომინირობს თვალსაჩინო ნიშნები, ცნების შემთხვევითი მომენტანური რეპრეზენტანტი, რომლის არსებობას ანდა სპეციფიკურობას ცნებისათვის ბავშვი არ დაექმებს—ბავშვი არ დაექმებს, არის თუ არა დასახელებული ნიშანი მხოლოდ მოცემული ცნების თვისება, თუ ის ამ ცნებასთან შესაღარებელი ცნების—მისი ანტიპოდის—თვისებასაც შეადგენს.

4. თუმცა ახსნის შემდეგ ცნების არსებითი ნიშანი ბავშვისათვის ხდება მისაწვდომი, მაგრამ ცნების რეპრეზენტაცია ამ ნიშნით მაინც არ არის ბავშვისათვის ბუნებრივი და ამიტომ ის მალე გონებრივ ოპერაციათა კონტექსტში „ჰკარგავს“ ამ არსებობის ნიშანს და ცნებაში ისევ კონკრეტ საგნებს გულისხმობს.

5. ბავშვი ვერ სწვდება ცნებაში საგნის არსს და არც ცდილობს წვდეს მას; „ცნება“ ამ ეტაპზე არსებითად ჯერ ცნების „სუბიექტურ ეკვივალენტს“ წარმოადგენს. ცნების შემუშავებაში, მისი შინაარსის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს საგნისაგან ბავშვის სუბიექტური შთაბეჭდილება თამაშობს—შთაბეჭდილება, რომლის ობიექტივაცია ბავშვს არ ძალუძს.

ბავშვის სუბიექტივიზმთან დაკავშირებით საგანი ხშირად აისახება ცნებაში, ასე ვთქვათ, „ილუზორად“, თავისებურად გარდატეხილი, ან სრულიად დამახინჯებული სახით. ცნების ეს სუბიექტური გარდატეხა ბავშვის ცნობიერებაში გაპირობებულია, ერთის მხრივ, როგორც ვთქვით, ბავშვის სუბიექტივიზმით, რომლის გამო ბავშვი საგანში ობიექტური ნიშნების ძიების ნაცვლად

ხშირად კმაყოფილდება საგნით გამოწვეული სუბიექტური შთაბეჭდილებით, და, მეორის მხრივ, ბავშვის ცნობიერების ერთგვარი „სივიწროვით“, რომლის გამოცნების შინაარსი რეპრეზენტირებულია ბავშვის ცნობიერებაში ცალმხრივად, ერთერთი მომენტით მხოლოდ, ხოლო, რამდენადაც ამ საფეხურზე „ნიშნის ცნობიერების“ მოუმწიფებლობასთან დაკავშირებით, ბავშვი არ დაეძებს მოცემული მომენტის არსებითობას საგნისათვის, ანდა უშუალოდ მის სპეციფიკურობასაც საგნისათვის, გასაგებია, რომ ხშირად ცნება შენდება სრულიად შემთხვევითი, აბსოლუტურად არაარსებითი მომენტის—ერთი რაიმე შტრიხის საფუძველზე, რის გამოც მისი შინაარსი სრულიად არასწორ დამახინჯებულ სახეს ღებულობს. სწორედ ამ გზით—ერთერთი უმნიშვნელო შტრიხის საფუძველზე „ცნების“ აგების გამო, რამდენიმე ჩვენი 7 წლის ც. პ. „ღარვასის“ ცნებას (მანვე მოვლენებისაგან დასაცავი ნივთი) გებულობს როგორც საავადმყოფოს („ბაღნიცა“) ან როგორც ჰაერს (!) ანდა გულისხმობს მასში მხოლოდ მსხვილ საგნებს, ანდა ახალი არსების აღწერის ერთერთი შტრიხის საფუძველზე (იხ. კუნძულების ცდები) სთვლის მას ხან თუთიყუშად, ხან ღორად და ხან კურდღლად ან მგლად (თუმცა აღწერის ძირითადი მომენტები სრულიად ეწინააღმდეგება ამას).

6. ცნობიერების ის „სივიწროვე“, რომელიც ჩვენ ახლა ვახსენეთ, ამ განხილულ საფეხურზე ბავშვის ერთერთ ძირითად თვისებათაგანს შეადგენს, თვისებას, რომელიც ამ საფეხურის ცნების ეკვივალენტის მთელ რიგ თვისებურობებს განსაზღვრავს. ცნობიერების თვისებური „სივიწროვის“ გამო ანდა ბავშვის ცნობიერების თვისებური ცალმხრივი ინტენციის გამო, ბავშვს არ ძალუძს ერთი შინაარსის რამდენიმე მომენტის ერთდროული გულისხმობა (შეადარეთ ჟ. პიაჟეს და პროფ. დ. უზნაძის მიერ დადასტურებული მოვლენა ცნების ნიშანთა ან საგნის წარმოდგენის ცალკე მომენტების არაერთდროული გულისხმობა). ბავშვის ამ თვისებურობის გამო ცნების განცდაში ვლინდება მოვლენა, რომელსაც ჩვენ „ნიშანთა მორიგეობის მოვლენა“ ვუწოდებთ (იხ. შრომა). იმ შემთხვევაშიც, როდესაც ც. პ. სხვისი დახმარებით წვდა და დაიხსომა ცნების რამდენიმე ნიშანი—ღროის ყოველ მომენტში ცნების შინაარსში იგი ახდენს მხოლოდ ერთერთი ნიშნის ობიექტივაციას, სხვა მომენტში შეიძლება ჩაახდინოს სხვა ნიშნის ობიექტივაციაც. საჭიროა მუდამ სპეციალური სტიმულაცია („კიდევ?“ და სხვ.), რომ ბავშვმა ერთი ნიშნის გვერდით მეორეც დაასახლოს (სრული ანალოგია პიაჟეს და პროფ. უზნაძის გამოკვლევებში დადასტურებულ ცნებათა ცალკე მომენტების ცალმხრივ დასახლებასთან).

7. მოსამზადებელი კლასის საფეხურზე ცნებათა განზოგადების (ცნებათა ცნების შემუშავების) ძირითად სპეციფიკურობას აღნიშნული „ცნობიერების სივიწროვის“ გვერდით ამ საფეხურის ბავშვის სხვადასხვა შინაარსის გაერთიანების—მათი ინტეგრაციის უნარმოკლებულობა ჰქმნის. ამ საფეხურის ბავშვი ღიდ უმწეობას იჩენს ცნებათა განზოგადებაში: ცნებათა საფუძველზე ზოგადი ცნების შემუშავება მის ძალებს აღემატება.

მე-2 იარუსის ცნების („ცნებათა ცნების“) შემუშავებისას ბავშვების უმეტესობა თუმცა გებულობს ზოგადი ცნების მის სახეობათა (ქვეცნებათა) მიმართ გამაერთიანებელ ფუნქციას, ე. ი. გებულობს, რომ ზოგადი ცნება მის ქვეცნებებს შეიცავს (ეს გაერთიანება უბრალო შეკრება-შეჯამების სახითაა წარმოდგენილი), მაგრამ ძალიან მალე ბავშვები, „ჰკარგავენ“ ამ მიღწევას და მის ნაცვლად ინარჩუნებენ ზოგადი ცნების ცალმხრივ, ვიწრო გაგებას (მისი ნაწილობრივი შინაარსის სახით), რომლის გამო ზოგადი ცნება ემთხვევა მისი ერთერთი ქვეცნების გაგებას, ერთის სიტყვით, ზოგადი ცნების მის ქვეცნებათა მიმართ გამაერთიანებელი ფუნქციის (შეკრების სახით) გაგების მიუხედავად ბავშვი ამ გაერთიანების განხორციელებას ვერ ახერხებს, თუნდაც უბრალო შეჯამების სახით.

როგორც ჩანს, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს 7 წლის ბავშვის უმწირობასთან რამდენიმე შინაარსის ინტეგრაციაში (რაც ჩვენს ცდებში მრავალჯერ დადასტურდა). მას არ ძალუძს საგანთა რამდენიმე კატეგორიის გაერთიანება ერთ კატეგორიად, თუნდაც უბრალო შეკრების—ართიმეტიკული ჯამის (Undverbindung) სახით, ხოლო ამ კატეგორიათა „სინთეზზე“ ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მე-3 იარუსის ცნების შემუშავებაში, ე. ი. შუალობით ცნებების (მე-2 იარუსის) საფუძველზე შემუშავებული ცნებების ჩამოყალიბებაში, მოსამზადებელი კლასი კიდევ უფრო მეტ უმწირობას იჩენს, კიდევ უფრო დაბალ დონეზე დგას. ც. პ.-ბის ნახევარს სულ ვერ წარმოუდგენია ამ ცნების მნიშვნელობა, დანარჩენები კი უმეტესად შემცდარად გულისხმობენ მასში ერთერთ შემთხვევითს კონკრეტ საგანს ამ ცნების მოცულობიდან: ყველა სახის ტრანსპორტის საშუალებათა ცნების („ფარზენდი“) ნაცვლად ისინი გემს ან ორთქლმავალს, ან სხვა რამე საგანს გულისხმობენ.

8. აღსანიშნავია, რომ, მიუხედავად ზემოაღწერილი უმწირობისა ცნებათა ობიექტივაციაში, პრაქტიკულად ამ ცნებებს მოსამზადებელი კლასის ბავშვები იმდენად მაინც ეუფლებიან, რომ ბავშვების ნახევარი უმეტესად სწორად იყენებს ამ ცნებებს გონებრივ ოპერაციათა კონტექსტში (თუმცა ეს ცნებები ისევ კონკრეტ საგანთა სახითაა რეპრეზენტირებული) და ჩვენი ცდის პირების კიდევ ერთი მეოთხედი ამ ცნებათა შემცდარი გამოყენების გვერდით სწორ გამოყენებასაც ახერხებს. ახალ მიწოდებულ ცნებების გადატანასაც ახალ კონკრეტ მასალაზე ახერხებს ბავშვების დიდი ნაწილი¹.

2. პირველი კლასი; 8 წლის ასაკი

აღწერილ გამოსავალ ეტაპს ბავშვი მალე გადასცილდება და უკვე პირველი კლასის საფეხურზე მისი ცნება (ცნების ეკვივალენტი) შესამჩნევად განსხვავებულ სახესღებულობს.

1. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის წინსვლა, რომელმაც იჩინა თავი ცნების შემეცნებითი ფუნქციის განვითარებაში.

¹ მესამედი უშვებს ცალკეულ შეცდომებს, ხოლო კიდევ ნახევარი სწორ გადატანასთან ერთად მრავალ შეცდომასაც უშვებს.

პირველი ნაბიჯი ცნების შემეცნებითი ფუნქციის განვითარებაში განისაზღვრება უმთავრესად სპეციფიკურ ნიშანთა (ცნების სპეციფიკურობის) შემეცნების ტენდენციის პირველი ვალვიძებით, მაგრამ ეს ტენდენცია ვლინდება ჯერ მხოლოდ იმ სააზროვნო ოპერაციების კონტექსტში (მაგ., ცნებათა შედარების ამოცანა), რომელიც უშუალოდ ცნების თავისებურებათა მითითებას მოითხოვს. ამ ამოცანათა კონტექსტში სპეციფიკურ ნიშანთა თვალსაზრისი უკვე მიღწეულია: ამ ამოცანათა გადაწყვეტისას, როგორც საგნის ცნებისათვის მიკუთვნების, ისე ზოგი სხვა ოპერაციის დასაბუთების დროსაც, ყველა ბავშვი მითითებს სპეციფიკურ თვისებებს, თუმცა ამ ოპერაციებში ბავშვები ჯერ სრულად არ ახდენენ დიფერენციაციას ცნებისათვის არსებით და არაარსებით სპეციფიკურ ნიშანთა შორის.

მაგრამ ეს—ცნებაში სპეციფიკურობის ასახვის მომენტი—პირველად მწლის ასაკში ვალვიძებული, ჯერ იმდენად განუვითარებელ ფორმაშია მოცემული, რომ, ერთის მხრივ, ბავშვს ვერ მიუღწევია მისი გაცნობიერების იმ დონემდე, რომელსაც ცნების ახსნა-განმარტებაში (ცნების დეფინიციაში) სპეციფიკურობის მითითება გულისხმობს. ცნების ახსნა-განმარტების ამოცანის შემთხვევაში ბავშვს ფიქრადაც არ მოსდის ცნების სპეციფიკურ ნიშანთა მითითება მაშინაც, როდესაც ის კარგად იცნობს ამ ნიშნებს და სხვა ამოცანის კონტექსტში ასახელებს მათ. სპეციფიკური ნიშნის მნიშვნელობის ობიექტივაცია ჯერ იმდენად დაბლა დგას, რომ დეფინიციის ამოცანის კონტექსტში ისეთსავე უმწეობას აქვს ადგილი, როგორც პირველ (გამოსავალ) ეტაპზე. მეორის მხრივ ეს სპეციფიკური ნიშნის თვალსაზრისი ბავშვის აზროვნების უკიდურესი თვალსაზრისობის გამო იჩრდილება ცნების საგნის თვალსაზრისო წარმოდგენის შემთხვევაშიც და ამიტომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში საგნის ამათუიმ ცნებისათვის მიკუთვნებას წყვეტს საგნის თვალსაზრისო ხატი, ცალკე თვალსაზრისო ნიშნებზე აგებული, და არა ცალკე, არათვალსაზრისო, სპეციფიკური ნიშნები, რომელიც მას ეწინააღმდეგება (იხ. კუნძულების ამოცანა).

ეს სპეციფიკური ნიშნის თვალსაზრისი არ ვლინდება, ასე ვთქვათ, „აზრის ობიექტივაციის სფეროში“; იგი არაა ობიექტივაციამნილო—იგი ვლინდება ძირითადად ჯერ მხოლოდ „მოქმედების სფეროს“ იმ ოპერაციებში, რომელნიც უშუალოდ მოითხოვენ ცნების სპეციფიკურ თვისებათა მითითებას.

მართალია, სხვისი დახმარებით, უკვე ყველა ბავშვს შეუძლია (წინა ეტაპის საწინააღმდეგოდ) საგანთა კატეგორიის (ცნების) ზოგადი არსებითი ნიშნის წვდომა და, სათანადო შეკითხვის შემდეგ, კონკრეტ საგანშიც მისი დანახვა (თუ ეს ნიშანი არაა მეტად აბსტრაქტული), მაგრამ სხვისი დახმარებით მიღწეულ ნიშანს ბავშვი ადვილად „ჰკარგავს“; იგი არც ცდილობს ამ მიღწევის შენარჩუნებას და შემდეგ გონებრივ ოპერაციების დროს, ისევე, როგორც თავდაპირველად „ცნების“ შინაარსში, კონკრეტ საგნებს გულისხმობს. „განყენებული“ დეფინიცია მხოლოდ არსებითი ნიშნების მიხედვით არაა მათთვის სუბიექტურად დამაჯერებელი რეპრეზენტანტი ობიექტთა გარკვეული კატეგორიისათვის. მათ წყურიათ კონკრეტ ობიექტთა წარმოდგენა!

2. როგორც წინა ეტაპზე, პირველი კლასის საფეხურზედაც ცნების შემუშავებაში და მის გაგებაში სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის როლს თვალსაჩინოება ასრულებს. ცნების გაგებაში ამ ასაკში ხშირად გადამჭრელ როლს საგნის თვალსაჩინო წარმოდგენა თამაშობს. ამას გარდა, ბავშვი იოლად, დახმარების გარეშე, წვდება და გამოაყოფს კიდევაც კონკრეტ საგნების თვალსაჩინო თვისებებს (თუნდაც ეს ნიშანი არაარსებითი იყოს ცნებისათვის), ხოლო არათვალსაჩინო, მიმართებით ნიშნებს, როგორც დავინახეთ, თავისი ძალებით ბავშვი ვერ წვდება და თუ სხვისი დახმარებით იგი მაინც წვდება ამ ნიშნებს (უკანასკნელად დასახელებულის გარდა), შემდეგ ცნების ცნობიერ რეპრეზენტანტში სწორედ ამ არათვალსაჩინო ნიშნებს პირველ რიგში „დაჰკარგავს“ და ცნება მის ცნობიერებაში დარჩება კონკრეტ საგანთა ჯგუფის, ან უფრო იშვიათად, ისევ თვალსაჩინო, არაარსებითი, ხშირად შემთხვევითი, ნიშნების სახით წარმოდგენილი.

საგულისხმოა, რომ მაშინაც, როდესაც ბავშვი სხვისი დახმარებით პატარა ხნით წვდება არათვალსაჩინო ნიშნებს, იგი ახერხებს ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ნიშნები კონკრეტ, თვალსაჩინო საგნებიდანაა გამოყოფილი, ხოლო როდესაც ბავშვს ამ ნიშანს საგნის გარეშე ვერბალური გზით აწვდიან, იგი პატარა ხნითაც ვერ ეუფლება ამ ნიშანს იმდენად მაინც, რომ შესძლოს მისი საშუალებით რაიმე გონებრივი ოპერაციის შესრულება ან უბრალოდ მის მატარებელ კონკრეტ საგნის წარმოდგენა.

ის არსებითი ნიშანი, რომელიც ბავშვმა ვერბალური გზით მიიღო, კონკრეტული საგნის წარმოდგენის გარეშე ვერ ასრულებს „ცნების“ რეპრეზენტანტის როლს. უსაგნოდ მხოლოდ ნიშნის დაუფლება, ამ ნიშნებით გონებრივი ოპერაციების შესრულება და ნიშნიდან საგნის წარმოდგენა ბავშვის ძალებს აღემატება; თვალსაჩინო საგნიდან „ნიშნის ცნობიერებამდის“ ასვლა, ამ საფეხურზე მაინც, გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე მოცემული ნიშნიდან (არათვალსაჩინო ნიშნიდან) საგნის წარმოდგენა!

ერთის სიტყვით, პირველი კლასის საფეხურზე ვერბალური გზა ახალ ცნებათა შემუშავებისათვის იმდენად მიუწვდომელია ბავშვისათვის, რომ ამ გზით იგი ვერ ახერხებს ცნების იმ ეკვივალენტის შემუშავებასაც, რომელიც მისცემდა მას ამ „ცნებებით“ პრაქტიკული ოპერაციების სწორი წარმოების შესაძლებლობას. ამ უკანასკნელ გარემოებაში, როგორც საზოგადოდ ვერბალური გზით (ზევიდან) ცნების შემუშავების ცდის შედეგებში ვლინდება თვალსაჩინო ძირის სრულიად განსაკუთრებული როლი ამ პერიოდის ბავშვის აზროვნებაში. ცალკე არათვალსაჩინო ნიშანი მხოლოდ მაშინაა მისთვის გასაგები და გარკვეული და მისი ტრანსპონირება ახალ საგანზე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ეს ნიშანი კონკრეტ საგნიდანაა გამოყოფილი.

როდესაც რაიმე სიტუაციაში ერთი მეორეს დაუპირისპირდება საგნის თვალსაჩინო წარმოდგენა და არათვალსაჩინო არსებითი ნიშნის შესახებ ცოდნა, ცნების მნიშვნელობის საკითხს სრულიად დესპორტურად წვევებს პირველი-

3. წინა კლასთან შედარებით, წინსვლა დასტურდება აგრეთვე ბავშვის სუბიექტივიზმის შესუსტებაში, თუმცა პირველკლასელი ბავშვის ცნების ეკვივალენტისათვის ნაწილობრივი სუბიექტივიზმი კიდევ დამახასიათებელია, მაგრამ ცნება უკვე აღარ წარმოადგენს „სუბიექტურ ეკვივალენტს“. ეს საფეხური უკვე გადალახულია, გადალახულია ცნების შინაარსის ის სუბიექტური, ასე ვთქვათ, თვითნებური დამახინჯების მოვლენები, როდესაც ბავშვი ცნების შინაარსს აშენებდა ერთერთი, სრულიად შემთხვევითი უმნიშვნელო შტრიხის თავისებური გაგების საფუძველზე, მაგრამ ამით მთლიანად სუბიექტივიზმი ჯერ არ არის დაძლეული, საგანთა კლასიფიკაციის ამოცანას ამ ასაკში ბავშვი ხშირად წყვეტს საგანთა სუბიექტური მიმსგავსების საფუძველზე, ე. ი. ისეთი მიმსგავსებით, რომლის საფუძვლის ობიექტივაციას ვერ ახერხებს: მიმსგავსებას, ობიექტურ ნიშანთა მიხედვით, აბრკოლებს ის გარემოება, რომ სენსორული თვისებებით მსგავსი საგნები, როგორც წესი, მასალაში არ მოიპოვება, ხოლო არათვალსაჩინო ნიშნის გამოყოფას ბავშვი სპონტანტურად ვერ ახერხებს, ცნებისათვის ახალ საგანთა მიკუთვნებასაც ბავშვები ზოგჯერ კიდევ სუბიექტური მიმსგავსების საფუძველზე აწარმოებენ.

4. პირველი კლასის საფეხურზე შესუსტებულია, წინა ეტაპთან შედარებით, აგრეთვე ის „ცნობიერების სიფიწროვე“, რომელიც წინა ეტაპზე ცნების ეკვივალენტის მთელ რიგ თავისებურობებს განსაზღვრავდა (შესუსტებულია ნიშანთა მორიგეობის მოვლენა და სხვ.).

5. შესამჩნევ წინსვლას აქვს ადგილი ცნებათა განზოგადების—სხვადასხვა შინაარსის ინტეგრაციის უნარის განვითარებაში. თუმცა ამ ასაკშიაც ბავშვი უმწეოა „ცნებათა ცნების“ შემუშავებაში, მაგრამ, წინა ასაკთან შედარებით, მაინც უფრო მაღალ დონეზე დგას. მე-2 იარუსის ცნებას, რომელიც ჩვენს ცდაში საგანთა ორი კატეგორიის გაერთიანებას გულისხმობს, ბავშვი გებულობს როგორც მის ქვეცნებათა (ე. ი. საგანთა ორი კატეგორიის) მექანიკურ შეერთებას—როგორც არითმეტიკულ ჯამს. ამაშია მთავარი წინსვლა წინა ასაკთან შედარებით, სადაც „ცნობიერების სიფიწროვის“ გამო ბავშვები ამ შეჯამებას ფაქტიურად ვერ ანხორციელებენ.

მე-3 იარუსის ცნების მიმართ პირველკლასელები იმ საფეხურზე დგანან, რომელზედაც წინა კლასელები მე-2 იარუსის ცნების მიმართ იდგნენ: თუმცა დეფინიციიდან ბავშვები გებულობენ ამ ცნების მის სახეობათა მიმართ გამაერთიანებელ ფუნქციას (მათი შეკრების აზრით), მაგრამ მათ არ ძალუძთ ამ გაგების რეალიზაცია, ე. ი. არ ძალუძთ ცნებაში ამ გაგების შესაფერი შინაარსის გულისხმობა.

მეორის მხრივ, არც მათი „სინთეზირება“, მათი ინტეგრაცია ერთი შინაარსის სახით, ბავშვებს ჯერ არ ძალუძთ, ვინაიდან საამისო განზოგადების უნარი მათ ჯერ არ შესწევთ.

რეზულტატში მე-3 იარუსის ზოგადი ცნება ისევ წარმოდგენილია ბავშვის ცნობიერებაში რომელიმე მისი სახეობითი კატეგორიის ან მის რეპრეზენტანტ საგნების სახით და ეს ზოგადი ცნება აღარ განსხვავდება თავისი მოცულობით მისი სახეობითი ვიწრო ცნებისაგან.

6. ახალ ცნებათა შორის ლოგიკური დამოკიდებულება—„ცნებათა სისტემა“—ბავშვისათვის ჯერ სრულიად მიუწვდომელი რჩება. ბავშვი არ აკუთვნებს სახეობით ცნებას გვაროვნულს („კირბონი“ არ არის „ფარზენდი“), მას ვერ წარმოუდგენია, რომ ქვეცნება, რომელსაც მოიცავს ზოგადი (გვაროვნული) ცნება—„ფარზენდი“, თვითონაც იმავე დროს „ფარზენდს“ წარმოადგენს. ვერც გვაროვნული ცნების ნაწილს ბავშვი აკუთვნებს სახეობით ცნებას (არცერთი „ფარზენდი“ არაა „კირბონი“). ვერც რაოდენობითი დამოკიდებულების საკითხს ბავშვების უმეტესობა ვერ წყვეტს სწორად. მათ ან ვერ წარმოუდგენიათ, როგორ შეიძლება დაუთვლელად გამორკვევა იმისა, თუ რა არის უფრო ბევრი—„ფარზენდი“ თუ „კირბონი“, ანდა უფრო ბევრად მიაჩნიათ რაიმე თვალსაზრისით უკეთესი საგნები: „დიკშერი“ მეტია ვიდრე „ფარზენდი“ იმიტომ, რომ უფრო ჩქარია (იმავე დროს თითქმის ყველა ბავშვი საგნებით სწორად წყვეტს იმავე საკითხებს ყოველდღიურ ცნებათა მიმართ: ძროხა არის ცხოველი, ზოგი ცხოველი არის ძროხა, ცხოველი უფრო ბევრია, ვიდრე ძროხა და სხვ.).

როგორც ჩანს, ბავშვისათვის ჯერ უცხოა სწორედ ლოგიკური დამოკიდებულება ცნებათა შორის, ახალ ცნებათა მიმართ ლოგიკურ მიმართებათა ნაცვლად ცნებათა შორის რეალური დამოკიდებულება არის წარმოდგენილი (ა, რომელიც შედის x-ში, მის ნაწილს წარმოადგენს და არ შეიძლება იყოს იმავე დროს x-ც; ნაწილი არ შეიძლება მთელის ნაწილიც იყოს და თვითონ მთელიც), ხოლო ყოველდღიურ ცნებათა მიმართ საკითხის გადაწყვეტა ხდება ემპირიულ საფუძველზე და არა ლოგიკური თვალსაზრისით, ბავშვი წვდება აქ ემპირიულ და არა ლოგიკურ დამოკიდებულებას, ვინაიდან ყოველდღიურ ცნებათა მიმართ მას დიდი გამოცდილება აქვს (მან დიდიხანია კარგად იცის, რომ ძროხა ცხოველია—მასთან ათასჯერ უწოდებდნენ ძროხას ცხოველს და სხვ.).

ამრიგად, ახალ ცნებათა სისტემა (იმ ცნებათა სისტემა, რომელიც ჯერ არ ყოფილან ბავშვის გამოცდილების საგანი), ე. ი. ლოგიკური დამოკიდებულება ახალ ცნებათა შორის, ჯერ სრულიად არ არის დაუფლებული ბავშვის მიერ.

ეს გარემოება გაპირობებულია, პირველ რიგში, ბავშვის აზროვნების კონკრეტობით (მას ცნებები კონკრეტი საგნების სახით აქვს წარმოდგენილი) და ფორმალური აზროვნების სისტემით, რომლის გამო ბავშვს ძალუძს ცნებათა შორის ლოგიკურ დამოკიდებულებათა გააზრება ფორმალური თვალსაზრისით—ცნებათა შორის დამოკიდებულებათა სქემის მიხედვით.

7. რაც შეეხება მიწოდებულ ახალ ცნებათა პრაქტიკულ დაუფლებას, ამ მხრივ, წინა კლასთან შედარებით, რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება ჩვენს მასალაში არ დასტურდება, გარდა იმისა, რომ პირველ კლასში ბავშვი პრაქტიკულად ზოგად ცნებებსაც („ცნებათა ცნებას“) ეუფლება, საზოგადოდ კი ცნებების პრაქტიკული დონე თითქმის უცვლელი რჩება.

3. მეორე კლასი; 9 წლის ასაკი

ცნებითი აზროვნების განვითარებაში მე-2 კლასის საფეხური ინტენსიური წინსვლის პერიოდს შეადგენს.

1. პირველ რიგში აღსანიშნავია ამ ეტაპზე ცნების შემეცნებითი ფუნქციის ინტენსიური განვითარება.

„სპეციფიკური ნიშნის ცნობიერება“, რომლის განვითარება აშკარა სახით წინა ეტაპზე დაიწყო, მე-2 კლასში მიაღწევს არამხოლოდ სააზროვნო ოპერაციებში ცნების შინაარსის სპეციფიკური ნიშნით რეპრეზენტაციას, არამედ უკვე ობიექტივაციის იმ დონეს, რომელსაც ამ ნიშნებით დეფინიციის მოცემა გულისხმობს. ამ საფეხურზე პირველად ცნების ახსნა-განმარტების ამოცანას ბავშვი გებულობს როგორც მის (ცნების) სპეციფიკურ თვისებათა მითითების ამოცანას, თუმცა აღწევს ამას მხოლოდ ობიექტის აღწერის მოსმენის შემდეგ. მაგრამ ამ სპეციფიკურ ნიშანთა შორის არსებობის და არაარსებობის დიფერენციაციას დეფინიციის კონტექსტში ბავშვები ჯერ, როგორც წესი, ვერ ახდენენ. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ ბავშვის ძალებს აღმატებოდეს არსებით თვისებათა განსხვავება არაარსებობისაგან, რომ მან არ იცოდეს, რა არის ამ შემთხვევაში მთავარი. არა! როდესაც მას ვუყენებთ არსებით თვისებათა მითითების ამოცანას, იგი სულ იოლად და უშეცდომოდ განასხვავებს მთავარს არაარსებობისაგან. საქმე სწორედ ის არის, რომ ცნების რაობის ახსნა-განმარტების კონტექსტში მის წინ არც დგება საკითხი სპეციფიკურ ნიშანთა შორის „მთავარის“ ან არსებობის არაარსებობისაგან განსხვავების შესახებ, მას აკმაყოფილებს ამ ამოცანის კონტექსტში ნიშნის სპეციფიკურობა, ხოლო არსებითია ეს სპეციფიკური ნიშანი თუ არა, ამას ბავშვი ჯერ, როგორც წესი, არ დაეძებს.

ამრიგად, მე-2 კლასის საფეხურზე უკვე იჩენს თავს ცნებაში არსებითი ნიშნის ასახვის პირველი დაწყება, პირველი დიფერენციაცია არსებითის და არაარსებობისა სპეციფიკურ ნიშანთა შორის, მაგრამ ჯერ მხოლოდ სააზროვნო ოპერაციებში და ისიც ჯერ ბავშვების ნაწილის მიერ, მაგრამ ამ არსებითი ნიშნის არსებობის, მისი მნიშვნელობის გაცნობიერება—არსებითი ნიშანთა ობიექტივაცია—ჯერ არ არის მიღწეული, არც სწორი დეფინიციის მოცემის სახით და არც გონებრივი ოპერაციების დასაბუთებაში, არსებითი ნიშანთა მნიშვნელობის მითითების სახით. ვიმეორებთ, რომ ცნებაში არსებითის ობიექტივაციის უქონლობა სრულიად არ ემთხვევა საზოგადოდ არსებობის შემეცნების უნარის უქონლობას: საკმარისია დადგეს ამავე ბავშვის წინაშე საკითხი არსებობის არაარსებობისაგან გარჩევის შესახებ (მაგალითად, „აღამიანის“ სპეციფიკურ ნიშანთა შორის), რომ მან ეს საკითხი იოლად და სწორად გადაწყვიტოს, მისი „ცნება“ კი არ ასახავს ამ შემეცნების შედეგს; ცნების შემუშავებისას არც დგება საკითხი სპეციფიკურ ნიშანთა შორის არსებობის არაარსებობისაგან განსხვავების შესახებ, არ დგება არსებობის წვდომის ამოცანა.

სპეციფიკური ნიშნის ცნობიერება ჯერ მეტად განუვითარებელი სახითაა მოცემული: გარდა იმისა, რომ სწორ სპეციფიკურ ნიშანს ამ საფეხურზე ბავშვი წვდება ჩვეულებრივ სხვისი, მეტი თუ ნაკლები, დახმარებით (სათანადო შეკითხვები და სხვ.), რომ ბავშვი წვდება სპეციფიკურ ნიშნებს მხოლოდ კონკრეტ თვალსაჩინო მასალის საფუძველზე და ვერ ეუფლება მათ, თუ ისინი თვალსაჩინო მასალის გარეშე ვერბალური გზით არიან მიწოდებული, სპეციფიკური ნიშნის დაუფლება შეზღუდულია თვით ამ ნიშნის შინაარსითაც: ყოველგვარი შინაარსის ნიშანს ბავშვი ამ საფეხურზე ვერ ეუფლება, სახელდობრ, ჩვენს ცდებში თუმცა იგი ადვილად ეუფლება მოძრაობის პრინციპის სახეებს, როგორც ცნების ნიშნებს ან ცნება „ადამიანის“ მთელ რივ ნიშნებს, მაგრამ ვერ ეუფლება რელატიური ცნებების (ჩვენს შემთხვევაში ადამიანთა შორის დამოკიდებულებათა ცნებების) შედარებით აბსტრაქტულ ნიშნებს, როგორცაა შინაგანი და გარეგანი დაკავშირების ნიშანი.

2. აღსანიშნავია, რომ თუმცა ცნების ობიექტივაციის განვითარება მე-2 კლასში აღწევს იმდენად მაღალ დონეს, რომ კონკრეტ ცნებათა (ტრანსპორტის სახეები) მიმართ საგნების მიკუთვნების და ამ ცნებებით სხვა ობერაციათა შესრულების დასაბუთებისას ბავშვები ამ ცნებათა არსებითს (სპეციფიკურს) ნიშნებს მიუთითებენ, ამ ნიშნების ობიექტივაციას ახერხებენ, მაგრამ გონებრივი ობერაციების ობიექტივაციის დონე ამასაკში იმდენად დაბალია, რომ ძნელად მისაწვდომ რელატიური ცნებების მიმართ (ადამიანთა შორის დამოკიდებულებათა სახეების ცნებები), რომელსაც ბავშვი პრაქტიკულად ეუფლება¹, ობიექტივაციას ვერ ახერხებს: ამ ძნელად მისაწვდომ რელატიური ცნებების (ობიექტთა კატეგორიების) გააზრების ყველაზე ტიპიურ ფორმას მე-2 კლასის საფეხურზე ცალკე საგნების, როგორც ცნების (კატეგორიის) რეპრეზენტანტის, გამოყენება წარმოადგენს. ცნების ასეთი რეპრეზენტაციის დროს ცალკე საგნები დასახლებულია არა როგორც ცნების ამომწურავი შინაარსი, არამედ როგორც ნიშანი, როგორც რეპრეზენტანტი მთელი კატეგორიისა; დასახლებული საგნები, საგანთა გარკვეულ კომპლექსს კი არ წარმოადგენენ, რომელშიაც საგანთა გარკვეული რაოდენობა შედის, არამედ ამ საგნების რეპრეზენტაციით ნაგულისხმევა გარკვეული სახის საგნები, რომელთა რაოდენობა არაა განსაზღვრული. თითოეული საგნის წარმოდგენა ამ შემთხვევაში კატეგორიალურ ხასიათს ატარებს საგანთა ახალი კატეგორიის (ახალი ცნების) თვალსაზრისით.

3. „სპეციფიკური ნიშნის ცნობიერების“ განვითარების საფუძველზე მე-2 კლასის საფეხურზე ბავშვი აღწევს აზროვნების იმ უკიდურესი კონკრეტობის დაძლევასაც, რომელიც, ცნებათა შინაარსის რამდენიმე კონკრეტ საგნის წარმოდგენის სახით, წინა კლასებისათვის იყო ტიპური.

კონკრეტ (არარელატიურ) ცნებათა შემთხვევაში მეორეკლასელი აღარ „ჰკარგავს“ სხვისი დახმარებით მიღწეულ სპეციფიკურ ნიშანს და აღარ გულისხმობს ცნებაში რამდენიმე კონკრეტ საგანს.

¹ პრაქტიკულად ბავშვი ეუფლება ამ ცნებების მხოლოდ პირველ რიგს, ე. ი. მხოლოდ უშუალოდ კონკრეტ მასალაზე შემუშავებულ ცნებებს (იხ. ზემოთ ტექსტი).

მაგრამ სპეციფიკური ნიშნის ან, მით უმეტეს, არსებითი ნიშნის თვალსაზრისის აბსოლუტურ გამარჯვებას თვალსაჩინო ხატზე მე-2 კლასი კიდევ ვერ აღწევს: ის წარმატება, რომელსაც ბავშვი მიღწევს, ასე ვთქვათ, ვერბალურ კონტექსტში არსებითი (არამხოლოდ სპეციფიკური) ნიშნისათვის უპირატესობის მიცემის სახით¹ თვალსაჩინო ხატების კონტექსტში თუ სავსებით არა, სანახევროდ მაინც ბათილდება და ცნებისათვის მიკუთვნების საკითხს უმრავლესობა წყვეტს ისევ თვალსაჩინო ხატის და არა მის საწინააღმდეგო არსებითი, მაგრამ არათვალსაჩინო სპეციფიკური ნიშნების საფუძველზე.

ცნების შემუშავებაში თვალსაჩინოების ჯერ კიდევ მეტად დიდი როლის შესახებ მე-2 კლასის საფეხურზე ლაპარაკობს ცნებათა ვერბალური გზით მიწოდების ცდების შედეგებიც. აზროვნების კონკრეტობა და თვალსაჩინობა ჯერ იმდენად ზღუდავს ცნების შემუშავებას, ბავშვის აზროვნება იმდენად შებოჭვილია ამ კონკრეტი თვალსაჩინოებით, რომ როდესაც მას ეძლევა წმინდა ვერბალური გზით (ცდის B ვარიანტი) იგივე ცნებები, რომელსაც იმავე ასაკის ბავშვი ეუფლება კონკრეტი მასალის შესწავლის ნიადაგზე („ქვევიდან ან ზევით“), იგი ვერ გებულობს ამ ახალ ცნებებს, ვერბალურად მიწოდებულს, ურევს მათ მნიშვნელობას, ამახინჯებს მათ, ვერ წვდება მათ არსებით (სპეციფიკურს) არათვალსაჩინო ნიშნებს, როდესაც იმავე კლასის ბავშვები თავისუფლად ეუფლებიან ამ ნიშნებს, თვალსაჩინო კონკრეტ მასალის გაცნობის საფუძველზე, თვალსაჩინო მასალიდან ამოსვლისას.

4. ბავშვის აზროვნების ერთერთი ძირითადი თავისებურობა, რომელიც, ნიშნის ცნობიერებასთან ერთად, ცნებითი აზროვნების მთელ რიგ მიღწევებს განსაზღვრავს, მე-2 კლასის საფეხურზე მდგომარეობს იმ „ცნობიერების სივიწროვის“ გადალახვაში, რომელიც წინა კლასების (განსაკუთრებით მოსამზადებელი კლასის) სპეციფიკურობას შეადგენდა.

ეს მომენტი (ცნობიერების სივიწროვის გადალახვა) იჩენს თავს ჩვენი სხვადასხვა ცდის რეზულტატებში. ამ კლასიდან თითქმის სრულიად ქრება „ნიშანთა მორიგეობის“ მოვლენა. ბავშვი ადვილად ახდენს ცნების რამდენიმე ნიშნის ერთდროულ აქტივაციას (ცნება „ადამიანი“). ამ საფეხურზე აღარ წარმოადგენს სიძნელეს პირველი რიგის თითოეული ცნების შინაარსის ერთი კატეგორიის სახით გაერთიანება (ჩვენს ცდაში გარდა ბუნების ძალით მოძრავ საგანთა კატეგორიისა). კონტექსტიდან ზოგად ცნების შემუშავებისას უმრავლესობა ამ ცნებაში საგანთა ვიწრო, ნაწილობრივ კატეგორიას კი არ გულისხმობს, როგორც ეს წინა კლასებში ხდებოდა, არამედ უფრო ხშირად ცნების მთელი მოცულობის საგნებს ანდა სპეციფიკური ნიშნის სახით გულისხმობს საგანთა ვიწრო კატეგორიებს.

5. მე-2 კლასის საფეხურზე მნიშვნელოვან წინსვლას აქვს ადგილი განზოგადების ოპერაციებში—„ცნებათა ცნების“ შემუშავებაში.

ჯერ ერთი, ბავშვები ახერხებენ მე-2 და მე-3 იარუსის ცნებათა ჯამისებურ გაგებას და ამ „შეჯამებულ“ ცნებათა შემდგომ გამოყენებას სააზროვნო

¹ მაგალითად: დეფინიციათა შედარების ან ცნებათა შედარების ამოცანებში.

ოპერაციებში. თუმცა ცხადია, რომ შეჯამების გზით მიღებული „ზოგადი“ ცნება, არსებითად, არ წარმოადგენს, მის ქვეცნებებთან შედარებით, ახალ ცნებას, რადგან ქვეცნებების არავითარ სინთეზს აქ აღვილი არა აქვს, ხოლო უბრალო არითმეტიკული შეკრება ორი სახეობითი ცნებისა, სრულიად არ ცვლის ამ ქვეცნებებს, მაგრამ ამ ზოგად, „შეჯამებულ“ ცნებაში ორივე სახის საგნები მაინც ნაგულისხმევია—ეს კი უკვე განმაზოგადებელი აზროვნების სერიოზულ წინსვლას წარმოადგენს.

ზოგადი ცნების ასეთი „არითმეტიკული“ დაუფლება მე-2 კლასში შესაძლებელი ხდება, როგორც ჩანს, უმთავრესად ორი გარემოების გამო: ჯერ ერთი, იმის გამო, რომ საგნების თითოეული სახეობითი კატეგორია (ქვეცნება) ბავშვის ცნობიერებაში საგანთა სიმრავლის სახით კი არ არის წარმოდგენილი, არამედ სპეციფიკური (არსებითი) ნიშნით, და, გარდა ამისა, იმის გამოც, რომ ამ საფეხურზე უკვე გადაღებულია უკიდურესი „ცნობიერების სივრცე“, რომელიც წინა ასაკებში არ აძლევდა ბავშვს ასეთი შეჯამების შესაძლებლობას.

ცნებათა განზოგადების პროცესში პირველად ამ საფეხურზე (მე-2 კლასში) ჩნდება „განზოგადების“ ახალი პრიმიტიული ფორმა, რომელიც მდგომარეობს ქვეცნებების უსაზღვრო, ცნების სპეციფიკურობას მოკლებული ზოგადობის სახით გაერთიანებაში. მე-2 კლასის საფეხურზე განზოგადების ამ ფორმამ იჩინა თავი მხოლოდ კონტექსტიდან ზოგადი ცნების შემუშავების ცდებში (შემდეგ საფეხურზე განზოგადების ეს ფორმა ვაცილებით უფრო დიდ გავრცელებას მიიღებს).

ჩვენს ცდაში ბავშვები ვერ ახერხებენ სახეობათა შეჯამების სახით მხოლოდ ერთი ცნების შემუშავებას, სახელდობრ, რელატური ცნებების მე-3 იარუსის ცნების შემუშავებას; ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ეს ცნება აერთიანებს მეტად დისპარატულ ცნებებს (კავშირის მქონე და კავშირის არამქონე, მაგრამ ერთად მყოფი აღმნიშვნები), რომელთა გაერთიანება შეიძლება მხოლოდ ორივე ამ ცნების არსებითი ნიშნის ღრმა წვდომის საფუძველზე, რაც სახეობით ცნებათა ნიშნების სინთეზირებასაც გულისხმობს.

6. განმაზოგადებელი აზროვნების ზემოაღწერილი წინსვლა, კერძოდ კი მე-2 და მე-3 იარუსის ცნებებში მათი სახეობითი ცნებების გაერთიანება და ამ სახით მათი მტკიცე დაუფლება ხელს უწყობს მე-2 კლასის საფეხურზე ცნებათა სისტემის (ცნებათა შორის დამოკიდებულებათა) დაუფლების დაწყებას. მხოლოდ მე-2 კლასის საფეხურზე პირველად იწყება (მხოლოდ იწყება) ცნებათა შორის დამოკიდებულებათა ზოგიერთი სახის დაუფლება, რაც წინა კლასებისათვის სრულიად მიუწვდომელი რჩებოდა; სახელდობრ, მე-2 კლასში ბავშვების ნაწილი ძირითადად მსწორად წყვეტს სახეობით და გვაროვნულ ცნებათა შორის რაოდენობით დამოკიდებულების საკითხს (ან უკეთ, ამ ცნებათა მოცულობათა შორის დამოკიდებულებას: რა არის მეტი— a თუ x) და რამდენიმე ბავშვი მსწორად აწარმოებს ქვეცნების მიკუთვნებას გვაროვნულისათვის (a არის x), მაგრამ ძირითადად ამ საფეხურზე ცნებათა სისტემის დაუფლებაზე, ე. ი. ცნებათა შორის ლოგიკურ დამოკიდებულებათა წვდომაზე, ლაპარაკიც ზედმეტია, თვით რაოდენობით დამოკიდებულების საკითხის მსწორი გადაწყვეტის დროსაც კი ეს დამოკიდებუ-

ლება ჩვეულებრივ წარმოდგენილია ლოგიკური დამოკიდებულების ნაცვლად, ნაწილსა და მთელს შორის რეალური, საგნობრივი დამოკიდებულების ანალოგიურად, თუმცა არც სავსებით იდენტურად მასთან (a და b ერთად შეადგენენ x-ს, მაგრამ a არ არის x, არც b არაა x; a მხოლოდ ნაწილია x-ის).

აღსანიშნავია, რომ ყოველდღიურ ნაცნობ ცნებათა მიმართ, როგორც წინა ასაკში, ბავშვები ძირითადად იყენებენ ანალოგიურ ამოცანას სწორად წყვეტენ. ამრიგად, ფორმალური აზროვნების განვითარების მხრივ წინა კლასთან შედარებით ძირითადად განსხვავება არ არის.

7. მე-2 კლასის მიღწევას ისიც შეადგენს, რომ ამ საფეხურზე უკვე ყველა ბავშვი პრაქტიკულად ახალ კონკრეტ ცნებებს სავსებით ეუფლება. სწორად იყენებენ ცნებებს გონებრივ ოპერაციათა კონტექსტში—სწორად გადააქვთ ცნებები ახალ საგნებზე და სხვ. რაც შეეხება ძნელად მისაწვდომ რელატიურ ცნებებს, რომელიც მიუწვდომელი დარჩა წინა კლასისათვის, ბავშვები ძირითადად პრაქტიკულად ეუფლებიან ამ ცნებების პირველ რიგს (ე. ი. უშუალოდ მასალაზე შემუშავებულ, „უშუალო“ ცნებებს—ცნებათა „არითმეტიკას“ და არა „ალგებრას“), ძირითადად სწორად აწარმოებენ ამ ცნებებისათვის ახალი ობიექტების მიკუთვნებას და სხვ. მე-2 იარუსის ცნებას ძირითადად პრაქტიკულად ეუფლება ბავშვების მხოლოდ ნაწილი, ხოლო მე-3 იარუსის ცნება რჩება სრულიად მიუწვდომელი.

4.

III კლასი; 10 წლის ასაკი

ცნებითი აზროვნების იმ ინტენსიური განვითარების შემდეგ, რომელსაც ჰქონდა ადგილი წინა ეტაპზე, იწყება განვითარების შენელების ეტაპი, ისე რომ III კლასის საფეხურზე ცნების ეკვივალენტში ძირითადი სახის ცვლილებებს ადგილი არა აქვს; ზოგიერთი მცირეოდენი ცვლილების გარდა, III კლასი, ჩვენი ცდების მონაცემების მიხედვით, ძირითადად ცნების განვითარების იმ საფეხურს, იმ ეტაპს ეკუთვნის, რომელიც II კლასშია მიღწეული¹.

5.

IV კლასი; 11 წლის ასაკი

ცნების განვითარების იმ შენელების შემდეგ, რომელმაც უკანასკნელ ეტაპზე (III კლასის საფეხურზე) იჩინა თავი, აღიმართება განვითარების განსაკუთრებით ძლიერი ტალღა, რომელიც IV კლასის საფეხურს წინა კლასებზე შეუდარებლად მაღალ დონეზე აყენებს. IV კლასის საფეხური ცნების განვითარებაში კარდინალური გარდატეხის საფეხურს წარმოადგენს.

¹ ამ საფეხურის მიღწევები, წინა და შემდგომი კლასების მიღწევებთან შედარებით, იმდენად მცირეა, რომ ჩვენ არ ვთვლით მიზანშეწონილად მათ დალაგებას ჩვენი შედეგების წინამდებარე მოკლე მიმოხილვაში.

1. ცნების შემეცნებითი ფუნქციის (საგნის არსის და სპეციფიკის ასახვის აზრით) განვითარების ძირითად მიღწევას IV კლასის საფეხურზე ცნებაში არსებითი ნიშნის ობიექტივაციის პირველი დაწყება და სპეციფიკური ნიშნის ობიექტივაციის პირველი საყოველთაო გავრცელება შეადგენს.

„სააზროვნო მოქმედების“ სფეროში (მაგალითად, ცნებათა შედარების ან მიკუთვნების ამოცანის კონტექსტში) არსებითი ნიშნის თვალსაზრისი ამ ეტაპზე უკვე იმდენად განმტკიცებულია და თვალსაჩინო ხატის როლი იმდენად შესუსტებულია, რომ ცნებათათვის ახალი საგნის მიკუთვნების ამოცანას (კუნძულების ამოცანა) დიდი უმრავლესობა წყვეტს თვალსაჩინო არაარსებითი ნიშნების საწინააღმდეგოდ, არსებითი არათვალსაჩინო ნიშნების მიხედვით, მაგრამ „სააზროვნო მოქმედების“ სფეროში არსებითი ნიშნის ამ დომინირებას არ შეეფერება მისი ობიექტივაციის დონე.

არსებითი ნიშნის ობიექტივაციის შედარებით დაბალი დონე, რომელსაც ამ ნიშნის მხოლოდ დეფინიციის მიითება წარმოადგენს, უკვე მიღწეულია ბავშვების დიდი რაოდენობის მიერ (ჩვენს ცდებში ბავშვების ნახევრის მიერ), ხოლო არსებითი ნიშნის მნიშვნელობის ობიექტივაციის მაღალი დონე, რომელიც სააზროვნო ოპერაციების დასაბუთებაში ამ ნიშანთა არსებითობის, მათი მეტი მნიშვნელობის მიითებას გულისხმობს, მიიღწევა მხოლოდ ერთეულ შემთხვევებში¹.

მართლაც, ჩვენს ცდებში ამ საფეხურის ბავშვების ნახევარი სპონტანურად მიუთითებს დეფინიციის მხოლოდ არსებით ნიშნებს, იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალურად გაცნობილია ცნების სპეციფიკურს (როგორც არსებითს, ისე არაარსებითს) ნიშნებს, ე. ი. ბავშვი სპეციფიკურ ნიშნებიდან სპონტანურად მხოლოდ არსებით ნიშნებს ამოირჩევს, ხოლო ბავშვების მეორე ნახევარი ასე იქცევა მის შემდეგ, რაც ცდის ხელმძღვანელი მათ მიუთითებს დეფინიციის „მთავარს“ აღნიშვნის საჭიროებაზე. ამ ასაკში პირველად მიიღწევა დახმარების გარეშე დეფინიციის მაღალი ფორმა, დეფინიცია *per genus proximum et differentiam specificam*.

ამას გარდა, ორ დეფინიციას შორის, რომლიდანაც ერთი შეიცავს მხოლოდ არაარსებით, თვალსაჩინო სპეციფიკურ ნიშნებს, მეორე კი მხოლოდ არსებით არათვალსაჩინო ნიშნებს, ბავშვებს მისაღებად მხოლოდ მეორე სახის დეფინიცია მიაჩნიათ (წინა ასაკშიც ბევრი აძლევდა უპირატესობას მეორე დეფინიციას, მაგრამ მისაღებად უმეტესობას მაინც ორივე დეფინიცია მიაჩნია).

¹ არსებითი ნიშნების მიხედვით, დეფინიციის მოცემა თუმცა გულისხმობს ამ ნიშნების ობიექტივაციას, მაგრამ არ გულისხმობს აუცილებლად მათი არსებითობის, მათი მეტი მნიშვნელობის ობიექტივაციას, რაც აუცილებლად არის მოცემული, ოპერაციის დასაბუთებისას, ნიშნის მეტი მნიშვნელობით არგუმენტაციის სახით. უკანასკნელ შემთხვევაში აზროვნების ობიექტს არამხოლოდ სააზროვნო ოპერაცია, არამედ მისი საფუძველიც შეადგენს. იგი გულისხმობს არამარტო ნიშნის ობიექტივაციას (როგორც ამას დეფინიცია გულისხმობს), არამედ მისი და სხვა ნიშანთა ღირებულების ობიექტივაციასაც.

ნიშნის ცნობიერების აღნიშნული მიღწევების მიუხედავად, IV კლასის საფეხურზე, სპეციფიკური ნიშნის დაუფლება კიდევ მნიშვნელოვნად არის შეზღუდული. ჯერ ერთი, კლასიფიკაციის ცდებიდან გამორიკვა, რომ მასალის თავისუფალი დაჯგუფებისას IV კლასისათვის ტიპიურია მასალის დაჯგუფება „გადაჯვარდინებულ“ ჯგუფებზე, ე. ი. ჯგუფების გამოყოფა ისეთ ნიშანთა მიხედვით, რომელიც არ უზრუნველყოფს ერთიდაიმავე ობიექტის ერთდროულად სხვადასხვა ჯგუფისათვის მიკუთვნების შესაძლებლობის ამორიცხვას. გამოყოფილი ჯგუფები კი არ ამორიცხავენ ერთი მეორეს, არამედ ჯვარედინდებიან: ერთი ნიშნის მიხედვით ერთიდაიგივე საგანი ერთ ჯგუფში უნდა მოთავსდეს, ხოლო მეორე ნიშნის მიხედვით მეორეში, მაგალითად: როდესაც გამოყოფილ ჯგუფებს შორის ერთი არის წყლის ტრანსპორტის ჯგუფი და მეორე მანქანით მოძრავი ტრანსპორტის ჯგუფი, მაშინ მთელი რიგი საგნებისა ერთდროულად უნდა მოიქცეს ორივე ჯგუფში.

ეს არის კლასიფიკაციის ძირითადი ელემენტარული წესის დარღვევა, რომელიც იმ გარემოებაზედაც მიუთითებს, რომ ამ ეტაპზე საგანთა კატეგორიის (ანუ ცნების) არსებითი ნიშნის ფუნქცია არ არის საბოლოოდ დაუფლებული, თუ კი ბავშვს დასაშვებად მიაჩნია საგანთა კატეგორიის ძირითადი ნიშნის სახით ისეთი ნიშნის გამოყოფა, რომელიც არ ამორიცხავს საგანთა სხვა ცნებისათვის, სხვა კატეგორიისათვის, მიკუთვნებას, თუ კი ცნებათა არსებით ნიშნებად ისეთი ნიშნებია აღებული, რომელიც ვერ გამოთიშავს ერთი მეორისაგან ჰეტეროგენულ ცნებათა მოცულობას.

2. „ნიშნის ცნობიერების“ აღნიშნულ განვითარებასთან და ცნების თვალსაჩინოებითი შეზღუდვისაგან შედარებით ემანსიპაციასთან ერთად, IV კლასის საფეხურზე, ერთერთ ძირითად მიღწევას ვერბალური აზროვნების (ვერბალურ კონტექსტში, თვალსაჩინო საფუძველს მოწყვეტილი აზროვნების) ინტენსიური განვითარება შეადგენს.

თუ წინა კლასებში ცნებითი აზროვნების უმწეობის ერთერთ ძირითად საფუძველთაგანს და, იმავე დროს, ამ უმწეობის ერთერთ სიმპტომთაგანს ვერბალური გზით („ზევიდან“) მიწოდებულ ცნებათა დაუფლების მიუწვდომლობა შეადგენს, IV კლასში ეს სისუსტე გადალახულია: ამ საფეხურზე, კონკრეტ მასალის გარეშე, წმინდა ვერბალური გზით (ზევიდან—ზოგადი ცნებიდან დაწყებული) მიწოდებულ ცნებებს ბავშვების დიდი უმრავლესობა ეუფლება; ეუფლება პრაქტიკულადაც და მათი ობიექტივაციის სახითაც (დეფინიცია და სხვ.) ისე, რომ ჩვენი ცდების ყველა ძირითად ამოცანას სწორად წყვეტს. აქამდის არსებული უფსკრული ცნების შემუშავების ორ გზას შორის („ქვევიდან ზევით“ და „ზევიდან ქვევით“) აივსო. ამ ორი გზით მიღებულ „ცნებათა“ დაუფლებას შორის IV კლასში არსებით განსხვავებას ადგილი არა აქვს, გარდა რელატიურ ცნებათა უზოგადესი ცნების („ზონენი“) გაგებისა, ხოლო ამ უკანასკნელის წვდომა მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს: იგი ჰეტეროგენულ ცნებათა შერთებას გულისხმობს.

ეს მიღწევა ცნებითი აზროვნების განვითარების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობის მიღწევას წარმოადგენს, რამდენადაც ცნებითი აზროვნების

ერთერთ ძირითად თვისებას ხომ ცნების შინაარსის, მის არსებით ნიშანთა („იდუური ობიექტის“) კონკრეტი საგნის გარეშე წვდომისა და ამ სახით მისი გამოყენების შესაძლებლობა შეადგენს.

ამრიგად, ბავშვის აზროვნების ემანსიპაცია თვალსაჩინო კონკრეტობისაგან, რომელიც ჯერ ნელის თანდათანობით უკვე პირველ კლასებში დაიწყო, IV კლასში იმ ზომამდე მიდის, რომ ამ საფეხურზე ბავშვი უკვე ახერხებს კონკრეტი, თვალსაჩინო საგნობრივი მასალის გარეშე ცნების შინაარსის წვდომას და მის ყოველნაირ გამოყენებას, დაწყებული მისი დეფინიციიდან და ცნებათა შორის დამოკიდებულებათა სწორი წვდომიდან, და ახალ კონკრეტ მასალაზე ამ მნიშვნელობის სწორი გადატანით გათავებული.

3. IV კლასისათვის არანაკლები მნიშვნელობის მიღწევად უნდა ჩაითვალოს, ვერბალური აზროვნების განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებული, ფორმალური აზროვნების ინტენსიური განვითარება და ცნებათა შორის ლოგიკურ დამოკიდებულებათა წვდომის უნარის მომწიფება.

წინა კლასებში, როგორც ზემოთ დავინახეთ, ლოგიკური ცნების დაუფლების მისაღწევად ერთერთ მთავარ დაბრკოლებას ფორმალური თვალსაზრისის მიუწვდომლობა შეადგენს, რომლის გამო ერთი სისტემის ცნებათა შორის დამოკიდებულებათა შესახებ ბავშვი მსჯელობს მხოლოდ ამ ცნებათა შინაარსის მიხედვით და სრულიად მიუხედავად იმ ფორმალურ დამოკიდებულებათა, რომელიც ცნებათა მოცემულ სისტემაშია ნაგულისხმევი, ყოველდღიურ ცნებათა შორის დამოკიდებულებებს ბავშვი სწორად ამყარებს ემპირიულ საფუძველზე, ხოლო ახალ ცნებათა სისტემა, რომლის მიმართ მას ჯერ არა აქვს გამოცდილება, მისთვის სრულიად მიუწვდომელი რჩება, ვინაიდან იმ საფეხურებზე ბავშვისათვის მიუწვდომელია ცნებათა შორის ლოგიკური დამოკიდებულებები და მათ ნაცვლად იგი რეალურ, საგნობრივ დამოკიდებულებებს გულისხმობს.

IV კლასიდან მდგომარეობა არსებითად იცვლება. უმრავლესობას უკვე გადალახული აქვს ფორმალური აზროვნების აღნიშნული უმწეობა: ბავშვების უმრავლესობა ცნებათა შორის დამოკიდებულებათა შესახებ ფორმალური თვალსაზრისით მსჯელობს ან, ყოველ შემთხვევაში, მათ შორის დამოკიდებულება მათ ესმით ლოგიკურ და არარეალურ დამოკიდებულებათა სახით. ცნებათა სისტემა, ე. ი. ერთი სისტემის ცნებათა შორის არსებული ძირითადი ლოგიკური დამოკიდებულებები უკვე დაუფლებულია!

აღსანიშნავია, რომ ცნებათა შორის დამოკიდებულებათა შესახებ მსჯელობის დროს ფორმალური თვალსაზრისი უკვე იმდენად ძლიერია, რომ ბავშვების უმრავლესობა მოცემულ ცნებათა სქემის საფუძველზე მაშინაც სწორად წარმოიდგენს ცნებათა შორის დამოკიდებულებებს, როდესაც ამ ცნებათა შინაარსი მათ არა აქვთ საკმაოდ გარკვეულად ან საგნებით ადეკვატურად წარმოდგენილი, რაც დადასტურდა ადამიანთა შორის დამოკიდებულებათა რელატური ცნებების მიმართ.

მაშ IV კლასიდან ჩვენი ც. პ-ბის დიდი უმრავლესობა პირველად ეუფლება მოცემულ ახალ ცნებათა მინიატიურულ „სის-

ტემას“ პირველად წვდება მოცემულ ცნებათა შორის არსებულ ლოგიკურ და-
მოკიდებულებას.

4. IV კლასის საფეხურის მნიშვნელოვან მიღწევას აგრეთვე განმაზოგა-
დებელი აზროვნების— განსაკუთრებით ქვეცნებათა ნიშნების „სინთეზირების“
უნარის განვითარება შეადგენს. წინა კლასელების საწინააღმდეგოდ, IV კლასში
ჩვენი გამოცდილი ბავშვების ნახევარი უკვე ახერხებს უშუალო ცნებათა (I რი-
გის) გაერთიანებას მე-2 იარუსის ცნებაში, ამ ქვეცნებების არსებით ნიშანთა
სინთეზირების სახით, თუმცა აღწევენ ამას მხოლოდ სხვის მიერ მოცემული
სტიმულის (გაერთიანების სტიმულირებული შეკითხვის) შემდეგ. თვითონ მათ
სპონტანტურად ამის მოთხოვნილება არ უჩნდება. ამას გარდა, ამ სინთეზირე-
ბას ბავშვები აღწევენ ჩვენს ცდაში მხოლოდ ტრანსპორტის სახეების ცნებათა
მე-2 იარუსის მიმართ, ვერც ამ ცნებათა მე-3 იარუსის და ვერც ადამიანთა
შორის დამოკიდებულებათა რელატურ ცნებათა მიმართ ასეთ განზოგადებას
ბავშვები ვერ ახერხებენ და ყოველი ზოგადი ცნება რჩება მათთვის ისევ შე-
ჯამებულ ცნებად, ე. ი. ქვეცნებებთან შედარებით ახალ ცნებებს არ წარ-
მოადგენს: იგი მხოლოდ აჯამებს ქვეცნებებს.

მაგრამ წინა კლასებთან შედარებით ტრანსპორტის სახეების „კონკრეტ“
ცნებათა სინთეზირება დიდ წინსვლას წარმოადგენს.

5. აღნიშნულ მეტად მნიშვნელოვან მიღწევათა მიუხედავად, ლოგიკური
ცნების სრული მომწიფება IV კლასის საფეხურზე ჯერ არ არის მიღწეული.

მთავარი სისუსტეები, რომელნიც არ გვაძლევენ უფლებას IV კლასის სა-
ფეხურზე მიღწეული ცნება სავსებით დასრულებულ ლოგიკურ ცნებად ჩავთვა-
ლოთ, შემდეგში მდგომარეობს.

პირველ სერიოზულ სისუსტეს ის გარემოება შეადგენს, რომ ცნებაში არ-
სებთი ნიშნის ფუნქციაა ჯერ არ არის სავსებით დაუფლებუ-
ლი: ჯერ ერთი, მისი მნიშვნელობის ობიექტივაციას ამ საფეხურზე მხოლოდ ერ-
თეულები აღწევენ (იხ. ზემოთ) და, გარდა ამისა, ამ ნიშანთა სავსებით აღქ-
ვატური გამოყენებაც არ არის საბოლოოდ მიღწეული, რაც განსაკუთრებით
მკაფიოდ იჩენს თავს „თავისუფალი“ კლასიფიკაციის დროს გამოვლინებული
„გადაჯვარდინებული“ დაჯგუფების სახით (იხ. ზემოთ), თუმცა სხვის მიერ
გამოყოფილ ჯგუფებში არსებით ნიშანს ბავშვები იოლად წვდებიან.

ცნებითი აზროვნების მეორე სერიოზულ სისუსტეს განზოგადების (ნიშან-
თა სინთეზირების) შედარებითი სისუსტე შეადგენს, რომელიც გამოვლინდა
თვით კონკრეტ ცნებათა მე-2 იარუსის „სინთეტურ“ შემუშავებაში, მხოლოდ
ამის სტიმულირებული შეკითხვების ზეგავლენით, ხოლო სპონტანუ-
რად ამ ზოგადი ცნების მხოლოდ „შეჯამებული“ ცნების სახით გავებაში (იხ.
ზემოთ).

სამაგიეროდ, ახალ კონკრეტ ცნებათა სხვის მიერ დეფინიციის შემდეგ
(ე. ი. დახმარების შემდეგ) IV კლასის საფეხურზე ც. პ.-ში ამ ცნებებს სავსე-
ბით ეუფლებიან, ეუფლებიან იმდენად, რომ ჩვენი მეთოდის ყველა ძირითად
კრიტერიუმს აკმაყოფილებენ.

IV კლასის საფეხურზე მიღწეული ცნებითი აზროვნების ერთერთ სისუსტეთაგანს ჩვენს მეორე მეთოდში მიწოდებულ რელატურ ცნებათა მიუწვდომლობა შეადგენს: ამ რელატურ ცნებათა (ადამიანთა შორის და მოკიდებულებათა სახეების ცნებების) არსებითი ნიშნების წვდომას ც. პ-ბი ვერ ახერხებენ მაშინაც, როდესაც მასალა (ობიექტები) სხვის მიერ არის დაჯგუფებული. თვით ცდის ხელმძღვანელის მიერ მოცემულ ახსნა-დღეინიციის შემდეგაც კი ჩვენს მიერ გამოცდილი ბავშვების უმრავლესობა მიწოდებულ რელატურ ცნებებს გებულობს მეტად ზერულედ და ამდენად არა ადეკვატურად, ხოლო პირველი რიგის ცნებათა საფუძველზე ზოგადი ცნებების („ცნებათა ცნების“) შემუშავებას უმრავლესობა ვერ ახერხებს და თვით ც. ხ.-ის მიერ ამ ცნებათა ახსნა-დღეინიციის შემდეგაც ამ ზოგადი ცნებების შეჯანგებულ ცნებათა სახით გაგებას ვერ სცილდება.

მაგრამ ხაზგასასმელია, რომ ამ უკანასკნელ სისუსტეს მხოლოდ რელატური მნიშვნელობა აქვს. საქმე ის არის, რომ, თუმცა ცნებითი აზროვნების აუცილებელ მომენტს მიმართებათა ცნებების დაუფლება შეადგენს (ცნება შემეცნებაა, შემეცნება კი მიმართებათა შემეცნებას გულისხმობს), მაგრამ, რამდენადაც ჩვენს მიერ მიწოდებული მიმართებები (რომელშიაც მთავარ მომენტს შინაგანი და გარეგანი დაკავშირების მიმართება შეადგენს) არ წარმოადგენენ უმარტივეს მიმართებებს, იმდენად ამ მიმართებათა ცნებების მიუწვდომლობა ჯერ არ ნიშნავს საზოგადოდ მიმართებითი ცნებების მიუწვდომლობას და არ წარმოადგენს საზოგადოდ ცნებითი აზროვნების მოუმწიფებლობის კრიტერიუმს; უფრო მარტივ მიმართებათა ცნებების დაუფლების შესაძლებლობა ამ საფეხურზე არ არის ამორიცხული, თუმცა არც მის სასარგებლო არგუმენტები ჩვენ არ მოგვეპოება.

ამრიგად, ჩვენი ცდის საფუძველზე, მიმართებითი ცნებების დაუფლების შესახებ შესაძლებელია ერთადერთი დასკვნის გამოტანა: იმ ტიპის (არა უმარტივეს) მიმართებათა ცნებებს, როგორცაა ადამიანთა შორის შინაგანი და გარეგანი დაკავშირების მიმართება, IV კლასის საფეხურზე ბავშვები ადეკვატურად ვერ ეუფლებიან თვით სხვის მიერ მოცემული დიდი დახმარების შემთხვევაშიაც, რაც ცნებითი აზროვნების, ყოველ შემთხვევაში, არა მაღალი განვითარების შესახებ ლაპარაკობს.

6.

V და VI კლასები; 12 და 13 წლის ასაკი

VI კლასის საფეხურზე დადასტურებულ ინტენსიური განვითარების შემდეგ, უახლოესი ორი წლის განმავლობაში ცნებითი აზროვნების განვითარების ტემპი, იმდენად შენელებულია, რომ ორივე მომდევნო კლასი (V და VI) ძირითადად IV კლასთან ერთად ცნების განვითარების ერთ საფეხურს წარმოადგენენ¹.

¹ ამ კლასების საფეხურზე გამოვლინებულ განვითარების თავისებურობები, ადგილის

VII კლასი; 14. წ. ასაკი

VII კლასის საფეხური ცნებითი აზროვნების ინტენსიური განვითარების პერიოდს წარმოადგენს. განვითარების იმ შენელების შემდეგ, რომელიც წინა ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა, VII კლასის საფეხურზე განვითარების ინტენსივობა ხელახლა აღწევს ნახტომს (IV კლასის შემდეგ პირველს), ნახტომს, რომლითაც უკვე მიიღწევა სასკოლო პერიოდისათვის ძირითადში უკანასკნელი საფეხური ცნებითი აზროვნების განვითარებაში.

მართლაც, VII კლასში ჩვენს მიერ გამოცდილი მოზარდები ცდის განმავლობაში იმუშავენ ჩვენს ორივე ძირითად მეთოდში მიწოდებულ ახალ ცნებებს და სავსებით ეუფლებიან ამ ცნებათა მინიატიურულ სისტემას, მიუხედავად იმისა, თუ რა გზით წარმოებს ამ ცნებების მოწოდება: თვალსაჩინო მასალიდან ხდება მათი შემუშავება („ქვევიდან ზევით“) თუ ვერბალური გზით („ზევიდან“) თვალსაჩინო მასალის გარეშე.

1. VII კლასის საფეხურზე ცნებითი აზროვნების განვითარების მნიშვნელოვან მიღწევას არსებითი ნიშნის ფუნქციის, სასკოლო პერიოდისათვის საბოლოო, დაუფლება შეადგენს.

VII კლასიდან პირველად ფართოდ გრძელდება გონებრივ ოპერაციათა სპონტანური დასაბუთება და არსებითი ნიშნის მეტი მნიშვნელობის ადეკვატურ ფორმაში ობიექტივაცია, ე. ი. არსებითი ნიშნის ობიექტივაციის ის მაღალი ხარისხი (იხ. IV კლასი), რომელიც მისი მნიშვნელობის ობიექტივაციაში მდგომარეობს, როგორც წესი, VII კლასის მონაპოვარს შეადგენს.

ამ საფეხურზე უკვე საყოველთაოდ გავრცელებულია არსებით და არაარსებით სპეციფიკურ ნიშანთა დიფერენცია და პირველის ადეკვატური გამოყენება როგორც სააზროვნო ოპერაციებში, ისე ცნებათა ობიექტივაციის სფეროშიც. „გადაჯვარდინებული“ დაჯგუფებაც მასალის თავისუფალი კლასიფიკაციის დროს ამ კლასში გამოჩაჩის შეადგენს (ცალკე ერთეულებს ახასიათებს), ხოლო „სუბიექტურ დაჯგუფებას“ ამ საფეხურზე სრულებით არა აქვს ადგილი.

განსაკუთრებით დიდია ამ მხრივ VII კლასის წინსვლა რელატურ ცნებათა მიმართ, რამდენადაც წინა კლასებში სწორედ ამ მიმართებათა ცნებების ნიშანთა ობიექტივაცია განსაკუთრებულ სიძნელეს შეადგენდა.

2. არსებითი ნიშნის ობიექტივაციის მაღალ დონესთან ერთად VII კლასისათვის დამახასიათებელია საზოგადოდ აზროვნების ოპერაციათა საფუძვლის ობიექტივაცია და საკუთარი აზრის დასაბუთების სპონტანური ტენდენცია და ამის უნარი. შესრულებულ ინტელექტუალურ ოპერაციათა სპონტანური დასაბუთება (და ისიც ამ ოპერაციის საფუძვლის ობიექტივაციის მაღალი ხარისხის სახით) პირველად VII კლასის საფუძველზე ხდება მოზარდთათვის დამახასიათებელი.

თუ კი დაისმება VII კლასის საფეხურზე მოზარდთა წინაშე ნაცნობ ცნების ნიშანთა ორი ჯგუფიდან გონებრივ ოპერაციებში ერთერთის გამოყენების დასაბუთების საჭიროება, ყველა ბავშვი, როგორც წესი, არსებითი ნიშნების მეტ მნიშვნელობას მიუთითებს. რაც მთავარია, დასაბუთების ეს მოთხოვნილება მოზარდებს სპონტანურად უჩნდება, პირველად VII კლასის საფეხურზე.

3. VII კლასის საფეხურზე, არსებითი ნიშნის ფუნქციის დაუფლების, სასკოლო პერიოდისათვის უმაღლესი საფეხურის, მიღწევასთან ერთად, მიღწეულია ისევ სასკოლო პერიოდისათვის უმაღლესი საფეხური, ცნებითი აზროვნების თვალსაჩინოებითი შეზღუდვისაგან ემანსიპაციისა, რაც განსაკუთრებით მკაფიოდ ვერბალური აზროვნების მაღალ განვითარებაში ვლინდება.

თუ IV კლასის საფეხური, როგორც ზემოთ დავინახეთ, ვერბალური აზროვნების მეტად ინტენსიური განვითარების საფეხურს წარმოადგენს (პირველად ამ საფეხურზე წვდება ბავშვების უმეტესობა ვერბალური გზით მიწოდებულ ცნებებს), VII კლასი ვერბალური გზით მიწოდებულ ახალ ცნებათა დაუფლების უკვე საყოველთაო გავრცელების საფეხურს წარმოადგენს; აღსანიშნავია ვერბალური გზით მიწოდებულ ცნებათა სისტემის, ე. ი. ცნებათა შორის ლოგიკური მიმართებების განსაკუთრებით იოლი დაუფლება და ნათელი წარმოდგენა.

4. VII კლასის განსაკუთრებით თვალსაჩინო მიღწევას განმაზოგადებელი აზროვნების, კერძოდ კი ქვეცნებათა ნიშნების ზოგად ცნებაში სინთეზირების უნარის ინტენსიური განვითარება შეადგენს.

ამ უნარის განვითარებაში VII კლასი გაცილებით უფრო მაღალ დონეს აღწევს, ვიდრე მის წინა საფეხური (IV—VI კლასები).

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია თვით უშუალო ცნებათა (პირველი რიგის ცნებათა) შემუშავებისას ყველა ცნების იმთავითვე ზოგადი, სინთეტიური შინაარსის სახით ობიექტივაცია (განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ქარისა და წყლის ძალებით მოძრავ საგანთა კატეგორიის „ბუნების ძალით“ მოძრავის სახით გაერთიანება, რაც წინა კლასებისათვის სიძნელეს ჰქმნიდა.)

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია „ცნებათა ცნების“ (მე-2 იარუსის ცნების) შემუშავებისას გამოვლინებული, ქვეცნებათა ნიშნების სინთეზირების სპონტანური მოთხოვნილება, რასაც წინა კლასებში აღვილი არ ჰქონდა. ყველა წინა კლასში ყველა ბავშვი, როგორც წესი, სპონტანურად მე-2 იარუსის ცნებას, მის ქვეცნებათა მხოლოდ წმინდა ჯამის სახით განსაზღვრავდა. ხოლო ვინც აღწევდა (წინა საფეხურზე) ქვეცნებების სინთეზირებას, აღწევდა ამას მხოლოდ ცდის ხელმძღვანელის მიერ მოცემული სტიმულის (სათანადო შეკითხვების) შემდეგ.

VII კლასში კი ბავშვების უმრავლესობა სპონტანურად იმთავითვე ცდილობს მე-2 იარუსის ცნების სინთეზირებას და „კონკრეტ“ ცნებათა მიმართ (ტრანსპორტის სახეების ცნებები) ბავშვების უმრავლესობა ამ სინთეზს ანხორციელებს კიდევაც.

ამ საფეხურზე, როგორც წესი, უკვე გადალახულია, წინა კლასებისათვის ხშირად დამახასიათებელი, ქვეცნებათა შინაარსის გაერთიანება მეტად ფართო, ცნების ნამდვილ სპეციფიკურობას მოკლებული ან, პირიქით, მეტად ვიწრო, ცალმხრივი შინაარსის სახით. სინთეზირების არაადეკვატური ფორმების გადალახვა გამოვლინდა აგრეთვე ყოველდღიური ცნების („ადამიანი“) ნაცნობ ნიშანთა სინთეზირების ადეკვატური ფორმის გავრცელებაში, ხოლო ამ ნიშანთა მეტად ფართო და მეტად ვიწრო შინაარსის სახით გაერთიანების გადალახვაში.

VII კლასში ბავშვების ნახევარზე მეტი რელატურ ცნებათა (უშუალოს) სინთეზირებასაც ანხორციელებს.

განმაზოგადებელი აზროვნების აღნიშნულ მიღწევათა მიუხედავად, ზოგად ცნებაში ქვეცნებათა სინთეზირების შესაძლებლობანი VII კლასის საფეხურზე ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად შეზღუდულია. სახელდობრ, ორივე ჩვენს მეთოდში მიწოდებულ ცნებათა¹ მე-3 იარუსის („ცნებათა ცნებაზე“ აგებულ ცნების) სინთეტურ შემუშავებას, ე. ი. ნამდვილად ახალი, ზოგადი ცნების შემუშავებას, სპონტანურად, დახმარების გარეშე, ბავშვები, როგორც წესი, ვერ ახერხებენ: რელატურ უზოგადეს ცნებაში ვერც ერთი ჩვენი გამოცდილი ბავშვი ვერ ახერხებს ქვეცნებების სინთეზირებას, ხოლო კონკრეტ ცნებებს მხოლოდ ერთეულები აერთიანებენ უზოგადეს ცნებაში მათი სინთეზირების სახით. რაც შეეხება ჩვენს რელატურ ცნებათა მე-3 რიგის ცნებას, რომელიც ბავშვისათვის გულისხმობს კავშირის მქონე და კავშირის არამქონე, ერთად მყოფი ადამიანების ცნებების შეერთებას, მისი ადეკვატური, ე. ი. სინთეტური შემუშავება, დახმარების გარეშე, როგორც წესი, მიუწვდომელი რჩება სასკოლო პერიოდის ბოლომდე (მის სინთეზირებას მხოლოდ რამდენიმე ერთეული ახერხებს). ამ ზოგადი ცნების ადეკვატური (სინთეტური) შემუშავებისათვის დიდ დაბრკოლებას, როგორც ჩანს, ის ჰქმნის, რომ მისი ქვეცნებები, რომელთა სინთეზირებაზე აიგება იგი, ჰეტეროგენული, განსაზღვრული აზრით ანტიპოდურ ცნებებს წარმოადგენენ (ბავშვების ყველაზე ხშირი გაგებით ეს არის „დაკავშირებული ადამიანები“) და „დაუკავშირებელი“ ან „უცნობი“, მაგრამ „ერთად მყოფი ადამიანები“.² ამ დისპარატულ ცნებათა სინთეზირება შესაძლებელია მხოლოდ მათი ღრმა არსის — „შინაგანი“ და „გარეგანი“ კავშირის იდეის — წვდომისა და მეტად ზოგადი მათი გამაერთიანებელი თვალსაზრისის („დამოკიდებულების“ იდეის ან კავშირის შინაგანი და გარეგანი ბუნების თვალსაზრისის) დაუფლების შემთხვევაში, ხოლო ეს რთული განზოგადება დახმარების გარეშე, როგორც ჩანს, აღემატება სასკოლო პერიოდის მოზარდის ძალებს.

¹ ტრანსპორტის სახეების „კონკრეტი“ ცნებები და ადამიანთა შორის დამოკიდებულებათა მიმართებითი ცნებები.

² თავდაპირველად ბავშვი ამ ცნებებს სწორედ მათ დაპირისპირებაში იმუშავებს, იგი უპირისპირებს ერთ ცნებას, როგორც კავშირის მქონე ადამიანებს, მეორე ცნებას, როგორც ერთად მყოფ, მაგრამ კავშირის მოკლებულ ადამიანებს და მხოლოდ შემდეგი განზოგადების საფეხურზე აღწევენ ერთეულები ამ ცნებების, როგორც შინაგანი და გარეგანი კავშირის ან დამოკიდებულების მქონე ადამიანების კატეგორიების, გაგებას, ხოლო ამ ცნებათა სინთეზირება აუცილებლად გულისხმობს ამ უკანასკნელ გაგებას.

რაც შეეხება კონკრეტ ცნებათა (ტრანსპორტის სახეების) მე-3 იარუსის ცნების სინთეზირებას, ამ შემთხვევაში სიძნელეს სხვა გარემოება ჰქმნის, სახელდობრ, ამ შემთხვევაში ქვეცნებების არსებითი ნიშნები სხვა „სიბრტყის“, სხვა კატეგორიის ნიშნებია (მამოძრავებელი ძალების სახეები შეადგენენ ამ ნიშნებს), ვიდრე ამ ქვეცნებების გამაერთიანებელი მე-3 იარუსის ცნების არსებითი ნიშანი (ტრანსპორტის საშუალება), ამიტომ ამ ზოგად ცნებაში ქვეცნებების სინთეზირება ქვეცნებათა არსებითი ნიშნების (მამოძრავებელი ძალის სახეების) სინთეზირების გზით კი არა, არამედ ამ ქვეცნებებში ახალი, მათი გამაერთიანებელი ზოგადი ნიშნის (არა იმ ნიშნის, რომელიც აქამდის მის არსებით ნიშანს შეადგენდა) ძიების გზით შეიძლება მოხერხდეს.

ამდენად ჩვენი ცდის პირობებში ცნებათა მე-3 იარუსის შემუშავება, მე-2 იარუსის ცნების შემუშავებასთან შედარებით, არსებითად განსხვავებულ ფსიქოლოგიურ ოპერაციას გულისხმობს. ჩვენი VII კლასის ცდის პირები კი ამ მე-3 იარუსის ცნების განზოგადებასაც, ისევე ქვეცნებათა არსებითი ნიშნების (მამოძრავებელი ძალის სახეების) სინთეზირების გზით ცდილობენ და ამიტომ უმეტესობა ვერ წვდება ადეკვატურად ამ მე-3 იარუსის ცნებას, სანამ ც. ხ.-ის შეკითხვა არ მისცემს ბავშვის აზრს შესაფერ მამართულებას. განზოგადების აღნიშნული სისუსტის მიუხედავად, განზოგადებელი აზროვნების წინსვლა VII კლასის საფეხურზე მაინც დიდია: თუ წინა საფეხურისათვის (IV—VI კლ.) ტიპური იყო ცნებათა ცნების (მე-2 იარუსის) სპონტანური (დახმარების გარეშე) შემუშავება „შეჯამებულ“ ცნების სახით, ე. ი. უბრალო ქვეცნებათა შეჯამების სახით, VII კლასის საფეხურზე, პირიქით, უფრო დამახასიათებელია მე-2 იარუსის ცნების სპონტანურად სინთეზირების შემუშავება, ე. ი. ქვეცნებათა არსებითი ნიშნების სინთეზირების საფუძველზე შემუშავება.

ამრიგად, წინა ეტაპზე ბავშვი ვერ აღწევს არსებითად, ქვეცნებებთან შედარებით, ახალი ზოგადი ცნების შემუშავებას, ხოლო VII კლასის საფეხურზე ბავშვი აღწევს სინთეზის წყალობით სწორედ ახალი, ზოგადი ცნების შემუშავებას.

5. ერთერთ ძირითად მიღწევათაგანს VII კლასის საფეხურზე აგრეთვე ლოგიკური, ფორმალური აზროვნების განვითარება შეადგენს, რის გამოც ცნებათა შორის ლოგიკურ დამოკიდებულებების (ცნებათა სისტემის) დაუფლება, ახალ ცნებათა მიღებისთანავე საყოველთაო გავრცელებას აღწევს. ამ საფეხურზე, ახალ ცნებათა მიღებისთანავე, ბავშვებს უკვე ნათლად და გარკვეულად აქვთ წარმოდგენილი მათ შორის (ამ ცნებათა შორის) არსებული ძირითადი ლოგიკური დამოკიდებულებები, უმრავლესობას ეს დამოკიდებულებები იმთავითვე თავისთავად ცხადად ეჩვენებათ და ყველა სათანადო ამოცანას ეს ბავშვები დიდის დარწმუნებითა და უშეცდომოდ წყვეტენ და გადაწყვეტის დამარწმუნებელ დასაბუთებასაც იძლევიან.

ამ საფეხურზე უკვე სრულებით არა აქვს ადგილი ლოგიკურ დამოკიდებულებათა ნაცვლად რეალურ დამოკიდებულებათა გულისხმობას, რაც IV კლასამდე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს, ხოლო IV კლასიდანაც თავს იჩენ-

და ერთეულ შემთხვევაში. ამრიგად, IV კლასი, როგორც ზემოთ დაწვრილებული ცნებათა შორის ლოგიკურ დამოკიდებულებათა წვდომის პირველ საფეხურს წარმოადგენს, VII კლასი კი ამ დამოკიდებულებათა წვდომის საყოველთაო გავრცელების პირველ საფეხურს წარმოადგენს.

8.

VIII კლასი; 15 წლის ასაკი

ჩვენი ცდების მონაცემების მიხედვით, VIII კლასი ძირითადად დასრულებას წარმოადგენს ცნების განვითარების იმ საფეხურისა, რომელიც ისე გამოკვეთილად VII კლასში გამოვლინდა. VII კლასში მიღწეული საფეხურის დასრულებაზე აქ იმდენად შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც VII კლასისთვის რამდენიმე დამახასიათებელი მომენტი ცოტათი უფრო ფართო არის გავრცელებული VIII კლასის მოზარდებს შორის, ხოლო ძირითადად VIII კლასი ცნებათა შემუშავების იმავე სურათს იძლევა.

აღნიშნული მცირეოდენი ცვლილებები თავს იჩენენ განზოგადების ოპერაციებში ცნების შემუშავების ვერბალური გზის დაუფლებაში, განსაკუთრებით კი შემუშავებული ცნების შინაარსის, მისი არსებით ნიშნების მნიშვნელობის და საზოგადოდ გონებრივ ოპერაციათა ობიექტივაციის განვითარებაში¹.

9.

IX და X კლასი; 16 და 17 წლ. ასაკი

ცნების განვითარების დონე, რომელიც VIII კლასშია მიღწეული, მთელ სასკოლო პერიოდში, მასობრივად (ე. ი. ერთეული მოზარდების მხედველობაში მიღების გარეშე) ცნების განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ჩვენი მასალის მიხედვით VI I კლასის შემდეგ, მასობრივად წინსვლას ადგილი აღარა აქვს. ზედა კლასებს შორის დადასტულებული უმნიშვნელო ცვლილებები ცნების შემუშავების ცალკე მომენტების ერთდამიხედვით ფორმათა მეტ-ნაკლებ გავრცელებაში მდგომარეობს. ეს ცვლილებები გამოიხატება, ჯერ ერთი, მნიშვნელობას მოკლებულ ერთეულებში და, გარდა ამისა, ეს მეტ-ნაკლები გავრცელება ცვალებადობს როგორც მომატების, ისე დაკლების მიმართებითაც (მაგალითად, IX კლასში მთელ რიგ მომენტის მაღალი ფორმა რამდენიმე ერთეულით ნაკლებად არის გავრცელებული ჩვენი ცდის პირებს შორის, ვიდრე VIII კლასის ცდის პირებს შორის. სხვა მომენტების მაღალი ფორმა კი, პირიქით, რამდენიმე ერთეულით უფრო მეტად არის გავრცელებული IX კლასში).

წინსვლა უკანასკნელ ორ კლასში, წინა ეტაპებთან შედარებით, დასტურდება მხოლოდდამხოლოდ უფრო ზუსტ და „ღრმა“ ტერმინოლოგიის გამოყენებით.


¹ ადგილის ეკონომიის მიზნით კონკრეტული მონაცემები ამ საფეხურის შესახებ აქ არ მოგვყავს.

ბაში, აზრის უფრო ზუსტ და ადეკვატურ გაფორმებაში, ვერბალური ფორმების უფრო ადეკვატურ ჩამოყალიბებაში, რის გამო ამ კლასებში (მეტადრე X კლასში) მოცემული ახალ ცნებათა დეფინიციები, სააზროვნო ოპერაციათა დასაბუთება და ქვეცნებათა ზოგად ცნებაში გაერთიანება ცნების უფრო მაღალი ობიექტივაციის, უფრო ღრმა და ადეკვატური გაგების შთაბეჭდილებას სტოვებს.

ბ. ზოგადფსიქოლოგიური დასკვნა

1.

ცნების ექსპერიმენტული შემუშავების თანამედროვე მეთოდების საფუძველზე აგებულ, იმ გავრცელებულ გამოკვლევათა საწინააღმდეგოდ, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში კლასიკურ შრომებად ითვლება და რომლის თანახმად არსებითად ცნების შემუშავების პროცესი, ძირითადად მაინც, მექანიკური ბუნების პროცესზე დაიყვანება, ჩვენი შედეგების მიხედვით ცნების შემუშავების პროცესი ტიპიურს, შინაარსეულად განსაზღვრულს, რთულ ინტელექტუალურ ოპერაციას წარმოადგენს. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა, დასავლეთის მეცნიერებაში კლასიკურად ცნობილმა, შრომებმა დადებითი როლი შეასრულეს ცნების შემუშავების ასოციაციონისტური გაგების მექანიციზმთან ბრძოლაში და ექსპერიმენტულად დასაბუთეს ამ პროცესის პროდუქტიული და არა რეპროდუქტიული ხასიათი (მისი განსაზღვრულობა დასმული ამოცანით და სხვ.), მაგრამ არსებითად ასოციაციონისტური გაგება შეიცვალა, თუმცა სხვა, მაგრამ ისევ, ძირითადად, მექანიკური გაგებით, რომლის თანახმად ცნების შემუშავების ფსიქოლოგიური არსი დაიყვანება დასმული ამოცანით გამოწვეულ დეტერმინაციის ტენდენციის ნიადაგზე, შედარებით მარტივ, ფსიქიკურ ფუნქციათა ამოქმედებაზე, რომელთა შორის გადამწყვეტ როლს ე. წ. „სუქცესიური ყურადღება“ და მისი მეოხებით საგანთა ცალკე თვისებების („ნაწილობრივი შინაარსების“) დაკვირვება (beachten) ასრულებს. ცნების შემუშავებისათვის გადამჭრელი მნიშვნელობის მომენტი—საგნების თვისებათა აბსტრაქცია—ამ გაგების თანახმად მხოლოდ ყურადღების თავისებური მიმართულების შედეგია, ხოლო ყურადღების ეს მიმართულება გარედან არის განსაზღვრული. ერთის სიტყვით, საგანთა კატეგორიის და შემდეგში ცნების „არსებით“ ნიშანთა წვდომა და აბსტრაქცია, არსებითად სხვა ფუნქციათა და არა ინტელექტუალური მოქმედების შედეგს წარმოადგენს—იგი უმთავრესად გარედან მექანიკურად გაპირობებული ყურადღების თავისებური მიმართულების შედეგია. ხოლო რაც შეეხება ტიპურად ინტელექტუალურ აქტს „აზრმდებლობის“ ანუ მნიშვნელობის მინიჭების აქტს (Bedeutungsverleihung), იგი იჩენს თავს მაშინ, როდესაც ცნების შინაარსი არსებითად (ძირითადად მაინც) უკვე შემუშავებულია.



წინამდებარე შრომაში, როგორც დავინახეთ, ცნების ფსიქოლოგიური ბუნების, ამ გავრცელებული გაგების დიამეტრულად საწინააღმდეგო შედეგები გვაქვს მიღებული. ცნების შემუშავების პროცესი, ამ შედეგების მიხედვით დეტერმინაციის ტენდენციის მიერ წინასწარ განსაზღვრული მიმართულებით ყურადღების მოქმედებას კი არ წარმოადგენს, არამედ რთულს, ამოცანის გადაწყვეტის ინტელექტუალურ ოპერაციას წარმოადგენს, რომლის მოქმედება თვით მისი შინაარსით (ობიექტურად გაპირობებულთ, რა თქმა უნდა) არის განსაზღვრული. ცნების შემუშავების მსვლელობა მისთვის გარეგან, მექანიკური ყურადღების მიმართულებით კი არა, არამედ თვით მისი (ამ ინტელექტუალური ოპერაციის) შინაარსეული ბუნებით განისაზღვრება. ცნების შემუშავების პროცესი შემეცნებითი ბუნების პროცესს წარმოადგენს (ამიტომ ცნების შემუშავების ონტოგენეტური განვითარება მოზარდის შემეცნებითი ინტერესის და უნარის განვითარებით არის გაპირობებული). ეს პროცესი მიმართულია მოცემულ „საგანთა ვითარების“ (Sachverhalt) შემეცნებაზე და ამ Sachverhalt-ის ამ საგანთა ობიექტური ბუნების შესატყვისად წარიშართება.

ამიტომ, სანამ მოზარდი არ მიაღწევს შემეცნების ამ დონეს (Sachverhalt-ის ობიექტური არსის წვდომის ტენდენციას და უნარს), იგი ვერ აღწევს ცნების შემუშავებას, თუმცა მას დაუფლებული აქვს ყველა ის ცალკეული ოპერაცია და მომწიფებული აქვს ყველა იმ ელემენტარული „ფუნქციის“ მოქმედების უნარი, რომელიც აღნიშნული ტრადიციული გაგების თანახმად, ცნების შემუშავების არსს წარმოადგენს, — რომ საგანთა ჯგუფისათვის საერთო, თვალსაჩინო თვისებებისთვის ყურადღების მიქცევა და მათი აბსტრაქცია, სკოლის წინარე ასაკში სავსებით მისაწვდომია, თანამედროვე ფსიქოლოგიაში აღარ არის საღაო, ამას უდაოდ ამტკიცებს როგორც აბსტრაქციის ცდების მთელი რიგი (D. Katz, Kuenburg, Eliasberg და მრავალი სხვ.), ისე პროფ. დ. უზნაძის ცნობილი სპეციალური გამოკვლევა ცნებების განვითარების შესახებ. მაგრამ ამ ასაკში ნამდვილი ცნების დაუფლების შესახებ დღეს უკვე ლაპარაკი არ შეიძლება.

საქმე ის არის, რომ ცნების შემუშავების არსს ამ პროცესში (ცნების შემუშავებაში) გამოყენებული ცალკე ფსიქოლოგიური ოპერაციები („ნაწილობრივი შინაარსის“ აღქმა, აბსტრაქცია და სხვ.) კი არ შეადგენენ, არამედ რთული, შემეცნებითი ხასიათის ინტელექტუალური ოპერაცია, რომლის ძირითადი სპეციფიკა საგნის არსის შემეცნებაში და მის ობიექტივაციაში მდგომარეობს.

იმისათვის, რომ სუბიექტმა ცნება შეიძუშაოს, რომ წვდეს საგნის არსს, არ არის საკმარისი გარკვეული მიმართულების მიცემა მის ყურადღებისათვის! არსებითი ნიშნის წვდომა საგნის შემეცნებას გულისხმობს, ე. ი., ვიმეორებ, რთულ ინტელექტუალურ აქტს და არამხოლოდ ყურადღების გარკვეული მიმართულების გამო საგნის „ნაწილობრივი შინაარსის“ აღქმას! ჩვენ ზემოთ გავითვალისწინეთ ის რთული და გრძელი გზა, რომელსაც გაივლის მთელი სასკოლო პერიოდის გასწვრივ საგნის არსის ასახვის ტენდენცია და ამის უნარი, ხოლო „ნაწილობრივი შინაარსის“ (საგნის თვალსაჩინო თვისების) აღქმის და მისი აბსტრაქციის უნარი უკვე სკოლის წინარე ასაკში არის განვითარებული. ჩვენ დავინახეთ ზემოთ, რომ არ-

სებითი ნიშნის გაგება ვითარდება და ამ განვითარებაში ნიშნის წვდომა გაივლის მისი (ნიშნის) გაგების სიღრმის და ადეკვატობის დიდ გრადაციას, დაწყებული სუბიექტურად გარდატეხილი და ზერელე გაგებიდან, და გათავებული საგნებით ადეკვატური ღრმა გაგებით.

2.

წინამდებარე შრომის ძირითად შედეგს ცნებაში საგნის არსის—მისი არსებითი ნიშნის ასახვის ფუნქციის—გათვალისწინება შეადგენს.

ცნების შემუშავების ექსპერიმენტულ-ფსიქოლოგიურ კვლევადობაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დღემდის სრულიად იგნორირებული რჩება ცნების ძირითადი, გნოსეოლოგიურად უღაო, მომენტი—ცნებაში საგნის არსის (არსებითი ნიშნების) ასახვის ფუნქცია და ამის გამო (ამ იგნორაციის გამო) ცნების ფსიქოლოგიური ბუნების ექსპერიმენტული ანალიზისას, რამდენადაც ვიცით, არასოდეს საგნის არსის შემეცნების მომენტი, როგორც ცნების ფსიქოლოგიური შინაარსის მომენტი (ერთერთი მომენტი მაინც) არ აღინიშნებოდა.

წინამდებარე შრომის შედეგების თანახმად კი ცნების შემუშავების ფსიქოლოგიური ბუნების, მისი ფსიქოლოგიური შინაარსის ძირითადს, არსებითს, კონსტიტუტურ მომენტს, საგნის არსის, საგნის არსებითი („აუცილებელი“) ნიშნის, როგორც ასეთის ძიებისა და ასახვის, სპეციფიკური ფსიქოლოგიური პროცესი შეადგენს.

3.

წინამდებარე შრომაში, მიღებული ექსპერიმენტული შედეგების თანახმად, ცნების განზოგადების პროცესი—პროცესი ქვეცნებებიდან მათი შემცველი ზოგადი ცნების შემუშავებისა—ცნების გაღარიბებას კი არა, მის გაღრმავებას (საგნის ასახვის გაღრმავებას) გულისხმობს; ზოგადი ცნება საგნის არსს უფრო ღრმად ასახავს, ვიდრე ქვეცნება, ხოლო ეს გაღრმავება ქვეცნებათა ნიშნების სინთეზირების გზით ხორციელდება: განზოგადების პროცესში, ქვეცნების ნიშნების ჩამოცილება, მათი დაკარგვა კი არ ხდება, არამედ მათი სინთეზირება. ზოგად ცნებაში ქვეცნების ნიშნები შენახულია, ოღონდ შენახულია არა დამოუკიდებლად, არამედ სხვა ქვეცნებების ნიშნებთან სინთეზირებული სახით, ხოლო ეს სინთეზირება საგნის უფრო ღრმა ასახვას წარმოადგენს, მაგალითად, ქვეცნებებში მოზარდი ტრანსპორტის სახეების ცნებებს გებულობს როგორც ცხოველის ძალით მოძრავს („სენსეტი“) და ადამიანის ძალით მოძრავს („კირბონი“), ხოლო ამ ორი ქვეცნების გამაერთიანებელ ზოგად ცნებაში („ვისპეტი“) მოზარდი ქვეცნებათა აღნიშნულ ნიშნებს უკვე ერთი სინთეზირებული ნიშნის სახით გებულობს, რომელიც მისთვის ფსიქოლოგიურად მიუწვდომელი რჩება ქვეცნებებში: „ცოცხალი ძალით“ ან „ცოცხალი არსების ძალით“ მოძრავი საგნების ცნებას იმუშავებს, რაც აღნიშნული ტრანსპორტის სახეების უფრო ღრმა გაგებას, მათი არსის უფრო ღრმა წვდომას წარმოადგენს. ცოცხალი ძალით მოძრავი საგნების ცნებაში შენახულია ორივე ქვეცნების არსებითი ნიშანი (ადამიანის და ცხოვე-

ლის ძალის საშუალებით მოძრაობა), ოღონდ შენახულია უფრო ღრმა გაგების სახით.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ჩვენი ცნების ცნებებს მეორე წყვილის შემთხვევაში: მანქანითა და ბუნების ძალით მოძრავე საგანთა ცნებების გაერთიანება ხდება „უსულო ძალით“ ან „არა ცოცხალი ძალით“ ან „არა ორგანიზმის ძალით“ მოძრავე საგანთა ცნებაში, ხოლო ამ ნიშნის ობიექტივაციას ქვეცნებებში ადგილი არ ჰქონდა.

საგნის უფრო ღრმა გაგება ზოგად ცნებაში, ვიდრე მის ქვეცნებებში, კიდევ უფრო ნათლად ჩანს ჩვენი მე-2 მეთოდის რელატიური ცნებების მუგალითზე: სამი ქვეცნების—ნათესავეების, პირადი ნაცნობობის საფუძველზე დაახლოებულ („დაკავშირებულ“) და უცნობი („არა დაკავშირებული“), მაგრამ ერთად მყოფი ადამიანების ცნებებზე აგებულ ორ ცნებაში სუბიექტი იმუშავებს ადამიანთა შორის „შინაგანი კავშირის“ და მხოლოდ „გარეგანი დაკავშირების“ ცნებებს (იხ. ზემოთ მე-3 ნაწილი), რაც მოცემულ მიმართებათა (ადამიანთა შორის მოცემულ დამოკიდებულებათა) გაცილებით უფრო ღრმა გაგებას წარმოადგენს, ვიდრე ქვეცნებებში მოცემული გაგება.

4.

წინამდებარე შრომაში კიდევ ერთხელ დადასტურდა პროფ. დ. უზნაძის მიერ ექსპერიმენტულად დამტკიცებული და შემდეგ განსაკუთრებით ვიგოტსკის მიერ ხაზგასმული დებულება, ცნების „ფუნქციონალური ეკვივალენტის“ შესახებ, რომლის თანახმად ნამდვილი ლოგიკური ცნების დაუფლება არამხოლოდ მის სწორ პრაქტიკულ გამოყენებას, არამედ მის ობიექტივაციას გულისხმობს, ხოლო განვითარების დაბალ საფეხურებზე, ვიდრე მოხდებოდეს ნამდვილი ლოგიკური ცნების დაუფლება, მის ფუნქციას, ადამიანთა შორის ურთიერთობაში ცნების „ფუნქციონალური ეკვივალენტი“ ასრულებს, ე. ი. „პრაქტიკულად“ სწორად გაგებული, მაგრამ არა ობიექტივაციქმნილი „ცნება“¹.

წინამდებარე შრომაში ეს დებულება სავსებით დადასტურდა: როგორც ზემოდ დავინახეთ, ცნების დაუფლების განვითარება სასკოლო პერიოდის გასწვრივ უმთავრესად, პრაქტიკულად სწორად დაუფლებულ ცნებათა ობიექტივაციის განვითარებაში გამოიხატება.

ცნების შემუშავების ყველა ძირითადი მომენტის პრაქტიკულად სწორი დაუფლება ბევრად უსწრებს წინ ამ მომენტების ობიექტივაციას (კლასიფიკაცია, გონებრივი ოპერაციების შესრულება ახალი ცნებით, ცნებების ტრანსპოზიცია ახალ მასალაზე, ჯერ სპეციფიკური, მერე არსებითი ნიშნის დაუფლება და სხვ.) და ყველა მათგანის ობიექტივაცია გრძელ და რთულ ონტოგენეტურ გზას გავლის მთელი სასკოლო პერიოდის გასწვრივ.

¹ იხ. ზემოთ საკითხის დაყენება.

Р. Натадзе

Генезис образования понятия

(Резюме)

I. В экспериментально-психологических исследованиях понятия совершенно игнорируется основной, конститутивный момент понятия — его познавательная функция.

Вместо исследования отражения в понятии сущности предмета в распространенных методах экспериментального образования понятия, фактически исследуется абстракция общего ряду предметов наглядного признака, что представляет собой существенно иную интеллектуальную операцию, в корне отличную от акта познания сущности предмета, являющегося конститутивным моментом в образовании понятия.

Основной задачей предлагаемого труда является изучение развития именно упомянутой познавательной функции понятия.

II. В экспериментально-психологических исследованиях образования понятия в качестве аксиоматического положения принимается „некритически“ заимствованное из формальной логики известное механистическое положение, согласно которому процесс образования общего понятия и процесс дальнейшего обобщения понятия понимается как простая абстракция (выделение) общих признаков и такое же простое исключение остальных (различных) признаков, в результате чего процесс обобщения понимается, как процесс „обеднения“ содержания понятия: чем более общее понятие, тем беднее его содержание.

Критика этого положения со стороны марксистской теории познания и выставленное ею противоположное положение относительно углубления (а не обеднения) понятия в процессе его обобщения („Все научные... понятия отражают природу глубже, вернее, полнее“ — Ленин), не нашли отражения в экспериментально-психологических исследованиях. Мы не знаем ни одной

попытки экспериментального пересмотра упомянутого формально логического положения.

Предлагаемое исследование ставит себе целью экспериментальный пересмотр упомянутого формально логического положения в контексте онтогенетического развития понятия.

III. Современные экспериментальные методы исследования понятия делятся на две полярные группы односторонних методов: с одной стороны — методы образования экспериментальных, искусственных понятий, с другой — методы исследования повседневных, реальных понятий.

Исходя из полярных односторонностей распространенных экспериментальных методов изучения образования понятий, мы пытаемся составить новый метод исследования понятия, который строится на принципе синтеза упомянутых противоположных методов: основной задачей предлагаемого метода является образование в процессе эксперимента нового для субъекта, но реального понятия, т. е. задача сводится к исследованию процесса становления реального понятия.

IV. Наш метод строится наряду с вышеупомянутым исходным принципом (принцип выработки нового, но реального понятия) на следующих основаниях, отличающих его от распространенных методов экспериментального образования понятия.

1. Признаки экспериментально вырабатываемых понятий являются относительными, не наглядными свойствами.

2. Метод дает возможность исследовать овладение системой понятий, т. е. овладение основными видами логической зависимости между видовыми и родовыми понятиями.

3. Метод дает возможность исследовать процесс образования не только „непосредственных“, но и „опосредственных“ понятий (понятий, образованных на основе других понятий) и таким путем осветить психологическую природу реального процесса обобщения понятий.

4. Путем введения специального варианта (В вариант), метод дает возможность рассмотрения вербального пути образования понятия (путь „сверху вниз“).

5. Дополнительный метод (исследование овладения понятием „человек“) дает возможность специально проследить развитие познавательной функции понятия в смысле схватывания в понятии сущности предмета.

V. Согласно экспериментальным результатам предлагаемого труда, процесс образования понятия является процессом познавательного характера: основным конститутивным моментом психо-



логической природы образования понятия является специфический процесс искания и отражения в понятии сущности — существенного признака — предмета. В развитии этого процесса отражения в понятии сущности предмета в течение школьного периода экспериментально устанавливается 14 ступеней.

VI. Согласно полученным экспериментальным данным, процесс обобщения понятия — процесс образования общего понятия на основе видовых, узких понятий представляет собой процесс не обеднения, а углубления понятия: общее понятие глубже отражает сущность предмета, чем видовое понятие.

А это углубление общего понятия достигается путем синтеза видовых признаков в родовом понятии: в процессе обобщения происходит не отбрасывание дифференцированных признаков видовых понятий, а синтезирование их, так что эти признаки видовых понятий сохраняются в родовом понятии, но сохраняются в синтезированном, общем виде. В развитии обобщения видовых понятий в течение школьного периода предлагаемое исследование экспериментально устанавливает 14 ступеней.

VII. В течение школьного периода в развитии понятийного мышления выявляются два кардинальных перелома, два резких, скачкообразных сдвига: один — на ступени IV, а другой на ступени VII класса.

VIII. На исходной ступени школьного возраста (подготовительный класс — 7 л. возраст) ребенок хотя практически понятием владеет, но „понятие“ это пока лишено той познавательной функции истинного понятия, которое заключается в отражении общей сущности предмета. „Понятие“ ребенка пока является непосредственным, зачастую субъективным, отражением предмета. Ребенок еще не достиг „сознания признака“; при объективации понятия ребенок не становится на точку зрения признаков даже тогда, когда хорошо знаком со специфическими признаками данного предмета.

На этой ступени развития ребенок еще не овладевает логической зависимостью между понятиями; логическая зависимость фактически подменяется эмпирической.

На этой ступени ребенку недоступен также чисто вербальный путь образования понятия.

IX. К ступени IV класса развитие познавательной функции понятия достигает уже следующего уровня: на этой ступени достигнуто уже начало объективации существенного признака понятия и всеобщее распространение объективации специфического признака понятия.

Одним из основных достижений на этой ступени является интенсивное развитие вербального мышления: тут впервые достигается овладение понятием, данным только в вербальном контексте дефиниции, вне наглядного, конкретного материала.

IV класс является также первой ступенью овладения действительно логической, формальной зависимостью между понятиями одной системы.

Значительным достижением на этой ступени является развитие обобщающего мышления и, в частности, способности синтезирования признаков видовых понятий в общем родовом понятии, хотя это синтезирование пока еще носит не спонтанный характер.

Главной слабостью понятийного мышления на этой ступени является не полное еще овладение функцией существенного признака понятия („перекрещивающаяся“ классификация и т. д.); сравнительно слабо развитая способность синтезирования видовых понятий при их обобщении (не спонтанный характер этого синтезирования и „сложение“ вместо синтезирования в отношении гетерогенных понятий) и малая доступность признаков относительных понятий.

X. К ступени VII класса достигается, в основном, последний для школьного периода этап в развитии понятийного мышления. На этой ступени подростки во время эксперимента вырабатывают как конкретные, так и относительные понятия и вполне овладевают формальной зависимостью между понятиями („системой“ понятий), независимо от того, каким путем происходит образование этих понятий: вырабатываются ли они из наглядного материала или получают вербальным путем дефиниций — „сверху“, вне конкретного материала.

На этой ступени достигается высокий уровень объективации значения существенного признака и спонтанная тенденция объективации и обоснования вообще мыслительных операций и их обоснования.

На этой ступени овладение вербальным путем образования понятий и понимания формальной зависимости между понятиями (система понятий) достигает уже всеобщего распространения.

На этой ступени уже широко распространено спонтанное синтезирование видовых понятий в содержании родового понятия (при их обобщении) и объективация обобщающего значения синтезированных, обобщенных признаков по отношению к частным признакам.

Эксперимент был проведен в г. Тбилиси в 1934/5 уч. году.

ბ. ხაჭავაძე

განწყობის ცნების ფაზური მოქმედების თეორიისათვის

განწყობის ცნების რაგინდ განსხვავებულ გაგებასთან არ უნდა გვქონდეს საქმე, ერთი რამ სრულიად უეჭველია: ამ ცნების ძირითად მომენტს, პიროვნებაში გამოწვეულ ცვლილებათა შემდეგ, მოქმედების აქტუალობა წარმოადგენს, ე. ი. ის უეჭველი ფაქტი, რომ პიროვნების მიერ განცდილი ცვლილებანი უზოუკვლოდ არ იკარგება და მომდევნო ფსიქიკური აქტების შესრულებისას ამათუიმ სახით მჟღავნდება. მაგ., ცდის პირს სათანადო წრეების მრავალჯერ მიწოდებით თუ განწყობას შეეუქმნით, ისე რომ მასალის ყოველი ჩვენებისას დიდი წრე მარცხნივ და პატარა მარჯვნივ, და შემდეგ, მისთვის მოულოდნელად, ტოლ წრეებს მიეწოდებთ, მას დიდად მოეჩვენება წრე იქ, სადაც ადრე პატარა იყო.¹ საინტერესოა იმის გაგება, თუ როგორი წესზომიერებით ხდება სუბიექტის განთავსუფლება ამ ჩვენს მიერ შექმნილი განწყობისაგან. ამ მიზნით წარმოებულმა კვლევაძიებამ გამოამჟღავნა განწყობათა ურთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი². სახელდობრ, გამოირკვა: მრავალჯერ მიწოდებულ ტოლ წრეების შეფასებისას, ცდის პირები პირველ ხანებში თანმიყოლებით სულ მცდარ პასუხებს იძლევიან კონტრასტული ილუზიის სახით, ე. ი. თანმიყოლებით იმ მხარეს ხელავენ დიდ წრეს, სადაც პატარა იყო. ამას ჩვენ განწყობის მოქმედების პირველი ფაზა ვუწოდეთ. ამის შემდეგ ცდის პირთა პასუხებში ცვალებადობა იწყება: ხან მცდარ პასუხებს იძლევიან, ხან სწორს (რაც განწყობის მოქმედების მეორე ფაზას წარმოადგენს). თუ კიდევ ვაგრძელებთ ცდებს, ცდის პირები ახერხებენ თანმიყოლებით ტოლი წრეების მრავალჯერ სწორად აღქმას (მესამე ფაზა) და ამით სრულდება განწყობათა ურთიერთშეცვლის დინამიკური პროცესი.

ამავე კვლევაძიების პროცესში გამოირკვა, რომ სხვადასხვა სუბიექტში მეორე ფაზა მოქმედების სხვადასხვაგვარ სურათს იძლევა. როგორც ვთქვით, განწყობის მოქმედების ამ ფაზაში ცდის პირის პასუხი ცვალებადობას იწყებს

¹ Д. Н. Узнадзе, „К вопросу об основном законе смены установок“, журн. „Психология“, т. III, 1930.

² იხ. საქ.-საფსიქოლოგო საზოგადოების შრომები „მასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის“. ბ. ზაქაპურიძე, „განწყობათა ურთიერთშეცვლის ფაზური ხასიათი“.

და ძირითადად თავს იჩენს ორგვარი აღქმის ტენდენცია: ადეკვატური და ინადეკვატური აღქმების სახით. ინადეკვატური აღქმა შეიძლება იყოს განწყობის როგორც „ასიმილატური“, ისე კონტრასტული მოქმედების შედეგი. ამასთან დაკავშირებულია მეორე ფაზისათვის დამახასიათებელი მეორე თავისებურობა, რომელიც მრავალგვარი აღქმის ტენდენციათა ურთიერთ მონაცვლეობაში იჩენს თავს და რხევის ეფექტს ჰქმნის, თითქოს თითოეული მათგანი მოკლებული იყოს მყარ მოქმედების ძალას, ამ ტენდენციათა შორის თითქოს ბრძოლა იმართება, რომელშიც დაპირისპირებულია ან ადეკვატური აღქმის ტენდენცია და კონტრასტულად მომქმედი განწყობა (პეტერო-ბიპლექსური რხევა), ან განწყობის „ასიმილატური“ და კონტრასტული მოქმედება (პოლარულ-ბიპლექსური რხევა), ან ადეკვატური აღქმისა და განწყობის „ასიმილატური“ და კონტრასტული მოქმედებანი (ტრიპლექსური რხევა).

თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, თუ როგორ მთავრდება ცდების მიმდინარეობის პროცესი, მაშინ თითოეულს ზემოჩამოთვლილს განწყობის მოქმედების სქემას მეორე ფაზაში ორნაირი სახეობა აღმოაჩნდება: სასრულიანი, როცა რხევის პროცესი სრულდება შედარებით მყარი მდგომარეობის ანუ ადეკვატური აღქმის მიღწევით, და უსასრულო რხევითი მოქმედება, როცა ასეთი რამ მიუღწეველი რჩება და დაუთავებლად გრძელდება პასუხების ურთიერთ მონაცვლეობა. განწყობის მოქმედების თითოეულ ნაირსახეობაში ტიპიურია სასრულიანი პეტერო-ბიპლექსური რხევა (47,9%), ხოლო დანარჩენი ნაირსახეობანი მცირე რაოდენობით გვხვდება: უსასრულო პეტერო-ბიპლექსური რხევა (13%), სასრულიანი და უსასრულო ტრიპლექსური რხევა (13%), პოლარულ-ბიპლექსური რხევა (9%). სიხშირე გამომანგარიშებულია იმ ცდის პირთა რაოდენობიდან, რომელთაც მე-ფაზა აქვთ.

როგორ უნდა გავიგოთ განწყობის დინამიკის ანუ განწყობათა ურთიერთშეცვლის პროცესის ეს თავისებურობანი? განწყობის ფაზური მოქმედების სისტემატურ თეორიაზე ლაპარაკი მეტად ნადრევი იქნება. აქ ჩვენ გვინდა მხოლოდ ზოგიერთი მომენტის გაგებაზე შევჩერდეთ.

უქვეელია, რომ მისი გაგება პიროვნების თავისებურობასთან დაკავშირების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ მარტოოდენ პიროვნებაზე მითითება საკმარისი არ არის იქ, სადაც საჭირო ხდება ფაქტის წარმომშობ კონკრეტულ მექანიზმის ჩვენება. ეს შეუძლებელი გახდება, თუ პიროვნება მის მიმართებაში გარე სინამდვილისადმი გაგებული არ იქნა დიალექტიკურად და არა როგორც უცვლელი კატეგორია და თავისთავთან აბსტრაქტული იგივეობა.

ფ. ენგელსი ამბობს: „ორგანულს ბუნებაში აგრეთვე გამოუსადეგარია აბსტრაქტული იგივეობა. $a = a...$ მცენარე, ცხოველი, ყოველი უჯრედი თავისი სიცოცხლის ყოველს მომენტში იგივეობასაც წარმოადგენს თავისთავთან და ამავე დროს განსხვავდება კიდევ თავისთავისაგან... ნივთიერებათა შეთვისება-გამოყოფის, სუნთქვის ცირკულაციისა, უჯრედთა წარმოქმნისა და კვდომის პროცესების, ერთის სიტყვით, უწყვეტელ მოღვეულარული ცვლილებების გამო, რომელნიც შეადგენენ სიცოცხლეს“... „რაც უფრო ვითარდება ფიზიოლოგია... მით მეტი მნიშვნელობისად იქცევა მისთვის განსხვავების განხილვა იგივეობის

შიგნით. იგივეობის ძველი აბსტრაქტული ფორმალური თვალსაზრისი, რომლის თანახმად ორგანული არსება განიხილება როგორც მუდმივი უბრალო იგივეობა თავისთავთან, მოძველებული ხდება“ (ფ. ენგელსი, Дialeктика природы, გვ. 8, პარტავომოცემლობა, 1936 წ.).

რასაკვირველია, ყოველივე ის, რაც ამ შემთხვევაში ორგანულ არსთა და ფიზიოლოგიის შესახებ ფ. ენგელსის მიერ იყო თქმული, პრინციპული მნიშვნელობისაა ფსიქოლოგიისათვისაც.

„ადამიანები, ანვითარებენ რა თავის წარმოებას, თავის მატერიალურს ურთიერთობას (общение), სცვლიან მოცემულ სინამდვილესთან ერთად აგრეთვე თავის აზროვნებას და თავისი აზროვნების პროდუქტებსაც“ (მარქსი და ენგელსი, Новая немецкая идеология, გვ. 17.).

ცვლილებები, რომლებსაც ადგილი აქვთ მოქმედების პროცესში, ერთის მხრივ, ორგანიზმში და, მეორის მხრივ, ბუნებაში, არ წარმოადგენენ თითოეულ ვიწროდ შემოფარგლულ ლოკალურ პროცესებს, ვინაიდან „ბუნებაში არაფერი არ ხდება სრულიად გამოცალკევებულად (изолированно), ყოველი მოვლენა გავლენას ახდენს სხვაზე და პირიქით“ (ბუნების დიალექტიკა, გვ. 56).

განწყობის ფაზური მოქმედების ფაქტების გასაგებად, დიალექტიკური ურთიერთმოქმედების თვალსაზრისის გადამწყვეტი როლი ენიჭება. რომ ნათელი იყოს, თუ რას ხდის ამ თვალსაზრისზე დგომა გასაგებად, უნდა გავიხსენოთ განწყობის ფაზურ დინამიკაში დადასტურებული ფაქტები, რომელნიც ახსნას მოითხოვენ. განწყობის შეცვლის მიმდინარეობის ტიპური სქემა, რომელშიც წარმოდგენილია 1-ლი ფაზა, მეორე ფაზა ჰეტერო-ბიპლექსური რხევით და მე-3 ფაზა სავსებით ბუნებრივად ჩანს. ძნელად გასაგებია მეორე ფაზის პოლარულ-ბიპლექსური და ტრიპლექსური რხევის შემთხვევები (იხ. სქ. №№ 3—4 კრებულში მასალების განწ. ფსიქ., გვ. 181). ამიტომ ჩვენი მთელი გულისყური მათი გავებისაკენ წარიმართება.

მაშ, საგანწყობო ცდებში ობიექტი მოქმედებს ორგანიზმზე. ცალკეული ზემოქმედების ეფექტი ფიზიოლოგიურ რაოდენობრივ ცვლილებიდან განსაზღვრულ საფეხურზე რომელობით ცვლილებაში გადადის და მაშინ იგი პიროვნების მოდიფიკაციად გვევლინება (პროფ. დ. უზნაძე), ე. ი. ჩნდება გარკვეული სახის განწყობა.

სუბიექტის ეს ცვლილება (რამდენადაც აქტიურ სუბიექტთან გვაქვს საქმე) კრიტიკულ ობიექტთან მიმართებაში თავს იჩენს იმით, რომ ამ უკანასკნელს (ობიექტის აღქმას) სახეს უცვლის გარკვეული მიმართულებით და ახლა სუბიექტი მას შეცვლილის სახით აღიქვამს (ჩნდება ამათუიმ ხანიერების კონტრასტული ილუზია). ხელოვნური იქნებოდა ჩვენს შემთხვევაში სუბიექტსა და ობიექტს შორის გაშლილი დიალექტიკური ურთიერთმოქმედების პროცესის ამით დასრულება. გზადაგზა, რაკი ობიექტის ზემოქმედება გაგრძელდება, იგი კვლავ მოახერხებს სუბიექტის შეცვლას და ადეკვატური აღქმის შესატყვის განწყობის განვითარებას. ამნაირად იშლება განწყობის ფაზური დინამიკის ის სურათი, რომელიც წარმოდგენილია განწყობათა შეცვლის ტიპურ სქემაში (1-ლი ფაზა, მე-2 ფაზა ჰეტერო-ბიპლექსური რხევით და მე-3 ფაზა).



იბადება კითხვა: რატომ ყოველთვის ამ ტიპით არ ვხვდებით რეობს განწყობის ლიკვიდაციის პროცესი და მე-2 ფაზაში ადგილი აქვს მნიშვნელოვან გადახვევებს, პოლარულ-ბიპლექსური და ტრიბლექსური რხევების სახით (ზოგჯერ უსასრულოდაც)?

ჩვენ განზრახ მხედველობიდან გაფუშვით ერთი ფრიად მნიშვნელოვანი მომენტი, რითაც განწყობის შეცვლის ტიპით სქემის გაგება გავიადვილეთ, სახელდობრ: ილუზურ ალქმაში განცილიც (განწყობის პროდუქტი) სუბიექტს როგორც გასაგნებულ სინამდვილე ეჩვენება. ფსიქოლოგიურად (ე. ი. უშუალო განცდის თვალსაზრისით) ილუზურ ალქმებსა (ჩვენს შემთხვევაში) და ადეკვატურ ალქმებს შორის პრინციპული განსხვავება არ არის. სუბიექტს ორივე შემთხვევაში აქვს იმის განცდა, რომ მას ობიექტურ რეალობასთან აქვს საქმე-მაშასადამე, ხელოვნური იქნება ასეთი ჩივის ალქმებისას უარი ვთქვათ იმაზე, რაც პირველ შემთხვევაში დავაკანონეთ (და ექსპერიმენტულ განწყობათა შექმნას დავუდევით საფუძვლად), სახელდობრ: ფაქტია, რომ ობიექტის სისტემატური შემოქმედება ცვლის სუბიექტს და აჩენს განწყობას. მაშასადამე, სუბიექტის და ობიექტის დიალექტიკური ურთიერთმოქმედების ხაზი უნდა გაგრძელდეს. „ილუზური“ ალქმები შესაძლებელია ისე მოქმედებდნენ, რომ ცვლიდნენ სუბიექტს და ფენომენოლოგიურად მოცემული განცდის შესატყვისს განწყობას ანვითარებდნენ, რომელნიც „ასიმილატურად ან კონტრასტულად“ იმოქმედებენ, და როცა კრიტიკულ ცდათა სისტემატური მოქმედებით პიროვნების ცვლილებაში ახალ ეტაპს ექნება ადგილი, ალქმის სურათი კვლავ შეიცვლება. მაგ., განწყობის შექმნის შემდეგ ცდის პირს 5-ჯერ ეჩვენება წრე დიდად მარჯვნივ: იმის გამო, რომ ამდენჯერ ჰქონდა ადგილი ასეთ ილუზურ ალქმას, ცდის პირში შეიქმნება განწყობა „დიდა მარჯვნივ“ და ეს უკანასკნელად შექმნილი განწყობა თუ მომდევნო ალქმებში კონტრასტულად იმოქმედებს, ამიერიდან ცდის პირი მარცხნივ დაინახავს დიდს. თუ ეს რამდენიმეჯერ გამეორდა, კვლავ შეიცვლება განწყობის მოქმედების ხასიათი, მაგრამ რა მიმართულებით? ამის გათვალისწინების დროს არ უნდა დავივიწყოთ პიროვნება, როგორც კონკრეტულ-ისტორიული ფაქტი.

სუბიექტი ჩვენს წინაშე დგას არა როგორც „სუფთა დაფა“ (tabula rasa), არამედ განვლილ ისტორიით (ონტო და ფილოგენეზში) როგორც ამათუიმ მხრივ მოდიფიცირებული არსი. იგი არამარტო ჩვენს მიერ შექმნილი ექსპერიმენტული განწყობის მატარებელია, მას რალაც ბუნებრივი ინდივიდუალური შესაძლებლობანი და თავისებურობანიც ახასიათებს და „როდესაც ინდივიდის შესაძლებლობის ან მიდრეკილების (задатки) ნამდვილ განვითარებისათვის აღმძვრელს გარესამყაროს შემოქმედებას“ (მარქსი და ენგელსი, Новая немецкая идеология, პარტ. გამომ., 1935., გვ. 272) აქვს ადგილი, მისი (ე. ი. განწყობის შეცვლის) მიმართულების გათვალისწინების დროს ეს ბუნებრივი შესაძლებლობა და ტენდენციები არ უნდა დავივიწყოთ. ამ ტენდენციების გასათვალისწინებლად ზოგი რამ უნდა გავისწინოთ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ცდის პირები საკონტროლო ანუ ტოლ სიდიდეთა შედარების ცდებში რამდენიმეჯერ ტენდენციას ამჟღავნებენ: ადეკვატური ალქმის ტენდენცია (ობიექტურ

არეში 32,5% სიხშირით, ჰაბტურ სფეროში 21%), ძირითადად ადეკვატური აღქმის დომინანტობა (ობტიკურ არეში 20%), მარჯვნივ გადაფასების ტენდენცია (ობტიკურ არეში 10%, ჰაბტურში 25%), მარცხნივ გადაფასების ტენდენცია (ობტიკურ არეში 20%, ჰაბტურში 54%).

ეს არის ის ბუნებრივი მიდრეკილება, რომელიც თან მოაქვს სუბიექტს ამათუიმ სახის ხელოვნური განწყობის შემუშავებამდე. შეუძლებელია იმის თქმა, რომ ასეთი ბუნებრივი მიდრეკილებანი განწყობის დინამიკის ზემოთ გათვალისწინებულ სახეებში ბოლომდე ნეიტრალური რჩება. უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი გამოეხმაურებიან ადეკვატური და ინადექტვატური აღქმების ზემოქმედებას.

ეს ბუნებრივი ტენდენციები შეიძლება აძლიერებდნენ ხელოვნურად შექმნილ განწყობის კონტრასტულ მოქმედებას ანუ ასუსტებდნენ მას, თუ ტენდენციები არ ემთხვევა ერთმანეთს (ე. ი. ბუნებრივი მიდრეკილება მარჯვნივ გადაფასება და განწყობის კონტრასტული მოქმედების ეფექტმა მარცხნივ უნდა მოაჩვენოს დიდი წრე).

არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობაც, რომ ექსპერიმენტულად შექმნილი განწყობის დასუსტებისას ლატენტურ მდგომარეობაში გადასული სუბიექტის წინარე ექსპერიმენტული მიდრეკილებანი თავისი პირვანდელი სახით მქლავნდებოდნენ.

ამრიგად, მეორე ფაზაში ბიპლექსური და ტრიპლექსური რხევის წარმომშობ საფუძველს ან ილუზური აღქმის განმაწყობელი მოქმედება წარმოადგენს, ანდა ეს მოვლენები ხელოვნურად შექმნილი განწყობის დასუსტების ფონზე აქტივირებულს წინარე ექსპერიმენტულ ტენდენციების გამოვლენას წარმოადგენენ.

რა შემთხვევაშია შესაძლებელი პირველი მოსაზრება? 1) თუ ილუზურ აღქმებში წრეთა სხვაობა იმდენად თვალსაჩინოდ დიდია, რომ საკმარისია უტოლობის განწყობის შესაქმნელად (როგორც ვიცით, 1—2—3 მ/მ. სხვაობის შემცველი განმაწყობელი წრეები სხვადასხვანაირ ეფექტს იძლევიან) და 2) თუ ის რაოდენობა საგანწყობო ცდებისა, რომლის შემდეგ რხევები ჩნდებოდა (2 და მეტი ექსპოზიცია), საკმარისია განწყობის შესაქმნელად.

როგორც განწყობის ილუზიის გაზომვის საგანგებო ცდებით დასტურდებოდა, კონტრასტულად მოქმედ განწყობას ძალუძს დაჰფაროს წრეთა შორის სხვაობა ერთი, ორი, სამი, ოთხი მილიმეტრის სიდიდის ფარგლებში. მართალია, 3—4 მ/მ. სხვაობის დაფარვას ცდის პირთა მცირე რაოდენობა ახერხებს, მაშასადამე, შესაძლებელია ვივულისხმოთ, რომ ამ მხრივ დაბრკოლება არ არის.

რაც შეეხება მეორე პირობას, გამეორებათა მნიშვნელობის სპეციალური შესწავლაც გვარწმუნებს, რომ 1—2 განმაწყობელი ექსპოზიცია პირველ ფაზიან განწყობის შემუშავებისათვის თუმცა საზოგადოდ საკმარისი არ არის და მხოლოდ 4 განმაწყობელი ექსპოზიცია იძლევა ასეთ ეფექტს¹ ცდის პირთა 29%-ში,

¹ ამის შესახებ მოვასწავებდი საქ. საფსიქოლოგია სახ-ბას ჯერ 1934 წელს და შემდეგ 1937 წ. დეკემბერში წაკითხულ მოხსენებაში: „განწყობის შემუშავებისა და გამოვლენის პირობები“.

მიუხედავად ამისა, ილუზური აღქმის შემთხვევებს ეს რაოდენობაც მნიშვნელოვნად ზრდის. მაშასადამე, ილუზური აღქმისათვის საგანმაწყობლო მოქმედების მინიჭება არც ამ მხრივ ელოდება დაბრკოლებას, სამაგიეროდ სხვა სიძნელე რჩება ასეთი მოსაზრების წინაშე, სახელდობრ:

1. მაშინ, რატომ არის, რომ პოლარულ-ბიპლექსური და ტრიპლექსური რხევები მხოლოდ 27% ცდის პირებში იჩენენ თავს და სხვებში არა, როცა ცდის პირთა 79%-ს პირველი ფაზიანი განწყობა აქვთ?

2. გარდა იმისა, რომ ცდის პირთა დიდ რაოდენობას უნდა ახასიათებდეს ამ სახის რხევები, ისინი ვერასოდეს ვერ უნდა ახერხებდნენ კრიტიკული წრეების ადეკვატურ აღქმასაც.

პირველ სიძნელეს გვერდი ევლება იმით, რომ ის შეიძლება ტიპოლოგიურ თავისებურობად ჩაითვალოს. როგორც უკვე ვთქვით, 3—4 მ/მ. გადიდება ერთ-ერთი წრისა (ტოლთავან), რაც საჭიროა კონტრასტულად მომქმედ განწყობის შესაქმნელად, ყველა ცდის პირთ კი არ ახასიათებს, არამედ ზოგიერთს და შესაძლებელია თავისებურ რხევადი განწყობის მქონე სუბიექტებს სწორედ ასეთი მძლავრი (წრეთა გადიდების მხრივ) ილუზიის მომცემი სუბიექტები წარმოადგენენ.

მეორე მოსაზრების შესახებ კი შემდეგი უნდა აღინიშნოს. მართალია, ილუზურ აღქმებში პირველ ფაზაში ცდის პირები ერთერთ წრეთავანს მუდმივად ერთ მხარეს აღიქვამენ დიდად, მაგრამ ამ შემთხვევაში წრეების „სიდიდეთა სხვაობა“ მუდამ ერთდღივად ოდენობად როდი რჩება: ცდის პირები აღნიშნავენ „შედარებით დიდი აქეთა, მაგრამ მოიკლო, დაპატარავდა“-ო შემდეგ მომდევნო ექსპოზიციებში იგივე ცდის პირი ისევ აღნიშნავს „ვაი, ისევ გაიზარდა“-ო.

ახლა ამას თუ შევადარებთ ჩვეულებრივ საგანწყობო მასალით განწყობის შემუშავების ცდებს, ვნახავთ, რომ ამ შემთხვევაში წრეთა სხვაობაში მეტი კონსტანტობაა ცდის პირის განცდის თვალსაზრისითაც და ობიექტურად ხომ სულ კონსტანტურია ეს მიმართება. ცხადია, რომ ორივე შემთხვევაში მთლად ერთნაირი დინამიკის განწყობა არ უნდა იქმნებოდეს. პირველ შემთხვევაში უფრო დინამიკური ბუნების განწყობის შექმნასთან უნდა გვეკონდეს საქმე, რომელიც ადვილად უთმობს ადგილს სხვა განწყობას—„ობიექტის შესატყვისს“. მართლაც, ამ მიმართულებით სპეციალურად დაყენებული ცდების შედეგები ჩვენი მოსაზრების სისწორეს ადასტურებენ. ირკვევა, რომ თუ ცდის პირებს განწყობა ისეთი საგანწყობო მასალით შეეუქმნეთ, რომელშიც განმაწყობელ სიდიდეთა სხვაობის ცვალებადობას აქვს ადგილი¹, მაშინ ფაზური დინამიკა იცვლება. ცდის პირთა 100%-ტი აღწევს მესამე ფაზას და, რაც მთავარია, როგორც წესი, პირდაპირ გადადიან 1-ლი ფაზიდან მე-3-ზე.

¹ ე. ი. განმაწყობელ წრეების სიდიდეთა სხვაობა ცვალებადობდა ისე, როგორც, მაგალითად, 5 კაპ. და 1 კაპ-ნს, 5—3 კაპ., 5—2 კაპ-ნს შორის. ასეთი მიმართების მქონე წრეები ასეთივე თანრიგით 5-ჯერ მეორდებოდა (ე. ი. 15 ექსპოზიცია).

ეს გარემოება სავსებით გასაგებად უნდა ხდიდეს იმას, თუ როგორაა პრინციპულად შესაძლებელი, ილუზიის განმაწყობელი მოქმედების მიუხედავად, ადეკვატურ აღქმაზე გადასვლა და ილუზიიდან განთავისუფლება.

აქამდე ჩვენ მხოლოდ ილუზიის განმაწყობელ მოქმედების პრინციპულ შესაძლებლობის ზოგიერთი პირობის განხილვაზე შეეჩერდით. ხომ არაა შესაძლებელი ჩვენი მოსაზრების ექსპერიმენტული შემოწმება?

განწყობათა კონფლიქტის ექსპერიმენტული გენეზისი

ჩვენი შეხედულების მიხედვით, განწყობის ფაზურ დინამიკას საფუძვლად უდევს სუბიექტისა და ობიექტის დიალექტიკური ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენებულ ან აქტივირებულ განწყობათა კონფლიქტი.

ამ მოკონფლიქტო განწყობებს შეიძლება ჩვენს მიერ ექსპერიმენტულად შექმნილი განწყობა და ნამდვილი ობიექტის სისტემატური ზემოქმედებით აქტივირებული ადეკვატური აღქმის განწყობა წარმოდგენდეს ანდა შესაძლოა ექსპერიმენტულად შექმნილი და ილუზიურის აღქმებით პროდუცირებული განწყობა, რომელშიც მეტნაკლებ როლს სუბიექტის წინარეექსპერიმენტული ტენდენციებიც თამაშობენ. პირველ შემთხვევაში ვიღებთ ფაზური დინამიკის ტიპურ სქემას (1-ლი ფაზა, მე-2 ფაზა, ჰეტერო-ბიპლექსურ რხევით და მე-3 ფაზა). მეორე შემთხვევაში კი ბიპლექსურ, პოლარულ-ბიპლექსურ და ტრიპლექსურ რხევებს შემცველ მეორე ფაზას ყველა შესაძლო ქვესახეებით.

ამ ძირითადი მოსაზრების შემოწმება რამდენიმე სპეციალური ექსპერიმენტით მოხდა.

1. ც. პირებს საგანწყობო ცდების პერიოდში ვუქმნით ორ სხვადასხვა სახის განწყობას: 15-ჯერ ტოლი წრე ეძლევა და ც. პირი ბიძგით ტენდირებულია იქითკენ, რომ ტოლობა აღიქვას. ამით ჩვენ ვქმნით ტოლობის აღქმის განწყობას. ოშოლოდ ამის მომდევნო მეორე წყობა საგანწყობო ცდებში იმავე სუბიექტს დიდი და პატარა წრეების 15-ჯერ მიწოდებით ვუქმნით უტოლობის განწყობას. ამის შემდეგ წარმოებს კრიტიკული ცდები. ცდები დაყენებულია 13 სუბიექტზე.

შედეგები: ა) კრიტიკულს ცდებში ადეკვატური აღქმების რიგს იძლევა ც. პირთა 54%-ტი; ბ) სუსტ კონტრასტულ მოქმედებას იძლევა (II ფაზის ჰეტერო-ბიპლექსური ტიპი) 30,7%-ი; გ) მტკიცე კონტრასტული (I ფაზა) ილუზია მხოლოდ ც. პირთა 15,3%-ტს აქვს.

(ალკე პასუხთა განაწილებაში: ა) ადეკვატური აღქმები წარმოდგენილია 54%-ით, ბ) კონტრასტული ილუზია წარმოდგენილია 32%, გ) „ასიმეტრიული“—14%-ით, ორივესი ერთად 46%.

ამ ცდების შედეგები ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას. როგორც ვხედავთ, ორგვარი სახის (ტოლობა-უტოლობის) საგანწყობო ზემოქმედებას კრიტიკულს ცდებში შედეგად მოჰყვა ორივე ამ სახის პასუხთა დაახლოებით თანასწორი რაოდენობით გამოვლინება (54—46%).



არ უნდა დაგვაფიქროს იმ გარემოებამ, რომ ტოლობის აღქმის ცილა უფრო მძლავრია არამარტო ცალკე პასუხთა სიხშირით, არამედ ფაზური დინამიკის თვალსაზრისითაც. ეს გასაგები იქნება, თუ გავიხსენებთ, რომ წინარე ექსპერიმენტულ ტენდენციებში ადეკვატური აღქმა გაცილებით დიდ სიხშირითაა, რის გამო ტოლობის საგანწყობო ზეგავლენები უფრო ეფექტური ხდებიან.

2. წინა ცლაში კონფლიქტი გამოვიწვიეთ ტოლობის და უტოლობის განწყობებს შორის. რა მოხდება მაშინ, კონფლიქტის გამოწვევის მიზნით ანტაგონისტურად მიმართული მეტაკლები სიძლიერის უტოლობის განწყობანი რომ შევიმუშაოთ?

ამის ნათელსაყოფად ცდები დაყენებულია შემდეგნაირად: ც. პირებს 4—5 დღის განმავლობაში ვიმუშავეთ უტოლობის განწყობას ყოველდღიურად 15 საგანწყობო ცდით. შემდეგ სისტემატური კრიტიკული ცდებით ვამოწმებთ, თუ როგორი სახით მოქმედებს მათში ჩვენს მიერ შექმნილი განწყობა. ამის შემდეგ უშუალოდ ც. პირში ვიმუშავეთ ანტაგონისტურ განწყობას, ე. ი. 4—5 დღის განმავლობაში თუ ვიმუშავეთ იყო კონტრასტულად მომქმედი განწყობა „დიდია მარჯვნივ“ მისი ანტაგონისტური განწყობის გამოწვევისათვის, 15 საგანწყობო ცდით ვიმუშავეთ განწყობას „დიდია მარცხნივ“ და უშუალოდ ამის შემდეგ ვაყენებთ კრიტიკულ ცდებს. შედეგები უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა¹ (არამარტო ამ პრობლემებისათვის, სხვა მხრივაც).

შ ე დ ე გ ე ბ ი :

უკანასკნელ საგანწყობო ზემოქმედების ეფექტის თვალთ თუ შევხედავთ მიღებულ შედეგებს, მაშინ კრიტიკული ცდის მონაცემები შემდეგნაირად განაწილდება:

ა) მტკიცე კონტრასტულ მოქმედებას გვაძლევს ც. პ-თა 5,6% -ტი, ეს ის ც. პირები არიან, რომელნიც წინა 4—5 დღის საგანწყობო ზემოქმედებაზე მნიშვნელოვანი ძალის „ასიმილატურ“ ილუზიას ამჟღავნებდნენ;

ბ) შედარებით ძლიერ „ასიმილატურ“ ტენდენციას იძლევა რხევით სხვა ტენდენციებთან 5,6% -ტი;

გ) თანაბარ ძალოვანი რხევა კონტრასტულსა და „ასიმილატურ“ ტენდენციებს შორის გამოიმკვლავნებულა ც. პირთა 33,2% -ში;

დ) მხოლოდ ადეკვატურ აღქმებს იძლევა 5,6% ტი, ე. ი. ბიპლექსურ და ტრიპლექსურ რხევის ჟენომენი მიღებულა ც. პ-თა 89% -ში. ცალკე პასუხთა სტატისტიკაც გვიჩვენებს, რომ სულ 380 კრიტიკულ ექსპოზიციიდან კონტრასტული ილუზია უდრის 25,5% -ს, ადეკვატური აღქმა უდრის 20% -ს, „ასიმილატური ილუზია“ — 54,28% -ს.

¹ ჩვენს მიერ შექმნილი განწყობა ქრონიკული ბუნების აღმოჩნდა, რომელიც ლატენტურ მდგომარეობაში გადადის და სიტუაციის შესაფერისობის შემთხვევაში აქტუალიზირდება. საკითხავია: ლატენტურ მდგომარეობაში გადასულ განწყობათა გამოვლინებაში არის თუ არა რაიმე კანონზომიერება? ოქმის სქემების განხილვა გვიჩვენებს, რომ შექმნილ განწყობათა გამოვლენაში სრულიად გარკვეული წესზომიერებაა. სუბიექტი კრიტიკულს ცდებში პირველ რეაქციას იძლევა უკანასკნელ მომენტში შექმნილ განწყობაზე და შემდეგ თავს იჩენენ უფრო ადრე შექმნილ (4—5 დღე) განწყობათა გამოვლინებანი (ასეთი სურათია 65% ც. პირებში).

ჩვენი ზემოგამოთქმული მოსაზრების უკეთესად დადასტურება შეუძლებელია. ის, რაც ჩვენს ძირითად ცდებში გამოჩნდის სახით იყო წარმოდგენილი, ამ უკანასკნელი ცდის შედეგებში წესად იქცა (რჩევა 89%-ტი). სავსებით ცხადია, რომ ძირითად ცდებში დადასტურებულ რჩევის ფენომენის გენეტური საფუძველი ამ ექსპერიმენტულად მიღებულ რჩევების მსგავსად უნდა წარმოვიდგინოთ.

მართლაც და რატომ ასე გაიზარდა ამ ცდებში „ასიმილატურ“¹ ილუზიის სიხშირე? მხოლოდ იმიტომ, რომ ის უკანასკნელად შექმნილ განწყობის „ასიმილატური“ მოქმედების შედეგი კი არაა, არამედ 4—5 დღის განმავლობაში შემუშავებული განწყობის განახლებული კონტრასტული მოქმედების ეფექტია.

გარდა ამისა, ამ შედეგებიდან ჩანს, რომ უცვლელი სახით არც ადრინდელი განწყობისა და არც ბოლოს შექმნილი განწყობის დინამიკა არ ვლინდება. ორივე განწყობის ფაზური მოქმედების სურათი შეცვლილია. ამ შედეგების მიხედვით სარწმუნო ხდება ჩვენი ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ფაზური დინამიკის თავისებურობათა საფუძველს სუბიექტის და ობიექტის დიალექტიკურ ურთიერთობის პროცესში განვითარებულ განწყობათა კონფლიქტი წარმოადგენს.

რამდენადაც ჩვენს მიერ შექმნილი ორივე სახის ხელოვნურ განწყობაში ერთი წინმსწრობია მეორისა, უცვლელად კი არცერთი არ აქტუალიზირდება, ანალოგიური ვითარება შესაძლებელი უნდა იყოს წინარე ექსპერიმენტული ბუნებრივ ტენდენციების მიმართაც.

3. როგორია ფაქტიური ვითარება ბუნებრივი და ექსპერიმენტულად შექმნილი ტენდენციების დამოკიდებულებაში?

თუ წინა ექსპერიმენტებით ჩვენ ნათელვყავით განწყობათა ფაზური დინამიკის პრინციპულად განწყობათა კონფლიქტის ნიადაგზე აღმოცენებულობა, ახლა უნდა გაირკვეს, არის თუ არა შესაძლებელი, რომ ასეთ მოკონფლიქტო ფაქტორს ბუნებრივი მიდრეკილება წარმოადგენდეს და განწყობის ფაზური დინამიკას თავისებურ იერს აძლევდეს.

პირველ რიგში გასათვალისწინებელია, რა შემთხვევაში იჩენს თავს ბუნებრივი ტენდენციების მოქმედება.

ამ საკითხისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი იმ ცდების შედეგებს, რომელიც ბავშვებზე და მოზრდილებზე ტარდებოდა გამეორებათა როლის ცხადსაყოფად 2—4—15 და 60 საგანწყობო ექსპოზიციით (მოზრდილებზე).

გამოირკვა შემდეგი: 2 განმარტობელი ცდით ოპტიკურ არეში ცდის პირთა მთელ მასიდან ბავშვთა 29% იძლევა „ასიმილატურ“ გამოვლინებას, მაგრამ

¹ ამ სიტყვას წინწყობებში იმიტომ ვსვამთ, რომ იგი განსხვავებულ გენეტურ საფუძველს ეყრდნობა ვიდრე ჩვეულებრივ იგულისხმება.

4 საგანწყობო ექსპოზიციით მათგან 75% უკვე კონტრასტულ ილუზიებს ამჟღავნებს. შოზრიდითა შემთხვევაში, საპროექციო ეკრანით დაყენებულ ცდებში 30 და 60 ექსპოზიციით განწყობის „უგამონაკლისო“ კონტრასტული მოქმედების ფაქტიც დავადასტურეთ, ე. ი. ვინც „ასიმილატურ“ ილუზიას იძლეოდა საგანწყობო ცდათა რიცხვის გაზრდით, გადავიდა კონტრასტულში, და ვინც აღდეკატურ აღქმებს ამჟღავნებდა, მოგვცა კონტრასტული ილუზია სავსებით.

ცხადია, რომ ჩვენს შემთხვევაში ე. წ. „ასიმილატური ილუზიები მკავენდება, როგორც ბუნებრივი¹ მიდრეკილებების შედეგნი, მაშინ როცა ჩვენს მიერ შექმნილი განწყობა უმოქმედოა და უძლური დასძლიოს თავიდანვე მოცემული ტენდენციის წინააღმდეგობა. არაა გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ასეთი სუსტი საგანწყობო ზემოქმედება ოდნავ აძლიერებდეს ბუნებრივ მიდრეკილებების მოქმედებას და ვიღებდეთ იმ ფაქტს, რომელიც გრიგოლ ხმალაძის ცდებში მკავენდებოდა „ასიმილატურ“ ილუზიის სინშირის ზრდის სახით.

მეორე ფაქტი, რომელიც საფუძველს გვაძლევს რხევის ფენომენი წინარე ექსპერიმენტულ ტენდენციებსაც დაუუკავშიროთ, შემდეგში მდგომარეობს: 14 ც. პირზე სამ რიგი ცდების (შედარების, საგანწყობო და კრიტიკული ცდები ოპტიკურ არეში) შედეგებით რხევის ფაქტს უჩვენებს ან თავიდანვე ან პირველი ფაზის შემდეგ 4 ცდის პირი (28,6%). ოთხივე ც. პირს შედარების ცდათა მონაცემებში გადაფასების შემთხვევათა შორის უპირატესობა ახასიათებს ან მარცხნივ ან მარჯვნივ. აქედან დასკვნა ერთია: რხევები რაღაც გენეტურ კავშირშია ამ ბუნებრივ მიდრეკილებასთან.

მეორე, რაც ამ ცდების შედეგებიდან გამომდინარეობს და ზემოგამოთქმულ აზრს ბუნებრივ მიდრეკილებისა და ხელოვნურ განწყობის შესაძლო ურთიერთმოქმედების შესახებ ადასტურებს, არის ის, რომ წინარე ექსპერიმენტული ტენდენციები უცვლელად მაშინაც არაა გამოქმედებული, როდესაც უკანასკნელ საგანწყობო ზეგავლენის ან კონტრასტულ მოქმედების შესაძლო ეფექტი ემთხვევა ბუნებრივი ტენდენციის მოქმედების მიმართულებას.

ამას უჩვენებს შემდეგი ოქმის სქემატური ჩანაწერი. ც. პირი ბ. არჩ-ძე (17 წ.): მარტო წრეთა შედარების ანუ საკონტროლო ტაქსტოსკოპიური ცდები ჩატარებულია 4-ჯერ სხვადასხვა დღეს. თითოეული ცდის სქემატური სურათი ასეთია:

დ—დ¹

20 +

¹ ბუნებრივ მიდრეკილებას ან ტენდენციას მათ იმ აზრით ვუწოდებთ, რომ ექსპერიმენტატორის საგანგებო ხელოვნურ ზეგავლენათა გარეშეც მკავენდებიან.

² პლიუსი, როცა ზის მარჯვნივ, ნიშნავს ც. პირის პასუხს „დიდი მარჯვნივ“, როცა ზის მარცხნივ—პირიქით.

ამის შემდეგ უშუალოდ დაყენებულია საგანწყობო ცდები 15 ექსპონატი-
ციით. კრიტიკულ ცდებში ვიღებთ პასუხთა ასეთ განაწილებას:

$$\begin{array}{r}
 3 - \text{დ} \\
 2 + \rightarrow 3 + \\
 1 + \rightarrow 4 + \text{ რხევა} \\
 + \rightarrow 3 + \\
 2 + \rightarrow 10 +
¹ ლეონტი მროველს რომ სხვა თხზულებიდან შეუვსია შატბერდ-ქელიშური რედაქციის დანაკლისი ადგილი, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჩამატებული ტექსტი, როგორც ეს ექ. თაყაიშვილმა ცხადგანა (იხ. „ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა“, გვ. 24, შენიშვნა), არ არის ორგანულ კავშირში მთლიან ტექსტთან და თანაც შატბერდ-ქელიშის დაკარგულ ხელნაწერის ორ გვერდზე გაცილებით უფრო მეტი ცნობები დაეტეოდა, ვინემ ლეონტის მიერ წარმოდგენილი ცნობებია.

С. Кубанейшвили

Челишская редакция „Обращения Грузии“

(Резюме)

Известны две редакции древнейшей грузинской летописи „Мокцевай картлисай“ („Обращения Грузии“): одна—Шатбердская в рукописном сборнике различных произведений X века, вторая же—Челишская в сборнике различных произведений XIV века¹.

Челишская редакция обширнее Шатбердской, но это еще не означает, что указанные редакции независимы друг от друга, наоборот: изучение их приводит к заключению, что в основе Челишской редакции лежит Шатбердская редакция.

Автор Челишской редакции, по сравнению с Шатбердской редакцией, в первой части намерен был дать больше сведений о просветительнице Грузии Нине; помимо этого, в некоторых случаях он исправляет Шатбердский текст, разъясняя те или иные неясные предложения по-своему, иногда же вовсе вычеркивает их.

Автор Челишской редакции использовал несколько литературных источников, одним из которых для первой части является т. н. „Житие Нины“ Шатбердской редакции. Использован был им также „Новый завет“ и др. Автор сам дает указания на некоторые источники, напр., сочинение Георгия диакона „Краткая книга „Обращения Грузии“ и др.

Дату возникновения Челишской редакции „Обращения Грузии“ точно определить трудно, но, во всяком случае, составлена она не раньше XI века, так как в ней мы имеем зародыш т. н. метафрастного жанра, который зарождается в Грузии с указанного времени.

¹ Обе эти редакции с подлинника издал Е. Такайшвили (Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения, т. II, вып. IV, стр. 708—813).

Челишская редакция уже была известна в 60-х годах XI века, так как ею пользовался историк Леонтий Мровели.

Никаких сведений об авторе Челишской редакции не имеется, хотя в рукописи несколько раз упоминается некий Басил (Василий), которого, вернее, следует признать переписчиком сочинения, нежели его автором.

გრძელი ა-ნის საკითხისათვის ქართლურში¹

1937 წლის შემოდგომით და 1938 წლის იანვარში ქართლურ კილოზე დაკვირვებისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ზოგიერთი ხმოვნის გამოთქმამ (განსაკუთრებით ა-ნისამ), რაც გვაფიქრებინებს გრძელი ა-ნის არსებობას ქართლურში. ე. წ. გრძელი ა-ნი, მართალია, ჯერჯერობით რამდენიმე სიტყვაშია შენიშნული, მაგრამ განსაზღვრული წესით უნდა იყოს გავრცელებული. ჩვენთვის საინტერესო ცალკეულ სიტყვებში ა-ნის გამოთქმის ერთგვარობამ ყარაღჯის სასოფლო საბჭოში (კასპის რაიონში) და ატენის ხეობის (გორის რაიონი) ყველა სოფელში დაგვარწმუნა, რომ ეს ფონეტიკური მოვლენა ოირსიძე ყურადღებისა. ამიტომ ამ წინასწარი ცნობის მიზანია გადმოსცეს ის მასალა, რომელიც ქართლურ კილოზე მუშაობის პროცესში გრძელი ა-ნის დასადგენად დაგვიგროვდა.

1. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას გრძელი ხმოვნები არ უნდა ახასიათებდეს. პროფ. ა. შანიძეს გრძელი ხმოვნები ამ ოცდახუთი წლის წინათ დადასტურებული აქვს მთიულურ კილოში და ეს მოვლენა მას მიაჩნია მთიულურის მთავარ თავისებურებად². ა. შანიძე ფიქრობს, რომ მთიულურისათვის გრძელი ხმოვნები ჩვეულებრივ დამახასიათებელია და ის ყოველთვის ბოლოდან მეორე მარცვალზე გვევლინება³. პროფ. არნ. ჩიქობავას კი მთიულურის ეს ე. წ. გრძელი ხმოვნები მიაჩნია ტონურ მახვილად⁴.

ანაირად, გრძელი ხმოვნების არსებობა ქართულ კილოებში საცილობელ პრობლემად არის გამხდარი. ერთი კი ამთავითვე აშკარაა, რომ გრძელხმოვნისაზნობა, საზოგადოდ, თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის უცხოა. ამ მხრით მეგრული და სვანური განსხვავდება ქართულისაგან. პროფ. ი. ყიფ-

¹ ამ მცირე ცნობას საფუძვლად უდევს ყარაღჯის სასოფლო საბჭოში (კასპის რაიონში) და ატენის ხეობაში (დიდ ატენში, პატარა ატენში, გარდატენში, დეგულში, ფუსაანთუბანში, მჭელაანთუბანში, პავლიანთუბანში) ჩემ მიერ შეკრებილი მასალები.

² ა. შანიძე, *Отчет о летней командировке...* ИАН, СПб, 1913, გვ 1071.

³ ა. შანიძე, *ქართული კილოები მთაში*, „კრებული“, ი. ჯავახიშვილის რედ თბილისი, 1915, გვ. 193.

⁴ ბ. (არნ.) ჩიქობავა, *გრძელი ხმოვნები მთიულურში*, თბ. უნ. მოამბე, IV, 1924 წვ. 339. მისი სიტყვებით: „ნამდვილად ე. წ. გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონის მოდულაციას და მყარებულ ტონურ მახვილს“.



შიძის გამოკვლევით მეგრულში მოგვებოება გრძელი და გაორმაგებული ხმოვნები. გრძელი ხმოვნები: **ლ**, resp. **უ** (< ვა || ვა); **შ**, resp. **ლ** (< ვი, ვე). გაორმაგებული, resp. გრძელი ხმოვნები: აა=ა; ეე=ე, დიალექტური იე || ეი; იი=ი, დიალექტური ეი; ოო=ო; უუ=უ, დიალექტური ოუ || ოვ¹. სვანურს კი ქართულისა და მეგრულისაგან განსხვავებით გრძელ ხმოვნებთან ერთად (ა ე ი ო ო უ ე) მოეპოება ე. წ. უმლაუტებიც, რომლებიც, პროფ. ა. შანიძის გამოკვლევით, სამი ხმოვნისა გვხვდება როგორც მოკლე, ისე გრძელი სახით (ა ო უ, ა ო უ)².

გრძელი ხმოვნები, მართალია, არ გააჩნია ჩვენს სალიტერატურო ენას, და, შეიძლება ითქვას, არც კილოებს³, მაგრამ მახვილი ზოგიერთ კილოში გარკვეულ გავრცელებას პოულობს; თუმცა მახვილის საკითხიც იმდენად მერყევია, რომ მის ხმარებას არა აქვს სისტემატიკური ხასიათი, „ხან წამოჰყოფს თავს ფრაზათა მთელს რიგში, ხან კი არა ჩანს“⁴.

2. ქართლური კილო ბგერითი შედგენილობით დღეს თითქმის ემთხვევა სალიტერატურო ქართულს. ერთადერთი განსხვავება, პროფ. ვ. თოფურიას მითითებით, ა (იოტი) ბგერის ხმარებაში გამოიხატება⁵. ცალკეული ბგერის (ხმოვნისა და აგრეთვე თანხმოვნის) გამოთქმას ხშირად თავისებური ნუანსი ახლავს, მაგრამ იგი იმდენად სუსტია, რომ სპეციალური ფონეტიკური ექსპერიმენტებით თუ გაიშიფრება.

გრძელი ხმოვანიც ქართლურში ჩვეულებრივ არ ისმის. შესაძლებელია მხოლოდ მის სპორადულ არსებობაზე მსჯელობა. ცნობილი ფაქტია, რომ რომელიმე კილოზე მოლაპარაკე, როცა მას „მოსარიდებელი პერსონი“ უსმენს, ყოველთვის თავს იკავებს ბუნებრივი მეტყველებისაგან და ცდილობს როგორმე გამართული ლიტერატურული ენით იმეტყველოს. ეს გარემოება, რასაკვირველია, აძნელებს ცალკეული, ჩვენთვის საჭირო ნუანსების ზუსტად აღნუსხვას. ამიტომ ერთადერთი სანდო მეთოდი ასეთ შემთხვევებში არის ხალხური სჯა-

¹ И. Кипшидзе, Грамматика мингр. яз. СПб, МЯЯ, VII, 1914, § 4, გვ. 010. ვტორის მიერ გამოქვეყნებული ტექსტებიდან ჩანს, რომ გრძელი ხმოვნები მეგრულში უმთავრესად ჩნდება პრევერბთან: „მუთი შოლებე ზუგდიშა ულა?“ (იქვე, ქრესტომათია, გვ. 1), „მუთი ქიგნოანეს თენა სქუალენქე ნი, სუმიხოლოქ მინდომეს ოგურაფუშა ულა“ (იქვე, გვ. 71^ა); „მუმას ოკორდ, სქუას მუთუნი ხელობა ქედნურუკო ნი“ (იქვე, გვ. 91^ა); „ჩხომი, ნამუთი შიიცოდე დო გუტე ნი, მა ვორდი“ (იქვე, გვ. 11^ა); „დუძახესგ ბოშისგ“... (იქვე, გვ. 141^ა). პრევერბთან ასიმილაციის გზით გრძელი ხმოვნის გაჩენას, ს. ბიხოვსკაიას აზრით, იმერულშიც აქვს ადგილი: და-უძახე → დო-უძახე → დუ-უძახე → დუძახე... (С. Л. Быховская, Некоторые фонетические особенности имерского говора, ЯС, VI, I—град, 1930, გვ. 160). ასევე აპარულშიაც, ჯ. ნოლაიდელის დასტურით, სრული ასიმილაციის გზით პრევერბთან ვლებულობთ გრძელ ხმოვანს: და + უ = დუ; გა + უ = გუ; ა + უ = უ და ა. შ (ჯ. ნოლაიდელი, აპარა დიალექტოლოგიურად, ბათომი, 1936, გვ. 14).

² ა. შანიძე, უმლაუტი სვანურში, «არილი», თბილისი, 1925, გვ. 171.

³ ამის თქმა მხოლოდ პირობით თუ შეიძლება. მოსლოდნელია ქართულ კილოებში ბგერის გამოთქმის ექსპერიმენტულმა შესწავლამ დაადასტუროს გრძელი ხმოვნების არსებობაც.

⁴ არნ. ჩიქობავა, Op. cit. გვ. 336.

⁵ ვ. თოფურია, ქართლური, «არილი», პროფ. ივ. ჯავახიშვილისადმი მიძღვნილი კრებ., თბ. 1925, გვ. 129.

ზაასის მოსმენა, აღლვების, აღფრთოვანების, სიხარულისა თუ შემთხვევის ურთიერთ მბობაზე უშუალო დაკვირვება.

როცა ასეთ შემთხვევებში ვაკვირდებით ქართულ მეტყველებას, გვესმის გრძელი ა-ნი. ცნება „გრძელი ხმოვნით“ ჩვენ ვგულისხმობთ ბგერის რაოდენობითი თვისების, ე. ი. შედგენილობის გადმოცემა-გამოთქმას. ბგერის რაოდენობითი მხარე ფიზიოლოგიურად სათანადო არტიკულაციის ხანგრძლიობაზე დამოკიდებული¹. გრძელ ხმოვანს ჩვეულებრივ წარმოშობს დაყოვნება. მოკლე ხმოვანს შედარებით ნაკლები დაყოვნება გააჩნია, გრძელს კი მეტი. დაყოვნებითი მომენტის, ანუ არტიკულაციის ხანგრძლიობა თუ არ ახლავს ბგერას, მაშინ იტყვიან მოკლე ხმოვანიაო. ქართული ხმოვნები დაახლოებით ასეთი რიგის ბგერებს განეკუთვნება.

ჩვენ მიერ შეკრებილ მასალებში გრძელი ა-ნი უფრო მკაფიოდ ისმის ზმნებში, განსაკუთრებით მეშველ ზმნაში (ხწრ, ვწრ), შედარებით უფრო ზუსტად მაშინ, როცა მოლაპარაკე **ო** ან **ოჲო** ფორმანტით გადმოგვცემს ნახულს ან გაგონილს: ვწრო, ხწრო, ვწრ-თქო, ხწრ-თქო. სიგრძე ამ მაგალითებში ემჩნევა მეორე ხმოვანს (ა-ნს), პირველ შემთხვევაში კი პირველს (ვწრ, ხწრ...).

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ასეთ შემთხვევაში ჩნდება მახვილი და არავითარ გრძელ ხმოვანს აქ ადგილი არა აქვსო. ეს მოსაზრება შესაწყნარებელი იქნებოდა, რომ წარმოთქმისას რაიმე ინტონაცია გვეკონდეს. ასეთი ფორმები გამოთქმისას ინტონაციას არ საჭიროებს. მახვილი ხმოვანზე, როგორც ცნობილია, იწვევს ხმოვანიანობის ინტენსიობას, ხმის სიმების შედარებით ხანგრძლივ ჟღერას, ტონური მახვილი, მაგალითად, გამოიწვევს ხმის სიმების სწრაფ ჟღერას, რაც ხმოვან ბგერის ტონს განსხვავებულ სახეს მისცემს.

ზემორე მოტანილ მაგალითებში არა გვაქვს არც კითხვის ინტონაცია. კითხვით წინადადებაში ინტონაციას განსაზღვრული სინტაქსური ფუნქცია ენიჭება. ხმის ამალღებით, ან დაღბლღებით შესაძლებელი ხდება გარკვეული დასრულებული აზრის გამოხატვა, რაც კითხვით წინადადებას განასხვავებს თხრობითისა თუ გრძნობითისაგან. მაგრამ კითხვითი ინტონაციაც ამ მაგალითებიდან გამორიცხულად უნდა ჩაითვალოს, რადგან გრძელი ა-ნი ჩნდება არა კითხვით წინადადებაში, არამედ თხრობითში.

3. გავეცნოთ ჯერ დამახასიათებელ მაგალითებს: 1. „უბილეთო ხწრო, როგო შიძლებოდა მამეთმინა“ (საუბრიდან, გორი); 2. „ი ქალი შენ არ გამოგყვება, საწყალი კაცი ხწრო“ (დარო ბზიშვილი, 55 წლ. პატარა ატენი); 3. ხო, შვილო, აქა ვწრთ ახლაჲ“ (დარო ბზიშვილი); 4. „დასაწყევლათ ვერ გაგამეტეფ, დედის ერთა ხწრო, შენ თუ კაი ბიჭი ხწრო, წადი და შენი ძმები მონახეაო“ (გიორგი წიქარიძე, 26 წლ. ფუხანათუბანი); 5. „მე იმ ცხრა ძმის ეტი არა მყოლია და შენ საიდან ხწრო“ (გ. წიქარიძე); 6. „უთხარ: მე ცოლ-შვილიანი ვწრ[თქო]“ (ალექსი ლოთიშვილი, 70 წლ. ფუხანათუბანი); 7. „რატო გაილახე [გახდი] ეგრეჲ, ჩვენ ხო ძმები ვწრთო, ერთნაირ საკმელსა ვსკამთო“ (არსენ პავლიაშვილი, 23 წლ. პატარა ატენი); 8. „ორივე ერთათ უნა დავი-



ხოცნეთ, ობლები ვართო“ (არ. პავლიაშვილი); 9. „მაგი მეტი ხარო“ (არ. პავლიაშვილი); 10. „დიდათ მადლობელი ვარო, რო პურიც გამამიცხე და სახლიც დამილაგეაო“ (არ. პავლიაშვილი); 11. „მე იქაც არ ვარგოდი და აქაც არ ვარგივარო“ (არ. პავლიაშვილი); 12. „მგონი ერანიანთ ქვეყნიდანა ხართო“ (თედო ბზიშვილი, 70 წლ., პატარა ატენი); 13. „მეწისქვილე ხარო, მდიდარი ხარო“ (ვანო თინიკაშვილი, 80 წლ., ფუხანათუბანი); 14. ბატონი ხელში იყო ქალი, კაცი, ყველა; ეხლა ბედნიერი ვართ; დავბერდი, ასი წლისა ვარ, ექვსი ღვდელი გამოვიცვალე“... (ვანო ქარქიშვილი, 101 წლ., პატარა ატენი); 15. „რათაჲ ტირიხარო“ (ნიკოლზ რევაზაშვილი, 20 წლ., გარდატენი); 16. „რახან შენ ეგრეთი ღარიბი ხარო, სასოვდაგროთ მივდივარ და მოჯამაგირეთ წამოყეაო“ (მარო ბუთხუზი, 38 წლ., ქეჭელაანთუბანი); 17. „ნაჲწავლი ყოფილხარო“ (სიმონ ქვრივიშვილი, 37 წლ., ყარალაჯი); 18. შენი ნათლი მამა ვარო“ (დავით ქვრივიშვილი, 27 წლ., ყარალაჯი); 19. „მეკონები ვართო“ (დავით ქვრივიშვილი)...

ამ მაგალითების მიხედვით გრძელი ბ-ნი თითქოს მარტოოდენ მეშველ ზმნაში გაჩნდა (ვარო, ხარო), თუმცა აქვე შეგვხვდა სხვა ზმნაც (ესქმითო). შეგვიძლია მოვიტანოთ ბ-ნიანი ზმნის სხვა მაგალითებიც:

მწქსო	ვქმმო	ვსვმმო	მყმმო	ვკლმმო	მინდნო	—
გწქსო	ქმმო	სვმმო	გყმმო	კლმმო	გინდნო	—
წქსო	ქმსო	სვმსო	ყმსო	კლმსო	უნდნო	შობნო

1. „ბადეა წაურთმეგია და გასაყიდათ წქსო“ (ნ. რევაზაშვილი, გარდატენი); 2. „ეგ ბევრი შენაჲ ქამე და ემ ცოტსა ორივენი ვქმითო“ (არ. პავლიაშვილი, პატარა ატენი); 3. „წამოდი და ვიბანაოთ, საკუთარი აბანო მწქსო“ (ნიკ. ჯიოშვილი, პატარა ატენი); 4. „მე ბევრი ფული მწქსო“ (მარო ბუთხუზი, ქეჭელაანთუბანი); 5. „ატნი ღვინოსა ვსვმითო“ (ალექსი ლოთიშვილი, ფუხანათუბანი); 6. „კურღლელსა კლმსო“ (დავ. ქვრივიშვილი, ყარალაჯი); 7. „თუ ვერ გავათავე მზი ჩასვლი ღრომდინა, ერთი კაპიკი არ მინდნო“ (დავ. ქვრივიშვილი); 8. „ბავშვი ვერაჲ შობნო“ (სიმ. ქვრივიშვილი, ყარალაჯი) ..

გაბმული მეტყველების დროს გრძელი ბნი გვხვდება ზმნის ისეთ ფორმებშიც, რომელთაც „ო“ ან „თქო“ ფორმანტი არ მოუდით. მაგალითები:

1. „უაწავლელი ვარ, შვილო“ (დარო ბზიშვილი, პატარა ატენი); 2. „მე კოლექტივი წვერი ვარ“ (დ. ბზიშვილი); 3. „ერთი შვილი მყმ და საყდარში მიწემ, ღღე კვდარია და ღამე ცოცხალი“ (ნიკ. რევაზაშვილი, გარდატენი); 4. „აღარც ჯამაგირი მწქ და აღარც ფულიო“ (მ. ბუთხუზი, ქეჭელაანთუბანი); 5. „რა ვქნა, ავათა ვარ და ვერ მოვალ“ (საუბრიდან, გორი)...

გრძელი ბ-ნი ჩამოთვლილი ზმნების აწმყო დროის ფორმებში მოისმის ჩვეულებრივ. ზოგჯერ აორისტშიაც იჩენს თავს. მაგ.: „მიხანთ ვანოს შაუყვარდნო“ (გარდატენი); „მთელი ციხე დაღეწო“ (ქეჭელაანთუბანი); „შენი პური გაღეწო“ (პატარა ატენი), მაგრამ ასეთ მაგალითებში ბ-ნის არტიკულ-

ლაციის ხანგრძლიობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე მეშველი ზმნის პირველისა და მეორე პირის ფორმებში (ვარ, ხარ; ვარო, ხარო).

ანის არტიკულაციის ხანგრძლიობას, როგორც აღვნიშნეთ, იწვევს „თქო“-დამატებაც. მაგალითები:

ვარ-თქო	შავდივარ-თქო	მექს-თქო	მყამ-თქო	ვქამ-თქო
ხარ-თქო	შადიხარ-თქო	გექს-თქო	გყამ-თქო	ქამ-თქო
—	—	ნქს-თქო	ყამ[ს]-თქო	ქამს-თქო.

ოდნავი სიგრძე ანს ემჩნევა სხვა შემთხვევებშიაც: *a.* ზმნებში: ვხარ, ვრთხარ, ვხვარ, ვწვარ, ვთქვარ, ვფარ, ვმალხარ, ვკერარ, ვბერტყარ, ვწერარ... *b.* მასდარში: რთვარ, გაკეთებარ, დგომარ, რთვართ, გაკეთებართ, დგომართ... *c.* მიმდებარეში: ჩაცმულმარ, დახატულმარ, წაქცეულმარ, დაჭრილმარ, დავარდნილმარ, დამწვარმარ... *d.* სახელებში: ღალმარ, ჩალმარ, ქვმარ, დილმარ, კვირმარ;¹ ღალმართ, ღალმართ, ჩალმართ, ჩალმართ, ქვმართ, ქვმართ; კაცმარ, ქალმარ; კაცმართ, ქალმართ... *e.* ზედსართავ სახელებში: თეთრმარ, თეთრმართ, შავმარ, შავმართ, წითელმარ, წითელმართ, მავარმარ, მავარმართ... *f.* რიცხვით სახელები: რვარ, ცხარ, ოდარვარ, ოდარვართ...

4. გრძელი ანი, როგორც დავინახეთ, თავს იჩენს ბოლოდან პირველსა და მეორე ხმოვანზე, როცა მარცვალში ანია². იმავე ადგილას მოსალოდნელია მახვილის გაჩენაც. აკად. ნ. მარის აზრით მახვილი ქართულს სწორედ ბოლოდან მეორესა ან მესამე მარცვალზე მოუდის³. პროფ. ა. შანიძე გრძელ ხმოვანს მთიულურში არჩევს მეორე მარცვალზე⁴. ილია ჭავჭავაძეც თავის

¹ ასეთ მაგალითებში ანსა და ონს შუა ჩნდება ნახევარხმოვანი ა (იოტი): ღალმარ, (ღალაიო → ღალააო → ღალაო; ი → ა → 0 (ნული)), ჩალმარ (ჩალაიო → ჩალააო → ჩალაო), კვირმარ (კვირაიო → კვირააო → კვირმარ) და ა. შ.

² დანარჩენი ხმოვნები არსებით თავისებურებებს არ ამჟღავნებენ, მათი გამოთქმა ანალოგიურ მაგალითებშიაც კი თითქმის ჩვეულებრივია. ოდნავი სიგრძე უნდა ახასიათებდეს ანს, როცა ამბობენ: „ვმარა, გენაცვალე, ვმარა, ვერ მოვალ“ (პატარა ატენი), „ნახე, ნახე, კიდე გეცოდინება რამეო“ [ან: რამეაო] (ყარაღაჯი). ლექსები:

დაიყვალე მინდორო	იოსები ძეო.	დედაჩემი პურ აცხობდა
დაღვრემილო ტყეო,	თუ ეს ბედი დამყვებოდა	იქ მივებმარეო.
მე ნინა მასხარაშვილი	რათ დავიბადეო:	ხუთი კოკა წყალი ვზიდე,
		კიდე წაველ მეო...

(პატარა ატენი); მაგრამ აქ აშკარად მახვილია და არა გრძელი ანი. მახვილი ავსებს მეორე სტრიქონს, რომელიც ერთი მარცვლით ნაკლებია პირველზე.

³ Н. Марр, Грамматика др.-лит. груз. яз., МЯЯ, XII, Л.-град, 1925, გვ. 13.

⁴ ა. შანიძე, ქართული კილოები მთაში, „კრებული“... გვ. 193.



„მგზავრის წერილებში“ მოხვევის მეტყველების თავისებურებათა გადმოცემას მახვილს უმთავრესად მეორე მარცვალზე სვამს (ხან პირველზედაც)¹.

ზემოთ მოტანილ და მსგავს მაგალითებში გრძელი ანის გაჩენას მხარს უჭერს სამი მთავარი გარემოება:

A. დასახელებულ მაგალითებში ანის გამოთქმის თავისებურება საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ მის გაორმაგებაზე. როცა გაორმაგებული ხმოვანი პრევერბთან ან ისეთ ფუძეში ჩნდება, სადაც ერთმანეთს ხვდება ორი ერთნაირი წარმოშობის ხმოვანი, მაშინ ადვილად ირკვევა ხმოვნის გაორმაგების მიზეზი, მაგრამ ჩვენ მაგალითებში ამის შესაძლებლობა გამორიცხვულად უნდა ჩაითვალოს. მეშველ ზმნაში (ვარ, ხარ) ორი ანი არ ივარაუდება, ბუნებრივად აქ ერთი ანია, მაგრამ მისი არტიკულაციის ხანგრძლიობა იმდენად დიდია, რომ თითქმის ორი ანი ისმის.

B. ამ შემთხვევებში მოსალოდნელი არ არის კითხვის ინტონაცია. როცა კითხვით წინადადებაში მოხდება ასეთი მაგალითები, იქაც ჩნდება გრძელი ანის მაგვარი ხმოვანი, მაგრამ ეს გარემოება კითხვის ინტონაციით წარმოიშობა (შდრ. „ვინა ხარო?“, „შვილი თუ მყამ? [პატარა ატენი] და ა. შ.).

C. ჩვენ მასალებში ჯერ გვაქვს გრძელი ანი და მას ხვდება აგრეთვე მახვილიც. რადგან სიგრძეცა და მახვილიც ერთ ხმოვანზე მოხვდა, მივიღეთ ანის უფრო ძლიერი არტიკულაცია, რაც მშვენივრად ჩანს ზმნაში ვარ, ხარ, ვარო, ხარო. ამ მოვლენას ქართლურთან ერთად რამდენიმედ ინაწილებენ კახური, რაჭული და ნაწილობრივ ზემო-იმერულიც.

თქმულის მიუხედავად, ამ ფონეტიკური მოვლენის ახსნის სიძნელეს იწვევს „ო“ და „თქო“ ფორმანტების თან დართვა. გრძელი ანის გაჩენა ნაწილობრივ „ო“ და „თქო“-ს უნდა მიეწეროს. უამისო ფორმები, სამწუხაროდ, იმდენად სპორადულია, რომ მარტოოდენ მასზე დაყრდნობით მსჯელობა ძნელია.

¹ მეორე მარცვალზე: „რანის ვაქნევ ცარალ სტემამაქით“ (ი. ჭავჭავაძე, მხატვრ. ნაწერ. სახელგამი, 1937, გვ. 303); პირველ მარცვალზე: „აწინა ყაგენლი ქართველნ ძანებრ ვარნ“ (იქვე, გვ. 304). ქართული ენის გამოჩენილი მკვლევრის, ჰუგო შუხარდტის აზრით, სხვათაშორის, ი. ჭავჭავაძის მოხვევის მეტყველებაში გვაქვს გრძელი ხმოვნები (Hug o Schuchardt, Über das Georgische, Wien, 1895, გვ. 14).

Ал. Глonti

К вопросу о долгом а (ა) в карталинском диалекте

(Резюме)

1. В карталинском диалекте грузинского языка спорадически встречается долгое а, которое ясно замечается во втором (აბაა, ბბაა) или в первом (ააა, ბბა) слогах вспомогательных глаголов с конца.

В некоторых случаях оно выявляется и в других глаголах в тех же (2-м или 1-м) слогах.

2. Это долгое гласное физиологически напоминает собой удвоенное ა (აა).

3. В полной форме это долгое а выявляется в тех случаях, когда в повествовании о слышанном и виденном к вспомогательным глаголам прибавляются форманты „ა“ или „აა“.

4. Долгое а принимает динамическое ударение, чем вызывается чрезмерное напряжение его артикуляции. Долгота генетически не зависит от ударения. Ударение принимает как долгое а, так и обыкновенное.

თ. გონიაშვილი

უო-ს უფიქსი ჩაჩნურში¹

უო ნაერთი ჩაჩნურის ბგერითი კომპლექსებისათვის ერთი ყველაზე დაიხასიათებელთაგანია და შედეგი და წყაროა მეტად მნიშვნელოვან ფონეტიკურ მოვლენათა. უო დიფთონგი საზოგადოდ სხვადასხვა გზითაა მიღებული. რიგ შემთხვევებისაში იგი ისტორიულად მარტივი ა ხმოვნის გადიფთონგებას უნდა წარმოადგენდეს. ძირითადი წყარო მისი აღმოცენებისა ო ხმოვანია; ნათლად ჩანს უკანასკნელი არამხოლოდ ჩაჩნურ-წოვურის ისეთ შედარებით მასალაზე, როგორცაა ჩაჩნ. დუოგ—წოვ. დოკ (გული), ჩაჩნ. ბუოლხ—წოვ. ბოტხ (სამუშაო, მუშაობა), ჩ. ბუორზ—წ. ბჰორწ (მგელი), ჩ. შუო—წ. შო (წელიწადი) და ა. შ., არამედ ჩანს თვით ჩაჩნურის ცოცხალი სამეტყველო ტენდენციიდანაც, რომლის მიხედვით მარტივი ო ხმოვანი შეთვისებულ სიტყვებშიც-კი უო-დ იქცევა, მაგ., რუს. ცола ჩაჩნის გამოთქმაში ბგერს სჰოლნ², ლომი წარმოითქმის ლჰომ (შდრ. წოვ. ლამ), თოფი—თ'უოფ', ფოლადი (თრქ. فولاد) — ბჰოლათ' და ა. შ. კარგად შეუნიშნავს პ. უსლარს, რომ უო კომპლექსში ო ელემენტი სძალავს და უ იმდენად სუსტად ისმის, რომ გაუჩვევ ყურს უო-ს დაჭერა უჭირს და ჩვეულებრივ ო ესმის³. ჩაჩნურის შესწავლის პიონერებს აკად. ბუნებისმეტყველ ა. გაფულდენშტედტსა და ცნობილ ორიენტალისტს პ. კლაპროთს ჩაჩნურის ლექსიკურ ჩანაწერებში, იქ, სადაც ცოცხალ მეტყველებაში უო ისმის, ო უწერიათ შემთხვევათა უმრავლესობაში⁴. თვით თანამედროვე სამწერლო ენაში უო-ს ნაცვლად ო სახეობაა გაბატონებული (პერიოდული პრესა, სახელმძღვანელოები და ა. შ.)⁵.

¹ წაკითხულია მოხსენებად კავკასიურ ენათა კათედრის სხდომაზე 1938 წ. სტამბურის ნიშნების უქონლობის გამო განსხვავებული ჩაჩნურ-ინგუშურ-წოვური ბგერები სრულიად შესაბამისადაა გადმოცემული.

² აქა და ქვემოთ ძირითადად ჩვენ ჩანაწერებს ვეყრდნობით.

³ П. К. Услар, Чеченский язык. ЭК, II, გვ. 5.

⁴ იხ. J. A. Güldenstädt's, Beschreibung der Kaukasischen Länder..., 1834, გვ. 197—203 და J. Klapproth, Uoyage au Mont Caucase et en Georgie, ტ. II, გვ. 356-376

⁵ ჩაჩნურ ტექსტთა გამომქვეყნებელი ტ. ელდარხანოვი (Чеченские тексты, СМОПК, ნაკვ. 29, 1901, IV განყოფილება) უო-ს ორგვარად გადმოსცემს: 1. უა-დ: куата-муа мōх ēлле (ქათამმა იყვირა—დაიძახა, გვ. 21), „оцуа ēлр“ (მან თქვა, გვ. 16) და სხვ., 2. ო-დ: норз (მგელი, გვ. 19), „Мохк“ (მხარე, ქვეყანა, გვ. 19), „цх огал-а далуаш“ (მოყავდა რა მელა—ლისუ ვედя, გვ. 20) და სხვ.



ინგუშურთან მიმართების თვალსაზრისით სხვადასხვა მდგომარეობაშია მიჩნეული.
 1. შო თანაბრადაა ჩანსურ-ინგუშურში წარმოდგენილი, მაგ., ჩან. სთშომ — ინგ. სშომ (ნაყოფი, плод), ჩ. ჰშორდ — ინგ. ჰშორდ (ზღვა) და სხ., 2. ჩანსური შომ-ს ნაცვლად ინგუშურშია ო: ჩ. მშომთ'თ' — ინგ. მოთთ (ენა), ჩან. მშოზ — ინგ. მოზ (თაფლი)..., 3. ჩანსური შომ, ინგუშური ოა: ჩ. მშოჟოთ (მოყვითანო) — ინგ. მოაჟოთ (მოყავისფრო; თუმცა შდრ. აგრეთვე ჩ. ლშლა-ხუო — ინგ. ლოაღუხო — მეზობელი).

შომ დიფთონგი ჩანსურში სიტყვაწარმოების ერთი ყველაზე გავრცელებულ სუფიქსთაგანია. მარტივი სახით იგი იხმარება სატომო და წარმომავლობა-სადაურობის (ვიწრო გაგებით) სახელთა აღსანიშნავად. ასეთებია: ნახშომ (მრ. ნახჩუჲ || ნახჩიჲ) — ინგ. ნოხშომ (მრ. ნოხჩიჲ) — ჩანანი (ძირია ნახჩა¹, შომ ეთნურობას აწარმოებს; საყურადღებოა აგრეთვე მეხისტელების — ალაზნის, პირაქეთელი ჩანნები — სახელწოდება ჩანნებისა: ჩანჩანუა. მრ. ჩანჩანოჲ), ლუშეშომ (მრ. ლუშეიჲ) — ყუმუხი (кумык), ბალკარშომ (მრ. ბალკაროჲ), ინგ. ბალკარო — ბალყარი, ყარაჩუო (მრ. ყარაჩოჲ, იგნ. ყარააშო) — ყარაჩაველი და ა. შ. როგორც ზედავთ, მოყვანილ სახელთა მრავლობითის წარმოება ტეხადია. ჩანსურისათვის წესიერ წარმოებად უნდა მივიჩნიოთ ოა², რომელიც სხვადასხვა წამლეკავ გარემოებათა გამო შერყეულია, მაგრამ ურყევად დაცულია pluralia tantum-ის სახით მოცემულ აულების სახელწოდებაში, როგორიცაა ჩამგოა, სონოა, ფ'ამაით'ოა, სახანოა (ჩანნების საზოგადოება არღუნის სათავეში, რომელსაც ინგუშები მეღბი-ს, ხოლო წოვები მითხოს უწოდებენ), კინნახოა, ბაცხოა, ბარზოა, ხაკმადოა (შდრ. ხეგს. კაკამატი), შატოა (შდრ. ხეგს. შატილი³) და სხ. აულთა მოყვანილი სახელწოდების ამ ფორმის გაგებისათვის სულ სხვა მასალაზე მსჯელობისას პროფ. ს. ჯანაშიას აღუნიშნავს, რომ „თვისებისა და წარმოშობის, წარმომავლობის, ნიშანთა გარჩევა ზოგჯერ ჭირს, ან პირველი მეორის შედეგია. ამიტომ ესევე სუფიქსი წარმოშობასა და წარმომავლობას აღნიშნავს⁴. სუფიქსის ამ მნიშვნელობის განვითარებას უთუოდ ხელს უწყობდა მისი პატრონიმისტიკული ფუნქცია, როდესაც კრებითობის ფორმანტი იმავე დროს რეალურად საერთო წარმოშობაზე და ცმიუთითებდა“⁵. თუ ჩვენს შემთხვევაში, გავითვალისწინებთ, რომ აულთა და საზოგადოებათა ჩანსური სახელწოდებანი წარმომდინარეობენ საკუთარ-პატრონიმიკულ სახელთაგან (ძირითადად) და რომ ჰემეა, კინნახ(ა), ფ'ამაით'ა,


¹ შდრ. სომხური ანთნიმური გეოგრაფიის «*საქძამათოსანრე*» — К. П. Патканов — Армянская география VII века (приписывавшаяся Моисею Хоренскому), 1877, სომხური ტექსტი, გვ. 16.

² როგორც ჰემეოთ დავინახავთ, შომ-ში ძირითადია ო წევრი, რომელიც წესისამებრ გადმოჰყვება მრავლობითის ფორმას და დავრთვის მრავლობითის ფლექსია.

³ შატილი, რომელიც პირიქით ხეგსურეთშია (არღუნის სათავეებში) წარმოშობით ჩანსური სახელწოდება უნდა იყოს, ილ სუფიქს დართული.

⁴ ლაპარაკია - იანსუფიქსზე.

⁵ იხ. სიმონ ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, ენიქის მოამბე, I, გვ. 217 (ხაზი ავტორისა).



შუტა, ბარზა, სახანა და ა. შ. ჩაჩნურ წინარეისლამურ ონომასტიკონში აღნიშნულია ამოკრიბოს ადამიანმა, ცხადია, რომ აქ ადგილის სახელის აღმნიშვნელია სადაურობა-მრავლობითის სუფიქსდართული საკუთარი (გვაროვნული) სახელი¹, რომლის მხოლოობითის აწ არდაცული ფორმა - ელ-ის, -იანი-ს ფუნქციას აღნიშნავდა და ამდენადვე ნაწილობრივ თვისებითობის ფუნქციაც უნდა ჰქონოდა.

უკანასკნელთან დაკავშირებით, ე. ი. თვისებითობიდან ამოსვლით, უნდა აღინიშნოს შო-ს ხმარება სხვა - ლ, -რ, -ხ სუფიქსებთან ერთად, რომელთა ხმარება ცალკე ენამ არ აცის თუ არ შო-ს დართვით. ხშო, რშო, ლშო სუფიქსიანი სახელები მოქმედი სახელებია. მათში მოქმედებითობას იმდენადვე (თუ უფრო მეტად არა) შო წევრი აღნიშნავს, რამდენადაც ხ, რ, ლ; მრავლობითის წარმოება ამ სახელებში წესიერია, ე. ი. მხოლოობითის ფუძის ზო, რო, ლო მაწარმოებლები დაირთავენ მრავლობითის მ ფლექსიას. შო-ს გამოყენება ყველაზე ფართოდ გაშლილია სწორედ ხ, რ ლ-სთან შენაერთში; განსაკუთრებით ეს ხშო-ზე ითქმის, რომელიც სამწერლო ჩაჩნურში მოქმედ სახელთა აქტიურ სუფიქსადაცაა გამოყენებული. შო-ს მარტივი სახით ხმარებისაგან ხუო, რუო, ლუო, მნიშვნელობითი მომენტის გარდა, გარეგნულად შო-ს სიგრძითაც განსხვავდება. რამდენადაც შო წარმოთქმის მხრივ მთლიანობას წარმოადგენს, იმდენად სიგრძე შო-ს მთლიანად მოუღის; მხოლოდ ტექნიკური უხერხულობის გამოა ო-ზე სიგრძის ნიშანი მოთავსებული. ხშო, რშო, ლშო-სუფიქსთა ნიმუშის სახით შეიძლება მოვიყვანოთ:

-ხშო: ხა-ყარაული, დარაჯი—ხეხშო (მრ. ხეხოა)—დარაჯი; მანგალ—ცელი, მანგალხშო (მრ. მანგალხოა), ინგ. მანგალხო (მრ. მანგალხოა)—მცელავი;

დიეშარ—სწავლა (სახელმზნის, ფორმაა, ძირია დიეშ; შდრ. ინგ. დეშარ), დიეშარხშო (დიეშარხოა)—მოსწავლე, მოწაფე; ახარ—ხენა (დიეშარ-ის-თვისებისა), ახარხუო (მრ. ახარხოა), ინგ. ახარხო—მხენელი და მისთ. საინტერესოა, რომ ასეთი მოქმედი სახელი თავისდათავად თვისებითობის ბუნების მქონე ზედსართავი სახელის ფუძიდანაც წარმოებს, მაგ., ყიეშ—ლარიბი—ყიეხშო (მრ. ყიეხოა), ინგ. ყენო—ლარიბ-ლატაკი (бедняк), ნიასიო—სწორი (прямош, ровный), ნიასარ-ხუო (მრ. ნიასარხოა)—მართალი, პირდაპირი.

-რშო: ლამ (ინგ. ლოამ)—მთა, ლამარშო (ინგ. ლოამარო) მრ. ლამაროა—მთიელი; სლა—მოწყალეობა, მკედრის საგანგებო შესაწირავი, სლადიო-ხურშო—მათხოვარა, გლახა და მისთ.;

-ლშო: ტუომ—ომი, ტემელუო (მრ. ტემელოა), ინგ. ტემახო (ხუო სუფიქსითაა ნაწარმოები)—მეომარი, ბუოლხ—სამუშაო, ბელხალუო—მუშა, მეკი—ფარცხი, მეკალუო—მფარცხველი და ა. შ.

¹ ე. ი. ანალოგიური მდგომარეობა იმისა, რომელზედაც მიუთითებს პროფ. ს. ჯანაშია, როდესაც გვარის სახელები ქვაკუთხედის ტრანსმიტიკურ სახელებად: მელანი, მაჩხანი, და მისთ. (იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. 219).



-**შ**ო რთული სახით, მოქმედ სახელად ხმარებული, ეტიმოლოგიურად იგივეა რაც სატომო და სადაურობის სახელთა მაწარმოებელი -**შ**ო-სუფიქსი, რომელიც **ო**-საგანაა მიღებული და ჩანურის ზემოთმითითებული ტენდენციის თანახმად **შ**ო-დაა ქცეული. ისტორიულად ეს **ო** **შ**-სგან (ან **ჟ**-სგან) უნდა მომდინარეობდეს. ანალოგიური ვითარება უნდა გვექნოდნა ინგუშურშიც. ზოგჯერ იქ ეს დაცულიცაა, მაგრამ ამჟამად **შ**ო-ს სახეობა წაშლის გზაზეა შემდგარი.

ჩანური **შ**ო, როგორც სატომო და სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსი წოვურში **შ**-დ ასახულა, რომელსაც წინ ხან **ო**, ხან **ი**, ხან **ა** ელემენტი უძღვის. ჩანურისგან განსხვავებული მდგომარეობაა მრავლობითში, სადაც მორფოლოგიურად განსხვავებული ფლექსია **ბი** ამოტივტივდება წოვურში¹. ამგვარად, წოვურშიც ვხვდებით ერთი მხრით სატომო სახელთა ისეთ წარმოებას, როგორცაა: ჩან**ო****შ**—ჩან**ო****ბი**—ჩაჩანი, ფარ**ს****ო****შ**—ფარ**ს****ო****ბი**—ფარსპელი (არა-წოვათუში, პირიქით თუში), ბაც**შ**—ბაც**ბი**—ასე უწოდებენ საკუთარ თავს წოვა-თუშები (ბაცაჟ—წოვა-თუშეთი), კონ**ჩ**—კუჩინ—ქართველი (სიტყვასიტყვით კახი), ქისტ**ი**ვ (ქისტ) — ქისტი, მით**ხ****ო**ვ (მრ. მითხობი)—მითხოელი, ჩაღმართოვ (მრ. ჩაღმართუბ)—ჩაღმათუში, დიდოვ (მრ. დიდუი)—დიდო, დიდოელი, კახლოვ (მრ. კახლობი)—კახელი (აღებულია ქართული კახელი-ს ნარცდუქციალი ფორმა; შდრ. ზემოთმოყვანილი კონივ—ქართველი), შოვ (მრ. შობი, შუაბბ)—ფშავი, გუღამაყროვ (მრ. გუღამაყრობი)—გუღამაყრელი და მისთ. ანალოგიურადაა ნაწარმოები სადაურობის აღმნიშვნელი სახელებიც, მაგ., წარო (სოფ.)—წაროვ (მრ. წარბი)—წაროელჲ, საგირთა (სოფ.)—საგირთოვ (მრ. საგირთობი ო სმგრი)—საგირთელი, ეთელტა (სოფ.) — ეთელტოვ (მრ. ეთელტობი)—ეთელტელი, ქალიქა (ქალაქი)—ქალქოვ (მრ. ქალქობი)—ქალაქელი, კორკელ (სოფ.)—კორკლოვ (მრ. კორკლობი)—ხორხლელი და ა. შ.

თუ წოვურ-ჩანურის ბგერათა შეფარდებას გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ჩანურის ამ წარმომავლობა-სადაურობის **შ**ო სუფიქსს წოვურში სავსებით კანონზომიერად **შ** შეესატყვისება. ამ მხრივ შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ერგატივ-მოქმედებითის ბრუნვათა **შ**ო აფიქსი ჩანურისა წოვურში **შ**-დაა წარმოდგენილი:

- ჩან. დუოვ (გული)—ერგატ.-მოქმედ. დაგ**შ**ო—წოვ. დაკ**შ**
- „ ნიყ (გზა) — „ „ ნყ**შ**ო — „ ნაყ**შ**
- „ წი (სისხლი)— „ „ წარო — „ წარ**შ**
- „ დეშ (ოქრო)— „ „ დაშუო— „ დაშ**შ** და სხ.²

¹ წოვურში **ბი** მხოლოდ ამ ტიპის სახელთა მრავლობითს აწარმოებს, სხვა სახელებშიც ჩანურის მეტ-ნაკლებად თანხედენილი მარეწებლებია. სატომო სახელებში **ბი** ყველგან როდია დაცული.

² თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩანურში გონიერთათვის ნაშთის სახითა ჩარჩენილა ერგატივის ბრუნვაში **ა**ს დაბოლოება (საყურადღებოა ამ თვალსაზრისით პიროვნულ ნაცვალ-სახელთა—მაგ., **ა**ს და **ს**შო—მე—მონაცვალეობა ზმნის წყობის მიხედვით), შესაძლებელია დავუშვათ, რომ არაგონიერთა კლასის ერგატივ-მოქმედებითის (და კერძოდ—მოქმედებითის) **შ**ო აფიქსი წარმოშობით სატომო-სადაურობის **შ**ო (წოვ. **შ**) სუფიქსის თანხედენილი იყოს. ამასთან დაკავშირებით მოგვაგონდება მოქმედებითის **შ** აფიქსი სვანურში და ნაშთის სახით ქართულშიც შემორჩენილი ფრკივ. ძლივ და მისთ..

როგორც ყოველი ეთნური სუფიქსი, აგრეთვე წოვეური მ და უი უძველეს ხანაში უნდა იყოს წარმოქმნილი. საფიქრებელია, რომ იგი უნდა მონაწილეობდეს თვით სატომო სახელწოდება წმკა-ში და კერძოდ, ბაცბი-ს ტომის აწ მათ მიერ დაკარგული და ბაცბიურის ყაიდაზე აგებული ეთნური სახელი უნდა იყოს. ეს ჩანს იქიდანაც, რომ იგი განმარტავს ბაცბი-ს ტომის ქართულ სახელწოდებას—წოვა-თუში. ამას გარდა ეს სახელი თავს იჩენს თუშების ოთხი ქვედაჯგუფების (ფარსნოვ, გომწროვ, ჩაღმართოვ, წოვა, მრ. წოვი) ერთერთ სახელწოდებაშიც. აკად. ნ. მარის საინტერესო ცნობით წოვებში წოვა მამაკაცის საკუთარ სახელადაც ყოფილა¹. ბაცბი-ს ტომის ენობრივი შენაძენი უნდა იყოს აგრეთვე ძვ. ქართულ საისტორიო მწერლობაში და ცული ეთნური ტერმინი ფხოვი². თუმცა თვით წოვები ხევსურებს დღეს უწოდებენ ფხევე (მრ. ფხევე; შდრ. მეხისტელების, ანუ ალაზნის ჩაჩების ფხიე, მრ. ფხიე, აგრეთვე ხევსურს რომ ნიშნავს) და უნდა ვივარაუდოთ, რომ ისტორიულად ფხევე ფხმ-ისგან უნდა მომდინარეობდეს³.

ძირითადად ამით ამოიწურება მ-ს ფუნქცია წოვეურში. რაც შეეხება მის გამოყენებას მოქმედი სახელის აღსანიშნავად რთული (ორწევრიანი) სუფიქსის სახით (ჩაჩურ-ინგუშური რუო, ლუო, ხუო), ასეთი წოვეურს მხოლოდ სპორადულად, ნაშთის სახითა დაუცავს და ამ მხრივ ჩაჩურისგან საგრძნობლად განირჩევა, სადაც უი სუფიქსით სახელთა მოქმედებითობის გადმოცემა მეტად აქტუალურია დღესაც (განსაკუთრებით ეს ხუო-ზე ითქმის).

რა უნდა იყოს ჩაჩურ-ინგუშური უი და წოვეური მ? ქვემოთ ჩვენ გავცანით აკად. ნ. მარის საყურადღებო მოსაზრებას ფხოვ-თან დაკავშირებით, სადაც იგი-ში მას შესაძლებლად მიაჩნია გონიერთა კლასის ნიშანი დაინახოს. მეტის დაზუსტებით განსვენებული ზ. მალსაგოვი აღნიშნავს, რომ, მართალია, კლას-ნიშანთა ჩვეულებრივი მდებარეობა ჩაჩურში პრეფიქსულია, მაგრამ შესაძლებლად სცნობს მათი არსებობა სუფიქსურადაც ივარაუდოს. იგი მიუთი-

¹ Н. Я. Марр—Кавказские племенные названия и местные параллели, Труды КИПС, 5, 1922 გვ. 32, შენიშვნა 3. იქვე ავტორი ასკვნის: „У бацбиев или бацов этнический термин t'ov использован был, как то часто наблюдаем, с чужими племенными названиями, в качестве личного имени“ (id., ibid.). ავტორი წოვა-ში უფრო ადრე მკ-ს მრავლობითის სუფიქსად თვლიდა, იხ. მისი „К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа“, ИИАН, 1916, გვ. 1398 და შენიშვნა 1. მრავლობითის მარჯვენა მიაჩნდა უ ქართუ-ში და ძირად ქართ-ს გამოყოფდა.

² „ფხოვლთა“ მ-ს ამოვარდნით გვხვდება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატეანეში (ექ. თაყაიშვილის გამოცემა, გვ. 18).

³ ფხოვ-ში აკად. ნ. მარის მკ სუფიქსის სახით ხედავს რატომღაც „Чеченское морфологическое явление, по типу actoris с классовым местоименным суффиксом, различным, кроме того, в различных числах, в частности же в единственном числе разумного класса -a-w → -o-w“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 5). სუფიქსის ჩაჩურობა, თუ ჩაჩურში ავტორს წოვეურიც არ შემოჰყავს, გაუმართლებელია. აკად. ნ. მარივე გეოგრაფიულ სახელს ფოცხოვ-ს (მესხეთში) აგრეთვე ამ „ჩაჩური“ (sic!) სუფიქსით გაფორმებულად მიიჩნევს თუმცა ისიც მიაჩნია შესაძლებლად, რომ ფოცხოვ-ში ხმ-ს არის „суфийная форма (q + v), мн. числа, двойник абхазского qea (← q wa)“—დასახ. ნაშრ., გვ. 6, შენიშვნა 2.



თებს ეთნურ სახელზე ბაცავ¹. მართლაც, კლასების ეს სისტემა წარმოადგენს და სადაურობის აღმნიშვნელ სახელებში მშვენივრად იქნებოდა გატარებული, იმდენად რამდენადაც ამ სახელთა მრავლობითი დაირთავს ზ (+ი)-ს, ე. ი. იმ ნიშანს, რომელიც ჩაჩნურ-ინგუშურ-წოგურში მხოლოდობითის მ კლას-ნიშნად სახელთა მრავლობითისათვის იხმარება. მ კლას-ნიშნის სუფიქსურ ნაშთს ხედავს ზ. მალსაგოვი აგრეთვე სახელთა აგენტობის მაჩვენებელ ჩაჩნურ-ინგუშურ-წოგურ სუფიქსში². თუ ჩაუვკვირდებით შო სუფიქსიან ეთნონიმთა და სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა ბუნებრივ ხმარებას ჩაჩნურ მეტყველებაში, დავინახავთ, რომ ასეთი უპირატესად მამაკაცისათვის იხმარება და თუ ქალზეა ლაპარაკი დაერთვის განმმარტავად ქალის ჩაჩნური სახელწოდება (სთიე ან ძ'უდა). ეგვევ ითქმის შო-ს სახელთა მოქმედის აღმნიშვნელად გამოყენების შემთხვევებზეც (მაგ. კოლხოზ — კოლმეურნეობა, კოლხოზხურ — კოლმეურნი კაცი და ძ'უდა კოლხოზხურ — კოლმეურნი ქალი). აკად. ნ. მარისა და ზ. მალსაგოვის მოსაზრება უსაფუძვლო რომ არ არის, ჩანს იქიდანაც, რომ ხუნძურში, სადაც კლას-ნიშნები მოძრავია (პრეფიქს-ინფიქს-სუფიქსური³), ეთნურობა-სადაურობის მაწარმოებელია სუფიქსურად დართული სათანადო კლას-კატეგორიის სათანადო ნიშნები: მამრობ. მ | შ და მდედრობ. ჯ⁴ და ამგვარად გვაქვს: პანდალლი — ანდალალი, პანდალაე — ანდალაელი, პარტ⁵უკ — ართლუკი, პარტ⁶უკეე — ართლუკელი, ქურუს'აუ — რუსი (და რუსეთი), გურჯიაუ — ქართველი (და საქართველო), ქუს'მანიჯაუ — თურქი (ოსმალ) და ა. შ. მამაკაცისათვის, ქალისათვის სათანადო ჯ კლასნიშანი დაერთვის. კლას-ნიშნებით ნაწარმოებია მოქმედების სახელი, ზედსართავი და სხ. მაშასადამე, მოსაზრების სახით ჩაჩნურ-ინგუშურშიც შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ შო-ს სახით გონიერთა კლასის ნიშანი ჩარჩენილი, რომლის გაგება ამჟამად წაშლილია.

თვით გონიერთა ან დღევანდელი მდგომარეობის მიხედვით — მამაკაცის კატეგორიის კლას-ნიშანი მ ჩაჩნურში (რომელსაც შო სუფიქსიც უკავშირდება) მოცემული გაგების თანახმად თავდაპირველად ადამიანის, კაცის ზოგად ცნებას უნდა გამოხატავდეს, რომელიც შემდგომში განეკუთვნა ოდენ მამრობით სქესს. ამ მხრივ საყურადღებოა აფხაზურის ენობრივი მონაცემი, სადაც ა-ჭაუგ ნიშნავს ადამიანს (ძირია ჭბ, ჯგ მაწარმოებელი, სინონიმიური ძირეული აჭა-სი, ე. ი. აგრეთვე ადამიანს აღნიშნავს და სხვა სიტყვებში ფორმანტადაცაა გამოყენებული⁵. ამ სიტყვის პირველი, ძირეული ჭბ-ნაწილი გამოყენებული უნდა იყოს სწორედ იმ სუფიქსად, რომელიც აფხაზურში ეთნურობის მაწარმოებლად იხმა-

¹ იხ. მისი „К вопросу о классных элементах в нахском языке“, Изв. Ингуш. Научно-Исслед. Инст. Краеведения, II—III, 1930, გვ. 466, შენ. 1.

² „Долгота конечного гласного форматива помина agentis ко (о) возникла в результате поглощения классного элемента в сочетании: краткий гласный + v (დასახ. ნაშრ. გვ. 466, შენ. 1).

³ იხ. П. К. Услар, Аварский язык, ЭК, III, 1889, გვ. 34 და შემდ.

⁴ პ. უსლარი, ავარული ენა, იქვე.

⁵ ესარგებლობთ ქეთ. ლომთათიძის მიერ მოწოდებული მასალითა და ანალიზით.

რება¹. ასეთებია: აფხაზი—აფხაზი, აქტოტა—ქართველი, ასაძა—~~აფხაზი~~ მეგრელი, აფხაზური ჭა-ს სახით ჩაჩნურ-ინგუშური უმ-ს და წოფური მ-ს ანალოგიასთან უნდა გვეკონდეს საქმე. წარმოადგენს თუ არა აფხაზ. ჭა (ეთნონიმებში) ფონეტიკურ პირველსახეობას, თუ მას ცვლილება განუცდია, ამას აფხაზურის სპეციალისტები გასცემენ საბოლოო პასუხს.

ჩვენთვის საინტერესო სუფიქსის თვალსაზრისით² უადგილო არ იქნება, გავიხსენოთ რამდენიმე სატომო სახელი ქართულში. მხედველობაში გვაქვს მართავლი, რაბავალი და ლილღვი||ლიღვი ანუ ლილღველი³. პირველ ორში (ნაწილობრივ მესამეშიც) ეთნურობას მლ სუფიქსი აწარმოებს, ისე როგორც ეს დამახასიათებელია სხვა მსგავს სახელთათვის (აჭარ-ელ-ი, იმერ-ელ-ი, კახ-ელ-ი და სხ.) მართ და რაბ სიტყვის ძირი უნდა იყოს, ხოლო მ (← ჭ) შემთხვევით შემორჩენილი ეთნურობის ერთი უძველესი მაწარმოებელთაგანი უნდა იყოს, რომელმაც დაკარგა თავისი ფუნქცია და ზედ დაერთო წესისამებრ ეთნურობის მლ მაჩვენებელი. შემთხვევითი არ არის, რომ ქართველი-ს მეგრული სახელწოდებაა ქართუ. ამ ხასიათისა უნდა იყოს მ შეთვისებულ სატომო სახელ ლიღვი-შიც. როგორც ვიცით, ინგუშები თავის თავს უწოდებენ ლალა (მრ. ლალაჲ). აქედან ჩანს, რომ ლილღვი || ლიღვი-ს მ ქართულ ნიადაგზე უნდა იყოს წარმოქმნილი. სხვა კონტექსტში, მაგრამ თითქოს ამავე მ-სთან უნდა გვეკონდეს საქმე ზოგ ტომონიმეკურ სახელში, როგორიცაა ძეგ-ვი, მოქ-ვი, თმოგ-ვი, ჩაქ-ვი, არაგ-ვი (შდრ. ჩაჩნ. სახელწოდება ამ მდინარისა ორ-გუ || ორლუ და ძვ. ქართ. ორაგვი)⁴.

ზევით აღვნიშნეთ, რომ ეთნურობა-სადაურობა რამდენადმე თვისებითობის შემცველიც უნდა იყოს (რაკი ეთნურობა-სადაურობა კუთვნილებითობის მოენტს გულისხმობს). ნაწილობრივ ეს ჩაჩნურში უმ სუფიქსით ნაწარმოებ მოქმედ სახელებშიც აისახა, მაგრამ, როგორც მოველოდით, აქ მოქმედების არე ადამიანის კატეგორიის ფარგლებს არ გასცილებია. სახელთა სხვა კატეგორიისთვისაა დამახასიათებელი საკმაოდ გავრცელებული ფუძის მაწარმოებელი ქართულში მ, რომელსაც პროფ. არნ. ჩიქობავა სხვა მსგავს სუფიქსებთან ერთად ფუძის დეტერმინანტ-სუფიქსს უწოდებს. ამ გავებით მ (მომდინარეობს ძველი ქართულის სუსტი, უმარცვლო ჭ-სგან და ფუნქციით თვისებითობის მატარებელი უნდა იყოს. მხედველობაში გვაქვს მაჩ-ვი, ჯიხ-ვი, მარწყ-ვი

¹ მსგავსი მოსაზრება გამოთქმული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს: „...ya служит окончанием для многих этнических названий (იხ. მისი „აფხაზური ენა“, შკ. I, გვ. 152, ლექსიკონი, სიტყვა აჭაჰაქი).

² ჩაჩნურ უმ-სთან დაკავშირებით მეგრული გვარების უა დაბოლოების ერთი მხრით და მეორე მხრით ვანის ხალდების საკუთარ სახელთა უა მაჩვენებლის (მენუა, ვრიდუა, ირკუა, იხ. ი. მ. შჩანინოვის „Географические названия верховьев Аракса по халдским надписям“, ИРАИМК, IV, გვ. 44—45) საკითხიც შეიძლება წამოჭრილიყო, რომ აქ რამდენიმე დამატარებელი გარემოება არ იყოს მოსაგვარებელი.

³ ასე უწოდებენ ინგუშს ხვესურები.

⁴ ხომ არ გამოვხმაურებოდა ამ ვითარებას ადგილის (ზოგჯერ ადამიანის) ხალღურ სახელთა უ დაბოლოება, რომელიც ასურულ წყაროებშია დაცული: ურართუ (ასურული სახელწოდება ხალდებისა), არხასკუ (ურარტუს დედაქალაქი), იშკალუ და სხვა!



(ზღრ. მეგრ. მურლი), ბორც-ვი და მისთ. რატქმუნდა, წარმომავლობა-სადა-
 ურობის სუფიქსისა და უცნობი დეტერმინანტ-სუფიქსის ერთ სწვრივზე დაყე-
 ნება მხოლოდ სავარაუდო მოსაზრებაა. ამასთან თვით ამ ვ (← ჭ) -ს ბუნებაა
 გასარკვევი არა მხოლოდ ქართულში, არამედ ზოგადად ქართველურ ენებში¹.
 იქნებ ამ ქართული ვ (← ჭ) -ს დაკავშირება უფრო მართებული ყოფილიყო ჩანურ
 უ-კიდურთან სახელებთან. ასეთ სახელთა რიგი საკმაოდ განსაზღვრულია, მაგ-
 რამ მაინც შეიძლება დავიმოწმოთ: თოლკ-უ (ენაბრგვნილი), მოზუ (ბუზი; სა-
 ყურადღებოა და შემთხვევითი არ უნდა იყოს ძვ. ქართულის „ბუზ ჭად“ და
 ხევსურული ბუზვი), ყარუ (სეტყვა, ზღრ. წოვ. ყარ წვიმა), ჰოზუ (ბელურა,
 ზღრ. ინგ. ჰაზალგ), კოკუ (მტრედი; ინგ. კოკ; ზღრ. აფხაზ. ა. ჰი ოპი—id) და სხ.
 მრავალი.

წარმოდგენილი მსჯელობის შედეგად შეიძლება დავასკვნათ: უმ. სუფიქსი
 ჩანურისა, რომელიც წარმომდგარი უნდა იყოს მ (← ვ || ჭ) -სგან, სატომო და
 სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა მაწარმოებელია. ესაა მისი ძირითადი
 ფუნქცია. ამას გარდა უმ. გვევლინება მოქმედ სახელთა მაწარმოებელ რთული
 შედგენილობის (რურ, ლურ, ხურ) სუფიქსთა ძირითად შემადგენელ წევრად და
 ასეთ ნაერთში ცოცხალს მეტყველებაში აქტუალური გამოყენება აქვს. ანალო-
 გიურ ვითარებას ვხედავთ ინგუშურში, ოღონდ იქ უმ-ს ფონეტიკური სიმტკი-
 ცე უფრო შებღალულია. ჩანურ-ინგუშური უმ, როგორც ეთნურობა-სადაურ-
 ობის მაწარმოებელი სუფიქსი, წოვურში კანონზომიერად ვ-თია წარმოდგე-
 ნილი. სახელის მთავარტივების როლში (რთულ სუფიქსში) იგი სპორადულად
 გამოჩანს და გადაშენების გზაზეა შემდგარი.

წარმოშობით ჩანურ-ინგუშური უმ (და წოვური ვ) ადამიანის კაცის
 (გონიერთა კატეგორიის) ზოგადად აღებული ცნება-სიტყვის გაცვეთასა და
 ჯერ კლას-ნიშნად, ხოლო მოგვიანებით სუფიქსად ქცევის მაგალითს უნდა
 წარმოადგენდეს.

ეთნურობა-სადაურობის ფუნქციის მეტირთავ ჩანურ უმ სუფიქსს თით-
 ქოს უნდა ეხმარებოდეს რამდენიმე სატომო სახელში ქართულში შემორჩენილი
 ვ (← ჭ) მაწარმოებელი: ქართ-ვ-ელ-ი, რაქ-ვ-ელ-ი, ლილ-ვ-ელ-ი. ეთნურობა-
 სადაურობა კუთვნილებითობა-თვისებითობასაც მოიცავს. ამ გაგებით ჩან.
 უმ-ს მონათესავედ თითქოს მოჩანს სუფიქს-დეტერმინანტი ვ (← ჭ) ქართულში
 (არჩ-ვ-ი, ბორც-ვ-ი, დათ-ვ-ი და მისთ.), რამდენადაც უკანასკნელშიც კუთ-
 ვნილება-თვისებითობის რალაც მომენტი უთუოდ უნდა იყო ჩაქსოვილი. ეს შე-
 საძლებლობა სავარაუდო დაშვებაა და შემდგომი დამუშავება და დაზუსტება
 სჭირდება ქართულ-ქართველურ დეტერმინანტ-სუფიქსთა ბუნების ამოცნობას-
 თან დაკავშირებით.

¹ ზოგან იგი დაცულია ზანურ-სვანურში, ხოლო ქართულში ელ || ლ-თია შენაცვლე-
 ბული: ქ. ოფ-ლი, მეგრ. უფ-უ, ქ. ულ-ელ-ი, მეგრ. ულ-უ, ქ. გუ-ლ-ი, სვ. გ-უ-ი...; არის შემთხ-
 ვეები, როდესაც ქართულსა და სვანურში თანაბრადაა დაცული ვ || უ დეტერმინანტი (ზა-
 ნურში-კი არა): ქ. თაგ-ვი, სვ. შდუგ-უ, ქ. დათ-ვი, სვ. დემდ-უ და სხვ... იხ. არნ. ჩიქობავა:
 „ქანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“, გვ. 88.

схождения элементом **v** нескольких племенных наименований в грузинском языке.

Помимо этого, суффикс **wo**, как признак *potina ethnica* и *potina loci*, неминуемо являясь носителем свойственности, качественности, может быть сближен с суффиксом детерминантом **v** того же грузинского языка, также наделенного этими моментами.

Представленный автором анализ функции суффикса **wo** и попытка его внутреннего осмысления лишь пробного характера.

საფინანსო დაზღვევის არსისათვის

I

პოლიტიკური ეკონომიის ერთერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მოძღვრება ფინანსების შესახებ. კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია, კაპიტალისტური ეკონომიკის სხვა კატეგორიებთან ერთად, შეისწავლის კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსებს, როგორც ბურჟუაზიული ეკონომიკის იმ ერთერთ იარაღს, რომლის ფუნქციები და დანიშნულება კაპიტალისტური წარმოების წესის განმტკიცებას, კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაფართოებას ემსახურება. სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია, მეურნეობის სოციალისტური სისტემის კატეგორიების შესწავლის დროს, სათანადო ადგილს უთმობს საბჭოთა ფინანსების ანალიზს, ე. ი. იმ ფინანსების ანალიზს, რომელიც მუშათა კლასის დიქტატურის ერთერთ მძლავრ იარაღს წარმოადგენს სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის.

ფინანსების, როგორც პოლიტიკური ეკონომიის გარკვეული ნაწილის, შესწავლა და ამდენადვე ფინანსიური პოლიტიკის, როგორც ეკონომიური პოლიტიკის სათანადო ელემენტის განხილვა, ამ კატეგორიების მარქსისტულ-ლენინური გაგების აუცილებელი მოთხოვნაა. ფინანსების დამოუკიდებელი კატეგორიის სახით გაგება და ამდენადვე საფინანსო მოძღვრების დამოუკიდებელ „საფინანსო მეცნიერების“ სახით წარმოადგენა საფინანსო კატეგორიების ბურჟუაზიულ-მანებლური დამახინჯების შედეგს წარმოადგენს.

საფინანსო სისტემა გარკვეული მეურნეობის ეკონომიური სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მაშასადამე, საფინანსო კატეგორიების არსი და ფუნქციები ყოველ კერძო შემთხვევაში შეიძლება გარკვეულ იქნას თვით მეურნეობის ეკონომიური სისტემის ანალიზის საფუძველზე.

მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის პირობებში ფინანსები ბურჟუაზიული ეკონომიკის იმ ერთერთ იარაღს წარმოადგენს, რომელიც ბურჟუაზიული სახელმწიფოს მიერ გამოიყენება კაპიტალისტური წარმოების წესის განმტკიცებისათვის, კაპიტალისტური რეპროდუქციისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად.

ღიამეტრალურად განსხვავებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძველებზე აგებული სსრ კავშირის საფინანსო სისტემა. საბჭოთა ფინანსები წარმოების სოციალისტური წესის შესატყვის კატეგორიას წარმოადგენს. მისი ფუნქ-



ციები და დანიშნულება სხვა კატეგორიებთან ერთად ძირეულად, მნიშვნელოვანად შეცვლილია სოციალიზმის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის საზარალოდ.

მაშასადამე, ჩვენი და კაპიტალისტური მეურნეობის ეკონომიურ სისტემათა შორის არსებულ განსხვავებას ემყარება, კერძოდ, ის დიამეტრალური სხვაობა, რომელიც არსებობს სსრ კავშირის ფინანსებსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსებს შორის.

მეურნეობის საბჭოთა სისტემის, მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის ერთერთი უპირატესობა კაპიტალისტური სისტემის, კაპიტალისტური ორგანიზაციის წინაშე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენში სამეურნეო ცხოვრების განვითარება ემორჩილება არა კონკურენციისა და კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფის პრინციპს, არამედ გეგმიანი ხელმძღვანელობის პრინციპს. როგორც ეს აღნიშნულია სტალინური კონსტიტუციის მე-11 მუხლში, „სსრ კავშირის სამეურნეო ცხოვრებას განსაზღვრავს და წარმართავს სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმა საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებისა, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუზრველი აღმავლობისა, სსრ კავშირის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და მისი თავდაცვაუნარიანობის გაძლიერების ინტერესებისათვის“.

ის უდიდესი აღმავლობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში მეურნეობის ყველა დარგში, უშუალოდ დაკავშირებულია მიღწევებთან მეურნეობის გეგმიანი წარმართვის საქმეში, გეგმიანი ხელმძღვანელობის განმტკიცებისა და გაფართოების საქმეში.

გეგმიანი მეურნეობის პრინციპების განხორციელება გულისხმობს ეკონომიური სისტემის სათანადო კატეგორიების გეგმიან ხასიათს. ჩვენი ფინანსებიც, როგორც მეურნეობის საბჭოთა სისტემის გარკვეული კატეგორია, განვითარების ამ გეგმიან პრინციპს ემორჩილება. მხოლოდ მუშათა კლასის დიქტატურის პირობებში, მხოლოდ მთელი სახალხო მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის პირობებში, ხდება შესაძლებელი, სხვა კატეგორიებთან ერთად, ფინანსების გეგმიანი წარმართვა, მისი გეგმიანი ორგანიზაცია.

საფინანსო დაგეგმვის არსისა და მნიშვნელობის სწორი გაგება აუცილებლად მოითხოვს თვით ფინანსების, მისი დანიშნულების წინასწარ გარკვევას. ჩვენ სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოვდივართ, როდესაც წინასწარ ვიხილავთ ამ საკითხს (რასაკვირველია, რამდენადაც ეს საჭიროა თემის ძირითადი საკითხების გაშუქებისათვის).

სსრ კავშირის ფინანსები მეურნეობის საბჭოთა სისტემისათვის დამახასიათებელ კატეგორიას წარმოადგენს. მოძრაობის იმ დიალექტიკის შედეგად, რომელსაც ადგილი აქვს მუშათა დიქტატურის პირობებში, ფინანსების, როგორც მუშათა დიქტატურის ერთერთი იარაღის, ფუნქციები და დანიშნულება პრინციპულად და დიამეტრალურად არის შეცვლილი სოციალიზმის სასარგებლოდ. ვაჭრობისა და ფულის ის გენიალური ანალიზი, რომელიც მოგვცა ამხანაგმა სტალინმა საკ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე, სავსებით ვრცელდება საფინანსო სისტემაზედაც. „საქმე ის კი არ არის,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,—რომ ვაჭრობა და ფულის სისტემა წარმოადგენენ „კაპიტალისტური ეკონომიკის“ მეთოდებს. საქმე ისაა, რომ ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ელემენტები,

ებრძვიან რა კაპიტალისტურ ელემენტებს, იპყრობენ ამ მეთოდებს და რაღაც რაღაც კაპიტალისტური ელემენტების დასაძლევად, რომ ისინი წარმატებით სარგებლობენ ამ მეთოდებითა და იარაღით კაპიტალიზმის წინააღმდეგ, წარმატებით სარგებლობენ მით ჩვენი ეკონომიკის სოციალისტური საძირკველის მშენებლობისათვის. მაშასადამე, საქმე ისაა, რომ ჩვენი განვითარების დიალექტიკის გამო ბურჟუაზიის ამ ინსტრუმენტების ფუნქციები და დანიშნულება იცვლება პრინციპულად, ძირეულად, იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ და კაპიტალიზმის საზარალოდ¹. ამ ვითარების პირობებში შესაბამისად გამოყენებულია აგრეთვე ფინანსების ფუნქციები და დანიშნულებაც.

საბჭოთა ფინანსები მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ფინანსებია და, როგორც ასეთი, უაღრესად აქტუალურ როლს ასრულებს სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

ჩვენი ფინანსები, როგორც მეურნეობის საბჭოთა სისტემის ორგანული ნაწილი, ავებულება სსრ კავშირისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ და ეკონომიურ საფუძვლებზე. როგორც ვიცით, სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ მშრომელთა დებუტატების საბჭოები, ხოლო სსრ კავშირის ეკონომიურ საფუძველს შეადგენენ მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრება.

სსრ კავშირში ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ საფუძვლებზე ავებულება შესატყვისი საფინანსო სისტემა, მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს საფინანსო სისტემის სახით წარმოდგენილი.

მემაშულებთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობა, მეურნეობის კაპიტალისტური სისტემის ლიკვიდაცია, საწარმოო იარაღთა და საშუალებათა კერძო საკუთრების გაუქმება, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, გულისხმობდა აგრეთვე კაპიტალისტური საფინანსო აპარატის დამსხვრევას, ბურჟუაზიული ეკონომიკის სათანადო იარაღების დაპყრობას.

პროლეტარიატის დიქტატურის მოპოებასა და საწარმოო იარაღთა და საშუალებათა სოციალისტური საკუთრების დამკვიდრებასთან ერთად, შექმნილი იქნა საბჭოთა საფინანსო სისტემაც, რომლის ფუნქციები და დანიშნულება საბჭოთა ხელისუფლებამ სავსებით შეუფარდა სოციალიზმის ინტერესებს.

როგორც ვიცით, საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს, საზოგადოებრივ განვითარებას განსაზღვრავს საარსებო საშუალებათა მოპოების წესი, მატერიალური დოვლათის წარმოების წესი. „საზოგადოების ისტორიის კანონების შესწავლის გასაღები,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,—უნდა ვეძებოთ არა ადამიანთა თავებში, არა საზოგადოების შეხედულებებსა და იდეებში, არამედ წარმოების წესში, რომელსაც იყენებს საზოგადოება ყოველ მოცემულ ისტორიულ პერიოდში,—უნდა ვეძებოთ საზოგადოების ეკონომიკაში“².

¹ ი. სტალინი, საბოლოო სიტყვა საქ. კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე, Стенографический отчет XIV съезда ВКП(б), გვ. 496.

² ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეთერთმეტე რუსული გამოცემიდან, გვ. 686.



ჯერჯერობით მხოლოდ სსრ კავშირშია განხორციელებული სოციალისტური წყობილება. ჩვენში „წარმოებით ურთიერთობათა საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება“¹. წარმოების ახალ წესთან შესაბამისად შეცვლილია სათანადო ეკონომიურ კატეგორიათა შინაარსი, მათი ფუნქციები და დანიშნულება.

საბჭოთა ფინანსები სოციალისტური წარმოების ხასიათით არის განსაზღვრული. ის წარმოების სოციალისტური წესის შესატყვის კატეგორიას წარმოადგენს და, როგორც ასეთი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს გაფართოებულ სოციალისტური რეპროდუქციის პროცესში.

გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქცია ჩვენში დაკავშირებულია, და ჯერ კიდევ დიდხანს (ამის შესახებ ჩვენ შემდეგში გვექნება საუბარი) იქნება დაკავშირებული, მიმოქცევის სფეროს არსებობასთან, როგორც რეპროდუქციის ერთერთ აუცილებელ მომენტთან.

სოციალისტური პროდუქტის ცირკულაცია ემყარება წარმოების სოციალისტურ წესს და სოციალისტური შინაარსის კატეგორიას წარმოადგენს.

როგორც ლენინი აღნიშნავს, „სოციალისტური ფაბრიკის პროდუქტი, რომლის გაცვლა წარმოებს გლეხურ სურსათზე, არ არის საქონელი პოლიტიკურ-ეკონომიური გავებით, ყოველ შემთხვევაში არ არის მხოლოდ საქონელი, უკვე აღარ არის საქონელი, სწყვეტს საქონლად ყოფნას“². მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციალისტური საწარმოს პროდუქტი ჩვენში არ არის გადაქცეული „პროდუქტად, რომელიც მიდის საზოგადოებრივ მოხმარების დასაკმაყოფილებლად არა ბაზრის საშუალებით“³. ეს ნიშნავს, რომ სოციალისტური პროდუქტი მხოლოდ მიმოქცევის განვლის შემდეგ მიღწევს მოხმარების სფეროს.

სოციალისტური პროდუქტის შეუჩერებელი ცირკულაცია სოციალისტური რეპროდუქციის ერთერთ პირობას წარმოადგენს.

პროდუქტის ცირკულაცია, მისი მიმოქცევა პროდუქტის სასაქონლო-ფულად ფორმის ცვლას გულისხმობს, რაც თავის გამოხატულებას სოციალისტური პროდუქტის ყიდვა-გაყიდვაში ჰპოვებს, უკანასკნელი კი შეუძლებელია ფულის კატეგორიის არსებობის გარეშე.

ფული და საქონელბრუნვა ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ და განუყრელ კატეგორიებს წარმოადგენენ. „ფული,—აღნიშნავს ამხანაგი სტალინი,—წარმოადგენს ბურჟუაზიული ეკონომიკის იმ იარაღს, რომელიც თავის ხელში აიღო საბჭოთა ხელისუფლებამ და შეუფარდა იგი სოციალიზმის ინტერესებს იმისათვის, რომ მთელი სიმძლავრით გაშალოს საბჭოთა ვაჭრობა და ამით მოხმზადოს პირობები პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლისათვის“⁴.

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, გვ. 692.

² იხ. Ленин, Сочинения т. XXVI, გვ. 370.

³ იხ. Ленинский сборник, т. XI, გვ. 388.

⁴ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეთერთმეტე რუსული გამოცემიდან, გვ. 576—577.

წარმოების და განაწილების გარკვეულ პირობებთან დაკავშირებით ფულად-სამომოქცევო კატეგორიების შენარჩუნებასთან ერთად, სრულიად გარკვეული ადგილი და მნიშვნელობა ფინანსებს ეკუთვნის. იმ პირობებში, როდესაც „საქონლებრუნვა და ფულადი მეურნეობა ჯერ კიდევ რჩება“ (სტალინი), სოციალისტური რეპროდუქცია, სხვა მომენტებთან ერთად, მოითხოვს საფინანსო ბერკეტების გამოყენების აუცილებლობას და ამდენადვე საფინანსო სისტემის ორგანიზაციას. ფინანსების არსის ანალიზი ამას უტყუარად ადასტურებს.

საბჭოთა ფინანსების არსის განსაზღვრისას ჩვენ უნდა გამოვიდეთ იმ დებულებიდან, რომ ფინანსებზე მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში წარმოადგენს მუშათა კლასის დიქტატურის ერთერთ იარაღს, სოციალიზმის მშენებლობისათვის გამოყენებულს. საბჭოთა ფინანსების ფუნქციები და დანიშნულება ემყარება პროლეტარიატის დიქტატურის შინაგან ხასიათს, მის იმ ძირითად მხარეებს, რომელთა კლასიკური ანალიზი მოგვცა ამხანაგმა სტალინმა თავის ნაშრომში „ლენინიზმის საკითხებისათვის“. ეს ძირითადი მხარე არის სამი:

„1. პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება ექსპლოატატორთა დათრგუნვისათვის, ქვეყნის თავდაცვისათვის, სხვა ქვეყნების პროლეტარებთან კავშირის განმტკიცებისათვის, ყველა ქვეყანაში რევოლუციის განვითარებისა და გამარჯვებისათვის.

2. პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება ბურჟუაზიისაგან მშრომელი და ექსპლოატირებული მასების საბოლოო ჩამოშორებისათვის, ამ მასებთან პროლეტარიატის კავშირის განმტკიცებისათვის, სოციალისტური მშენებლობის საქმეში ამ მასების ჩაბმისათვის, პროლეტარიატის მხრივ ამ მასების სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობისათვის.

3. პროლეტარიატის ძალაუფლების გამოყენება სოციალიზმის ორგანიზაციისათვის, კლასების მოსპობისათვის, უკლასო საზოგადოებაში, უსახელმწიფო საზოგადოებაში გადასვლისათვის.

პროლეტარული დიქტატურა არის სამივე ამ მხარის შეერთება¹.

პროლეტარიატის დიქტატურის ამ სამი მხარის შესაბამისად გამოიყენება საფინანსო სისტემა და ხორციელდება შესატყვისი საფინანსო პოლიტიკა.

სსრ კავშირის ფინანსების, როგორც მუშათა კლასის დიქტატურის ერთერთი იარაღის, განსაზღვრა აუცილებლად მოითხოვს მისი კონკრეტული შინაარსის და სპეციფიკური ნიშნების მოხაზვას. ეს აუცილებელია იმდენად, რამდენადაც მუშათა კლასის დიქტატურის იარაღად, გარდა ფინანსებისა, გვევლინებიან სხვა კატეგორიებიც (მაგ., ვაჭრობა, ფული, კრედიტი და სხვ.), რომელთა შინაარსი განსხვავდება ფინანსებისაგან. მაგრამ, რასაკვირველია, ყველა ეს კატეგორია ერთდამავე მიზნებს, ე. ი. სოციალიზმის მშენებლობის მიზნებს, ემსახურება.

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მე-11 რუსული გამოცემა, გვ. 148—149.



მაშასადამე, აღნიშნული კატეგორიების, როგორც მუშათა კლასის, ისე კატორის იარაღის, განხილვა სრულიად არ გულისხმობს მათი არსის გაიგივებას და გაუპიროვნებას, როგორც ამას ხშირად ადგილს აქვს ჩვენს საფინანსო-ლიტერატურაში, არამედ, პირიქით, მოითხოვს მათი დამახასიათებელი ნიშნების, მათი კონკრეტული შინაარსისა და დანიშნულების გამოაშკარავებასა და სათანადო შეფასებას.

საბჭოთა ფინანსები მუშათა კლასის დიქტატურის ხელში იმ იარაღს წარმოადგენს, რომლის საშუალებით წარმოებს სოციალისტური მშენებლობისათვის საჭირო ფულადი რესურსების სათანადო აკუმულაცია და მათი გამოყენება სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად. სოციალისტური სახელმწიფო საფინანსო სისტემის ხაზით აორგანიზებს ფულადი რესურსების ამ გეგმაშეწონილ აკუმულაციასა და გამოყენებას და სათანადო ორგანიზაციულ ფორმებში აყალიბებს მას.

საფინანსო სისტემის მიერ ფულადი სახსრების გეგმიანი დაგროვება და გამოყენება წარმოებს მისთვის სპეციფიკურად დამახასიათებელი მეთოდებისა და ბერკეტების საშუალებით. ამ მეთოდებისა და ფორმების სხვადასხვაობა თავის გამოხატულებას ჰპოვებს ცალკე საფინანსო ინსტიტუტების გეგმებში, რომელთა შესახებ ჩვენ შემდეგში გვექნება საუბარი. ამ შემთხვევაში კი უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ რა რიგ განსხვავებულ ფორმებითაც არ უნდა წარმოებდეს სახსრების აკუმულაცია და დაბანდება (რაც თავის მხრივ ცალკე საფინანსო ინსტიტუტების სპეციფიკურ მხარეებთან არის დაკავშირებული), საფინანსო კატეგორიების არსებობა ჩვენში ყოველ კერძო შემთხვევაში აუცილებლად გულისხმობს სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის საჭირო ფულადი რესურსების სათანადო აკუმულაციასა და დაბანდებას, წარმოებულს სახალხო-სამეურნეო გეგმის საფუძველზე და აუცილებელს თვით ამ გეგმის წარმატებით შესრულებისათვის. „ჩვენ, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — გეგმიანი მეურნეობა გვაქვს, გეგმაშეწონილად ვაგროვებთ რესურსებს და სწორად ვანაწილებთ მათ სახალხო მეურნეობის დარგებს შორის“¹.

ლენინი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „მანამდე, სანამ კომუნიზმის განვითარების „უმაღლესი“ ფაზა დადგებოდეს, სოციალისტები მოითხოვენ საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრით უსასტიკეს კონტროლს შრომის ზომისა და მოხმარების ზომაზე“². სოციალისტური სახელმწიფო, სხვა დონისძიებებთან ერთად, გამოიყენებს საფინანსო ბერკეტებს ამ კონტროლის განხორციელებისათვის მთელ სახალხო მეურნეობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ, ფულადი რესურსების დაგროვებისა და მათი დაბანდების გარკვეული ფორმების გამოყენების შედეგად, საფინანსო სისტემა ახდენს სახალხო შემოსავლის გეგმიან გადანაწილებას.

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეთერთმეტე რუსული გამოცემიდან, 38. 407.

² ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. IV, გვ. 78.

სახალხო შემოსავალი, შექმნილი წარმოების სფეროში, უბრუნდება მოსახლეობას, სათანადოდ ნაწილდება განაწილების არსებული პრინციპების საფუძველზე. მიმოქცევის სფეროს, როგორც რეპროდუქციის ერთერთი მომენტის, არსებობის პირობებში, სახალხო შემოსავალი მისი შემდგომი მოძრაობის პროცესში გადანაწილდება სხვადასხვა ბერკეტის და მათ შორის, უმთავრესად, საფინანსო ბერკეტების საშუალებით.

სახალხო შემოსავლის განაწილება ჩვენში „ხდება არა ექსპლოატატორული კლასებისა და მათი მრავალრიცხოვანი პარაზიტული დამქაშების გამდიდრების ინტერესების მიხედვით, არამედ მუშებისა და გლეხების მატერიალური მდგომარეობის სისტემატური გაუმჯობესებისა და ქალაქად და სოფლად სოციალისტური წარმოების გაფართოების ინტერესების მიხედვით“¹.

იმავე მიზნებს ემსახურება სახალხო შემოსავლის გადანაწილება საფინანსო სისტემის მიერ.

საფინანსო სისტემის მიერ ფულადი სახსრების გადანაწილება ორ ძირითად მხარეს შეიცავს: ერთ მხარეს წარმოადგენს სახსრების აკუმულაცია და ამ საფუძველზე სათანადო ფულადი ფონდის შექმნა, მის მეორე მხარედ კი გვევლინება ამ ფონდის სათანადო გამოყენება—აკუმულირებული რესურსების დაბანდება. იმასთან დაკავშირებით, რომ აკუმულირებული თანხები არ იქნება ლოკალიზებული გარკვეული ერთეულის ფარგლებში და საფინანსო სისტემის მიერ გვემინანდ დაიბანდება არა იმავე ერთეულის ფარგლებში, არამედ სხვა მიმართულებით, — ჩვენ ვიღებთ რესურსების გადანაწილებას, პროცესს, რომელიც ამ შემთხვევაში საფინანსო ბერკეტების საშუალებით იქნება განხორციელებული. რასაკვირველია, გადანაწილებითი ფუნქციები შესაძლებელია განხორციელებულ იქნას არამხოლოდ საფინანსო სისტემის, არამედ სხვა ბერკეტების საშუალებითაც.

საფინანსო სისტემის მიერ წარმოებული რესურსების გადანაწილება არ ამოიწურება მხოლოდ სახსრების აკუმულაციით, ან მხოლოდ მათი დაბანდებით, რამდენადაც თითოეული მათგანი წარმოადგენს მხოლოდ ნაწილს გადანაწილების მთლიანი პროცესისა. უნდა აღინიშნოს, რომ გადანაწილების კატეგორიის არასწორი გაგება, სამწუხაროდ, ფრიად გავრცელებულია ჩვენს საფინანსო სისტერატურაში. საბჭოთა ფინანსების შესახებ გაოცებულ შრომების და სახელმძღვანელოების ავტორები არ იძლევიან გადანაწილების არსის მისაღებ განსაზღვრას, არ აშუქებენ გადანაწილების სპეციფიკურ ნიშნებს და უგულვებელყოფენ იმ გარემობას, რომ საფინანსო სისტემის მიერ წარმოებული გადანაწილება გულისხმობს საშუალებათა აკუმულაციისა და გამოყენების აღნიშნულ ფორმებს, მთლიანობის სახით წარმოდგენილს.

საფინანსო სისტემა იმ შემთხვევაში ასრულებს რესურსების გადანაწილებას, როდესაც გამოყენებულია აკუმულაციისა და გამოყენების მხოლოდ ზემოაღნიშნული ფორმა, რომელიც, თავის მხრივ, არ არის სავალდებულო მთლიანი საფინანსო სისტემის ყოველი ცალკეული რგოლისათვის. როგორც ვიცით, ზო-

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მე-10 რუსული გამოცემიდან,



გიერთ საფინანსო გეგმისათვის (ამის შესახებ იხ. ქვემოთ) არ არის დადგენილი სიათებელი საშუალებათა ცენტრალიზებული გადანაწილებითი ფუნქციების შესრულება. ამ გეგმების სახით აკუმულირებული რესურსები იქნება ლოკალიზებულიად გამოყენებული გარკვეული ერთეულის ფარგლებში, რის შედეგად არ გვექნება საშუალებათა აღნიშნული გადანაწილება.

რასაკვირველია, უფრო გავრცელებულ და წამყვან ფორმას წარმოადგენს არა ეს შემთხვევა, არამედ საფინანსო გეგმის ისეთი აგებულება, რომელიც ემყარება გადანაწილებითი ფუნქციების შესრულებას. მაგ., სახელმწიფოს ძირითადი და წამყვანი საფინანსო გეგმა—სახელმწიფო ბრუჯეტი—თითქმის მთლიანად აგებულია გადანაწილებითი პრინციპის საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით გასაგებია, რომ სახალხო შემოსავლის უდიდესი ნაწილი ჩვენში სწორედ საბიუჯეტო გადანაწილების ობიექტად იქცევა.

მაგრამ, როგორც ვიცით, საფინანსო სისტემა მარტო საბიუჯეტო სისტემით არ ამოიწურება. მთლიანი საფინანსო სისტემა, გარდა ბიუჯეტისა, შეიცავს სხვა საფინანსო ინსტიტუტებსაც, რომელთა ნაწილი არ გულისხმობს სახსრების ცენტრალიზებულ გადანაწილებითი ფუნქციების შესრულებას.

სახალხო შემოსავლის გეგმიანი გადანაწილება ჩვენში ხორციელდება დარგებს, ტერიტორიულ ერთეულებს შორის, ქალაქსა და სოფელს შორის, სოციალურ ჯგუფებს შორის და სხვ. გადანაწილების აღნიშნული ფორმების განხორციელების აუცილებლობა განისაზღვრება სახალხო-სამეურნეო გეგმის მიზანდასახულობათა საფუძველზე.

როგორც აღვნიშნეთ, სახალხო შემოსავლის მოძრაობის ერთერთ მნიშვნელოვან მომენტს მისი გადანაწილება წარმოადგენს. უკანასკნელი იმ პერიოდამდე იქნება აუცილებელი, ვიდრე იარსებებს მიმოქცევის სფერო, როგორც რეპროდუქციის შემადგენელი მომენტი და მასთან დაკავშირებული ფულად-საფინანსო-საკრედიტო კატეგორიები. ფულის მოსპობის პირობებში უკვე არ იქნება საჭირო ფულადი სახსრების მობილიზაცია და დაბანდება, არ იქნება საჭირო საშუალებათა გადანაწილება და, მაშასადამე, საფინანსო სისტემაც.

პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლის პირობებში, მატერიალური პროცესი არ იქნება დაკავშირებული ფულადი რესურსების მოძრაობასთან და ფულადი რესურსების გადანაწილების პროცესთან. ფულის მოსპობის პირობებში რეპროდუქციის პროცესი არ იქნება მიმოქცევის სფეროს შემცველი; სოციალისტური საწარმოს პროდუქტი არ გახდება მიმოქცევის საგანი, ის გადაიქცევა პროდუქტად, რომელიც გამოიყენება საზოგადოებრივი მოხმარების დასაკმაყოფილებლად, უკვე „არა ბაზრის საშუალებით“. სრულიად ბუნებრივია, რომ ამ პირობებში ადგილი არ ექნება ფულადი რესურსების მობილიზაციას და დაბანდებას, რესურსების გადანაწილებას და ამ გადანაწილების ორგანიზაციულ ფორმებს საფინანსო სისტემის რგოლების სახით.

როგორც ეს გენიალურად განსაზღვრა ამხანაგმა სტალინმა საქ. კ.პ.(ბ) XVII ყრილობაზე, „ფული ჩვენში დარჩება ჯერ კიდევ დიდხანს; თვით კომუნისმის პირველი სტადიის—განვითარების სოციალისტური სტადიის—დამთავრე-

ბამდე“¹. სწორედ ამ პერიოდამდე შენარჩუნებული იქნება საფინანსო კატეგორიებიც.

მაშასადამე, არსებულ პირობებში და მომავალშიც, ვიდრე სავსებით ორგანიზებული არ იქნება პროდუქტების კომუნისტური წარმოება და განაწილება, უადრესად დიდი როლი და სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს საქონელბრუნვის გაშლას, მანეთის განმტკიცებას, საფინანსო დისციპლინის მტკიცე გატარებას, სამეურნეო ანგარიშის დანერგვას.

ასეთია მოძრაობის ის პროცესი, რომელიც სავსებით გამოხატავს მარქსისტულ-ლენინურ დიალექტიკას.

მაშასადამე, რამდენადაც წარმოების სათანადო პირობებთან შესაბამისად გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის პროცესი გულისხმობს საზოგადოებრივი პროდუქტის მიმოქცევას და მასთან დაკავშირებულ ფულად კატეგორიათა არსებობას, რჩება ფულადი სახსრების მობილიზაცია და მათი სათანადო დაბანდება, რჩება სახალხო შემოსავლის გადანაწილება. ყოველივე ეს ხორციელდება და სათანადო ორგანიზაციულ ფორმებში ყალიბდება საფინანსო სისტემის მიერ.

კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში ფინანსები, განისაზღვრება რა კაპიტალისტური წარმოების წესით, წარმოადგენს ბურჟუაზიის ხელში ერთერთ იარაღს, გამოყენებულს კაპიტალისტური სისტემის განმტკიცებისათვის.

კაპიტალისტური სახელმწიფო ხელისუფლება წარმოადგენს წარმოების პროცესზე ზემდგომ პარაზიტულ აპარატს. როგორც ამას ლენინი აღნიშნავს, „განსაკუთრებულ, საზოგადოებაზე მაღლა მდგომი საზოგადოებრივი ხელისუფლების შესანახად საჭიროა გადასახადები და სახელმწიფო სესხი“². კაპიტალისტური სახელმწიფო, ითვისებს რა მისთვის საჭირო რესურსებს, მოიხმარს მათ კლასობრივი ინტერესების მიხედვით, მოიხმარს პარაზიტულად. კაპიტალისტური სახელმწიფოს მიერ სახსრების მითვისება და მათი პარაზიტული მოხმარება გამოხატულებას ჰპოებს სათანადო საფინანსო კატეგორიებში, რომელთა ფუნქციები და დანიშნულება თვით კაპიტალიზმის სასარგებლოდ არის გამოყენებული.

„არ შეიძლება, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — სახელმწიფოს ფუნქციების დაეწევა ბურჟუაზიულ სამყაროში. ეს არის ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციის, „წესრიგის“ დაცვის ორგანიზაციის ინსტიტუტი, გადასახადების შემკრები აპარატი. საკუთრივ მეურნეობა კი ნაკლებად ეხება კაპიტალისტურ სახელმწიფოს, იგი მის ხელში არ არის. პირიქით, სახელმწიფო კაპიტალისტური მეურნეობის ხელშია“³.

როგორც სახელმწიფო, ისე მისი ფინანსები, კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში ზედნაშენს წარმოადგენენ, მაგრამ ეს გარემოება სრულიად არ

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეთერთმეტე რუსული გამოცემიდან, გვ. 576.

² ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. IV, გვ. 11.

³ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მე-10 რუსული გამოცემიდან, გვ. 709.



გულისხმობს, რომ, მაგ., ფინანსებს არ ჰქონდეს უკუგავლენა ბაზისზე დასაყმენ სრულიადაც არ არას ისე, — ამბობს ენგელსი, — თითქოს მხოლოდ ეკონომიური მდგომარეობა იყოს ერთადერთი აქტიური მიზეზი, ხოლო დანარჩენი მხოლოდ პასიურ ფაქტორებს წარმოადგენდეს. სრულიად არა, აქ არის ურთიერთმოქმედება ეკონომიური აუცილებლობის ნიადაგზე, რომელიც ბოლოსდაბოლოს ყოველთვის აშკარავდება. სახელმწიფო, მაგ., გავლენას ახდენს მფარველობითი ბაჟებით, ვაჭრობის თავისუფლებით, ცუდი თუ კარგი ფინანსიური პოლიტიკით და სხვ.“¹

ეს უკუგავლენა ბაზისზე ყოველ კერძო შემთხვევაში აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული.

იმ პირობებში, როდესაც სამეურნეო საქმიანობა კერძო კაპიტალისტური პრინციპის საფუძველზე წარიმართება, სახელმწიფო ფინანსების მოცულობა, მისი ხვედრითი წონა მთელ სახალხო შემოსავალში შედარებით განსაზღვრულია.

კაპიტალისტური ეკონომიკის განვითარების სტიქიური კანონების პირობებში, საფინანსო კატეგორიებიც მოკლებულია გეგმიან ხასიათს, მათი დაგეგმვა აბსოლუტურად გამოირიცხულია.

კაპიტალისტურ ქვეყნებში საფინანსო სისტემის მიერ სახალხო შემოსავლის გარკვეული ნაწილის გადანაწილება ხორციელდება ბურჟუაზიული კლასობრივი ინტერესების მიხედვით და, რასაკვირველია, არ სცვლის წარმოების კაპიტალისტურ წესს და მასთან დაკავშირებულ კაპიტალისტური განაწილების ფორმებს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს თვით ამ წესის განმტკიცებას, კაპიტალისტურ საწარმოო ურთიერთობათა გაფართოებას.

საბჭოთა ფინანსები, რასაკვირველია, არ წარმოადგენს კაპიტალისტური საფინანსო კატეგორიების გაგრძელებას და არც მის ტრანსფორმაციას. მემამულეთა და კაპიტალისტთა ძალაუფლების დამხობასა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებამ დაიპყრო ბურჟუაზიული ეკონომიკის ეს იარაღიც და შექმნა სოციალისტური მეურნეობისათვის შესატყვისი საფინანსო სისტემა.

სოციალისტური მშენებლობისათვის აუცილებელი ფულადი რესურსების აკუმულაციითა და მათი დაბანდებით, სათანადო კონტროლის განხორციელებით, საფინანსო სისტემა უაღრესად აქტიურ როლს ასრულებს მთელს სამეურნეო ცხოვრებაში.

მარქსი და ენგელსი, ჟირარდენის წიგნზე დაწერილ რეცენზიაში, შემდეგნაირად ახასიათებენ გარდამავალი პერიოდის ფინანსების როლს: „რევოლუციის დროს შესაძლებელია გადასახადების დიდი ზომით გადიდება, მათი გამოყენება როგორც საშუალებისა კერძო საკუთრებაზე თავდასასხმელად“².

გადასახადების ამ სახით გამოყენების შესაძლებლობა განხორციელებული იქნა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

საბჭოთა ფინანსების დამახასიათებელი მხარეების განხილვის დროს აუცი-

¹ К. Маркс и Энгельс, Письма, гл. 407.

² Маркс-Энгельс, Сочинения, т. VIII, гл. 311.

ლებლად აღნიშნულ უნდა იქნას მათი უდიდესი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა. ეს პირდაპირი შედეგია იმ გარემოებისა, რომ „ეპოქაში, როდესაც დაიწყო განსაზოგადოება კაპიტალისტებისაგან ექსპროპრიირებული საწარმოო საშუალებებისა, სახელმწიფო ხელისუფლება აღარ არის წარმოების პროცესზე ზემდგომი პარაზიტული აპარატი: იგი იწყებს გადაქცევას ისეთ ორგანიზაციად, რომელიც უშუალოდ ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის მართვა-გამგეობის ფუნქციებს, და ამდენადვე სახელმწიფო ბიუჯეტი მთლიანად ხდება მთელი სახალხო მეურნეობის ბიუჯეტად“ (საქ. კ. პ. (ბ) პროგრამიდან).

ფინანსების ეს უდიდესი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა სოციალისტური სახელმწიფოს ფინანსების ნიშანდობლივ თვისებას წარმოადგენს.

სსრ კავშირის ფინანსები მოიცავს სახალხო შემოსავლის უდიდეს ნაწილს და მას სათანადოდ გადაანაწილებს სოციალისტური მშენებლობის საქმისათვის. ამ მიზნით საბჭოთა საფინანსო სისტემა ახდენს სახსრების მაქსიმალურ აკუმულაციას და მათ გამოყენებას ჩვენი სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა, თავდაცვის დაფინანსებისათვის. ყოველივე ეს წარმოებს გეგმიანად, სახალხო-სამეურნეო გეგმის მიზანდასახულობათა საფუძველზე. მასასაღამე, მხოლოდ მუშათა დიქტატურის პირობებში ფინანსები, ისე როგორც სხვა კატეგორიები, გეგმიან ხასიათს ატარებენ.

საფინანსო სისტემა, დაკისრებული ფუნქციების შესრულებით, უდიდეს როლს ასრულებს მთელ სამეურნეო ცხოვრებაში და წარმოადგენს ფრიად მნიშვნელოვან ფაქტორს თვით სამეურნეო პროცესების აქტივიზაციის საქმეში.

საბჭოთა ფინანსების აქტიური როლის და მნიშვნელობის სათანადო შეფასებისათვის მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ საფინანსო პოლიტიკა წარმოადგენს მუშათა კლასის ეკონომიური პოლიტიკის გარკვეულ ნაწილს. „პოლიტიკა ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა.... პოლიტიკას ეკონომიკასთან შედარებით არ შეიძლება პირველობა არ ეკუთვნოდეს“¹.

ამ პირობებში უაღრესად დიდია, კერძოდ, ფინანსების, საფინანსო პოლიტიკის მნიშვნელობა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში.

საფინანსო სისტემის კონკრეტული დანიშნულება, ყოველ კერძო შემთხვევაში, გამომდინარეობდა და გამომდინარეობს იმ ფუნქციებისაგან, რომლებსაც ასრულებდა და ასრულებს სოციალისტური სახელმწიფო განვითარების სხვადასხვა ფაზაზე. ამ ფუნქციათა კლასიკური ანალიზი მოგვცა ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამდე, ჩვენი სახელმწიფო ორ ძირითად ფუნქციას ანხორციელებდა: დამხობილი კლასების დათრგუნვა და ქვეყნის თავდაცვა გარედან თავდასხმისაგან. მესამე ფუნქცია—ჩვენი სახელმწიფო ორგანოების სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აომზრდელი მუშაობა—ამ პერიოდში სერიოზულად ვერ განვითარდა.

¹ ლ. ენინი, რჩეული ნაწერები, ტ. V, გვ. 49.



მეორე ფაზა—ეს არის პერიოდი ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციიდან მეურნეობის სოციალისტური სისტემის სრულგამარჯვებამდე და ახალი კონსტიტუციის მიღებამდე. ამ პერიოდში შესაბამისად შეიცვალა ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციები. ზედმეტი გახდა—გაჭჭრა ქვეყნის შიგნით სამხედრო დათრგუნვის ფუნქცია, ვინაიდან ექსპლოატაცია მოსპობილია, ექსპლოატატორები აღარ არიან და დასათრგუნავი არავინ არის. დათრგუნვის ფუნქციის ნაცვლად სახელმწიფოს გაუჩნდა ხალხის დოვლათის დამტაცებლებისა და ქურდებისაგან სოციალისტური საკუთრების დაცვის ფუნქცია. მთლიანად დარჩა გარედან თავდასხმისაგან ქვეყნის სამხედრო დაცვის ფუნქცია, მაშასადამე, დარჩენ აგრეთვე წითელი არმია, სამხედრო-სახლგაო ფლოტი, ისევე, როგორც დამსჯელი ორგანოები და დაზვერვა, რომლებიც აუცილებელი არიან ჩვენს ქვეყანაში უცხოეთის დაზვერვის მიერ შემოგზავნილი ჯაშუშების, მკვლელების, მავნებლების შესაპრობად და დასასჯელად. დარჩა და სრულიად განვითარდა სახელმწიფო ორგანოების სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელი მუშაობის ფუნქცია. ახლა ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა ქვეყნის შიგნით მდგომარეობს—მშვიდობიან სამეურნეო ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელი მუშაობაში. რაც შეეხება ჩვენს არმიას, დამსჯელ ორგანოებსა და დაზვერვას, ისინი თავისი მახვილით მიმართული არიან უკვე არა ქვეყნის შიგნით, არამედ მის გარეთ, გარეშე მტრების წინააღმდეგ¹.

ფინანსების დანიშნულება სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ამ ეტაპებზე სათანადოდ იცვლებოდა აღნიშნული ფაზების ძირითად ამოცანებთან შესაბამისად.

ამ ფაზების პირობებში საფინანსო სისტემის ყველა ბერკეტი გამოყენებულ იქნა სოციალისტური სახელმწიფოს აღნიშნულ ფუნქციათა შესრულებისათვის.

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის შეუჩერებელი აღშავლობა, სხვა ფაქტორებთან ერთად, თავის გამოხატულებას პოულობდა საფინანსო რესურსების ზრდაში, ამ რესურსების სათანადო გამოყენებაში, თავის მხრივ, თვით საფინანსო სისტემამ უაღრესად აქტიური როლი ითამაშა მთელ სამეურნეო აღშავლობაში, ყველა სამეურნეო პროცესის აქტივიზაციის საქმეში.

მავნებლები, დივერსანტები, ჯაშუშები—ხალხის ეს უბოროტესი მტრები—სწორედ ამიტომ ცდილობდნენ თავიანთი მავნებლური საქმიანობა გაეგრძელებინათ საფინანსო სისტემაზედაც, ცდილობდნენ გამოეტაცათ საბჭოთა ხელისუფლების ხელიდან ეს იარაღი და გამოეყენებინათ ის კაპიტალიზმის რესტავრაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ მავნებლური საქმიანობა საბჭოთა, ხელისუფლების წინააღმდეგ ხალხის მტრებს სურდათ დაეფარათ კონტრრევოლუციური ლაყბობით

¹ ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეთერთმეტე რუსული გამოცემიდან, გვ. 750—751.

პროდუქტების პირდაპირი გაცვლა-გამოცვლის მოგვარების, ფულის მატერიალური მუშაობის, ფულის ანგარიშსწორების ნიშნად გადაქცევის შესახებ.

მაგრამ ხალხის ეს უბოროტესი მტრები მოსტყუებდნენ ანგარიშში. მავნებელთა, დივერსანტთა, ჯაშუშთა, მკვლელთა უპრინციპო და უიდეო ბანდა, მუშათა კლასის დაუძინებელი მტრების ბანდა, პარტიის მიერ, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, გამოძევდნებულ და განადგურებულ იქნა. მთელ სამეურნეო და პოლიტიკურ მუშაობას საფუძვლად დაედო ამხანაგ სტალინის მითითებანი და საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი მავნებლობის ძირფესვიანად აღმოფხვრის, მავნებლობის შედეგების ლიკვიდაციისა და მისი წინასწარ აცილების შესახებ.

II

საბჭოთა საფინანსო სისტემის დამახასიათებელი მხარეების განხილვის დროს ჩვენ ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ წინააღმდეგ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ფინანსებისა, საბჭოთა ფინანსები ექვემდებარება გეგმიანი ხელმძღვანელობის პრინციპს. საბჭოთა ფინანსები გეგმიან კატეგორიას წარმოადგენს გეგმიანობის მთლიან სისტემაში.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ის უდიდესი გამოცდილება, რომელიც ჩვენ დაგეგმვისა და, კერძოდ, საფინანსო დაგეგმვის საქმეში გვაქვს, სამწუხაროდ, არ არის სათანადოდ თეორიულად განზოგადებული ჩვენს ეკონომიურ-საფინანსო ლიტერატურაში. ეს მოვლენა თეორიული ფრონტის იმ ჩამორჩენის ერთერთი გამოსახულებაა, რომელზედაც მიგვითითებს საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. დადგენილება „საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ გამოშვებასთან დაკავშირებით პარტიული პროპაგანდის დაყენების შესახებ“.

თეორიული ფრონტის მუშაკთა სერიოზული ჩამორჩენა, როგორც ვიცით, სხვა მომენტებთან ერთად, გამოიხატებოდა აგრეთვე „პარტიის მიერ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე დაგროვილი უდიდესი პრაქტიკული გამოცდილების თეორიული განზოგადების ნაკლებობით“.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. დადგენილებაში მოხსენებული თეორიული ფრონტის მუშაკთა ჩამორჩენა მთლიანად დამახასიათებელია აგრეთვე საფინანსო თეორიული ფრონტისათვისაც.

„აუცილებელი კია, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — რომ თეორიული მუშაობა არა თუ არ ჩამორჩებოდეს პრაქტიკულ მუშაობას, არამედ წინ უსწრებდეს მას და აიარალებდეს ჩვენს პრაქტიკოსებს მათს ბრძოლაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის“¹.

ბრძოლა ამხანაგ სტალინის ამ მითითების შესრულებისათვის, ბრძოლა თეორიული მუშაობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის თეორიული ფრონტის მუშაკთა საპატიო ამოცანას წარმოადგენს.

პროლეტარიატის დიქტატურამ საფუძველი ჩაუყარა გეგმიანი მეურნეობის არსებობას.

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეთერთმეტე რუსული გამოცემიდან, გვ. 346—347.



როგორც წინასწარმეტყველებდა ენგელსი, პროლეტარიატის მარქსისტულ ფორმების დაპყრობის შემდეგ „უწინარეს ყოვლისა მრეწველობისა და წარმოების სხვა დარგების მართველობა ჩამოერთმევა ცალკეულ ინდივიდებს, რომელნიც ერთი მეორეს კონკურენციას უწევენ. ამის ნაცვლად წარმოების ყველა დარგის მართველობა გადავა მთელი საზოგადოების ხელში, ე. ი. წარმართება საზოგადოების ხარჯზე, საერთო გეგმის თანახმად და საზოგადოების ყველა წევრის მონაწილეობით“¹.

ყოველივე ეს რეალურ სინამდვილედ იქცა ჩვენში.

გეგმიანი მეურნეობის პრინციპების განხორციელება, რასაკვირველია, ყოველად შეუძლებელია კაპიტალიზმის ეკონომიური ბაზის შენარჩუნების პირობებში.

„გეგმიანი წესით ხელმძღვანელობისათვის, — ხაზს უსვამს ამხანაგი სტალინი, — საჭიროა მრეწველობის... სოციალისტური და არა კაპიტალისტური სისტემა, საჭიროა, ყოველ შემთხვევაში, ნაციონალიზებული მრეწველობა, ნაციონალიზებული საკრედიტო სისტემა, ნაციონალიზებული მიწა, სოციალისტური კავშირი სოფელთან, მუშათა კლასის ხელისუფლება სახელმწიფოში და სხვ.“².

ამ წინაპირობათა არსებობით ჩვენში უზრუნველყოფილ იქნა გეგმიანი მეურნეობის პრინციპების განხორციელება.

მეურნეობის საბჭოთა სისტემის, მეურნეობის სოციალისტური ორგანიზაციის ერთერთი უპირატესობა, კაპიტალისტურ სისტემასა და ორგანიზაციასთან შედარებით, ჩვენში ამ გეგმიანი ხელმძღვანელობის პრინციპის განხორციელებაში ჰპოებს თავის გამოხატულებას.

გეგმა არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც მომავლის ანტიციპაცია, როგორც მომავლის განჭვრეტა, მისი პროგნოზი წარსულ კანონზომიერების საფუძველზე წარმოებული. „ჩვენი გეგმები, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — არიან არა გეგმები-პროგნოზები, არა გეგმები-გამოსაცნობნი, არამედ გეგმები-დირექტივები, რომელნიც სავალდებულოა ხელმძღვანელი ორგანოებისთვის და რომელნიც განსაზღვრავენ ჩვენი სამეურნეო განვითარების მიმართულებას მომავალში მთელი ქვეყნის მასშტაბით“³.


სამეურნეო ცხოვრების გეგმიანი ხელმძღვანელობა გულისხმობს მეურნეობის აქტიურ გარდაქმნას, ეკონომიკაზე აქტიურ ზემოქმედებას.

როგორც ვიცით, ჩვენს სამეურნეო ცხოვრებას განსაზღვრავს და წარმართავს სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ გეგმის კონკრეტული შინაარსი, დაგეგმვის ფორმები და მეთოდები განიცდიდნენ ცვლილებებს, სოციალისტური მშენებლობის გარკვეულ პირობებთან და ვითარებასთან დაკავშირებით. განვითარების ამ პროცესის ანალიზი ააშკარავებს იმ უდიდეს მიღწევებს და აღმავლობას, რომელიც გვექონდა და გვაქვს მეურნეობის ყველა

¹ იხ. Маркс-Энгельс, Сочинения, т. V. გვ. 772.

² ი. სტალინი, პოლიტიკური ანგარიში საქ. კ. ბ. (ბ) XV ყრილობას. პარტგამომცემლობა, 1935 წ. გვ. 44.

³ იქვე.



დარგში და მისთან დაკავშირებით თვით დაგეგმვის განმტკიცებისა და მისი მნიშვნელობის გაფართოების საქმეში.

სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლების საფუძველზე სდგება საფინანსო გეგმა, როგორც სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის ერთერთი შემადგენელი ელემენტი. საფინანსო დაგეგმვა გარკვეულ უბანს წარმოადგენს დაგეგმვის მთლიან სისტემაში.

იმის შემდეგ, რაც განვიხილეთ საბჭოთა ფინანსების არსი და ფუნქციები, ჩვენთვის ნათელი იქნება აგრეთვე საფინანსო დაგეგმვის არსი და დანიშნულება.

საბჭოთა ფინანსების საშუალებით, როგორც ვიცით, ხორციელდება სოციალისტური მშენებლობისათვის აუცილებელი ფულადი რესურსების აკუმულაცია და გამოყენება. ყოველივე ეს ჩვენში გეგმიანი პრინციპის საფუძველზე წარმართება. საფინანსო დაგეგმვა დაგეგმვის მთლიანი სისტემის ის სახეა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ამ პროცესის გეგმიანი წარმართვა და მისი სათანადო ფორმებში ჩამოყალიბება.

საფინანსო დაგეგმვისათვის დამახასიათებელია დასპეციფიკურია ის, რომ დაგეგმვა ამ შემთხვევაში წარმოებს ფულადი რესურსების აკუმულაციისა და გამოყენების ანუ „შემოსავლების“ და „ხარჯების“ დაგეგმვის სახით. საფინანსო გეგმა გულისხმობს ღირებულებით დავალებათა განსაზღვრას სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებისათვის აუცილებელი ფულადი რესურსების აკუმულაციისა და მათი გამოყენების დაგეგმვის ფორმაში.

საფინანსო გეგმის, როგორც სახალხო-სამეურნეო გეგმის ერთერთი შემადგენელი ნაწილის, არსებობა, ორგანულად დაკავშირებულია მიმოქცევის სფეროს და, მაშასადამე, საქონლებრუნვის და ფულადი კატეგორიების შენარჩუნებასთან. ამ პირობებში სახალხო-სამეურნეო გეგმა აუცილებლად მოითხოვს საჭირო ფულადი რესურსების აკუმულაციისა და გამოყენების დაგეგმვას, სხვა პროცესების დაგეგმვასთან ერთად, როგორც ერთერთ ნაწილს მთლიანი სამეურნეო ცხოვრების გეგმიანი წარმართვისა.

საფინანსო პროგრამის დაგეგმვის დროს ჩვენ გამოვდივართ პარტიისა და ხელისუფლების დავალებათა სისტემიდან, რაც გამოსახულია მთლიან სახალხო-სამეურნეო გეგმაში. საფინანსო გეგმის შესრულება, როგორც ეს აღნიშნულია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1930 წ. დეკემბრის პლენუმის რეზოლუციაში, „პირდაპირ არის დამოკიდებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებაზე სახალხო მეურნეობისა და მშენებლობის ყველა დარგში“.

საფინანსო გეგმის შედგენა სახალხო-სამეურნეო გეგმის დავალებათა საფუძველზე, საფინანსო გეგმის შესრულების უშუალო დამოკიდებულება სახალხო მეურნეობის გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების შესრულებაზე, არაერთარ შემთხვევაში არ მოწმობს იმას, თითქოს საფინანსო გეგმას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდეს, თითქოს ის სამეურნეო ცხოვრებაში აქტიურ როლს არ ასრულებდეს.

მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ფინანსებმა აქტიური როლი ითამაშონ სამეურნეო გან-

ვითარებაში, რომ ფინანსები მოგვევლინონ სამეურნეო პროცესების აქტივიზაციის მძლავრ ბერკეტად. სა კ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1930 წ. დეკემბრის პლენუმის განკარგულებაში, აღნიშნავს რა საფინანსო გეგმების დამოკიდებულებას გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესრულებაზე, იმავე დროს ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „საფინანსო გეგმის ზუსტად შესრულების გარეშე შეუძლებელია დასახული სამეურნეო გეგმის განხორციელება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში“.

ამგვარად, საფინანსო გეგმის შესრულება თავის მხრივ უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორად გვევლინება მთელი სამეურნეო პროგრამის შესრულების საქმეში.

საფინანსო პოლიტიკის დიდ როლს სოციალისტურ მშენებლობაში ხაზს უსვამდა ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელს: „ყოველგვარი ჩვენი რადიკალური რეფორმა,—აღნიშნავდა იგი,—მარცხით დამთავრდება, თუ საფინანსო პოლიტიკაში წარმატებას არ მივალწევთ. ამ უკანასკნელ ამოცანაზეა დამოკიდებული საზოგადოების სოციალისტურად გარდაქმნის ის უდიდესი საქმე, რომელიც ჩვენ გვაქვს განზრახული“¹. ამხანაგი სტალინი, ახასიათებს რა საკ. კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე ბოლშევიკური შეტევის დედაარსს, სხვა მომენტებთან ერთად აღნიშნავს, რომ „ბოლშევიკური შეტევის დედაარსა, შემდეგ, იმაში მდგომარეობს, რომ მოვახდინოთ სახსრების მაქსიმუმის მობილიზაცია ჩვენი ინდუსტრიის დასაფინანსებლად, ჩვენი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობების დასაფინანსებლად და გავგზავნოთ ჩვენი პარტიის საუკეთესო ადამიანები მთელი ამ საქმის გასაშლელად“².

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ამხანაგმა მოლოტოვმა აღნიშნა, რომ „ჩვენში რომ ასე სწრაფად არ იზრდებოდეს სახელმწიფო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები, ასე სწრაფად რომ არ იზრდებოდეს სახელმწიფო ბანკის საკრედიტო ბრუნვა... ჩვენში ასე სწრაფი ტემპით ვერ გაიზრდებოდა ჩვენი მეურნეობა, ჩვენი კულტურული მშენებლობა და ასე სწრაფად ვერ განმტკიცდებოდა ქვეყნის თავდაცვა, როგორც ამას ადგილი აქვს ყველა ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში“³.

საფინანსო დაგეგმვის აქტიური როლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას წარმოდგენილი იმ სახით, თითქოს ფინანსები წარმოადგენდნენ იმთავითვე მოცემულ ლიმიტს სახალხო მეურნეობის განვითარებისა, რომ თითქოს ეს ლიმიტები „საფინანსო შესაძლებლობათა“ სახით წარმოდგენილნი, იმთავითვე გვევლინებიან სამეურნეო პროგრამის განსაზღვრულ ფაქტორად. ფინანსების ასეთი შეფასება „შესაძლებლობის“ მვენებლურ კონტრრევოლუციურ მემარჯვენე „თეორიის“ ერთერთ ძირითად დასაყრდენს წარმოადგენდა. ამ „თეორიის“ მიხედვით სამეურნეო პროგრამის მოცულობას, სამეურნეო ტემპების დაგეგმვას თითქოს იმთავითვე საზღვრავდეს თავისთავად გეგმის შედგენამდე

¹ ლენინი, რჩეული ნაწერები, ტ. IV, გვ. 335.

² ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მკათე რუსული გამოცემიდან, გვ. 465.

³ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია, სტენოგრაფიული ანგარიში, გვ. 120.

ჩვენს განკარგულებაში მყოფი და ობიექტურად არსებული „საფინანსო შესაძლებლობის“ ფარგლები. „საფინანსო ლიმიტებს“ ისინი პრიმატს ანიჭებდნენ სამეურნეო გეგმის შედგენის საქმეში. ამავე დროს თვით ამ „ლიმიტებს“ ისინი უკავშირებდნენ „წონასწორობის“ და, კერძოდ, „საფინანსო წონასწორობის“ საკითხს.

ფინანსების ასეთი გაგება, მის მავნებლურ კონტრეველუციურ-მემარჯვენე დამახინჯების შედეგს წარმოადგენდა. აღნიშნული მოთხოვნა ეწინააღმდეგებოდა ჩვენი განვითარების მაღალ ტემპებს, მიზნად ისახავდა მეურნეობის კაპიტალისტურ რელსებზე გადაყვანას, კაპიტალიზმის რესტრავრაციას ჩვენში.

„საკმაო იყო, — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი, — მარქსიზმის საგანძურრიდან ამოგვეღო რეპროდუქციის თეორია და დაგვესპირისპირებინა იგი სექტორების წონასწორობის თეორიისათვის, რომ ამ უკანასკნელი თეორიის ნიშანკვალიც არ დარჩენილიყო“¹.

ჩვენი მეურნეობის განვითარება, წარიმართება რა გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის პრინციპის საფუძველზე, გულისხმობს არა მარტო მატერიალური პროცესების გაფართოებულ რეპროდუქციას, არამედ საფინანსო რესურსების შესატყვის ზრდას, სოციალისტური დაგროვების ფარგლების გადიდებას, და ამდენადვე სამეურნეო პროცესების დაფინანსების გაფართოებულ შესაძლებლობას.

სამეურნეო განვითარების მაღალი ტემპების განხორციელების ერთერთ პირობას, როგორც ვიცით, წარმოადგენდა და წარმოადგენს ფინანსების მიერ ამ ტემპების აქტიური მომსახურება, სახსრების მაქსიმალური მობილიზაციისა და ამ რესურსების ოპტიმალური გამოყენების საშუალებით.

ყველა ძალის კონცენტრაცია და სიძნელეთა დაძლევა, მიმართული ამ ამოცანის შესრულებისათვის, საფინანსო სისტემის პირდაპირ დანიშნულებას წარმოადგენდა და წარმოადგენს. „საფინანსო ლიმიტების“ მოთხოვნის წამოყენებით კონტრეველუციურ მემარჯვენე „თეორეტიკოსებს“ სურდათ მეურნეობის განვითარების ტემპების შენელება, სამეურნეო ცხოვრების კაპიტალისტური ხაზით წარმართვა, საფინანსო ბერკეტების მავნებლური გამოყენება.

საფინანსო ბალანსი სახალხო მეურნეობის ბალანსის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. როგორც ვიცით, ამ ბალანსის მნიშვნელობას უგულვებელყოფდნენ კონტრეველუციური ტროცკისტები ჯერ კიდევ აღდგენითს პერიოდში. ისინი მოითხოვდნენ ემისიის ფორსირებას, ილაშქრებდნენ ფულის რეფორმის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ „ხარჯების განუსაზღვრელობას“, უარყოფდნენ საფინანსო ბალანსის რაიმე როლს. ყოველივე ეს მათ მავნებლურ დასახულობათა და მავნებლური საქმიანობის გამოსახულებას წარმოადგენდა.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ფინანსების აქტუალური მნიშვნელობის საკითხი. როგორც ვიცით, მუშათა კლასის სამეურნეო-პოლიტიკურ დავალებათა წარმატებით რეალიზაციის ერთერთ პირობას სახალხო-სამეურნეო ბალანსის შემად-

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეთერთმეტე რუსული გამოცემიდან, 33. 349.



გენელი ნაწილების—მატერიალური და ფინანსური ბალანსების—მთლიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც გულისხმობს საფინანსო ბერკეტების მასშტაბურ მალური გამოყენების, საფინანსო გეგმის შესრულების უდიდეს როლს სახალხო-სამეურნეო გეგმის ყველა დავალების წარმატებით განხორციელების საქმეში.

საფინანსო გეგმის არსებობა და მისი აუცილებლობა, როგორც ვიცით, ორგანულად დაკავშირებულია მიმოქცევის სფეროს და, მაშასადამე, ფულადი კატეგორიების შენარჩუნებასთან. ფული კი, როგორც ვიცით, დარჩება ჯერ კიდევ დიდხანს, თვით კომუნისმის პირველი სტადიის—განვითარების სოციალისტური სტადიის—დამთავრებამდე. სწორედ ამ პერიოდამდე შენარჩუნებული იქნება საფინანსო კატეგორიები და, მაშასადამე, საფინანსო გეგმის აუცილებლობაც.

კომუნისტური მეურნეობის პირობებში გეგმა თავისი შესატყვისი შინაარსით და ფორმით, რასაკვირველია, გვექნება, მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ ამ შემთხვევაში დაგეგმვის პროცესი საფინანსო დაგეგმვის კატეგორიის შემცველი იქნება, რომ საფინანსო დაგეგმვა სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის შემადგენელი ელემენტი იქნება აგრეთვე ამ ვითარების პირობებშიც.

როდესაც „სავსებით მოგვარდება პროდუქტების კომუნისტური წარმოება და განაწილება“, მოისპობა ფული და, მაშასადამე, საფუძველი გამოეცლება საფინანსო კატეგორიების არსებობას, სახალხო შემოსავლის გადანაწილებას, ფულადი რესურსების აკუმულაციას და დაბანდებას, ამ პირობებში საფინანსო დაგეგმვა უკვე აღარ იქნება საჭირო.

საზოგადოებრივი შრომის „ბუნებრივ, ადეკვატურ, აბსოლუტურ საზომში, დროში“ (ენგელსი) გამოსახვის პირობებში უნივერსალურ საზომად უკვე არ იქნება ფულად-ფასობრივი ფორმა, არ გვექნება ფულადი რესურსების აკუმულაციისა და დაბანდების გეგმა.

ყოველივე ეს იქნება შედეგი არა საქონელბრუნვის, ფულის, ფინანსების თანდათანობითი შეკუმშვისა, მათი როლის შესუსტებისა, არამედ მოძრაობის იმ დიალექტიკური პროცესისა, რომელიც გულისხმობს საბჭოთა ვაჭრობის ყოველმხრივ გაშლას, მანეთის განმტკიცებას, საფინანსო დისციპლინის გაძლიერებას, საფინანსო მუშაობის გაუმჯობესებას, როგორც აუცილებელ პირობებს პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის განხორციელებისა, ფულისა და მასთან დაკავშირებული კატეგორიების მოსპობისა.

III

საფინანსო დაგეგმვის არსისა და მისი მნიშვნელობის განხილვის შემდეგ დავახსიათოთ საფინანსო გეგმათა მთლიანი სისტემა და გავეცნოთ ამ სისტემის წყობას.

საფინანსო დაგეგმვა ხორციელდება ცალკე საფინანსო გეგმების და დაგეგმვის სინთეზური განხორციელების ფორმების გამოყენების საშუალებით.

როგორც ვიცით, ყოველი საფინანსო გეგმის საშუალებით წარმოებს,

ერთის მხრივ, სახსრების აკუმულაციის ანუ „შემოსავლის“, მეორის მხრივ, მათი დაბანდების ანუ „ხარჯების“ დაგეგმვა.

აღსანიშნავია, რომ ცალკე საფინანსო გეგმებში სახსრების აკუმულაცია და გამოყენება ხორციელდება სხვადასხვა მეთოდისა და ფორმის გამოყენების საშუალებით.

მიუხედავად იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს ცალკე საფინანსო გეგმათა შორის, აღნიშნული მეთოდებისა და ფორმების გამოყენების თვალსაზრისით, მათ შორის არსებობს მკიდრო კავშირი, მათ ახასიათებს მიზნების ერთიანობა, ყველა ის სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვისაა გამოყენებული.

ყოველი საფინანსო გეგმა წარმოადგენს ფულადი რესურსების გეგმაშეწონილი დაგროვებისა და მათი გამოყენების მთლიანი სისტემის გარკვეულ ნაწილს, გარკვეულ რგოლს, სწორედ ამ მიზნისათვის გამოყენებულს.

ფულადი რესურსების აკუმულაციისა და გამოყენების სათანადო ფორმების განხორციელების შედეგად წარმოებს სახალხო შემოსავლის გადანაწილება. უკანასკნელისათვის, როგორც ვიცით, აუცილებელია სახსრების აკუმულაციისა და დაბანდების ის ფორმა, რომელიც გულისხმობს აკუმულირებული თანხების არა ლოკალიზებულ გამოყენებას, არამედ საშუალებათა ცენტრალიზებულ ფონდში დაგროვებას და მათი სხვა მიმართულებით დაბანდებას. გარკვეული საფინანსო გეგმისათვის (ძირითადად ბიუჯეტისათვის) დამახასიათებელია ამ გადანაწილებითი ფუნქციების შესრულება, მაგრამ, ვიმეორებთ, უკანასკნელი არ არის სავალდებულო ნიშანი ყოველი საფინანსო გეგმისათვის, რამდენადაც შესაძლებელია საფინანსო ინსტიტუტი ანხორციელებდეს რესურსების აკუმულაციისა და დაბანდებას არა ცენტრალიზებულ გადანაწილებითი, არამედ ლოკალიზებული პრინციპის საფუძველზე. უკანასკნელი გულისხმობს აკუმულირებულ საშუალებათა იმავე ერთეულში გამოყენებას.

საფინანსო დაგეგმვის მთლიან სისტემაში წამყვანი როლი ბიუჯეტს ეკუთვნის. საბჭოთა ბიუჯეტი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტია და, როგორც ასეთი, უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის საქმეში.

სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა ბიუჯეტის არსი, ფუნქციები და დანიშნულება პრინციპულად, ძირეულად განსხვავდება კაპიტალისტური ბიუჯეტისაგან, რომელიც კაპიტალისტთა და მემამულეთა კლასობრივი ბატონობის ერთერთ იარაღს წარმოადგენს.

კაპიტალისტური ბიუჯეტი ბურჟუაზიის მიერ გამოიყენება კაპიტალისტური წარმოების წესის განმტკიცებისათვის, კაპიტალისტურ ურთიერთობათა გაფართოებისათვის. კაპიტალისტური ბიუჯეტი არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს გეგმას და ამდენადვე საბიუჯეტო პროცესი არ გულისხმობს გარკვეული გეგმიანი პროცესის განხორციელებას.

ბიუჯეტის არსი, ფუნქციები და დანიშნულება პრინციპულად, ძირეულად შეცვლილია მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფო ხელის-



უფლება უშუალოდ ასრულებს ქვეყნის ეკონომიკის მართვა-გამგებლობის ფუნქციებს, სახელმწიფო ბიუჯეტს ენიჭება უაღრესად დიდი სახალხო-მეურნეობრივი მნიშვნელობა. მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტი არ შეიძლება არ წარმოადგენდეს გარკვეულ გეგმას გეგმიანობის მთლიან სისტემაში. საბიუჯეტო დაგეგმვა სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს.

საბჭოთა ბიუჯეტი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს ბიუჯეტია. ის წარმოადგენს სოციალისტური სახელმწიფოს წამყვან საფინანსო გეგმას, გეგმას სოციალისტური სახელმწიფოს მიერ მისი ფუნქციების შესრულებისათვის აუცილებელი ფულადი რესურსების აკუმულაციისა და მათი გამოყენებისა სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად, გამოსახულს კანონში სოციალისტური სახელმწიფოს წლიურ შემოსავალ-გასავლის შესახებ.

ფულადი რესურსების აკუმულაციისა და გამოყენების გარკვეული ფორმების გამოყენების შედეგად ბიუჯეტი ახდენს სახალხო შემოსავლის გეგმიან გადანაწილებას. ამ დანიშნულებას ბიუჯეტი ასრულებს როგორც წამყვანი საფინანსო ინსტიტუტი მთლიან საფინანსო სისტემაში.

დიდია აგრეთვე ბიუჯეტის როლი სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, საფინანსო დისციპლინის, მანეთით კონტროლის განხორციელების საქმეში.

სხვა საფინანსო ინსტიტუტებისაგან ბიუჯეტი საგრძობლად განსხვავდება სახსრების აკუმულაციისა და დაბანდების მეთოდების თვალსაზრისით.

უნდა აღინიშნოს, რომ საბიუჯეტო გეგმა ამავე დროს წარმოადგენს სახელმწიფოს კანონს, რომელიც სათანადო საკანონმდებლო აქტით მტკიცდება უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ. ბიუჯეტის განხილვის, დამტკიცების, შესრულებისა და კონტროლის წესები იმთავითვე მკაცრად რეგლამენტირებულია საბჭოთა კანონმდებლობის მიერ. ამითაც ბიუჯეტი განსხვავდება სხვა საფინანსო ინსტიტუტებისაგან.

ბიუჯეტის ერთერთი თავისებურობა, როგორც აღვნიშნეთ, მდგომარეობს ბიუჯეტის მიერ სახსრების აკუმულაციისა და დაბანდებების მეთოდების თავისებურობაში. ისმება საკითხი ამ თავისებურობათა კონკრეტული გამოსახულების შესახებ.

საბიუჯეტო რესურსების აკუმულაცია წარმოებს, უპირველეს ყოვლისა, სოციალისტური დაგროვების ფონდიდან. სოციალისტური დაგროვება ბიუჯეტში გამოიხატება არა მთლიანად, არამედ მისი გადანაწილებითი ნაწილის ფარგლებში. დაგროვების ამ გადანაწილებით ნაწილს შეადგენს გადასახადები, მიღებული განსაზოგადოებული მეურნეობიდან, რომელიც მთლიანად ჩაირიცხება სახელმწიფო ცენტრალიზებულ გადანაწილებით ფონდში, როგორც ამ ფონდის შექმნის ერთერთი ძირითადი საშუალება. იმავე ფონდში მოიქცევა სოციალისტური დაგროვების სამეურნეო ანგარიშთანაობრივ ფორმის—მოგების გადანაწილებითი ნაწილი (მოგების ანარიცხების სახით).

გარდა ამისა, ბიუჯეტის შემოსავალს შეადგენს მოსახლეობის ფულადი რესურსების მობილიზაციის ის ნაწილი, რომელიც მიიღება მოსახლეობის გადასახადებისა და სახელმწიფო სესხების სახით.



საბჭოთა ბიუჯეტის შემოსავლების უდიდეს ნაწილს განსაზღვრავს მთლიანი მეურნეობის შემოსავლები შეადგენენ. მათი წილი ბიუჯეტში სისტემატურად მატულობს. შედარებით უფრო მცირეა მოსახლეობიდან ფულადი რესურსების მობილიზაციის ხვედრითი წონა.

ბიუჯეტის მიერ აკუმულირებული თანხების გამოყენება, მათი დაბანდება წარმოებს სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციების შესრულებასთან შესაბამისად: სახალხო მეურნეობის, სოც.-კულტურულ ღონისძიებების, თავდაცვის, მმართველობის დაფინანსების სახით. ჩვენს „სახელმწიფო ბიუჯეტში თავს იყრის მთელი ჩვენი მეურნეობის დაფინანსების ძაფები“ (მოლოტოვი).


სახსრების გამოყენების საბიუჯეტო პრინციპისათვის დამახასიათებელი და სპეციფიკურია ის, რომ სახსრების დაბანდება ამ შემთხვევაში წარმოებს სახელმწიფო გადანაწილებითი ფონდიდან დაფინანსების ფორმით. საბიუჯეტო დაფინანსება გულისხმობს საწარმოთა, უწყებებისა და ორგანიზაციებისათვის საბიუჯეტო ფონდიდან თანხების კონკრეტულად დაუბრუნებლობის პრინციპის დაფუძვლზე გაცემას, განსხვავებით დაკრედიტების პრინციპისა, რომელიც გულისხმობს თანხების გაცემას კონკრეტული დაბრუნების პირობით, გარკვეული ვადის დაცვით. დაუბრუნებლობის პრინციპი, რომელსაც ამ შემთხვევაში ბიუჯეტი გამოიყენებს, გულისხმობს მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ბიუჯეტიდან დაფინანსებულ ორგანოს მიერ მიღებული თანხები ბიუჯეტს კონკრეტულად არ დაუბრუნდება, არამედ დაფინანსებული ორგანიზაციის და საწარმოს ფონდებში ჩაირიცხება და მას მიეკუთვნება.

საბიუჯეტო დაფინანსებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეურნეობისათვის. დაფინანსება უშუალო გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის სათანადო ფონდების ზრდაზე, კულტურული მდგომარეობის აღმავლობაზე და სხვ. ამდენადვე სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით საბიუჯეტო დაფინანსება, რასაკვირველია, დაბრუნებითს ხასიათს ატარებს.

ბიუჯეტის სტრუქტურული აგებულების მართებული გაგებისათვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ ჩვენში ჩამოყალიბებულ იქნა საწარმოთა, ორგანიზაციების და დაწესებულებათა ორი ტიპი—საბიუჯეტო და სამეურნეო ანგარიშზე მყოფნი.

პირველთათვის დამახასიათებელია მათი შემოსავალ-გასავლის მთლიანი აღრიცხვა ბიუჯეტში. საბიუჯეტო დაწესებულებანი ემორჩილებიან დაფინანსების სანუსხო-საბიუჯეტო წესს. დაფინანსების ეს წესი ძირითადად გამოყენებულია სოც.-კულტურულ ღონისძიებათა, მმართველობის და თავდაცვის მიმართ. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 1938 წლიდან სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მთლიანი შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება ბიუჯეტში.

ის ორგანიზაციები და საწარმონი, რომელიც გადაყვანილია სამეურნეო ანგარიშზე, ბიუჯეტში ჰპოებენ გამოხატულებას არამთლიანი შემოსავლის და გასავლის ფარგლებში, არამედ ბიუჯეტის შემოსავალში გადასახადებისა და მოგების ანარიცხების სახით, გასავალში კი—საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, ე. ი. ხარჯების იმ ნაწილში, რომელიც არ იფარება შინაგანი დაგრო-



ვებით და სხვა წყაროებით. უკანასკნელ შემთხვევაში საბიუჯეტო დაფინანსება ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საჭირო ხდება ღონისძიებების დაფინანსება სახელმწიფოს ცენტრალიზებული გადანაწილებითი ფონდიდან, იმის გამო, რომ საწარმოთა და ორგანიზაციების ლოკალიზებული რესურსები საკმაოდ არ არის ხარჯების წარმოებისათვის. იმ პირობებში კი, როდესაც ორგანიზაციებისა და საწარმოების საკუთარი ლოკალიზებული, შინაგანი რესურსებით შესაძლებელი იქნება ამ ხარჯების დაფარვა, ბიუჯეტი უკვე არ მონაწილეობს მათ დაფინანსებაში.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებასთან, სტახანოვური მოძრაობის გაშლასთან, რენტაბელობის ზრდასთან დაკავშირებით, საბიუჯეტო თანხების ხვედრითი წონა სამეურნეო პროცესების დაფინანსებაში გარკვეულად მცირდება საწარმოთა და ორგანიზაციების შინაგანი რესურსების როლის ზრდასთან ერთად. ამით აიხსნება სახალხო მეურნეობის დაფინანსების ხარჯების ხვედრითი წონის შემცირება ბიუჯეტში, რასაც ადგილი აქვს ჩვენში უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში.

სახსრების მაქსიმალური აკუმულაციით და მათი გამოყენებით მეურნეობის, კულტურის, თავდაცვის დაფინანსებისათვის საბჭოთა ბიუჯეტი უაღრესად აქტუალურ როლს ასრულებს მთელს ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში, როგორც სახალხო შემოსავლის გადანაწილების უმნიშვნელოვანესი იარაღი.

ჩვენი ბიუჯეტის დახასიათების დროს არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე მისი დიდი მნიშვნელობა მანეთით კონტროლის, საფინანსო დისციპლინის, სამეურნეო ანგარიშის პრინციპების განხორციელების საქმეში.

ჩვენი საბიუჯეტო წყობის საფუძვლები განისაზღვრება სსრ კავშირის კონსტიტუციით (ძირითადი კანონით).

სტალინური კონსტიტუცია, განსაზღვრავს რა ჩვენს საბიუჯეტო წყობას, აწესებს საბიუჯეტო სისტემის შემდეგ რგოლებს: საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, როგორც საკავშირო სახელმწიფოს, შექმნილს თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე, აქვს ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიც გაერთიანებულია საბიუჯეტო სისტემის ყველა შემადგენელი რგოლი.

საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა გამოხატავს სსრ კავშირის პოლიტიკური და ეკონომიური საფუძვლების ერთიანობას, გამოხატავს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიზნების ერთიანობას.

საბიუჯეტო სისტემის ერთიანობა სრულიად არ გულისხმობს ცალკე რგოლების მექანიკურ შეჯამებას, ან თვით ამ რგოლების გაუპიროვნებას. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, რომლის განხორციელების საფუძველზეა აგებული ჩვენი საბიუჯეტო წყობა, უარყოფს როგორც ერთს, ისე მეორეს.

საბიუჯეტო სისტემის ცალკე რგოლები, ერთიანდებიან სსრ კავშირის ერთიან სახელმწიფო ბიუჯეტში, რომლის დამტკიცება ეჭვემდებარება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის გამგებლობას, მის ხელისუფლე-

ბის უმაღლეს ორგანოთა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა მიხედვით იმავე საფუძველზე მტკიცდება აგრეთვე გადასახადები და შემოსავლები, რომლებიც შემოდიან „საკავშირო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტთა შესაქმნელად“ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 14 მუხლი). აღნიშნული ორგანოების გაბეგბლობაში შედის აგრეთვე „სსრ კავშირის სახალხო-სამეურნეო გეგმების დადგენა“. ამით ხაზგასმულია სახალხო-სამეურნეო და, კერძოდ, საბიუჯეტო დაგეგმვის ერთიანობა.

მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სახით, თვით „ამტკიცებს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმას და ბიუჯეტს“ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 60 მუხლი). სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, მშრომელების დეპუტატების საბჭოების სახით „აწესებენ ადგილობრივ ბიუჯეტს“ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 97 მუხლი).

ყოველივე ეს ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესობას ფინანსების დარგში, საფინანსო სისტემის ერთიანობას, რომელიც თავის მხრივ ყველა პირობას ჰქმნის მოკავშირე რესპუბლიკებისა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საფინანსო მეურნეობის განმტკიცებისათვის სამეურნეო-კულტურული მშენებლობის აღმავლობისათვის.

ბიუჯეტის ეს უდიდესი მნიშვნელობა არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს საფინანსო დაგეგმვის შეზღუდვას საბიუჯეტო დაგეგმვის ფარგლებით. საფინანსო დაგეგმვა, რასაკვირველია, სცილდება ბიუჯეტის საზღვრებს და შეიცავს აგრეთვე სხვა საფინანსო ინსტიტუტების საფინანსო გეგმებს და აგრეთვე საფინანსო დაგეგმვის სათანადო სინთეზურ ფორმებს. ჩვენ სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოვდივართ, როდესაც საბიუჯეტო გეგმის გარდა ვიხილავთ აგრეთვე სხვა საფინანსო გეგმებსაც.

უპირველეს ყოვლისა განვიხილოთ დარგობრივი საფინანსო გეგმები. უკანასკნელნი კომისარიატების, მთავარი სამმართველოებისა და საწარმოების სამეურნეო გეგმების ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ. ეს გეგმები სდგება სათანადო სამეურნეო ერთეულების სამეურნეო გეგმების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლების საფუძველზე და მათი მუშაობის ოპერატიულ გეგმებს წარმოადგენენ ფინანსების დარგში.

დარგობრივ საფინანსო გეგმებში გამოხატულებას ჰპოვებს კომისარიატების მთავარი სამმართველოების ან უწყებების მთლიანი შემოსავალი და მთლიანი ხარჯები გარკვეული პერიოდისათვის.

სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და მისი შემოწმებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დავალებათა განსაზღვრა და ამ დავალებათა შესრულების შემოწმება. სამეურნეო საქმიანობის ერთერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მუშაობის ფინანსიური მხარე, მისი ფინანსიური გამოსახულების დაგეგმვა.

საწარმოს საფინანსო მდგომარეობისა და გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებელთა შორის არსებობს, როგორც ვიცით, ორგანული კავშირი. საწარმოს საფინანსო მდგომარეობა, მისი საფინანსო გეგმის შესრულება პირდა-



პირ დამოკიდებულია გეგმის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებზე. შესრულებაზე. ასე, მაგ., პროდუქციის სიდიდის, თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების ზრდის და სხვ. მაჩვენებლების შესრულებაზე პირდაპირ არის დამოკიდებული წარმოების დაგროვების, კაპიტალური მშენებლობის და სხვ. დანახარჯების გეგმის შესრულება. მაშასადამე, საწარმოო დავალებათა შეუსრულებლობა გამოიწვევს სათანადო გარღვევას საფინანსო გეგმის შესრულებაში.

მაგრამ ამავე დროს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავის მხრივ საფინანსო გეგმის ზუსტად შესრულების გარეშე შეუძლებელია დასახული სამეურნეო გეგმის განხორციელება.

„უიმიოდ, რომ არ ვათვლევით შემოსავლის და ხარჯის თითოეული მუხლის მანეთები და კაპიკები, შეუძლებელია სათანადო წესრიგი დავამყაროთ მრეწველობასა და მთელს სამეურნეო მუშაობაში“, — აღნიშნავდა ამხანაგი მოლოტოვი მრეწველობის პირველ საკავშირო კონფერენციაზე.

საფინანსო გარღვევის შემთხვევაში ბრკოლდება, მაგ., საწარმოო პროცესების ნორმალური დაფინანსება, რაც იწვევს თვით საწარმოო გეგმის შეუსრულებლობას და ამდენადვე საწარმოს საფინანსო მდგომარეობის შემდგომ გაუარესებას. ჯანსაღი საფინანსო მდგომარეობა, საჭირო სახსრების წარმატებით დაგროვება, სამეურნეო პროცესების საჭირო დაფინანსება სათანადო პირობებს ჰქმნის წარმოების მიერ საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, წარმოების შემდგომი გაფართოებისათვის.

ამ საფინანსო გეგმით დაიგეგმება იმ დანახარჯების მთლიანი მოცულობა, რომელიც საჭიროა გარკვეული სამეურნეო ერთეულის სამეურნეო გეგმის რაოდენობრივ და ხარისხობრივ დავალებათა შესრულებისათვის. მასთან ერთად სათანადოდ განისაზღვრება ის სახსრები, რომელიც დაგროვებული უნდა იქნას სამეურნეო მუშაობის შედეგად. მაშასადამე, დარგობრივი საფინანსო გეგმის მიზანს შეადგენს საწარმოთა მუშაობის ფინანსიური გამოსახულების დაგეგმვა, მისი მთლიანი სურათის მოცემა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოთხოვნების შესაბამისად უკანასკნელ პერიოდში დარგობრივი საფინანსო გეგმის სტრუქტურა საგრძნობლად იქნა შეცვლილი. თუ უწინ დარგობრივი საფინანსო გეგმა აგებული იყო ნეტო პრინციპის მიხედვით და ასახავდა მხოლოდ საბოლოო საფინანსო შედეგებს, დარგობრივი საფინანსო გეგმის ფორმა, დამტკიცებული ეკონომიური საბჭოს მიერ 1940 წლისათვის, შეიცავს უკვე მთლიან შემოსავალ-გასავლის ბალანსს. ამ ფორმის მიხედვით დაიგეგმება კომისარიატის, სამმართველოს, საწარმოს შემოსავლის და ხარჯების ყველა სახე, ასახული შემოსავალ-გასავლის ბალანსის სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივი საფინანსო გეგმა უაღრესად ოპერატიული გეგმაა და წარმოადგენს სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვის ერთერთ უაღრესად მნიშვნელოვან უბანს. დიდია აგრეთვე დარგობრივი საფინანსო გეგმის როლი ბიუჯეტის, როგორც წამყვანი საფინანსო გეგმის, შედეგისა და შესრულების საქმეში. საბიუჯეტო თანხების გაანგარიშებისათვის აუცილებელია დარგობრივი საფინანსო გეგმებით სარგებლობა და ამ მასალების საფუძველზე

საბიუჯეტო თანხების დაგეგმვა. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყენოთ მათგან გუბების ანარიცხების, საბიუჯეტო დაფინანსების მოცულობის განსაზღვრა და სხვა. ამ თანხების გაანგარიშებისათვის ჩვენ აუცილებლად უნდა გვქონდეს სათანადო დარგის საფინანსო გეგმა, რომლის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელი ხდება ბიუჯეტის აღნიშნული შემოსავლების და ხარჯების მოცულობის გაანგარიშება.

საფინანსო გეგმათა სისტემის განხილვის დროს აუცილებლად უნდა შევჩერდეთ აგრეთვე ცალკე საფინანსო ინსტიტუტების საფინანსო გეგმებზე, როგორც არის სახელმწიფო დაზღვევის საფინანსო გეგმა, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი, შემნახველი საღაროების საფინანსო გეგმა და სხვ. მათი გაცნობის შემდეგ შესაძლებელი იქნება საფინანსო დაგეგმვის სინთეზური ფორმებისა და მეთოდების გაცნობა.

განვიხილოთ სახელმწიფო დაზღვევის საფინანსო გეგმა.

სსრ კავშირში სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტების განაწილების მარქსის მიერ მოცემული სქემის განხორციელება, სხვა ფაქტორებთან ერთად, გულისხმობს დაზღვევის ფონდის შექმნას.

როგორც აღნიშნავს მარქსი, დასაზღვევი ფონდი „ეს აგრეთვე ზედმეტი ღირებულების და ზედმეტი პროდუქტის და, მაშასადამე, ზედმეტი შრომის ერთადერთი ნაწილია, რომელმაც იმ ნაწილის გვერდით, რაც დაგროვებას და, მაშასადამე, რეპროდუქციის პროცესის გაფართოებას ემსახურება, კაპიტალისტური წარმოების წესის მოსპობის შემდეგაც უნდა იარსებოს“¹.

ჩვენში დაზღვევა მეურნეობის სოციალისტური სისტემის შესატყვის კატეგორიას წარმოადგენს. მისი ფუნქციები და დანიშნულება გამოყენებულია სოციალიზმის მშენებლობის საქმისათვის. დაზღვევის ფონდის შექმნა ჩვენში მიზნად ისახავს ზარალის ანაზღაურებას, რომელიც უბედური შემთხვევით და სტიქიური მოვლენებით იქნება გამოწვეული, და მით—უზრუნველყოფას გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის განუწყვეტელი პროცესისა.

დიდი სახელმწიფო დაზღვევის როლი წარმოების განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში.

სახელმწიფო დაზღვევის მიერ აკუმულირებული დაზღვევის ფონდი ფულად ფორმაშია გამოსახული, ის იქმნება გარკვეული მეთოდების გამოყენებით ფულადი რესურსების წინასწარი აკუმულაციის შედეგად. ამ ფონდის გეგმიანი დაგროვება და მისი სათანადო გამოყენება თავის გამოხატულებას პოვნებს სახელმწიფო დაზღვევის საფინანსო გეგმაში, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ საფინანსო გეგმას საფინანსო დაგეგმვის მთლიან სისტემაში.

სახელმწიფო დაზღვევის მიერ საშუალებათა აკუმულაცია წარმოებს სადაზღვეო გადასახდელების ანუ პრემიების სახით. უკანასკნელი წარმოადგენს იმ გადასახდელს, რომელიც გადახდილი იქნება ობიექტის დაზღვევისათვის. სავალდებულო და ნებაყოფილობითი დაზღვევის არსებობის პირობებში საშუალებათა მობილიზაციის ეს მეთოდი ემყარება როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობით პრინციპებს.




სადაზღვევო გადასახდებლების გადახდასთან დაკავშირებით იქნება იმთავითვე განსაზღვრულ პასუხისმგებლობის ფარგლებში. მაშასადამე, ამ აკუმულირებულ თანხებს სათანადო მიზნობრივი ხასიათი აქვს. აღნიშნული ვალდებულებების ფაქტიური რეალიზაცია კი დაკავშირებულია გარკვეული დაზღვევის შემთხვევასთან, რომელიც იწვევს ვალდებულებას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემისა (მიზეზების გამორკვევის შემდეგ) უკვე აკუმულირებული ფონდიდან. მაშასადამე, სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წარმოებს სადაზღვევო პასუხისმგებლობის ფარგლებში და არა გადახდილი თანხების კონკრეტულ უკანდაბრუნებითი პრინციპის საფუძველზე.

სახსრების აკუმულაციის და გამოყენების აღნიშნული ფორმები და მეთოდები სპეციფიკურად დამახასიათებელია მხოლოდ დაზღვევის სისტემისათვის. ამ ფორმების და მეთოდების განხორციელების შედეგად, ადგილი აქვს სახსრების გარკვეულ გადანაწილებას, რომელიც, რასაკვირველია, საგრძნობლად განსხვავდება იმ გადანაწილებისაგან, რომელსაც ასრულებს, მაგ., ბიუჯეტი. თუ უკანასკნელში დაიგეგმება სახელმწიფოს ცენტრალიზებული გადანაწილებითი ფონდი, დაზღვევის ხაზით დაიგეგმება და გადანაწილდება მხოლოდ სადაზღვევო ფონდი. თავის მხრივ ამ ფონდის გარკვეული ნაწილი (მოგების ანარიცხები, სპეციალურ სესხებში მოთავსებული თანხები) საბიუჯეტო ბერკეტების მიერ უკვე ცენტრალიზებული გადანაწილების ობიექტად იქცევა.

როგორც აღვნიშნეთ, სახელმწიფო დაზღვევის ფონდი აკუმულირებული იქნება სადაზღვევო შენატანების ანუ პრემიების სახით. სახ. დაზღვევის საფინანსო გეგმაში შემოსავლის დაჯგუფება წარმოებს დაზღვევის სახეების მიხედვით. საშუალებათა მიმართების ძირითად ფორმას ამ შემთხვევაში ზარალის ანაზღაურება წარმოადგენს. რასაკვირველია, ამ ხარჯით არ ამოიწურება ზარალის ანაზღაურებისაკენ მიმართულ ღონისძიებათა სისტემა. სტიქიურ უბედურებათა, უბედურ შემთხვევათა დროს სახელმწიფო გაიღებს სათანადო დახმარებას სხვა ფონდებიდანაც, უწევს სათანადო დახმარებას მომარაგების, შეღავათების მინიჭებისა და სხვათა სახით.

სახდაზღვევასა და საბიუჯეტო სისტემას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. სახდაზღვევის ტარიფების აგებულება საშუალებას იძლევა არამხოლოდ სადაზღვევო ანაზღაურების თანხების გაცემისა, არამედ სათანადო დაგროვების მიღებისათვის. სახდაზღვევის ეს დაგროვება მოგების სახით არის გამოსახული. სახდაზღვევის, როგორც სამეურნეო ანგარიშზე მყოფი ორგანიზაციის, მოგების 50% გადაირიცხება ბიუჯეტში (მოგების ანარიცხების სახით) და ბიუჯეტის მიერ ცენტრალიზებულად გადანაწილდება. გარდა ამისა, სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევიდან მიღებული შემოსავლის გარკვეული პროცენტი გადაირიცხება სათანადო ბიუჯეტებში ხანძართან ბრძოლისა და პირუტყვის სიკვდილიანობის წინააღმდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. სახდაზღვევის თანხების ნაწილი გამოიყენება საზ. სესხების ობლიგაციების შესაძენად და მოხმარდება ჩვენი მეურნეობის დაფინანსების საქმეს.



სახელმწიფო დაზღვევის მთლიანი სისტემის განხილვის დროს სპეციალურად უნდა შეგვირდეთ იმ სახეზე, რომელსაც სახელმწიფო სოციალური დაზღვევა ეწოდება. უკანასკნელის საფინანსო გეგმა, სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის სახელწოდებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საფინანსო დაგეგმვის მთლიან სისტემაში.

„სსრ კავშირის სოციალური დაზღვევა, — აღნიშნულია საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1929 წ. დადგენილებაში სოციალური დაზღვევის შესახებ, — რომელიც საყოფაცხოვრებო და კულტურული ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მხარეს მოიცავს, წარმოადგენს მუშათა კლასის ერთერთ უმთავრეს მონაპოვარს, მიღწეულს ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებით“.

როგორც ვიცით, სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტის განაწილების მარქსის მიერ მოცემული სქემის თანახმად, საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტის გარკვეული ნაწილი შეიცავს მოხმარების ფონდს.

სოციალური დაზღვევის ხარჯები ერთობლივი პროდუქტის მეორე ნაწილს მიეკუთვნება, რომელიც „მოხმარების საშუალებად არის დანიშნული“, მაგრამ რომელიც გამოაკლდება ამ პროდუქტს, „ვიღრე მისი ინდივიდუალური გაყოფა მოხდებოდეს“ (მარქსი).

მეურნეობის სოციალისტური სისტემის პირობებში სოციალური დაზღვევა მშრომელი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების, მისი აღმავლობის მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა. სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებამ სავსებით დაადასტურა მარქსის წინასწარმეტყველება საზოგადოებრივი ერთობლივი პროდუქტის ამ ნაწილის ზრდის შესახებ, „რა ზომითაც ახალი საზოგადოება განვითარდება“.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევა მოქალაქეების იმ უფლებათა გარანტიების ერთერთი ფაქტორია, რომელიც აღბეჭდილია სტალინურ კონსტიტუციაში. უკანასკნელის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ „იგი არ სჯერდება მოქალაქეების ფორმალურ უფლებათა ფიქსირებას, არამედ სიმძიმის ცენტრი გადააქვს ამ უფლებათა გარანტიების საკითხზე, ამ უფლებათა განხორციელების საშუალებების საკითხზე“¹.

სტალინური კონსტიტუციის მე-120 მუხლში აღნიშნულია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში, აგრეთვე ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.“

ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევის ფართო განვითარებით, უფასო სამედიცინო დახმარებით, მშრომელთა სარგებლობაში კურორტთა ფართო ქსელის გადაცემით“.

ამგვარად, სახელმწიფო სოციალური დაზღვევა მოქალაქეების უფლებათა განხორციელების ერთერთი საშუალებაა.

¹ ი. სტალინი, ლენინიზმის საკითხები, თარგმანი მეთერთმეტე რუსული გამოცემიდან გვ. 644.

სოციალური დაზღვევის წინაშე დასმულ ამოცანათა წარმატებით განხორციელება მჭიდრო კავშირში იმყოფება სოციალური დაზღვევის ხაზით სათანადო რესურსების მობილიზაციის და მათი დაბანდების გეგმის შესრულებასთან. აღნიშნულ გეგმას სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტი ეწოდება. ამ ბიუჯეტის ზრდა მშრომელი მოსახლეობის მატერიალური და კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესების ერთერთი ფაქტორია, მისი აღმავლობის ერთერთი გამოსახულებაა. უნდა ითქვას, რომ 1938 წლიდან ეს ბიუჯეტი თავისი შემოსავალ-გასავლით სახელმწიფო ბიუჯეტში ჰპოვებს გამოხატულებას.

სოციალური დაზღვევის ბიუჯეტის შემოსავალს შეადგენს დანარიცხები ხელფასზე, რომელიც ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ გადაირიცხება სოციალური დაზღვევის ბიუჯეტში; დანარიცხების განაკვეთები ღიფერენცირებულია დარგების მიხედვით.

სოციალური დაზღვევის სახსრები უმთავრესად იხარჯება დახმარებებისა და პენსიების გაცემაზე, ბავშვთა მომსახურებაზე, დასასვენებელ სახლებზე, კურორტებზე და სხვ.

სოციალური დაზღვევის საქმე წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან იარაღს საწარმოო გეგმების შესრულებისათვის და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის მთელს სახალხო მეურნეობაში.

საფინანსო გეგმათა განხილვის დროს საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე შემნახველი სალაროების საფინანსო გეგმაზე და ც. სახსრების აკუმულაციის და მათი მიმართულების კონკრეტული ფორმები და მეთოდები, რომელნიც თავის გამოხატულებას ჰპოვებენ ამ გეგმაში, იმ დანიშნულებისა და ფუნქციების პირდაპირი შედეგია, რომელსაც ჩვენში ასრულებენ შემნახველი სალაროები.

კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში შემნახველი სალაროები, როგორც ვიცით, წარმოადგენენ „კაპიტალის და დესპოტიზმის სამმაგ იარაღს“ (მ ა რ ქ ს ი).

ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, სხვა ღონისძიებებთან ერთად, გაანთავისუფლა მშრომელები ამ „ოქროს ჯაჭვისაგან“ და შემნახველი სალაროების ფუნქციები და დანიშნულება შეუფარდა სოციალიზმის მშენებლობის ინტერესებს.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების საშუალებით, უპირველეს ყოვლისა, წარმოებს მოსახლეობის დროებით თავისუფალი რესურსების ნებაყოფლობითი მობილიზაცია. მოსახლეობის დანაზოგების აკუმულაცია ამ შემთხვევაში უმთავრესად ანაბარების მოზიდვის სახით ხორციელდება. შემნახველი სალაროების მიერ მოზიდულ საშუალებათა ზრდა მშრომელი მოსახლეობის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების უტყუარ მაჩვენებელს წარმოადგენს. მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის ზრდა, კოლმეურნეთა შემოსავლის გადიდება ქმნის სათანადო პირობებს საშემნახველო საქმის გაფართოებისათვის, მოსახლეობის დანაზოგების საქმის სათანადო ორგანიზაციისათვის.

მოსახლეობის დროებით თავისუფალი თანხების და მოსახლეობის მოკლევადიანი დანაზოგების ნებაყოფლობით საფუძველზე ანაბრების სახით სახსრების აკუმულაცია სპეციფიკურად დამახასიათებელია მხოლოდ შემნახველი სალაროებისათვის.

სავსებით ბუნებრივია, რომ საბჭოთა შემნახველი სალაროების მეანაბრებელად გვევლინება თვით მშრომელი მოსახლეობა, რომლის დანაზოგებიც მართლაც ნებაყოფლობითა და ხმარდება სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.


დანაზოგების ზრდა ჩვენში პირდაპირი შედეგია მშრომელი მოსახლეობის შეძლებული და კულტურული ცხოვრებისა, მშრომელი მოსახლეობის მატერიალური მდგომარეობის აღმავლობისა. ამ საფუძველზე იქმნება სათანადო პირობები მოსახლეობის დროებით თავისუფალი თანხების, მოკლევადიანი დანაზოგების სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროების მიერ ორგანიზებული და გეგმიანი აკუმულაციისათვის.

აღსანიშნავია, რომ ამ დანიშნულების გარდა შემნახველი სალაროები სათანადო მომსახურებას უწყვეტ მენაბრებებს და აგრეთვე სახელმწიფო სესხის ობლიგაციების მფლობელებს.

შემნახველი სალაროების საფინანსო გეგმა შემნახველი სალაროების მიერ რესურსების აკუმულაციისა და გამოყენების სათანადო სურათს იძლევა. ამ გეგმის შემოსავალი უმთავრესად ითვალისწინებს ანაბრების მოზიდვას, რომელთა მთლიან ჯამში გადამწყვეტი მნიშვნელობა მოსახლეობის ანაბრებს ეკუთვნის. საგასავლო ნაწილში გათვალისწინებულია შემნახველი სალაროების კაპიტალური დანახარჯები, საკასო ნაღდი თანხის ზრდა და აგრეთვე სახელმწიფო სესხების ობლიგაციების შეძენა და სხვ.

აღსანიშნავია, რომ შემნახველი სალაროების მიერ აკუმულირებული სახსრების გარკვეული ნაწილი გამოიყენება სახალხო მეურნეობის დაფინანსებისათვის და დაკრედიტებისათვის. ეს მტკიცდება იმით, რომ შემნახველი სალაროებისათვის საჭირო საბრუნავი ნაღდი თანხა მოთავსებულია სახელმწიფო ბანკის მიმდინარე ანგარიშზე. ამ ანგარიშის ზრდა შემნახველი სალაროების „სახსართა მიმართულების“ ერთერთ ელემენტს წარმოადგენს. სახბანკოში ამ ანგარიშის ზრდა, რასაკვირველია, ხელს უწყობს საკრედიტო ოპერაციების გაფართოებას. გარდა ამისა, ანაბრების სტაბილური ნაშთის ფარგლებში, შემნახველი სალაროები იძენენ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს. ეს სახსრები, მაშასადამე, ღებულობს გრძელვადიანი დაგროვების ფორმას. (ეს გარემოება, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ აფერხებს ანაბრების პირველ მოთხოვნისთანავე დაბრუნების პროცესს). გარკვეული თანხების სახ. სესხების ობლიგაციებში მოთავსებით იზრდება ჩვენი სოციალისტური მშენებლობის დაფინანსების საშუალებანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღნიშნული ელემენტები თავის გამოხატულებას ჰპოებენ შემნახველი სალაროების საფინანსო გეგმაში.



ამით ვასრულებთ საფინანსო სისტემის ცალკე რგოლებს და ფინანსო გეგმათა სისტემის განხილვას.

როგორც დავრწმუნდით, ყოველ საფინანსო გეგმისათვის დამახასიათებელია გარკვეული ფულადი რესურსების მოძრაობის პროცესის დაგეგმვა სახსრების აკუმულაციისა და მათი გამოყენების დაგეგმვის სახით. ცალკე საფინანსო გეგმებისათვის დამახასიათებელია სახსრების აკუმულაციისა და გამოყენების სპეციფიკური მეთოდებით სარგებლობა, საფინანსო ინსტიტუტების ფუნქციითა და დანიშნულებათა შესაბამისად. თვით საფინანსო პროგრამის დაგეგმვა ყოველ კერძო შემთხვევაში წარმოებს სახალხო-სამეურნეო გეგმის დასახულებათა საფუძველზე და წარმოადგენს ამ გეგმის გარკვეულ ნაწილს.

მაგრამ საფინანსო დაგეგმვის მთლიანი სისტემა არ ამოიწურება იმ გეგმათა სახეებით, რომელთა შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა საუბარი. საფინანსო დაგეგმვა, გარდა აღნიშნულისა, გულისხმობს დაგეგმვის სინთეზური ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას.

განვიხილოთ უკანასკნელი.

სინთეზური საფინანსო დაგეგმვა წარმოადგენს მთლიანი სახალხო-სამეურნეო სინთეზური დაგეგმვის შემადგენელ ნაწილს. საფინანსო ბალანსის სახალხო სამეურნეო ბალანსის ერთერთი ელემენტია. მაშასადამე, სახალხო-სამეურნეო გეგმის სინთეზური საკითხების დამუშავება, სხვა მომენტებთან ერთად, აუცილებლად მოითხოვს სინთეზური საფინანსო დაგეგმვის საკითხის სათანადო განხილვას.

სინთეზური საფინანსო დაგეგმვის ერთერთ გამოსახულებას წარმოადგენდა ერთიანი საფინანსო გეგმა, რომელიც შემოღებულ იქნა 1930 წელს სსრ კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს სპეციალური დადგენილების საფუძველზე. ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „სოციალისტური მშენებლობის ძლიერი გაქანება მოითხოვს წლიდანწლამდე გადიდებულ ფულად დაბანდებებს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა ქვეყნის საფინანსო მეურნეობის დაგეგმვას. გეგმიანი მეურნეობის მიერ მიღწეული წარმატებანი შესაძლებლობას გვაძლევს და მოითხოვენ უფრო მაღალ დონეზე ავწიოთ ფინანსების დაგეგმვა და განსაზოგადოებული სექტორის ფინანსები ავსახოთ ერთიან საფინანსო გეგმაში“.

საკ. კ. ბ. (ბ) ც. კ. 1930 წ. დეკემბრის პლენუმის რეზოლუცია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის მიღწევებმა საშუალება მოგვცა გადავსულიყავით ფინანსების დარგში ერთიან საფინანსო გეგმის სისტემაზე, რომელიც შეიცავს ჩვენი ქვეყნის ყველა სახსარს, რომელიც ხმარდება კაპიტალურ მშენებლობას, განსაზოგადოებული მეურნეობის საბრუნავ საშუალებათა შევსებას, კულტურას, მართვა-გამგეობლობას და საბჭოთა კავშირის თავდაცვას.

მაშასადამე, ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენა მიზნად ისახავდა მთელი განსაზოგადოებული მეურნეობის ფინანსების ასახვას და ამ ფორმაში სინთეზური საფინანსო დაგეგმვის საკითხის გადაჭრას. ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენით, რასაკვირველია, გაფართოებულ იქნა საფინანსო დაგეგმვის საზღვრები.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი საფინანსო გეგმის შედგენისას განსახილველი იყო არა ცალკე ოპერატიულ საფინანსო გეგმათა გაუქმება, არამედ მათი ფრთხილად შეთანხმება, საშუალებათა მიზანშეწონილი გამოყენების უზრუნველყოფა.

საფინანსო გეგმის შედგენის საქმეში ადგილი ჰქონდა დამახინჯებებს, რომელიც უმთავრესად მდგომარეობდა ერთიანი საფინანსო გეგმისათვის ოპერატიული მნიშვნელობის მინიჭებაში ბიუჯეტის ოპერატიული მნიშვნელობის ხარჯზე, ცალკე საფინანსო ინსტიტუტების გათანაბრებაში და გაუპიროვნებაში. ამ დამახინჯებათა ლიკვიდაციის შედეგად საგრძნობად განმტკიცდა ცალკე საფინანსო გეგმების ოპერატიული მნიშვნელობა, აღიკვეთა მათ შორის გათანაბრების ტენდენცია. ამით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ საფინანსო დაგეგმვის მთლიან სისტემაში წამყვანი როლი ეკუთვნის სახელმწიფო ბიუჯეტს, როგორც ძირითად ოპერატიულ საფინანსო გეგმას, რომელსაც აქვს კანონის ძალა და რომელიც მტკიცდებოდა უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ.

სინთეზური საფინანსო დაგეგმვა ამჟამად უმთავრესად ხორციელდება ერთიანი სახალხო-სამეურნეო გეგმის შედგენის დროს, სათანადო სინთეზური საფინანსო ბალანსების შედგენის, ამ გეგმის სინთეზური საფინანსო მაჩვენებლებისა და სინთეზურ განზოგადებათა ხაზით.

სახალხო-სამეურნეო დაგეგმვის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი გაუმჯობესება აუცილებლად მოითხოვს საფინანსო დაგეგმვის სინთეზური ფორმების მეტ კონკრეტიზაციასა და შესატყვისი ორგანიზაციული ფორმების განსაზღვრას.

А. Гокиели

К вопросу о сущности финансового планирования

(Резюме)

Советская власть приспособила финансы к интересам социализма. Советские финансы полностью используются для выполнения социалистическим государством своих функций, классический анализ которых дал товарищ Сталин.

Финансовая система социалистического государства рабочих и крестьян аккумулирует и направляет, в соответствии с народно-хозяйственным планом, денежные ресурсы, необходимые для социалистического строительства.

Финансовое планирование является органической частью народнохозяйственного планирования.

По линии финансового планирования осуществляется планирование денежных ресурсов, аккумуляция и направление которых на дело строительства социализма реализуется через соответствующие финансовые институты.

В результате использования определенных форм аккумуляции и направления денежных ресурсов происходит перераспределение народного дохода. Процессы аккумуляции и направления денежных средств являются составными элементами процесса перераспределения народного дохода. Для планирования последнего требуется соответствующее планирование указанных процессов.

Финансовое планирование реализуется как по линии отдельных финансовых планов, так и синтетических форм планирования. В соответствующих финансовых планах используются специфические методы аккумуляции и направления денежных средств, имеющих единое назначение, вытекающее из функций социалистического государства.

В системе финансовых планов ведущую роль играет бюджетное планирование, но огромное значение последнего не означает ограничения финансового планирования рамками только бюджетного планирования.

Необходимость финансового планирования, как составной части народнохозяйственного планирования, связана с сохранением денежного хозяйства. Товарищ Сталин гениально доказал, что „деньги останутся у нас еще долго, вплоть до завершения первой стадии коммунизма,—социалистической стадии развития“. На весь этот период сохраняется необходимость финансов и, следовательно, финансового планирования.

ბიბლიოგრაფია

სტალინის სახელმწიფო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1938-39
აკად. წლის ანგარიში

[სტალინის სახ. სახელმწ. უნივ. გამოცემა. თბილისი. 1940. გვ. VI+511].

უნივერსიტეტის წლიური ანგარიშის გამოცემა მრავალი უნივერსიტეტის პრაქტიკაშია შესული. მას ხშირად მიმართავდნენ როგორც საზღვარგარეთის, ისე რუსეთის უნივერსიტეტები. სულ უკანასკნელ დრომდის საერთაშორისო საუნივერსიტეტო ცნობარიც გამოდიოდა (გერმანიაში) „მინერვას“ (ძველ რომაელთა სიბრძნის ღვთაების) სახელწოდებით, სადაც მთელი მსოფლიოს (მათ შორის თბილისის) უნივერსიტეტების შესახებ ძირითადი ცნობები იყო მოთავსებული.

უნივერსიტეტის ანგარიშის დანიშნულებაა საუნივერსიტეტო საქმიანობის ისეთი ფაქტებისა და გარემოებების ფიქსაცია, რომელთაც ფართო სამეცნიერო-საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვთ და რომელთა აღდგენა ყოველთვის უნდა შეიძლებოდეს საარქივო მასალების შესწავლის გარეშე; ანგარიში ამავე დროს უნივერსიტეტის ზრდა-განვითარების ნათელ სურათს იძლევა და, დასასრულ, იგი პრაქტიკულად გამოსადეგი ცნობარის დანიშნულებასაც ასრულებს.

ამიტომ მისასაღმებელია თბილისის უნივერსიტეტის ინიციატივა: „ყოველწლიურად გამოიცეს უნივერსიტეტის მუშაობის ანგარიში“.

„1938—39 აკად. წლის ანგარიში“ თბილისის უნივერსიტეტის მეორე ანგარიშია, გამოცემული ბექდური სახით. პირველად იგი გამოცემა 1928 წელს, უნივერსიტეტის ათი წლის თავისათვის, და მოიცავდა უნივერსიტეტის საქმიანობას მისი არსებობის პირველი ათი წლის განმავლობაში.

წინამდებარე ანგარიში მოიცავს საუნივერსიტეტო მუშაობისა და ცხოვრების ყველა მხარეს საანგარიშო წლის—1938-39 წლის—განმავლობაში: სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას, კათედრების მუშაობას, დაუსწრებელი პედაგოგიური განყოფილების საქმიანობას, სახელმწიფო გამოცდების შედეგებს, უნივერსიტეტის მატერიალურ-საფინანსო ბაზას, გამომცემლობის მუშაობას, პირად შემადგენლობას, ბიბლიოგრაფიასა და ზოგად ცნობებს.

ანგარიშში მდიდარი ფაქტიური მასალაა მოცემული; ამ მასალის მნიშვნელობა და ღირებულება განსაკუთრებით მაშინ დაინახება, როდესაც დრო დაგვაშორებს საანგარიშო პერიოდს, ხოლო მეხსიერება დავიწყებთ მისცემს ფაქ-

ტებს, რომელთაც უნივერსიტეტის ყოველდღიურ მუშაობაში ჰქონდა ადგილი.

დიდი დადებითი მნიშვნელობის მიუხედავად, არ შეიძლება არ აღინიშნოს „ანგარიშის“ ნაკლი, რომელიც შემდგომ გამოცემებში აუცილებლად თავიდან უნდა იქნას აცილებული. ამ ნაკლს, როგორც ანგარიშისათვის დართული წინასიტყვაობიდან ჩანს, კარგად გრძნობენ თვით შემდგენელ-გამომცემელნიც. ეს ნაკლია: ხშირი გამეორება, არაამომწურავობა (ზოგი კათედრის ანგარიშში სრულიად არაა მოთავსებული), კათედრის ანგარიშების სხვადასხვანაირი აგებულება, სხვადასხვა შინაარსი და მოცულობა და სხვ. მომავლისათვის კათედრების მუშაობის ანგარიშები ან ძირითადად უნდა მოთავსდეს სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის ზოგად მიმოხილვაში, ანდა, ამ ზოგადი მიმოხილვის შეკვეცის სანაცვლოდ, მოთავსდეს დამოუკიდებელი ანგარიშების სახით. საერთოდ, ანგარიშის მოცულობა უნდა შემცირდეს, ხოლო მასში მოთავსებული მასალა უნდა გაიცხრილოს და შეიჩმოს.

გამოცემის გარეგნულ მხარეშიც სასურველია ზოგიერთი გაუმჯობესების შეტანა: მაგ., მოკლე რეგისტრის დართვა, რაც ანგარიშით სარგებლობას გაადვილებს, მასალის უკეთესი დამუშავება ტექნიკურ-რედაქციულის მხრივ და ა. შ.

1939/40 აკად. წლისათვის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გეგმა

დაიბეჭდა (რუსულ ენაზე) უნივერსიტეტის მიმდინარე აკადემიური წლის სამუშაო გეგმა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის დარგში.

გეგმა ითვალისწინებს ფაკულტეტების მიხედვით კათედრის ყველა წევრის სამეცნიერო-საკვლევო თემას და ამ თემაზე მუშაობის დასრულების თარიღს.

თითოეული ფაკულტეტის სამეცნიერო გეგმას დართული აქვს განმარტებითი ბარათი.

სამეცნიერო ქრონიკა

დისერტაციების დაცვა სამეცნიერო ხარისხის მოსაკრებლად

1939 წლის 1 თებერვლიდან 1940 წლის 1 მარტამდე სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დისერტაციები დაიცვეს და სათანადო სამეცნიერო ხარისხები მიიღეს:

1939 წლის თებერვალი:

1. თავხელიძე პ. ნ.—ისტორ. მეცნ. კანდ.

1939 წლის მარტი

2. კაიშაური ა. ა.—პედაგოგ. მეცნ. კანდ. (თბილისის ფუნქციონალურ-ნერვულ დაავადებათა სამეცნ. საკვლ. ინსტიტუტი).
3. ნათაძე რ. გ.—პედაგოგ. მეცნ. დოქტ. (ფსიქოლოგ.).

1939 წლის აპრილი.

4. ვერეშჩაგინი ნ. კ.—ბიოლოგიურ მეცნ. კანდ. (სსრ კავშირის მეცნ. აკად. აზ. ფილ. მუშაკი).
5. კუდელინა ე. ნ.—ბიოლოგ. მეცნ. კანდ. (საქ. სამეც. სათევზ. მეურნ.).
6. თავბერიძე ი. დ.—ქიმიის მეცნ. კანდ. (სსრ კავშირის მეცნ. აკად. საქ. ფილ. ქიმიის ინ. მეცნ. თანამშრომელი).
7. უშაკოვი პ. ნ.—ისტორ. მეცნ. კანდ. (სსრ კავშირის აკად. საქ. ფილ. ენის, ისტ. და მატ. კულტ. ინ-ტის მეც. მუშ.).
8. კომეთიანი პ. ა.—ბიოლგ. მეცნ. დოქტორი.
9. შაფიევი კ. ნ.—ეკონომ. მეცნ. კანდ. (ბაქოს სახალ. მეურნ. ინსტ-ტის ასპირანტი, მასწავლებელი).

1939 წლის მაისი

10. გარდანოვი ბ. ბ.—ისტორიის მეცნ. კანდ. (ქ. ორჯონიკიძის პედინსტიტუტის დოცენტი).
11. კალანდია ა. ა.—ქიმიის მეცნ. კანდ. (სსრ კავშირის მეცნ. აკად. საქ. ფილიალ. ქიმიური ინსტ. ასპირ.)

12. ურუშაძე ნ. ფ.—ფილოლოგ. მეცნ. კანდ.
 13. ფალავა ა. ნ.—ხელოვნებათმც. მეცნ. კანდ. (საქ. სახ. კონსერვატორიის დოცენტი)

1939 წლის ივნისი

14. ალიევი ჰ. ბ.—გეოგრ. მეცნ. კანდ. (აზერბ. პედ. ინსტ. უფ. მეცნ. მუშაკი.)
 15. ახმედლი მ. კ.—ქიმიის მეცნ. კანდ. (აზერბაიჯან. სახ. პედ. ინსტ. დოც. მოვ. აღმ.)
 16. ბოკორიშვილი ა. თ.—პედაგოგ. მეცნ. დოქტორი (ქუთაისის პედ. ინსტ., ფსიქოლოგ.)
 17. ბეგლაროვი ი. ი.—ფილოლოგ. მეცნ. კანდ.
 18. ბოგაჩოვი ა. ვ.—ბიოლოგ. მეცნ. კანდ. (სსრ კავშირის მეცნ. აკად. ფილ. ზოოს ექ. მეცნ. მუშ.)
 19. ბურკაძე შ. მ.—ისტ. მეცნ. კანდიდატი.
 20. გვახარია გ. ვ.—გეოლ.-მინერ. მეცნ. კანდ.
 21. გოკიელი ა. პ.—ეკონომ მეცნ. კანდ.
 22. გუგუშვილი კ. ა.—ფილოლოგ. მეცნ. კანდ.
 23. გვათუა შ. ა.—იურიდ. მეცნ. კანდ.
 24. გუტნოვი კ. ა.—ფილოლოგ. მეცნ. კანდ. (სტალინირის პედიანსტ. ფილოლოგ. ფაკ. ოსური ენის კათ. გამგე, დოც. მოვ. აღმ.)
 25. გოჩოლაშვილი მ. მ.—ბიოლოგ. მეცნ. კანდ. (ბათუმის სუბტროპ.-ბოტან. ბაღის მცენ. ფიზ. განყ. გამგე.)
 26. თათრიშვილი ნ. თ.—გეოლოგ-მინერ. მეცნ. კანდ.
 27. ლიტვინოვი ვ. თ.—ფიზიკ.-მათემ. დოქტ. (აღმა-ატა, ყაზახ. სახ. უნივ., პროფ.)
 28. მალნარაძე ლ. გ.—ფიზიკ.-მათემ. მეცნ. კანდ.
 29. პეტროვა ფ. ს.—ქიმიის მეცნ. კანდ. (სსრ კავშირის მეცნ. აკად. საქ. ფილიალ. მეცნ. მუშაკი.)
 30. სავენკო რ. თ.—ბიოლოგ. მეცნ. კანდ. (სსრ კავშირის მეცნ. აკად. საქ. ფილიალ. ზოოს ექ.-ის მეცნ. მუშაკი)
 31. ტერ-გრიგორიანი მ. ა.—ბიოლოგ. მეცნ. კანდ. (სსრ კავშირის მეცნ. აკად. სომხ. ფილიალ. ასპირანტი.)
 32. ფურცხვანიძე ბ. ზ.—იურიდ. მეცნ. კანდ.
 33. ყაზახიშვილი თ. გ.—გეოლოგ.-მინერ. მეცნ. კანდ. (მინერალ. ნედლეულ. სამ.-საკვლ. ინსტ. მეცნ. მუშ.)
 34. შენგელია ნ. ბ.—ისტორ. მეცნ. კანდ. (ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტ.)
 35. ჯიბლაძე გ. ნ.—ფილოლოგ. მეცნ. კანდ. (ალ. წულუკიძის სახ. ქუთ. პედ. ინსტ. ლექტორი.)
 36. ხარაზიშვილი ფ. ე.—პედაგოგ. მეცნ. კანდ.
 37. ხუნდაძე ტ. ი.—ისტორიის მეცნ. კანდ.

38. ჰუსეინოვი ჰ. ნ.—ფილოსოფ. მეცნ. კანდ. (აზერბ. ნიზამის სახელობის ინსტიტუტი).

1939 წლის ოქტომბერი

39. საფონოვი ნ. ი.—ეკონომ. მეცნ. კანდ. (აზერბაიჯ. სახ. მეურნ. ინ-ტის დოცენტი).
40. სიხარულიძე ქ. ა.—ფილოლოგ. მეცნ. კანდ.

1939 წლის ნოემბერი

41. გამცემლიძე ს. ი.—ბიოლოგ. მეცნ. კანდ.
42. ვეკუა ი. ნ.—ფიზიკ.-მათ. მეცნ. დოქტორი.

1939 წლის დეკემბერი

43. ალექსიშვილი მ. მ.—ისტორიის მეცნ. კანდ.
44. გიოშვილი ვ. დ.—ტექნიკურ მეცნ. კანდ. (საქონელმცოდნ.)
45. სიფრაშვილი ვ. გ.—ისტორიის მეცნ. კანდ.
46. ცხაკაია ნ. გ.—ფილოსოფ. მეცნ. კანდ. (გორის სამასწ. ინსტიტუტის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედ. გამგე, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. შტატ. დოქტორი, თბილისი).
47. ხუხია ვ. ლ.—ქიმიის მეცნ. კანდიდატი.

1940 წლის იანვარი

48. ბაქრაძე გ. კ.—ეკონომ. მეცნ. კანდ.
49. მიქელაძე ი. ს.—ეკ. მეცნ. კანდ.

1940 წლის თებერვალი

50. ერემოვი გ. ა.—იურიდ. მეცნ. კანდ.
51. მგელაძე დ. ს.—ფილოლოგ. მეცნ. კანდ.
52. ღარიბიანი ა. ს.—ფილოლოგ. მეცნ. დოქტორი.

სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენცია

ა/წ. 20-23 მარტს ჩატარდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენცია (I კონფერენცია ჩატარდა 1939 წ. მაისში). კონფერენციაზე გამოტანილ იქნა სამეცნიერო წრეებში წაკითხული საუკეთესო მოხსენებები. (მიმდინარე წელს უნივერსიტეტში მუშაობს 39 სამეცნიერო წრე, რომლებშიაც გაერთიანებულია 1.219 სტუდენტი).



სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის წარმატებით ჩატარებისათვის დიდი წინასწარი მუშაობა ჩაატარა წრეების გაერთიანებულმა გამგეობამ (თ-რე პროფ. არნ. ჩიქობავა): დროულად დაისტამბა მოხსენებათა თეზისები, კონფერენციის მუშაობის გეგმა და სხვ.

კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა 15 სექცია:

1. ქართული ლიტერატურის (ხელმძღვანელი პროფ. მ. ზანდუკელი).
2. რუსული და ევროპულ ლიტერატურის (ხელმძღ. პროფ. ს. დანელია).
3. ენათმეცნიერების სექცია (ხელმძღ. პროფ. ვარლ. თოფურია).
4. ისტორიის სექცია (ხელმძღ. პროფ. ალ. ნამორაძე).
5. სამართლის სექცია (ხელმძღ. დოც. დ. მირიანაშვილი).
6. პოლიტიკური ეკონომიისა და ფინანსების სექცია (ხელმძღ. პროფ. ფილ. გოგიჩაიშვილი).
7. დაგეგმვის, საქონელმცოდნეობისა და აღრიცხვის სექცია (ხელმძღ. პროფ. კ. მეგრელიძე).
8. ბოტანიკის სექცია (ხელმძღ. პროფ. ნიკ. კეცხოველი).
9. ბიოლოგიისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის სექცია (ხელმძღ. პროფ. დ. გედევანიშვილი).
10. ფიზიკური გეოგრაფიის სექცია (ხელმძღ. პროფ. ალ. ჯავახიშვილი).
11. ეკონომიური გეოგრაფიის სექცია (ხელმძღ. პროფ. გ. გებტმანი).
12. გეოლოგია-პეტროგრაფიის სექცია (ხელმძღ. პროფ. ალ. ჯანელიძე).
13. არაორგანული და ორგანული ქიმიის სექცია (ხელმძღ. პროფ. ნ. ციციშვილი).
14. ანალიზური და ფიზიკური ქიმიის სექცია (ხელმძღ. დოც. შ. შარაშენიძე).
15. ფიზიკისა და მათემატიკის სექცია (ხელმძღ. პროფ. არჩ. ხარაძე).

ყველა სექციაში სულ წაკითხულ იქნა 76 მოხსენება.

23 მარტს შესდგა პლენარული სხდომა, რომელზედაც უნივერსიტეტის რექტორმა დოც. დ. ყიფშიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე: „სტუდენტთა II კონფერენციის შედეგები“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: პროფ. ალ. ჯავახიშვილმა, პროფ. ალ. ჯანელიძემ, პროფ. ნ. ციციშვილმა, პროფ. ფ. გოგიჩაიშვილმა, აკად. ნ. მუსხელიშვილმა, დოც. გ. კიკნაძემ (განათლების სახალხო კომისარი), რომლებმაც მეტად კარგი შეფასება მისცეს კონფერენციის მუშაობას.

საუკეთესო მოხსენებები იბეჭდება სტუდენტთა შრომების კრებულში.

უნივერსიტეტის გამომცემლობა

უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1939 წელს დაბეჭდა შემდეგი წიგნური პროდუქცია:

1. დ. ნ. კოშკაროვი და ვ. ვ. სტაჩინსკი, ხერხემლიან ცხოველთა ზოოლოგიის კურსი, წიგნი II.
2. მათე მირიანაშვილი, ზოგადი ფიზიკის კურსი, ნაწ. I.
3. პროფ. ა. ა. კრუბერი, ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია

4. გ. დოდოხიანი, თხზულებანი.
5. საიუბილეო კრებული ი. ჭავჭავაძე.
6. მიწის შესახებ უმნიშვნელოვანეს კანონთა და განკარგულებათა კრებული, ტ. I.
7. ქართული ხალხური ზღაპრები, ტ. I.
8. პროფ. ნ. ა. ტანანაევი, მოცულობითი ანალიზი.
9. პროფ. ე. რიზენფელდი, თვისებითი ანალიზი.
10. ტ. რუხაძე, ქართული ეპოსი „გარდამავალი ხანის“ ლიტერატურაში.
11. აკად. ნ. შუსხელიშვილი, ანალიზური გეომეტრიის კურსი.
12. დოც. გ. მ. ზარიძე, მაგმური ქანების გენეზისი.
13. Проф. К. Кекелидзе, Конспекттивный курс древнегрузинской литературы.
14. პროფ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I პროპედევტიკული ნაწილი. მეორე შეესვრული გამოცემა.
15. პროფ. მ. ზანდუკელი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტომი III.
16. კრებული სასუნელი დავით.
17. ვ. დ. მენშაგინი, სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილი (მმართველობის საწინააღმდეგო დანაშაული).
18. იურიდ. მეცნიერ. სრულიად-საკავშირო ინსტიტუტი, სამოქალაქო სამართალი, ნაწ. I.
19. — „—სამოქალაქო პროცესი.
20. სტალინის სახელობის თ. ს. უ. შრომები ტ. VIII, IX და X.
21. საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბა, შრომები, ტომი I.
22. სტალინის სახელობის თ. ს. უ.—უნივერსიტეტის წესდება.
23. — „—უმადლეს სასწავლებლებში შემსვლელთა პირველადი დოკუმენტაციის ფორმები.
24. — „—229 სახელწოდების სასწავლო პროგრამა.

1940 წელი

1. აკად. ი. ბერიტაშვილი, კუნთოვანი და ნერვული სისტემის ზოგადი ფიზიოლოგია.
2. პროფ. გ. ნ. გეხტმანი, ნარკვევები დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან.
3. დოც. ა. კაკაბაძე, საფინანსო მუშაობის ორგანიზაციის საკითხები.
4. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1938—39 აკად. წლის ანგარიში.
5. სტუდენტთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია (მონხენებათა თეზისები და გეგმები).
6. სტუდენტთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია (კონფერენციის მუშაობის გეგმა).
7. სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის გეგმა 1939/40 სასწავლო წლისათვის.
8. 34 სახელწოდების სასწავლო პროგრამა.

ტექრედაქტორი ვ. ბოლქვაძე
კორექტორი ი. ანდრონიკაშვილი
გადაეცა წარმ. 10/V 40
გამომც. შეკვ. № 66
სტამბის შეკვეთა № 54

ტირაჟი 500
ანაწყ. ზომა 7×11
ქალალ. ზომა 72×105
მთავლ. რწმუნებულის № კ-2066
ხელმ. დასაბეჭ. 19/VI 40



„სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების ფაკულტეტი“

1. „ზრომები“ წარმოადგენს სტალინის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის პერიოდულ სამეცნიერო ბეჭდვითს ორგანოს, რომელშიც იბეჭდება უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკებისა და, ცალკეულ შემთხვევებში, სხვა მეცნიერთა სამეცნიერო შრომები.

2. „ზრომები“ იბეჭდება ქართულ ან რუსულ ენაზე, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში საბჭოთა კავშირის ხალხთა სხვა ენებზეც და აგრეთვე გერმანულ, ფრანგულ ან ინგლისურ ენებზე. ქართულ შრომებს აუცილებლად უნდა დაერთოს რეზუმე რუსულ ენაზე; ამას გარდა, ქართულ და რუსულ შრომებს შესაძლებელია დაერთოს რეზუმე ერთერთ ზემოდასახელებულ ენებზე. ნაშრომთა კავშირის სხვა ხალხთა და გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე დაბეჭდილ სამეცნიერო შრომებს აუცილებლად უნდა დაერთოს რეზუმე ქართულ ან რუსულ ენაზე.

შენიშვნა: შინაარსი, ნაშრომთა ავტორების და სათაურების დასახელებით, დაერთვის ქართულ, რუსულ და ფრანგულ ენებზე.

3. თითოეული დასაბეჭდი ნაშრომის მოცულობა, რეზუმეს ჩათვლით, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 1,5—2,0 სააგტორო თაბახს.

4. „ზრომები“ ქვეყნდება ყოველთვიურად (გარდა ზაფხულის ორი თვისა) ცალკე ტომებად, თითოეული ტომი 10 სააგტორო თაბახის მოცულობით. წლიურად, ამრიგად, გამოდის 10 ტომი.

5. დასაბეჭდად წარდგენილი სამეცნიერო ნაშრომი, რეზუმესთან ერთად, უკეთუ იგი ნაშრომს ერთის, უნდა იყოს სახეებით გამოადგენილი დასაბეჭდად: ა) საბეჭდ მანქანაზე გადაბეჭდილი და შესწორებული, ანდა სუფთად ხელით გადაწერილი, აუცილებლად ცალ გვერდზე; ბ) ფორმულები და საკუთარ სახელთა ან სხვა უცნობი დასახელებანი მკაფიოდ უნდა იყოს ხელით ჩაწერილი ტექსტში; გ) ციტირებული ლიტერატურის დასახელება უნდა იყოს სრული: ავტორის, წიგნის ან პერიოდული გამოცემის სრული სახელწოდების, წერილის სრული სათაურის, პერიოდული გამოცემის ტომის, გამოცემის ადგილისა და დროის აღნიშვნით.

6. დასაბეჭდ ნაშრომზე აღინიშნება კათედრა, ლაბორატორია და სხვ., საიდანაც იგი წარმოსდგა.

7. ნაშრომის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში არავითარი შესწორებისა და დამატების შეტანა არ შეიძლება. უკეთუ დასაბეჭდად მიღების შემდეგ ან აწყობა-ბეჭდვის პროცესში გამოირკვეა, რომ მასში შესწორება-დამატებათა შეტანა აუცილებელია, ნაშრომი ბეჭდვიდან ამოიღება.

8. დასაბეჭდი ნაშრომი უნდა გადაეცეს „ზრომების“ პასუხისმგებელ მდივანს, რომელიც, წინასწარი გაცნობის შემდეგ, პასუხისმგებელ რედაქტორთან შეთანხმებით, უზაგნის მას სათანადო განყოფილების რედაქტორს სარედაქციოდ და დასკვნისათვის.

9. რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი რედაქტორთა მიერ შემოწმებულ და დასკვნამიცემულ ნაშრომებს, „ზრომების“ მორიგი ტომის შინაარსის პროექტთან ერთად, წარუდგენს სარედაქციო კოლეგიას.

10. სარედაქციო კოლეგია განიხილავს წარმოდგენილ ნაშრომებს, რედაქტორთან შენიშვნებისა და დასკვნების საფუძველზე, და დაამტკიცებს „ზრომების“ მორიგი ტომის შინაარსს, რომელშიც ცვლილებების შეტანა, კოლეგიის დადგენილების გარეშე, არ დაიშვება.

11. „ზრომების“ მორიგ ტომში შესულ ნაშრომთა საბოლოო რედაქციას, როგორც სტილისტურს, ისე შინაარსის მხრივ, აწარმოებს რედაქტორი, რომელიც მასალას სასტამბოდ ამზადებს.

12. რედაქტორივე ამოწმებს აწყობილ და გვერდებზე შეკრული ანაბეჭდის ბოლო კორექტურას, რომელიც საბოლოოდ შესამოწმებლად და ხელმოასწერად გადაეცემა პასუხისმგებელ რედაქტორს.

13. პასუხისმგებელი რედაქტორის ხელმოწერის შემდეგ აწყობილი თაბახი იბეჭდება.

14. ავტორს ეძლევა ერთერთი საკორექტურო ანაბეჭდი ერთი დღის ვადით მარტო-ოდენ საკორექტურო შესწორებათა შესატანად.

15. ავტორს უფასოდ ეძლევა მისი ნაშრომის 50 ამონაბეჭდი და ერთი ცალი „ზრომები“ იმ ტომისა, რომელშიც მისი ნაშრომი მოთავსებულია.

ფანკი 5 მანეთი

